240/
1991/3
41-B

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

ამბები

ტ.41

~~LXI-B~~ XLI-B

«ეცნიერება»

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ВЕСТНИК

ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ
им. АКАД. С. Н. ДЖАНАШИЯ

~~LXI-B~~ XLI-B

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მოამბე

XLI—B

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9+902.7(C4I)
C69(47.922):082
323

„მოამბეში“ ქვეყნდება ნაშრომები საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ნუმიზმატიკის მნიშვნელოვან საკითხებზე. ნაშრომები ძირითადად ემყარება სამუზეუმო კოლექციების და სხვადასხვა ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალების შესწავლას. „მოამბის„ მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს სამუზეუმო კოლექციების პუბლიკაციას.

რედაქტორი ლ.ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები: ა.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნ.შ ო შ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, ი.გ ა გ ო შ ი ძ ე, გ.ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ნ.ქ ა ნ თ ა რ ი ა, ი.ხ უ ს კ ი ვ ა ძ ე, მ.ა ნ თ ა ძ ე, ბ.ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, თ.ქ უ თ ე ლ ი ა, მ.ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ც.ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, გ.გ ა ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი, მ.მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ლ.ბ ე დ უ კ ი ძ ე, ე.ნ ა დ ი რ ა ძ ე, თ.ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, მ.ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, მ.ბ ო კ უ ჩ ა ვ ა

3 0503020906 / M607(06)-91 24I-89

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991

ISBN 5-520-00491-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. დოლაბერიძე

ძვ. წ. II-I სს. სალოცავი ნიშტაყოს ბორცვზე ს. შენაქოში

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თუშეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1977წ. და 1980 წ. თუშეთში, ს. შენაქოში მდებარე ნიშტაყოს ბორცვზე გათხარა ძვ. წ. II-I სს. წარმართული სალოცავის კომპლექსი.

ამ ბოლო ხანებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად საქართველოს გარშემ არაერთი წარმართული დროის სალოცავია გამოვლენილი და შესწავლილი. მაღალმთიან რეგიონში კი ადრეული ხანის წარმართული სალოცავი დღემდე არ იყო ცნობილი.

წარმართული დროის საკულტო ძეგლების შესწავლა მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. ისინი მრავლისმთქმელ მასალას იძლევიან საქართველოს უძველესი პერიოდის ისტორიული პროცესების წარმოსადგენად; მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენენ იმდროინდელი რელიგიური ჩვევა-წარმოდგენებისა და სულიერი კულტურის შესასწავლად; ამავე დროს, ისინი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან უძველესი, ქრისტიანობის წინადროინდელ საკულტო ხუროთმოძღვრებაზე.

ს. შენაქო მაღალმთიან რაიონში, ადმინისტრაციული ცენტრის ომალოს აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით 5-6 კმ დაშორებით მდებარეობს, მდინარეების პირიქითი აღაზნისა და თუშეთის აღაზნის შეერთების აუზში. ნიშტაყოს//ნისტაკოს ბორცვი სოფლის განაპირას, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ბორცვის ძირას სანების ხატია - ფიქლებით მშრალად ნაგები ოთხკუთხა მოყვანილობის მცირე ნაგებობა, რომლის თაღზე აწყვია კვარცის ნამტვრევები, ჯიხვის და ირმის რქები. ხატის წინ, შემაღლებაზე დგას XIX ს. აგებული ეკლესია.

ნიშტაყოს ბორცვზე ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი კულტურული ფენები ჯერჯერობით მოიცავენ პერიოდს ძვ. წ. II საუკუნიდან - შუა საუკუნეების ჩათვლით.

ნიშტაყოს ბორცვზე ძვ. წ. II-I სს. შენობა დღეისათვის სულ ორია გათხრილი. ისინი განლაგებულია ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, ერთმანეთის პარალელურად მდებარე ორ ტერასაზე, რომლებიც ერთმანეთთან მცირედ დაქანებული ფერდის საშუალებითაა დაკავშირებული-ქვედა I ტერასაზე ტაძარი №1, ხოლო ზედა II ტერასაზე - ტაძარი №2. ამ შენობებში გამოვლენილი ნივთიერი მასალა ერთ ქრონოლოგიურ პერიოდს მიეკუთვნება და თავისი ხასიათითაც ერთგვაროვანია - წარმოდგენილია საკულტო ძეგლებით, რის გამოც ეს ნაგებობანი ერთი სალოცავის კომპლექსად მივიჩნიეთ.

შენობებში გამოვლენილი ნივთიერი მასალა თავისებურ, დღემდე უცნობ არქეოლოგიურ კულტურას მიეკუთვნება. ამის გამო ძეგლის დათარიღება ძნელი აღმოჩნდა. ანალოგიების მოშველიება და მათი საშუალებით ძეგლის დათარიღება გამოირიცხა, ჯერჯერობით მაინც. ამიტომ ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით რადიოკარბონულ დათარიღებას, რაც მიღებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის C^{14} ლაბორატორიაში ა. ბურჭულაძის ხელმძღვანელობით. სულ გაკეთდა 4 ანალიზი: ТБ 229, t = ძვ. წ. 16 წ. ± 40, ТБ 270, t = ძვ. წ. 80 წ. ± 45, ТБ 269, t = ძვ. წ. 135 წ. ± 40, ТБ 267, t = ძვ. წ. 190 წ. ± 40.

მასალა - ხის ნახშირი აღებულია კულტურული ფენებიდან ნაგებობის სხვადასხვა მონაკვეთში. ზოგჯერ ამ ანალიზების შედეგებში ერთგვაროვანი შეუსაბამობაც კი შეინიშნება. მაგალითად, I დარბაზში ერთ დონეზე ხის დამწვარი კონსტრუქციებიდან გვერდიგვერდ აღებულმა ხის ნახშირის ორმა ნიმუშმა საკმაოდ დიდი ასაკობრივი გან-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. I

სხვავება მოგვცა, კერძოდ, ერთის ასაკი ძვ.წ. I90 წ. განისაზღვრა, ხოლო მეორესი – ძვ.წ. I6 წ. მაგრამ ეს თარიღები ორი საუკუნის ფარგლებს მაინც არ სცილდება. ეს კი, ზემოთ აღნიშნული ვითარების გამო, ძეგლის დასათარიღებლად, ვფიქრობთ, არც თუ ისე ცუდი შედეგია, ასე რომ, ნიშტაყოს სალოცავის თარიღი დღეისათვის ძვ.წ. II–I სს. უნდა განისაზღვროს. ამ თარიღს ამაგრებს ისიც, რომ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა იალოილუთეფეს კულტურის კერამიკის ნიმუშები, რომელთა თარიღი ზოგადად აგრეთვე ძვ.წ. II–I საუკუნეებით განისაზღვრება (სურ. 5 I2).

ნიშტაყოს სალოცავი კომპლექსის ნაშთები გეგმის დადგენის საშუალებას არ იძლევიან (სურ. I). მაგრამ ჩანს, რომ სალოცავი საკმაოდ დიდ მონუმენტურ კომპლექსს წარმოადგენდა. გამოვლენილ დარბაზთა საერთო ფართობი I20 m^2-ია. I ტერასაზე ორი დარბაზია, ხოლო II ტერასაზე, რომელიც განლაგებულია მის ზევით, პარალელურად, ჯერჯერობით – ერთი. თითო დარბაზს დაახლოებით 40 m^2 ფართობი უჭირავს. ეს კი მთისა და, საერთოდ, ტერასული განსახლების პირობებში საკმაოდ დიდ მასშტაბებზე მიუთითებს.

სამშენებლო მასალად ფიქალია გამოყენებული. კედლები, რომლებიც ფრაგმენტების სახითაა მოღწეული, ნაგებია ფიქლებით თიხა-მიწის ხსნარის გამოყენებით. ფიქალი, ანუ თუშურად სიპი, ადგილობრივ, სოფლის შესასვლელში მოიპოვება და დღესაც ძირითადი მასალაა მშენებლობაში. თიხის გამოსაცვლები, აგრეთვე, სოფლის მიდამოებშია ცნობილი და, ისევე როგორც შორეულ წარსულში, დღესაც დიდ მოხმარებაშია.

კედლები აღმართულია საძირკველის გარეშე, წყობა ერთნაირია – მეტნაკლებად არათანაბარი. ჰორიზონტულად დალაგებული სხვადასხვა ზომის ფიქლების რიგი თიხა-მი-

წის ფენაზე დევს. შიგნიდან კედლები ბათქაშით ყოფილა შელესილი. I შენობაში ბათ-ქაშის ფრაგმენტების აღმოჩენის შემთხვევები იშვიათია, II შენობაში კი მრავლად ამოდიოდა 6-10 სმ სისქის ბათქაშის ფრაგმენტები.

I შენობის იატაკს გრუნტი წარმოადგენდა. იგი უსწორმასწორო და ოღრო-ჩოღრო. შენობა II-ში კი დაფიქსირდა ალაგ-ალაგ გრუნტზე დადებული დაახლოებით 0,50 მ სისქის თიხა-მიწის საკმაოდ მკვრივი ფენა.

საღუკავი №I განლაგებული იყო III-IV სს. დანგრეული შენობისაგან წარმოქმნილი კულტურული ფენის ქვეშ და კლდოვან დედაქანამდე ვრცელდებოდა. შემორჩენილია მისი უკანა კედელი - ტერასის კლდოვანი ვერტიკალური ზურგი, აგრეთვე ტერასის ცენტრალურ ნაწილში ამ კედლის მიმართ პერპენდიკულარულად მიდგმული კედლის ნაშთი კარის ღიობითა და ზღურბლით, რომელიც ერთმანეთისაგან გამოყოფს ორ დარბაზს, და ნახევარწრიულად მომრგვალებული კედლის ნაშთი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. I).



სურ. 2

პირველ დარბაზში (ტერასის ჩრდილო-დასავლეთი მხარე), კლდოვანი კედლის გასწვრივ, დედაქანი 6 მ სიგრძისა და 1,20 მ. სიგანის მცირე შემაღლებას ქმნის, რომელზედაც დამწვარი ხის ძელური კონსტრუქციები იყო ჩაწოლილი. შემაღლებაზე აღმოჩნდა

საკულტო დანიშნულების მიწისზედა მსუბუქი კონსტრუქციის თიხის კერების კედლის ნაწილები და რიტუალური ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ.5 I6,17, II).

შემაღლების წინ გაითხარა ფიქლებით ნაგები ოთხკუთხა სვეტი (I x I m). შეინ საძღებელია საკურთხეველი, მის წინ კი I,30 m დიამეტრის მქონე თიხის მრგვალი ნაღესობა, რომლის ძირში დანახშირებული ხის ძეღები ეწყო.

ტერასის განაპირას, სადაც შემაღლება მთავრდება, კლდოვანი კედლის მიმართ პერპენდიკულარულად გაითხარა ფიქლებით მოპირკეთებული სკამი, რომლის წინ ვერტიკალურად დაღაგებული ფიქლებით კერა იყო გამართული.

№2 ტაძარი ამ ტაძრის თავზე II ტერასაზეა განლაგებული. მისგან შემორჩა ორი კედელი - ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიშებიანი, რომელიც ბოლოვდება მოგრძო სწორკუთხედის ფორმის სვეტისებური მინაშენით (იგი გადაკეთების კვალს ატარებს) და სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლები, რომელიც მასთან კუთხეს კრავს. კედლებს შორის კუთხეში დედაქანი საკმაოდ მაღალ, ბორცვისებურ შემაღლებას ქმნის, რომელიც მომწვანო თიხის სქელი და მკვრივი ფენით იყო შეღესილი. ასეთივე შეღესილობა ამ ტაძრის იატაკზე კიდევ რამდენიმე ადგილას დადასტურდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან, ბორცვისებური შემაღლების გვერდით, აღმოჩნდა ჯიხვისა და ირმის რქების 2 m სიმაღლის გროვა. ეს აღმოჩენა დასაბუთებაა იმისა, რომ გარეული ნადირის რქების შეწირვის ჩვეულება, რომელიც დღემდე არსებობს საქართველოს მთაში, სათაველებს იღებს წარმართული რელიგიის კულტში.

კულტურული ფენა არ არის ძლიერი. იგი ძირითადად I m არ აღემატება და მხოლოდ ზოგან, მაღალ კედლებთან, აღწევს 2-3 m. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია კერამიკით, ქვის ნაწარმითა და რკინის ინვენტარით. მთელი ეს მასალა საკულტრო ხასიათისაა და აშკარად გამოხატული არქაულობით ხასიათდება.



სურ. 3

კერამიკა არ არის მრავალრიცხოვანი, ამასთან მთლიანად ფრაგმენტულია. ეს აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, თიხის ცომისა და გამოწვის დაბალი ხარისხით. მაგრამ ძირის, ძირ-გვერდის, პირისა და გვერდის ცალკეული, ზოგჯერ უმცირესი ფრაგმენტები ჭურჭლის განსხვავებული ფორმების დანახვის საშუალებას იძლევიან. ჭურჭელი გამოძერწილია ხელით, უხეშად; თიხაში გასამჭლეველად სხვა მინარევებთან ერთად შერეულია ფიქლის ნამსხვრევები, სხვადასხვა ზომის, ზოგჯერ საკმაოდ მსხვილიც - 2 სმ სიგრძის. ეს წიშანი ამ კერამიკის ერთ-ერთი თავისებურებაა და ნიშტაყის ბორ-

ცვზე გამოვლენილი სხვადასხვა პერიოდის ადგილობრივი კერამიკისთვისაცაა დამახასიათებელი[1].



სურ. 4

ჭურჭლის უმრავლესობა სქელკედლიანია. თხელკედლიანი ჭურჭელი შედარებით იშვიათია. ჭურჭლის ფორმები მარტივია. ერთ-ერთი დამახასიათებელი ტიპია მაღალფეხიანი, ვაზისებური ჭურჭელი. მათ შორის გამოიყოფა ნიმუშები, რომელთა პირი და ძირი ირგვლივ ნაჭდევებითაა შემკული (სურ. 6_{II}). სხვა ჭურჭელზე, მარტივ ჭდეულ შემკულობასთან ერთად, გვხვდება გრაფიკული, უხეშად დატანილი გეომეტრიული ორნამენტი (სურ. 2_6) ან რელიეფური მინაძერწები – ნაღისებური თუ სხვა ფიგურები (სურ. $6_{I,2}$), აგრეთვე ანთროპომორფული ფიგურები – ხელებაპყრობილი ადამიანის გამოსახულებანი – ორი ნიმუში (სურ. 2_I, 6_8). მთელი ეს კერამიკა არქაულ იერს ატარებს (სურ. 2, 3, 5, 6). ხოლო რელიეფურგამოსახულებიანი კერამიკა (ანთროპომორფული და სხვ.) და ფრაგმენტები ნაპირებგამოზნექილი ძირით (სურ. 5_9), ეხმაურება ადრესამიწათმოქმედო კულტურის კერამიკის ამავე ხასიათის ნიმუშებს (ძვ.წ. VI–IV ათასწლეულები)[2].

ნიშტაყოს ტაძარში გამოვლენილი კერამიკა როგორც კეცის დამუშავებით, ისე ტიპოლოგიურად ლოკალური ჩანს (მას ჯერჯერობით ანალოგიები ვერ გამოეძებნა) და უნდა ვიფიქროთ, ადგილობრივ, დღემდე უცნობ მთის კულტურას მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის ძეგლები თუშეთის მოსაზღვრე მაღალმთიან რაიონებში ჯერჯერობით არ არის ჯეროვნად შესწავლილი. მომავალში, მსგავსი ძეგლების გამოვლენის შედეგად, ამ მასალას, აღბათ, გამოუჩნდება ანალოგიები, რადგან ამ პერიოდში მაღალმთიან რეგიონებს შორის უფრო მჭიდრო ეკონომიკური და საწარმოო კავშირებია სავარაუდებელი, ვიდრე მთასა და ბარს შორის.

იგივე შეიძლება ითქვას ნიშტაყოს სალოცავში გამოვლენილ ნივთიერი კულტურის სხვა ძეგლებზე – ქვის ინვენტარსა და რკინის ნაწარმზე. ისინი, ისევე როგორც კერამიკა, ადგილობრივ თვითმყოფად ხასიათს ატარებენ და პირდაპირი ანალოგიებით ღარიბნი არიან.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი კერამიკისაგან თიხის კეცით, დამუშავებითა და

I III–IV სს. კერამიკული ნაწარმისა და შენაქოს მიდამოებში ცნობილი თიხების გამოსავლებიდან აღებული თიხის გამჭვირვალე ზლიფები შეისწავლა თ. მორჩაძემ. იხ. რ. დ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ე, მთათუშეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში. – საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ანგარიშები, VI, თბ., 1978, გვ. 94.

2 თ. კ ი ღ ო ურ ა ძ ე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976, ტაბ. 42 და სხვ.

ფორმით გამოირჩევა მისი სინქრონული - ძვ.წ. II-I სს. იალოილუთეფეს კულტურის კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი (მათ შორის ერთი სამფეხა ჯამის), რომელიც აშკარად შემოტანილია (სურ. 5 12,15).



სურ. 5

ნიშტაყოს სალოცავში გამოვლენილი მატერიალური კულტურის ნაშთები, განსაკუთრებით ზოგი მათგანი, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მკვიდრ ბინადართა სულიერი კულტურის ზოგიერთ ნიშან-თვისებაზე და საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ კულტმსახურების ის წესები და რიტუალები, რომლებიც ამ ტაძარში ტარდებოდა. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი საინტერესო აღმოჩენაა ჯიხვისა და ირმის მრავალრიცხოვანი რქები, რომლებიც II შენობაში კედელთან იყო დაწყობილი დაახლოებით 2 მ სიმაღლის გროვის სახით. ეს აღმოჩენა მატერიალური დადასტურებაა იმისა, რომ რქები სალოცავის ატრიბუტი იყო უძველესი დროიდან და მას განსაკუთრებული საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

სალოცავში რქების შეწირვის რიტუალი დღეისათვის საქართველოს ბარშიც დასტურდება ძვ.წ. II-I სს. მაგალითად, ირმის რქების დიდი გროვა დამოწმებულია სამადლო

I-ში ძვ. წ. II ს. ფენაში[3]. აღსანიშნავია, რომ რქების ქვეშ აღმოჩნდა დანაბშირებული ხის სვეტის თუ კოჭის ნაშთი, რომელზედაც ირმის რქები უნდა ყოფილიყო დამაგრებული. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამგვარი ხატი დღესაც გვხვდება სვანეთში. დეღოფლის მინდვრის ტაძარში, რომელიც ძვ. წ. I ს. თარიღდება, აგრეთვე აღმოჩნდა ასზე მეტი ირმის თავის ქალა სამხრეთ-აღმოსავლეთის დერეფანში. ი. გაგოშიძე თვლის, რომ ეს დერეფანი სამსხვერპლო ცხოველთა საცავს წარმოადგენდა[5].

აღსანიშნავია, რომ სალოცავისათვის რქების შეწირვის ეს წარმართობისდროინდელი წეს-ჩვეულება ისეთი გამძლე აღმოჩნდა, რომ გადმონაშთის სახით სულ ბოლო დრომდეა შემორჩენილი მთის ჯვარ-ხატებში. ნიშანდობლივია, რომ ეს უძველესი რიტუალი ქრისტიანულმა ეკლესიამაც შეითვისა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა იგი დღესაც სვანეთის ეკლესიების მაგალითზე და დასტურდება აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონებშიც - რაჭაში, სამეგრელოში, ქართლში, მთიულეთსა და ოსეთში[6]. მაგრამ დღეს ეს რიტუალი მხოლოდ ტრადიციაა. მას დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი შინაარსი. სწორედ ამიტომაა, რომ ამ წეს-ჩვეულებას სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ახსნა ეძებნება. მაგალითად, ა. რობაქიძეს მიაჩნია, რომ ნადირის თავის მოკვეთა ეკვივალენტურია გამარჯვების ნიშნად მტრის თავის ან სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთისა. მისი შეხედულებით თავრიელი, როგორც ტროფეი, ადამიანის თავის სიმბოლური გამოხატულებაა. თავისუფალი სვანის აზრით, მონადირე ეკლესიას ნადირის რქებს სწირავს მადლობის ნიშნად[7]. მ. მაკალათია ამ ჩვეულებას ხსნის წარმართულ ღვთაებათა ზოომორფული გუნებით[8].

ამ საკითხის გასააზრებლად, ვფიქრობთ, საინტერესოა მ. მაკალათიას მიერ სვანეთში მოპოვებული მასალა, სადაც აღწერილია ნადირობის მთელი რიტუალი: „სანადიროდ მიმავალი ჰადიშელნი გზად ლიჩენიშის წმ. გიორგის ეკლესიაში შედიოდნენ, ანთებდნენ სანთელს და შესთხოვდნენ ნადირობაში ხელის შეწყობას. ეკლესიიდან გასულნი თეთნულდის კალთებზე კიდევ ორ ვითინთან ჩერდებოდნენ და კვლავ ლოცვა-ვედრებით მოიხსენიებდნენ წმ. გიორგის. უკან სხვა გზით უნდა დაბრუნებულიყვნენ. ეკლესიასთან შეისვენებდნენ, შეწვავდნენ ნანადირევის გულ-ღვიძლს და შემდეგ შიგ შედიოდნენ, სადაც შეჰქონდათ სანთელი, არაყი და ჯიხვის რქები. საკურთხეველთან მისულნი ასე დაილოცებოდნენ: „დიდება მოგსვლოდეს ჯგგრაგს! მოხედე ჩვენს მგზავრობას, ჩვენს ნადირობას, წინ მიეცი (მოგვეცი) გამარჯვება და გვაპოვნინე კიდევ შენი დასალოცი, უშველე ჯგგრაგ (სვიანო?), არ დაგვამარცხო შენს კლდეებზე (ტყვეფ-ზე), კარგად მოგვიყვანე სახლში და გვიშველე“[9].

ამ ცნობიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მონადირის ლოცვა, რომელშიც იგი ადიდებს წმ. გიორგის, შესთხოვს მას ნადირობის დროს ხელის მომართვას, რათა კიდევ იპოვოს მისი დ ა ს ა ლ ო ც ი. სიტყვა „დასალოცი“ აქ, ვფიქრობთ, რქების ეკვივალენტურია, რადგან რქებია ის ერთადერთი ნივთიერი საგანი, რომელიც მონადირეს ჯიხვის მოკვლის შემდეგ სალოცავში მიაქვს და სწირავს მას. აქედან

---

3 Ю.Г а г о ш и д з е, Самадло, Тб., 1979, с. 39.

4 მ. ჩ ა ر ت ო ლ ა ნ ი, სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შესწავლისათვის. - სვანეთი, I, თბ., 1977, სურ. 58.

5 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე. - საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბ., 1977, გვ. 76.

6 მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში. - სვანეთი, I, თბ., 1977, გვ. 26-27,31.

7 ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, I, თბ., 1941, გვ. 178.

8 მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

9 იქვე, გვ. 28-29

უნდა ვიფიქროთ, რომ რქები დაკავშირებულია ისეთ სიმბოლიკასთან, რომელიც სიტყვა „დასალოცს“ იტევს. ამასთან, ეს ისეთი ხატი უნდა იყოს, რომელსაც მასთან საერთო ნიშან-თვისებები გააჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 6

ჯიხვისა და ირმის ღვთიური ძალა რომ მათ რქებშია, ეს საყოველთაოდაა აღიარებული. მაგრამ რაში გამოიხატება მათი სიმბოლური ხასიათი, ამ კითხვას სხვადასხვა ახსნა აქვს. მაგალითად, ი.სურგულაძე თვლის, რომ ირმისა და ჯიხვის რქები გაგებული უნდა იყოს, როგორც მათ სხეულზე ამოსული მცენარე და, აქედან გამომდინარე, მათ სიცოცხლის ხეს უკავშირებს. ლ.ფანცხავა კოლხურ-ყობანური ცულების განხილვისას ირმის რქებს, აგრეთვე, სიცოცხლის ხის სიმბოლოდ მიიჩნევს. განსხვავებით მათგან ი.კიკვიძეს გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ ირმის რქას მაგიური ძალა მიწის დამუშავების პროცესში მიეწერა, როგორც მოსახერხებელ მასალას პრიმიტიული მიწის საჩიჩქნი იარაღის გასაკეთებლად.

რქის სიმბოლური არსი, ვფიქრობთ, შეიძლება აიხსნას შუმერულ და სემიტურ ენებში არსებული ენობრივი მასალით. ამ ენებში არსებობს მჭიდრო კავშირი „რქასა“ და „სხივს“ შორის. რქა ამავე დროს სხივიც არის, რადგან ეს ენები იმ ეპოქისეულია,

როდესაც რქებში ხედავდნენ შენივთებულ სხივებს სინათლისას, მატერიალიზებულ ნათელს. „დიდება“, „ბრწყინვალება“, „რქა“ - ღვთაებრივი არსის გამოვლენაა[10]

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 7

აღსანიშნავია, რომ რქის მანათობელი თვისების შესახებ ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც არის აღნიშნული. კერძოდ, ამაზე მიუთითებს გარეული ჯოგების ბელადის ჯონქიას ეპითეტები - „რქამნათი“ და „რქანათლიანი“ (ვაჟა), ბგრეთვე ხალხური ღექსი:

ღვთისაგან კურთხეული ხარ, გადგება სვეტი თავზედა,
შენი ჭირიმე ნიკორავ, ჭირიმე შენი ძალისა,
შენდ მაუცელავ უფალსა ძალ-ღონე ამირანისა[11].

შუამდინარულმა მითოლოგიურმა ტექსტებმა შემოგვინახეს ცნობა იმის შესახებ, რომ რქა, როგორც ნივთიერი სხივი, ზემსწრაფი სინათლის სიმბოლო, მოუცილებელი ატრიბუტია როგორც ყოველი ტაძრისა, ასევე ყოველი ღვთაების[12]. ზ. კიკნაძეს არქაული ხანის გლიპტიკიდან მოყავს ამ ცნობათა „პლასტიკური შესატყვისი“ - ტაძრის გამოსახულება, რომლის კედელს გამოსხმული აქვს სამი წყვილი რქა, სხივის ნიშანი[13].

„ელვარება“, „ბრწყინვალება“, „შარავანდი“ შუმერულ ტექსტებში გამოიხატება ტერმინით „მელამ“. ამ სიტყვაში, როგორც ზ. კიკნაძე ფიქრობს, უნდა იგულისხმებოდეს

- - - - - - -

10 ზ. კ ი კ ნ ა ძ ე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 190.

11 იქვე, გვ. 191.

12 ზ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

13 იქვე, გვ. 92, სურ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც ზებუნებრივი კერა ცეცხლოვანი თუ სხივიერი ენერგიისა, საიდანაც მთელს სამყაროს ეფინება ბრწყინვაღება. მეღამი უხილავია. ხილული შეიძლება იყოს მხოლოდ მისი მანიფესტაცია, მისი მრავალმხრივი გამოვლენანი და ეფექტები[14].

შუმერული მითოლოგიის მიხედვით, ტაძრის შენობაში, სადაც ღვთაებაა დამკვიდრებული, მეღამის განსაკუთრებული სიძლიერის მუხტია ჩადებული. ტაძარი, როგორც კერა, ჰესტია, ქვეყნის შუაგული, თავისი კედლების წიაღიდან გამოასხივებს ბრწყინვაღებას, „რომელიც მთელ ქვეყანას ეფინება“ და გარშემო ქმნის შინაურთათვის კეთილისმყოფ და მტრისთვის შეუღწეველ ველს[15].

ქართული ფოლკლორული მასალით აგრეთვე დასტურდება, რომ მთის ხატ-საღოცავი უსაზღვრო რაოდენობით გამოასხივებს ეღვარებას, რომელიც მაგიურ, გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენს თავისი ყმის მტრებზე:

„დიდია წმინდა სამება, ცის კიდურამდე ეღავსო,
თავის ყმის გამჯავრებელსა ნაბადივითა სთეღავსო.
(გერგენტუღა)[16].

ზემომოტანილი მასალები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართულ სინამდვილეში რქა სიმბოლურად აგრეთვე სხივს გამოხატავდა. რქისა და სხივის გაგება რომ ერთნაირი იყო, ამაზე მიუთითებს სვანეთში ჩვაბიანის ეკლესიის ნაკაწრ ნახატზე გამოსახული ჯიხვი, რომლის ცალი რქა, სხივის მსგავსად, მაღლა, უსასრულობამდეა დაგრძელებული[17].

ყოველივე ამის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ნიშტაყოს საღოცავში გამოვლენილი ჯიხვისა და ირმის რქები ტაძრის ღვთიური არსის, სხივიერი ბუნების, ეღვარებისა და ბრწყინვაღების მატერიალური გამოხატულება იყო.

ნიშტაყოს საღოცავში გამოვლენილი ქვის ნაწარმი[18] ძირითადად საკულტო საგნებითაა წარმოდგენილი. სახეხ-სანაყების და საგანგებოდ მრგვალად გამოთლილი ქვების გვერდით აქ აღმოჩნდა დამუშავებული ქვები, რომელთა შორის არის ჯამებიანი ფილები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებენ. ასეთი ქვა სულ სამია. ამათგან ორი ზედმიწევნით ერთმანეთის მსგავსია.

ქვისაგან გამოთლილი ექვსწახნაგა არასწორი ფორმის ფილა წარმოადგენს სწორკუთხედისა და შებრუნებული ტრაპეციის კომბინაციას. სწორკუთხედზე ზედა ცალი კუთხე ჩამოტეხილია, მეორე კი მომრგვალებულ შვერილს წარმოადგენს და სცილდება სწორკუთხედის კონტურს. ორივე კუთხეში მოკლე ირიბი ხაზია ამოკვეთილი. სწორკუთხედი და ტრაპეცია ერთმანეთისაგან გამოიყოფა ამოკვეთილი სწორხაზოვანი ღარით, რომელიც მთლიანად კვეთს ფილის ზედაპირს. ტრაპეციაში ერთმანეთის გვერდით ამოკვეთილი სწორი ხაზი და რკალი ერთგვარად გამოყოფს ქვედა ფუძეს.

ფილის მთელ ზედაპირზე ამოკვეთილია ნახევარსფეროსებრი ღრმულები – ჯამები, სულ 48. ჯამებს შორის ორი შედარებით დიდი ზომისაა (დიამეტრი – 4 სმ). ისინი ოთხკუთხედის ზედა ცენტრალურ ნაწილშია მოთავსებული, ერთი – ზედა ფერდის შუაში, ხოლო მეორე მის ქვევით, სწორკუთხედის დაახლოებით ცენტრში. დანარჩენი ჯამები შედა-

---

14 ზ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

15 იქვე, გვ. 91.

16 იქვე.

17 მ. ჩ ა რ თ ო ღ ა ნ ი, დასახ. ნაშრ., ნახ. 24.

18 ქვის ნაწარმი ქვიშაქვისგანაა დამზადებული. ქვიშაქვა შენაქოს მახლობლად, დიკლოს გადასასვლელთან, ადგილ წისქვილ-ხევში მოიპოვება.

ქვიშაქვას თუშები ხოხს უწოდებენ. იგი მაგარი, ფოლადის ჯიშის მძიმე ქვაა, არ სკდება, გახეთქისას ტყდება. მისგან ამზადებენ მარილ-საფქვავ ქვებს, საღესავებს და სხვ. – იხ. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, ტ. I, მშენებლობა და ავეჯი, თბ., 1976, გვ. 158.

რებით მომცროა და მეტ-ნაკლებად ერთმანეთის ტოლი (დიამეტრი - 2,5-3 სმ). ოთხ-ოთხი ჯამი ამოკვეთილია ზედა ფუძესთან, დიდი ჯამის ორივე მხარეზე, აგრეთვე სწორკუთხედისა და ტრაპეციის ფერდებთან და ტრაპეციის ქვედა ფუძესთან ორ რიგად - სარეა ამისა, ხუთ-ხუთი ჯამია ამოკვეთილი ცენტრალური ჯამის ორივე მხარეზე, ხოლო ორ-ორი - ხაზს ქვევით, ტრაპეციაში.

შვერილიანი კუთხის ქვევით ბასრი იარაღის დარტყმისაგან ფილა რამდენიმე ადგილასაა გახეთქილი. ზომა: 48 X 36 სმ, ქვის სისქე - 6-8 სმ (სურ. 8).



სურ. 8

მეორე ჯამებიანი ფილა ნაკლულია. მისგან თითქმის ნახევარია ჩამოტეხილი. დიდი ხნის ხმარების კვალი ემჩნევა. ძაღზე გაცვეთილია. ქვედა ფუძესთან ბასრი იარაღის დარტყმისაგან რამდენიმე ადგილას გახეთქილა. თავისი კონფიგურაციით ეს ფილა ზემოაღწერილი ფილის მსგავსია, მაგრამ თავიდანვე უფრო დაუდევრად და უხეშად იყო გამოთლილ-დამუშავებული. ჰორიზონტული ხაზი, რომელიც სიბრტყეს ორ ნაწილად ჰყოფს, შუა წელს ზევითაა ამოკვეთილი, რის გამოც პროპორციები დარღვეულია. ზედა ნაწილი დაბალია და ჯამების წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობას გაჭირვებით იტევს. ზედა ჩამოტეხილი კუთხიდან ირიბი მოკლე ხაზი გამოდის. ჯამების განლაგების სქემა განმეორებულია. კერძოდ, აქაც ძირითადად ჯამების ოთხ-ოთხად განლაგების სისტემასთან გვაქვს საქმე. მხოლოდ ცენტრალურ ნაწილში სიმაღლეზე ხუთი ჯამია ამოკვეთილი. ფერდზე ცენტრში სიგრძეში განლაგებული ჯამები შედარებით შემჭიდროვებულია. ქვედა გაფართოებულ ფუძეზე კი ჯამები განლაგებული ყოფილა არა ორ რიგად, არამედ ოთხ-ოთხი, ერთმანეთის გვერდიგვერდ. დარჩენილი ადგილი თავისუფლადაა დატოვებული. აქედან აშკარაა, რომ ხელოსნის მიზანს შეადგენდა არა ამ ფართობის ჯამებით შევსება, არამედ ერთმანეთისაგან გამოყოფილად ოთხ-ოთხი ჯამის გამოსახვა. ეს პრინციპი არ არის დარღვეული იქაც, სადაც ადგილის ნაკლებობაა. მაგალითად, ზედა ნაწილში ჯამები გაჭირვებითაა ჩატეული, მაგრამ მათი რიცხვი არ არის შემცირებული. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ჯამების განსაზღვრული რაოდენობა და მათი განლაგება რაღაც საკრალურ მოვლენასთან იყო დაკავშირებული. ზომა: 54:32 სმ, ქვის სისქე - 3-4 სმ.

როგორც აღვნიშნეთ, არქეოლოგიურ ლიტერატურაში ასეთ ქვებს ჯამიან ქვებს უწოდებენ. ასეთი ქვები ცნობილია მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა ეპოქაში. ისინი მრავალგვარია. მათი დანიშნულების შესახებ არაერთი ჰიპოთეზაა გამოთქმული. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ამ ქვებზე კლავდნენ სამსხვერპლო ცხოველებს და მათი სისხლი ჯამებში იღვენთებოდა. სხვა თეორიის თანახმად, ზოგ მათგანზე გამოსახულია ვარსკვლავიანი ცის მონაკვეთი; ზოგიერთები კი, ამ ქვებზე გეოგრაფიული პუნქტების მინიშნებას ხედავენ[19].

ზემოაღწერილ ქვებს პირდაპირი ანალოგიები ვერ მოვუძებნეთ. მათზე ამოკვეთილი ჯამები განსაზღვრული სისტემითაა ამოკვეთილი, რასაც აღბათ საკრალური შინაარსი ჰქონდა. ვფიქრობთ, რომ ეს ქვები კულტმსახურებასთანაა დაკავშირებული. ის ფაქტი, რომ ორივე ფილაზე ბასრი იარაღის ხმარების კვალია აღბეჭდილი - ისინი რამდენიმე ადგილას გახეთქილია, გვაფიქრებინებს, რომ ეს ფილები წარმოადგენდნენ სამსხვერპლოს, რომელზედაც იკვლებოდა შესაწირი ცხოველები, სისხლი კი ჯამებში ჩადიოდა.

---

19 В.А.Кузнецов, В верховьях Большого Зеленчука, М., 1977, с.83-85.

თავისი კონფიგურაციითა და თუნდაც სიბრტყის დანაწილებით მიღებული ეფექტით, ეს ქვები ხარის თავს მოგვაგონებენ; ზედა კუთხეები და მათში ამოკვეთილი ირიბი მოკლე ხაზები კი ყურებისა და რქების ასოციაციას იწვევენ. ხარი, როგორც ცნობილია, წარმართულ რელიგიაში მთვარის ცხოველია. ყოველივე ეს გადებს აზრს, რომ ეს ქვები და მათთან დაკავშირებული კულტმსახურება მთვარის ღვთაებასთან იყო დაკავშირებული.

ტაძრის ხასიათზე და კულტმსახურების წესებზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აგრეთვე რკინის ინვენტარი – ჯაჭვი – მონის უღელი (სურ. 4) და იარაღი – შუბისპირები და დანები, აგრეთვე ხატისუღელი (სურ. 7), რომელიც მსხვერპლშეწირვის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ჯაჭვი 3 მ სიგრძისაა. რგოლები მასიურია, მოგრძო, წელში რვიანისებურად გამოყვანილი. მასზე შებმულია საკისრე რკალი. ანალოგიური საქედურიანი მძიმე ჯაჭვები – მონის უღელი, ცნობილია საქართველოს მთისა და ბარის სალოცავებიდან, კერძოდ, ეს არის აწყურისა და გორის ჯვარის ეკლესიების[20], მთიულეთის ლომისას ხატისა[21] და ფშავის ლაშარის ჯვარის[22] ჯაჭვები.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილია, რომ მლოცველი ამ ჯაჭვს კისერზე დაიდებდა და სალოცავს ჩოქვით გარს უვლიდა, თუ მას წმ. გიორგისადმი აღთქმა ჰქონდა მიცემული[23].

ამ ჯაჭვის მნიშვნელობა და ფუნქცია დღეს გარკვეულია. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით იგი არის მონობის სიმბოლო. ის მონები კი, რომლებიც მძიმე ჯაჭვით ყელზე ჩოქვით გარს უვლიან ეკლესიას, სიმბოლურად შესაწირავ მსხვერპლს წარმოადგენენ[24]. ამ დასკვნის გამოსატანად ივ. ჯავახიშვილმა, ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, მოიშველია ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის (ძვ. წ. 63 –ახ. წ. 20 წწ.) ცნობა, რომელშიც აღწერილია აღბანეთში, იბერიის მახლობლად მდებარე მთვარის ტაძარში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი.

მოვიყვანთ სტრაბონის ცნობას – „ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით – მთვარეს, მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად. ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ. ის განაგებს ტაძრის მიწას, რომელიც დიდია

---

20 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 91.

21 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, ტფ., 1930, გვ. 173, სურ. 70.

22 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, თბ., 1974, გვ. 23-29, სურ. I. ტაბ. 2.

23 ეს წეს-ჩვეულება თავს იჩენს ყველგან, სადაც კი ეს ჯაჭვები იყო დადასტურებული. მაგ., მძიმე რკინის ჯაჭვით კისერზე თეთრტანისამოსიანი მონა ქალები აწყურის საყდარს ნელა უვლიდნენ გარს, ნაზის ხმით გალობდნენ და სანთლებს კედლებზე აკრავდნენ (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 91). მლოცველი, რომელსაც წმ. გიორგისთვის ჰქონდა შეთქმული, რკინის ჯაჭვით კისერზე სამჯერ უვლიდა გარს გორის ჯვრის ეკლესიასაც (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 91). ასეთივე წესი დადასტურებულია მთის ხატ-სალოცავებშიც. მთიულეთში, ლომისას ხატში აღთქმადადებული მლოცველი ჯაჭვს ყელზე იდებდა და ტაძარს ხოხვით სამჯერ მოატარებდა (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 173). ასევე იყო ფშავის ლაშარის ჯვარში. ფშაველი ქალი თუ კაცი, რომელსაც ავადმყოფობის დროს მისგან თავის ან შვილის გადარჩენის მიზნით მონობაზე აღთქმა ჰქონია მიცემული, ჯალაბაურის ჯაჭვს კისერზე იდებდა და დათხილი გარს უვლიდა სასანთლე კოშკს. ამ რიტუალთან დაკავშირებით ვ. ბარდაველიძე აღნიშნავდა: ფშაველი, რომელიც კისერზე დადებული მძიმე ჯაჭვით ჯვარის კარზე დათხილი მოძრაობს, თავლნათლივ წარმოგვიდგენს ღვთაებისადმი ტყვე-მონად შეწირვის რიტუალს (ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 25).

24 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

და კარგად დასახლებული, და (ეს პირი განაგებს) მიწასაც და ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი, შთაგონებულნი, წინასწარმეტყველებენ ხოლმე. მას, რომელიც ეფრო მეტად იქნება შთაგონებული და მარტო დაეხეტება ტყეში, დაიჭერს ქერუბიმი შეიარაღებული ცეცხლოვანი ხმალი, რომ ... ბავს. შემდეგ მიიყვანენ მას ფერთქაღის სამსხვერპლოსთან და ნელსაცხებელით დაზეთილს სხვა სამსხვერპლო ცხოველებთან ერთად მსხვერპლად შესწირავენ. მსხვერპლთშეწირვას ასეთი სახე აქვს: ერთს უწირავს წმინდა ზები, რომელითაც წესია ადამიანის მსხვერპლად შეწირვისა. ის გამოდის ხალხიდან, არტყამს გვერდიდან გულში, ისე რომ, ამ (საქმეში) გამოუცდელი არ არის. როდესაც დაეცემა (მსხვერპლი), აღინიშნება მისნობა დაცემის მიხედვით და საზოგადოდ ცხადდება; ხოლო გვამი მიაქვთ რომელიმე ადგილას და მოდიან ყველანი და ეხებიან ფეხით განსაწმენდელად"[25].

ივ. ჯავახიშვილმა პირველმა გააკეთა პარალელი სტრაბონის მიერ ამ ცნობაში აღწერილ რიტუალსა და აწყურის ეკლესიაში, კახეთის განთქმულ თეთრი გიორგის დღესასწაულზე შესრულებულ წეს-ჩვეულებებს შორის, ახლო მსგავსება აღმოაჩინა, რის გამოც წერდა: „საკვირველი მსგავსებაა. ცხრამეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც სტრაბონმა პირველად აღწერა მთვარის დღესასწაული. ქართველმა ხალხმა ჯერ ცეცხლთაყვანისცემა მიიღო, მერე კიდევ ქრისტიანობა. ამ ორმა საარწმუნოებამ ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ეროვნულ აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე, მაგრამ მაინც ასე საუცხოოდ არის შენახული უძველესი საარწმუნოების კვალი. სტრაბონი ამბობს: მთვარის ხატის ყმები ქადაგად დაეცემიან ხოლმე და წინასწარმეტყველებენო; ეხლაც წმინდა გიორგის მონები, ისინი, ვინც ხატს თავიანთ თავის სამსახურს აღუთქვამენ ხოლმე, თეთრი გიორგის ქადაგად დაეცემიან და ხალხს ხატის ნებას უცხადებენ. საღამო ხანს, როცა მწუხრის ზარი დაირეკება ხოლმე, ერთი მონათაგანი ეკლესიის კარების წინ დაეცემა და ტაძარში შემავალი ხალხი მას ზედ აბიჯებს და რაც უნდა ძალიან დააჭირონ ფეხი, მონამ უნდა მოითმინოს და ხმა არ დაძრას. ამ მონასაც, ყველა წმ. გიორგის ყმასავით, მავთულის შანა აბია ყელზე. ეს შანა ჯაჭვის მსგავსად არის; ვისაც კი სტრაბონის დროს I საუკუნის დამდეგს (ქრ. შ.) მთვარის მსხვერპლად აირჩევდნენ, ყელზე ჯაჭვს შეაბამდნენ და ერთი წლის განმავლობაში ჰკვებავდნენ ხოლმე. ილია ზარიკაშვილის სიტყვით ეხლაც თეთრი გიორგის ეკლესიის კარზედ არის ნახელავი ფარგალი რკინისა, რომელსაც აქეთ-იქით რკინის ჯაჭვები ჰკიდია. სულ წონით ერთ ფუთზე მეტი იქნება. ამ ნახევარ ფარგალს მონები აქეთ-იქით ჩამოუშვებენ და ასე დატვირთულნი ნელის ნაბიჯით აწ არა და ჩოქვით ეკლესიას გარს უვლიან ხოლმე სამ-გზის... მონა რომ ეკლესიის წინ დაეცემა, ის იმას მოასწავებს, ვითომც იგი მკვდარი იყოს. ხოლო რომ ეს აზრი სწორია, იმით მტკიცდება, რომ, რაც უნდა ძალიან დააჭირონ ფეხი ეკლესიაში შემავალმა მლოცველებმა, მონამ მაინც არ უნდა დაიყვიროს. რათა? სწორედ იმიტომ, რომ იგი მკვდარია, შეწირულს მსხვერპლს წარმოადგენს. დასასრულ, როგორც სტრაბონის დროს მთვარის ტაძრად მისული მლოცავები მსხვერპლად შეწირულ მონას ფეხს დაადგამდნენ ხოლმე, რომ ამრიგად ცოდვებისაგან განწმენდილიყვნენ, იმნაირადვე ეხლაც თერთ-გიორგის საყდარში შემავალმა ხალხმა კარების წინ დაცემულ მონას უნდა გადააბიჯოს ხოლმე და ფეხი დაადგას. ერთი სიტყვით, ახლანდელი ჩვეულება ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ სურათს წარმოადგენს"[26].

ქართული ეთნოგრაფიული პარალელებისა და სტრაბონის ცნობის ურთიერთშეჯერების შედეგად, ზემომოტანილი ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ აწყურის თეთრი გიორგობის დღესასწაულზე შესრულებული რელიგიური წეს-ჩვეულებანი უძველესი, ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალის გამოძახილია.

ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალის აღწერისას მთვარის ტაძარში კულტ-

---

25 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ., თბ., 1957, გვ. 134-135.

26 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 92-94.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურების საგნებიდან სტრაბონს მოხსენიებული აქვს სამსხვერპლო, რომელზედაც იკვლებოდა სამსხვერპლო ცხოველები, წმინდა ჯაჭვი, რომლითაც მონას კრავდნენ და წმინდა შუბი, რომლითაც მას კლავდნენ. ნიშტაყოს ტაძარში დადასტურებულია როგორც სამსხვერპლოები (სამსხვერპლოებად ჩვენ ჯამებიანი ქვები მიგვაჩნია), ისე საქედურიანი ჯაჭვი – მონის უღელი და შუბისპირები. ეს მონაპოვრები მიანიშნებენ იმაზე, რომ თავისი ხასიათითა და კულტმსახურების წესით ნიშტაყოს ტაძარი მსგავსი იყო მთვარის ტაძრისა.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ მონის უღელზე, რომელიც ზემოდასახელებულ საკულტო საგნებს შორის ყველაზე მეტყველ ძეგლს წარმოადგენს, რადგან მას, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ყოფაში გააჩნია პარალელები ეკლესიებისა და ხატის კარზე შემონახული დიდი, მძიმე ჯაჭვების სახით, რომელთა ნაწილი დღეს საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაშია დაცული[27].

ქართული ეთნოგრაფიიდან ცნობილია, აგრეთვე, რომ ის მლოცველები, რომლებსაც წმ. გიორგისადმი აღთქმა ჰქონდათ მიცემული, გარდა საქედურიანი მძიმე ჯაჭვისა, კისერზე ატარებდნენ აგრეთვე უბრალო ლითონის შანას[28], ჯარჯ-გირკალს – ხის უღლიან ჯაჭვს[29], წნელის უღლებს – ყელზე ჩამოსაკიდებელ სადა რგოლებს[30] ან რკინისაგან დამზადებულ სახატო უღლებს[31], რომლებიც საქედურიანი რკინის ჯაჭვის ეკვივალენტური იყო თავისი დანიშნულებით.

ვ. ბარდაველიძემ ხატის მონობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ეთნოგრაფიული მასალები გამოავლინა, რომელთა შესწავლის საფუძველზე იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არც საკულტო ჯალამბარს და არც საკულტო ჯარჯს ქრისტიანულ სარწმუნოებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ისინი და მათთან დაკავშირებული რიტუალი ხატის მონობის სიმბოლური გამოხატულებაა და ქრისტიანობაზე ადრინდელი რელიგიის კუთვნილება უნდა იყოს. ჯალამბარი და მისი მსგავსი ჯაჭვები თავისი წარმოშობით სტრაბონის და მასზე ადრინდელი ხანის როგორც ბარის, ისე მთის იბერიას უნდა უკავშირდებოდეს, როდესაც აქ, იბერიაში, არსებობდა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული, სახელდობრ, ადრეკლასობრივი წყობილება და მისი შესაფერისი ასტრალური რელიგია ღვთაებრივი ტრიადით[32].

მართლაც, უეჭველია, რომ ჯალამბარი[33] და მისი მსგავსი ჯაჭვები სტრაბონის ეპოქას უკავშირდებიან. ამაზე ხაზგასმით მეტყველებს ნიშტაყოს ტაძრის მონაპოვარიც. მაგრამ ის გარემოება, რომ მათ წმ. გიორგის სალოცავებში ქრისტიანულ ეპოქაშიც ატარებდნენ წმ. გიორგისადმი მიცემულ აღთქმასთან დაკავშირებით, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ზოგი მათგანი შუა საუკუნეებშია დამზადებული. ამაზე, ვფიქრობთ, მიანიშნებს ჯალამბრის ანუ ჯალაბაურის ჯაჭვთან დაკავშირებული ლეგენდები. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, იგი დამზადებულია მისრიანთ პაპა ჯალაბაურის მიერ, რომელიც მჭედელი ყოფილა. იგი გზაში შეხვედრია თამარს. თამარს მოსწონებია მისი დამზადებული დასაკეცი ხმალი, რომელიც ჯიბეში სდებია და თავისთან წამოუყვანია სამუშაოდ. მაგრამ მჭედელი მაღე გაპარულა. ამის შემდეგ თამარმა მას დაამზადებინა რკინის დიდი ჯაჭვი, რომელიც კისერზე დაადო და ამ ჯაჭვით ლაშარის ჯვარში დააბა, სანამ მისგან ფიცი არ მიიღო – აღარ წავალო. როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, თქმულების ამ ვარიანტიდან ჩანს, რომ ჯალაბაურის მიერ გაკვერილი ჯაჭვი თა-

---

27 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

28 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

29 იქვე, გვ. 92.

30 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

31 იქვე, გვ. 26.

32 იქვე, გვ. 28-29.

33 ჯალამბარი ანუ ჯალაბაურის ჯაჭვი დიდი და მასიურია, 3,62 მ სიგრძის. იგი ლაშარის ჯვარში ერთ-ერთ იფნის ხეზე ჰკიდია. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 22-23.

ვის დროზე თვით ამ მისრეული მჭედლის ტყვეობის იარაღად იქცა და ეს მნიშვნელობა ტყვეობისა თუ ტყვე მონის იარაღისა მას ხალხის თვალში მტკიცედ დაემკვიდრა[34].

როგორც ვხედავთ, ამ ლეგენდის თანახმად, ჯალამბარის დამზადებას დრო თამარ მეფის ხანაა. ლეგენდაში კონკრეტულად მითითებულია, აგრეთვე, ხელოსანი, რომელმაც ის გამოკვერა. ეს არის პაპა ჯალაბაური მისრეთიდან, რომლისგანაც მიიღო დასაბამი გვარმა[35].

ამრიგად, თუ დავუშვებთ, რომ ლეგენდა რეალურ ვითარებას ასახავს, ეს ჯაჭვი დამზადებული უნდა იყოს თამარ მეფის დროს, XII ს. ეს სავსებით დასაშვებია, რადგან კულტმსახურების ამ წესმა თითქმის ჩვენ დრომდე მოაღწია და მის შესასრულებლად ეს ჯაჭვი შეიძლება შუა საუკუნეებშიაც გამოეჭედათ.

ის გარემოება, რომ ნიშტაყოს სალოცავში გამოვლენილ ჯაჭვს ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებს შორის ანალოგები გააჩნია ზემოაღნიშნული მძიმე, მასიური ჯაჭვებისა და ყელზე სატარებელი ჯარჯის, ხატის უღლების და სხვ. სახით, იმის მაჩვენებელია, რომ ამ ძეგლებს უწყვეტი ჯაჭვი აკავშირებს ერთმანეთთან. ეს პარალელები მიუთითებენ აგრეთვე იმაზე, რომ ადამიანის, მონის მსხვერპლად შეწირვის წეს-ჩვეულება წარმართული რელიგიის განვითარების ერთ გარკვეულ ეტაპზე (ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე) საკმაოდ მყარად იყო დამკვიდრებული და ამიტომაა, რომ საქართველოს მთას და ბარის გარკვეულ ნაწილს ბოლო დრომდე შემორჩა გადმონაშთის სახით.

ნიშტაყოს სალოცავი სტრაბონის ეპოქის ძეგლია და ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება უყოყმანოდ ითქვას, რომ აქ აღმოჩენილი საქედურიანი რკინის ჯაჭვი ეკვივალენტურია იმ ჯაჭვისა, რომელსაც სტრაბონის მიერ აღწერილ მთვარის სალოცავში მსხვერპლად შესაწირავ მონას კისერზე ადებდნენ. ეს აღმოჩენა რეალურ საფუძველს უქმნის სტრაბონის ცნობას, თუმცა მის სინამდვილეში დღემდე ეჭვი არავის არ შეპარვია.

სტრაბონის მიერ აღწერილი მთვარის სალოცავის ლოკალიზაციის საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია, მაგრამ იგი არ არის საბოლოოდ გადაჭრილი. იმის გამო, რომ სტრაბონს აღნიშნული აქვს - მთვარის სალოცავი იბერიის მახლობლად მდებარეობდაო, მკვლევარების უმრავლესობა ფიქრობს, რომ იგი კახეთში იყო, მაგრამ კონკრეტულად სად, ამის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ალბანიის ერთი ნაწილი, სახელდობრ იბერიის მოსაზღვრე ადგილი, ქართველი მოდგმის ერით იყო დასახლებული. სტრაბონი ამბობს, რომ ალბანიიდან იბერიაში მიმავალი გზა უწყლო და უსწორ-მასწორო კამბეჩიანზე ძევსო. ის მთვარის ტაძარი, რომელიც გამოჩენილი გეოგრაფის სიტყვით იბერიის საზღვარზე მდებარეობდა, შეიძლება სწორედ კახეთში ყოფილიყო"[36].

ს. ჯანაშიას აზრით, სტრაბონის დასახელებული მთვარის სალოცავი იყო სწორედ იმ ადგილას, სადაც შემდეგში, ქრისტიანულ ხანაში აღავერდის წმ. გიორგის ტაძარი ააშენეს. ს. ჯანაშია აღნიშნავს: „შემთხვევითი არ არის, რომ აქვეა სოფელი აღვანი და რომ თვით ტაძრის ადგილის სახელწოდებაც ამავე ფუძეზეა აგებული: „აღავერდი" აღვან-გვერდის განვითარებაა. სასაზღვრო ხაზი ძველ იბერიასა და ალბანეთს შორის სწორედ აქ გადიოდა. მაშასადამე, ამ სახელწოდებაში მეზობელი ქვეყნის სახელის მოგონება და კვალი შეიძლება ვივარაუდოთ"[37].

ი. კიკვიძესაც აღავერდის ტაძარი მიაჩნია მთვარის წარმართული ტაძრის მემკვიდრედ. მაგრამ ს. ჯანაშიასაგან განსხვავებით, იგი ფიქრობს, რომ ტოპონიმ აღვანში

---

34 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 22-23.

35 იქვე.

36 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 90-91.

37 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1945, გვ. 157.

არ არის სავალდებულო ალბანი-ალბანეთი ვიგულისხმოთ, შეიძლება ალბანი ალბან მრავლობითი ფორმაა და ხატის, ტაძრის მამულს გულისხმობს[38].

კ.ტრევერი მთვარის სალოცავის ლოკალიზაციას აგრეთვე კახეთში ადგილს აღნიშნავს: „Страбон ограничивается указанием на то, что в Албании храмовая область находилась неподалеку от Иберии, очевидно, в одной из плодородных хорошо орашаемых и замкнутых горами долин на территории Кахетии"[39]. უფრო კონკრეტულად „В плодородной части западной Албании, может быть в районе Хамхала (Лала), имелась священная или жреческая область с храмом богини, особо в Албании почитаемой"[40].

აღსანიშნავია, რომ აქვე კ.ტრევერი გამოთქვამს თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას ა.კრიმსკის შეხედულებაზე იმის შესახებ, რომ მთვარის სალოცავი მდებარეობდა თანამედროვე შექის (შაქის) ადგილას, რადგან შექის რაიონი ძვ.წ. I ს. საკმაოდ შორს იყო იბერიის საზღვრებიდან[41].

გ.მელიქიშვილი ფიქრობს: „სტრაბონის სიტყვები, რომ ეს ტაძარი „იბერიის მახლობლად" მდებარეობდა, აშკარად გულისხმობს იბერიისა და ალბანეთის უშუალო შეხების რაიონს. რადგან სამხრეთში იბერიასა და ალბანეთს შორის ამ დროს შეჭრილი იყო სომხეთის მიწა-წყალი (კამბისენე არმენიის შემადგენლობაში შედიოდა), მაშასადამე, იბერია და ალბანეთი ერთმანეთის უშუალო მეზობლები იქნებოდნენ მხოლოდ ამ ოლქის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალზე, სადმე მდ.ალაზნის შუა დინების რაიონში. ზემოხსენებული ალბანური ტაძარიც ალბათ აქ იქნებოდა. ტაძრის კუთვნილი მიწა-წყლის სტრაბონისეული აღწერილობა (დიდი და კარგად დასახლებული ტერიტორია) აგრეთვე ალაზნის ველზე უნდა მიუთითებდეს, მაგრამ რადგან ახ.წ.I საუკუნეებში საქართველოს სამეფოს (იბერიის) საზღვრებმა გაფართოება იწყეს ყოველი მიმართულებით, მათ შორის აღმოსავლეთისკენაც, შიდა კახეთის ზემოაღნიშნული ტერიტორია ამ დროს, უცილობლად, ქართლის შემადგენლობაში მოექცა. ის, რაც სტრაბონის ცნობებით არეკლილ ხანაში „იბერიის მახლობლად" იმყოფებოდა, ამ დროს, უეჭველია, საკუთრივ იბერიაში უნდა მოქცეულიყო. ამიტომაც, ძველი ალბანური მთვარის ღვთაების საკულტო ტრადიციების ასე მკაფიოდ შემონახვა კახეთში სავსებით გასაგები ხდება. ეს დიდი სატაძრო თემი, ეჭვს გარეშეა, უკვე ახ.წ.დასაწყისში ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა და ამიერიდან გაქრისტიანების ხანამდე (IV ს.) მის შემადგენლობაში იმყოფებოდა"[42].

სტრაბონის სიტყვები, რომ მთვარის სალოცავი ალბანეთში იბერიის მახლობლად მდებარეობდა, მის ადგილ-სამყოფელს მართლაც უნდა გულისხმობდეს იბერიისა და ალბანეთის შეხების რაიონში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთ რაიონად კახეთია მიჩნეული. მაგრამ მას შემდეგ, რაც თუშეთში ნიშტაყოს ტაძარი გაითხარა, რომელიც სტრაბონის ეპოქას მიეკუთვნება და აქ გამოვლენილი ნივთიერი კულტურის მასალები ეხმაურება სტრაბონის მიერ მთვარის სალოცავის აღწერილობაში მოხსენიებულ ძეგლებს - დაისვა საკითხი: ნიშტაყოს სალოცავი ხომ არ არის ის მთვარის სალოცავი, რომელიც სტრაბონს ალბანეთში, იბერიის მახლობლად ეგულებოდა?

თუ დავეყრდნობით ზოგიერთი მკვლევრის აზრს იმის შესახებ, რომ კავკასიის ალბანეთი თავისი ტერიტორიით მთლიანად ან ნაწილობრივ შეესაბამებოდა დღევანდელ დაღესტანს და აზერბაიჯანს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ალბანიისა და იბერიის შეხების

---

38 ი.კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 137.

39 К.В.Т р е в е р, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, IУ в до н.э. - УП в.н.э., М.-Л., 1959, с.151.

40 К.В.Т р е в е р, , დასახ. ნაშრ., გვ. 152.

41 იქვე, გვ. 151.

42 გ.მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ.,1970 გვ. 586-587.

ერთ-ერთი რაიონი თუშეთის მიწა-წყალიც იყო[43]. თუ ეს ასეა, ს. შენაქრში ნიშანაულის ბორცვზე გათხრილი სალოცავი შეიძლება იყოს სწორედ ის მთვარის სალოცავი, რომელიც აღწერილი აქვს სტრაბონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

43 იხ. К.В.Т р е в е р. Очерки по истории и культуре Кавказской Албании. М.-Л., 1959; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 269; Д.М.А т а е в, Дагестан и Кавказская Албания, Тезисы докладов на научной сессии Института истории, языка и литературы Дагестанского филиала АН СССР, посвященной археологии Дагестана, Махачкала, 1959, с. 40-42.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ც. ღვაბერიძე

საქართველოს მეფის გიორგი VII-ისა და აჰმად ჯელაირის სახელით მოჭრილი მონეტების დათარიღებისათვის

XIV ს-ის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ფულის მიმოქცევაში, გარდა ილხანთა და ჯუჩიანთა მონეტებისა, დასაქმებული იყო ჯელაირთა ფულიც. სამწუხაროდ, ამდროინდელი ქართული წერილობითი წყაროები მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი და არაფერია ცნობილი იმის შესახებ, თუ რა მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული საქართველოს ჯელაირთა სახელმწიფოსადმი[1]. საქართველოში ილხანთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ჯელაირთა სახელით ხორციელდებოდა სამონეტო ემისია. არსებულმა ნუმიზმატიკურმა მასალამ მკვლევრებს საშუალება მისცა დაედგინათ, რომ საქართველო ამ დროს ჯელაირებს ექვემდებარებოდა.

ცნობილია აჰმედ ჯელაირისა და გიორგი VII-ის (1393-1407) სახელით თბილისის ზარაფხანაში გამოშვებული რამდენიმე სამონეტო ტიპი. მონეტებს მოჭრის თარიღი არ გააჩნია, მაგრამ მასზე გიორგი VII მოხსენიებულია „გამარჯვებულის" („ღაზის" غازى") ეპითეტით. ამიტომ ეპითეტი „გამარჯვებული" საზღვრავს მონეტის მოჭრის დროს.

თ. ლომოურის დაკვირვებით, გიორგი მეფის გამარჯვება ლარგვისის პარაკლიტონის წარწერაშია დადასტურებული, სადაც გამარჯვების თარიღი 1400 წელია. მკვლევრის აზრით, სწორედ ამ დროს უნდა იყოს მოჭრილი გიორგი VII-ისა და აჰმედ ჯელაირის სახელებით აღბეჭდილი მონეტები. მონეტის წარწერაში გიორგისადმი მიკუთვნებული ეპითეტი „გამარჯვებული" ამ ფაქტის გამოძახილია. ამის საფუძველზე თ. ლომოურმა ეს მონეტები 1400-1401 წწ. დაათარიღა[2].

ისტორიულ წყაროში დაცული ცნობების საფუძველზე, მონეტის დათარიღებაში ჩვენ განსხვავებული მოსაზრება გვაქვს: გიორგი VII-ისა და აჰმედ ჯელაირის სახელით გამოშვებული მონეტები XIV ს-ის მიწურულში, კერძოდ 1396 წ. მოიჭრა.

საკითხის გარკვევისათვის უნდა მიმოვიხილოთ ის ისტორიული გარემო, რამაც გამოიწვია ზემოდასახელებული მონეტის მოჭრა.

---

1 არაბეთის ერაყში ემირმა შეიხ ჰასან ბუზურგმა -"დიდმა"(ჰასან ბუზურგს „დიდი" ეწოდა მისი თანამედროვის და მეტოქის ჰასან ჩობანიდისაგან განსხვავებულად, რომელსაც ქუჩუკი - „მცირე" ერქვა)თავი სულტნად გამოაცხადა და საფუძველი დაუდო ჯელაირთა დინასტიას (იარსება 1340-1410 წწ.). ჯელაირთა სახელმწიფო მოიცავდა სპარსეთის ერაყის დიდ ნაწილს (ქალაქებით: ჰამადანი, ყაზვინი, სულტანია); არასპარსული ოლქებიდან: ქურთისტანს, სამხრეთ აზერბაიჯანს, ყარაბახს, არაბეთის ერაყს, სომხეთს, შირვანსა და საქართველოს. ჯელაირებმა ქ. ბაღდადი თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს. შეიხ ჰასან ბუზურგის (1336-1356 წწ.)სიკვდილის შემდეგ, მისი შვილები სულტანი ჰუსეინი და ოვეისი ინაწილებენ ჯელაირთა მიწებს. ჰუსეინის გარდაცვალების შემდეგ (1359წ.)ჯელაირთა ტახტი დაიკავა მისმა ძმამ შეიხ ოვეისმა (1356-1374 წწ.), რომელიც ჯელალ ედ-დინ ჰუსეინმა (1374-1381 წწ.)შესცვალა. უკანასკნელი ჯელაირიდი სულტანი აჰმედი (1382-1410 წწ.)იყო.

2 თ. ლ ო მ ო უ რ ი, აჰმედ ჯელაირისა და გიორგი VII-ის მონეტა, თბ., 1949 (ხელნაწერი ინახება საქ. სახ. მუზეუმში), გვ. 9; გ. დ უ ნ დ უ ა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964.

ბაგრატ VI-ის (1360-1395 წწ.), დავით IX-ის (1346-1360 წწ.) ძის მეფობის დროს, საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება. დაიწყო ახალი დამპყრობლის თემურლენგის შემოსევები. 1386 წ. თემურლენგი საქართველოსაკენ წამოვიდა. [illegible] მებზე გამოვლით აიღო თბილისი და მეფე ბაგრატი დაატყვევა. 1387 წლის შემდეგ, როდესაც თემურლენგმა ბაგრატ V გაანთავისუფლა და საქართველოში დაბრუნების საშუალება მისცა, 1393 წლამდე მას საქართველოს წინააღმდეგ აღარ უომნია. საქართველოს ექვსწლიანი შესვენების საშუალება მიეცა; „რამდენიმე წლის განმავლობაში შეეძლო მშვიდობიანად ეცხოვრა და საშუალება ჰქონდა მტრისაგან განადგურებული ადგილების აღდგენისა და მიყენებული ზიანის გამოსწორებას შესდგომოდა“[3].

თემურლენგის მიზანი არსებითად მიუღწეველი დარჩა: მან ვერც ქვეყნის დამორჩილება შესძლო, ვერც საქართველოს სამეფოს მესვეური ჩაიგდო ხელში, რომ მისთვის სასურველი ზავის პირობები მოეთხოვა. ამიტომ იყო, რომ თემურლენგმა ისევ აამხედრა თავისი ლაშქარი და საქართველოს სამეფოს შუაგულისაკენ დაიძრა 1393 წ. ამ დროს საქართველოს განაგებდა ბაგრატ V-ის შვილი გიორგი VII, რომელმაც თავისი მეფობის დიდი ნაწილი თემურლენგთან გაუთავებელ ბრძოლაში გაატარა.

თემურლენგმა საგანგებო ლონისძიებანი მიიღო ირანისა და ა. კავკასიის საქმეების მოსაწესრიგებლად. ჰულაგუიდთა ტახტი მან თავის შვილს მირან შაჰს დაუმტკიცა (მირან შაჰის სამფლობელო გადაჭიმული იყო დერბენდ-ბაქოდან ბაღდადამდე, ჰამადანიდან რუმის საზღვრამდე და მასში შედიოდა ორივე ერაყი, აზერბაიჯანი, არმენია, საქართველო და ქურთისტანი[4]).

1396 წ. ზამთარში თემურლენგი თავის სატახტო ქალაქში სამარყანდში დაბრუნდა. მას ამჯერად ინდოეთის დაპყრობის წადილიც გაუჩნდა[5]. საკმარისი იყო თემური მოშორებოდა დამორჩილებულ ქვეყნებს, რომ მისი ბატონობის ქვეშ მოქცეულმა მრავალმა ქვეყანამ ისარგებლა და განთავისუფლებისათვის მზადებას შეუდგა. საქართველოსაც არ გაუტეხია იმედი, შესაფერისი დროც შეარჩია და აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. საქართველოს მეფე გიორგი VII შეუკავშირდა ჯელაირთა მმართველს აჰმედს. ჯელაირიდებისა და საქართველოს პოლიტიკური კავშირი თემურლენგის წინააღმდეგ ქართულ წყაროშია დადასტურებული.

აჰმედსა და თემურლენგს შორის მდგომარეობა ჯერ კიდევ 1386 წ. გამწვავდა, მაშინ როდესაც თემურმა აჰმედს ქ. თავრიზი წაართვა. ჯელაირები განცდილი მარცხის მიუხედავად მაინც აგრძელებენ თემურლენგისა და მისი მემკვიდრის წინააღმდეგ ბრძოლას. ერთი ასეთთაგანი ალინჯის ციხისათვის ბრძოლა იყო. თემურლენგთან ომში რომ ვერა გაიმარჯვა, აჰმედმა თავისი ცოლშვილი და ხაზინა ამ მიუვალ ციხეში გადამალა. თემურლენგმა კი, ალინჯის ციხის აღყა ბატონიშვილ მირანშაჰს დაავალა. ამრიგად, ალინჯაზე ლაშქრობა მოხდა თემურლენგის ინდოეთში ყოფნისას. „...ამ ციხიდან ბატონიშვილი თაჰერის (აჰმედ ჯელაირის ვაჟის, ც. ღ.) გამოყვანას, ციხის გარნიზონის გაძლიერებასა და სურსათ-სანოვაგით მათ უზრუნველყოფას ისახავდა ერთ-ერთ მთავარ მიზნად გიორგი მეფის ნახევანის ლაშქრობა“[6].

ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით, ცნობა აქვს შემონახული ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეს „ძეგლი ერისთავთას“ ავტორს. იგი გადმოგვცემს: „მაშინ გიორგი მეფე განილაშქრა ალინჯას, ყოვლითა სპითა ქართველითა, იმერელითა, მესხითა და შირვანელითა. მოვიდა ალინჯასასა და დახოცა ლაშქარი თემურ ყანის და მოვიდა გამარჯვებული“[7].

---

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, თბ., 1941, გვ. 190-191.

4 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 688.

5 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 195.

6 კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 99.

7 შ. მ ე ს ხ ი ა, „ძეგლი ერისთავთა“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954, ნაკვ. 30, გვ. 358.

ქართველებმა ალინჯის ციხიდან ბატონიშვილი თაჰერი გამოიყვანეს, ციხის გარნიზონი გააძლიერეს და გამარჯვებულნი უკან გამობრუნდნენ. ალინჯაზე ლაშქრობის ტექსტს გასწვრივ ხელნაწერში მხედრულით, ბრძოლის თარიღი აქვს მიწერილი: „ეს აქეთ 1396"[8]. თ. ჟორდანიამ „ქრონიკებში" ეს ლაშქრობა 1396 წლის თარიღით მოათავსა[9], ხოლო მ. ბროსემ იგი გააერთიანა ზემომოტანილ მინაწერთან[10]. ამ წელს უნდა იყოს მოჭრილი საქართველოს მეფე გიორგი VII-ისა და სულტან აჰმედ ჯელაირის სახელით მონეტები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ ახლად შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თ. ლომოურს ალინჯის ციხეზე ქართველთა გამარჯვების თარიღად მიღებული აქვს 1400-1401 წწ. მკვლევარს ეს მოსაზრება დაფუძნებული ჰქონდა ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის წარწერის ცნობაზე.

თვალსაჩინოებისათვის მოგვაქვს ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის მინაწერის ტექსტი: „მეფობასა შ~ა მეფეთ-მეფისა გიორგი ბაგრატის ძისასა და ერისთაობასა შინა ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით მოვიდა. მოქცევასა: იდ. ქ -კს: პ: მაისს: ზ: მოვიდა თემურ ბე (თემურ ბეგ, თ. ჟ.) სულტანი სამარყანდელი და მოიტანნა ყაინნი (ყაინნი) სინჩისა სინიჩარასა), ჩინეთისაი, ქომაველთისა (ქომანელთისაი), ხუარაზმისაი... და სომრავლისა მათისაი იყო რიცხვი და ა მოვლეს ყოველი ქვეყანათ და წარტყუენეს და ყოველი და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღინუნეს ყოველნი ციხენი... და მოაოხრეს ყოველი ქვეყანა დასავლეთამდის..."[11].

ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ 1400 წელი თემურის სარეანშო შემოსევაა საქართველოზე და არა მეფე გიორგის გამარჯვება ალინჯაზე.

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, ლარგვისის 1365 წ. გადაწერილი ეტრატის პარაკლიტონის 1400 წლის მინაწერში გადმოცემულია ალინჯის ქართველთაგან აღებისა და ამის შედეგად თემურლენგის შემოსევის მოკლე დათარიღებული ცნობა[12].

ამ აზრს ამბგრებს ერთი აღმოსავლური წყაროს ცნობაც[13]. ისტორიკოს ელჯენაბის გადმოცემით, 1400 წელს აჰმედის შვილი თაჰერი, რომელიც ალინჯის ციხეს იცავდა, თემურის ჯარებისაგან აღყაში იყო მოქცეული. ციხე თემურლენგმა დაიკავა, ხოლო დამარცხებულმა თაჰერმა საქართველოს შეაფარა თავი.

თემურლენგის ამ გამანადგურებელი შემოსევის შესახებ იმდროინდელი თარიღიანი ცნობა თიბქმის ხეობაში მდებარე რკონის მონასტრის პატარა ეკლესიის შესავალი კარების მარჯვენა ქვაზე ამოჭრილ წარწერაშიც იყო დაცული, რომელშიც ნათქვამია: „ქ. აქა მოვიდა ლ/ა ნგდემორ და და/ა/ქცივნ/ა/ ეკლეს/ი/ან/ი/ და რკონიცა და ა/ქცია ქ/ორონ/კ/ო/ნი იყო კ (88) (1400 წ.)"[14].

ამრიგად, ლარგვისის პარაკლიტონის წარწერის თარიღი, 1400 წელი, ყველა ცნობით უცილობლად გადმოგვცემს თემურლენგის გამარჯვებას და არა ალინჯაზე ქართველთა გამარჯვებას. ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია ქსნის ერისთავთა ქრონიკის ტექსტის მინაწერი, ქართველთა გამარჯვების თარიღი - 1396 წ.

ალინჯაზე ქართველთა გამარჯვება ასახა ნუმიზმატიკურმა ძეგლმაც. ამ წელს უნდა მოჭრილიყო ორი მოკავშირის აჰმედ ჯელაირისა და გიორგი VII-ის სახელით აღბეჭდილი მონეტა თბილისის ზარაფხანაში.

კავშირი საქართველოსა და ჯელაირებს შორის თემურლენგის 1400 წლის გამარჯვების შემდეგ აღარ გაგრძელებულა. გიორგი VII-ემ ლიხთ-იმერეთს შეაფარა თავი, სა-

---

8 შ. მ ე ს ხ ი ა, „ძეგლი ერისთავთა", გვ. 358.

9 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 1897, გვ. 201.

10 შ. მ ე ს ხ ი ა, „ძეგლი ერისთავთა"..., გვ. 358, სქოლიო.

11 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები .... გვ. 204.

12 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 201.

13 А.К.М а р к о в, Каталог джелаиридских монет, Тб., 1897, გვ. XXXIV.

14 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 202-203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაც მოლაპარაკებასა და დაზავებას სთხოვდა თემურლენგს. 1403 წლამდე მათ შორის შეთანხმება არ მომხდარა და რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში თბილისში, ბუნებრივია, აჰმედ ჯელაირის სახელით მონეტის მოჭრას აღარ გააგრძელებდა.

3

აჰმად ჯელაირისა და გიორგი VII-ის სახელით გამოშვებული რამდენიმე სამონეტო ტიპია ცნობილი. ვიძლევით მათ აღწერილობას.

1. ქ.ძ.574. დირჰემი; წონა - 0,62 გ; ზომა 16/17 მმ (ტაბ.I,№1).

შუბლი: ხაზოვანი წრე მოთავსებულია ჩვეულებრივ არშიაში შუაში ოთხ სტრიქონზე არაბულად:

سلطان ا სულტანი
احمد خلد ملكه აჰმედი. განიგრძოს მეფობა მისი
ملك غازى كيركى მეფე გამარჯვებული გიორგი
ضرب تفليس იჭედა თბილისს

ზურგი: ორმაგი ხაზოვანი კვადრატი მოთავსებულია ჩვეულებრივ არშიაში. შუაში სამ სტრიქონად სუნიტური რწმენის ფორმულა.

لا اله الا الله არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა
محمد მუჰამედი
رسول الله მოციქულია მისი.

სეგმენტებში ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი.

2. ქ.ძ.583. დირჰემი, წონა - 0,61 გ.ზ. - 14/15 მმ (ტაბ.I,№2).

შუბლი: ორმაგ ხაზოვან წრეში მოთავსებულია ოთხ სტრიქონად არაბული ზედწერილი.

ضرب تفليس იჭედა თბილისს
ملك غازى მეფე გამარჯვებული
كيركى გიორგი.

ზურგი: ორმაგი ხაზოვანი წრე, რომელსაც გარს უვლის ჩვეულებრივი არშია, შუაში სამ სტრიქონად:

سلطان სულტანი
احمد აჰმედ
خان ხანი

3. ქ.ძ.3 100, დირჰემი, წონა - 0,6 გ.ზომა - 13/16 მმ (ტაბ.I,№3).

შუბლი: ორმაგ ხაზოვან წრეში მოთავსებულია სამ სტრიქონად არაბული ზედწერილი:

4. მოამბე, LXI-B

ეროვნული ბიბლიოთეკა

سلطان სულტანი
احمد აჰმედ
خان ხანი

ზურგი: ხაზოვან წრეში მოთავსებულია კვადრატული ჩარჩო, შუაში ორ სტრიქონზე ასომთავრულად:

ᲛᲔᲤᲔᲗ ᲛᲔ
ᲤᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ

მეფეთ მე
ფე გიორგი

სეგმენტებში ყვავილოვანი ორნამენტი.

აჰმედ ჯელაირისა და გიორგი VII-ის სახელით გამოშვებული, ზემოაღწერილი სამივე სამონეტო ტიპი, ასოცი წლის წინათ გამოაქვეყნა ვ. ლანგლუამ[15] (აღნიშნული მონეტები ი. ბართლომემ პარიზის ნაციონალურ კაბინეტს შესწირა). მიუხედავად მასალის ნაკლებობისა და მონეტათა ცუდი დაცულობისა, მან, სავსებით სამართლიანად, ეს მონეტები მიაკუთვნა აჰმედ ჯელაირსა და გიორგი VII-ეს და პირველმა წაიკითხა და მოგვცა სამივე სამონეტო ტიპის სწორი აღწერილობა.

ვ. ლანგლუამ თავისი შრომის მე-II და მე-I2 გვერდებზე გამოაქვეყნა ამ მონეტების ზედწერილების შინაარსი თარგმანით. წერილს თან დართული აქვს ტაბულა, სადაც მოთავსებულია აღწერილი მონეტების ჩანახატები (და არა ფოტოსურათები, ან მონეტის ასლი)[16]. ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო ტაბულაზე მოთავსებული სამივე მონეტის ჩანახატი არ ემთხვევა აჰმედ ჯელაირისა და გიორგი VII-ის მონეტების ვ. ლანგლუას მართებულ აღწერილობებს. მხოლოდ მესამე სამონეტო ტიპის ზურგის ზედწერილი იმეორებს ჩანახატს.

ა. მარკოვი, ამზადებდა რა ჯელაირიდების მონეტებს, დაინტერესდა ამ ფულით. რადგან ა. მარკოვს მონეტები ხელთ არა ჰქონდა, ვ. ლანგლუას მიერ ზედწერილის ამოკითხვასა და ტაბულაში მოთავსებულ ჩანახატებს შორის შეუსაბამობა შენიშნა. მან თხოვნით მიმართა პარიზის სახელმწიფო სიძველეთა საცავის აღმოსავლური მონეტების მცველს პ. კაზანოვას შეემოწმენია ლეგენდები. პ. კაზანოვამ ვერ შესძლო მონეტებზე მოთავსებული ზედწერილების სწორად ამოკითხვა. ამის შემდეგ ა. მარკოვმა ვ. ლანგლუას მართებული აზრი მონეტების კუთვნილების თაობაზედაც უარყო[17]. ვ. ლანგლუას დიდი ღვაწლი, რომელიც მან გასწია ქართული ნუმიზმატიკის დარგში, დაფასებული უნდა იყოს.

1925 წელს ხაშურის რაიონის სოფ. აღში[18] აღმოჩენილი განძის მნიშვნელობა დიდია მეცნიერებისათვის, რადგან მის აღმოჩენამდე ზემოთ აღნიშნული მონეტების არსებობის ფაქტი ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული. სოფ. აღში აღმოჩენილი განძის წყალობით, აღწერილი მონეტები დიდი რაოდენობით გახდა ცნობილი (251 ცალი). სხვა მონეტებთან ერთად განძი შეიცავს აჰმედ ჯელაირისა და გიორგი VII-ის სახელით აღბეჭდილ მონეტებს.

---

15 V. L a h g l o i s, Supplemeht al Essai de classificatioh, des suites monetaires de la Ceorgie, depuis i antiquite juqu'a nos jours. Extrait de Ia Revue de la Numismatique belget Y, 3e Sere. გვ. I0-I3.

16 იქვე, ტაბ. II. №№9; I0 და II-ის ნაცვლად ტაბულაში კორექტურული შეცდომაა დაშვებული და მოცემულია №№ I0, II, I2.

17 A.K. M a p K O B, დასახ. ნაშრომი, გვ. XIX-XX.

18 საქართველოს სახ. მუზეუმის განძების ფონდი №№ 743-I2I3.

Гваберидзе Ц.М.

К датировке монет выпущенных от имени грузинского царя Георгия УII и Ахмеда Джелаира

Р е з ю м е

В самом конце XIУ в. Ахмед Джелаир и царь Грузии Гуоргий УП чеканили серебряную монету, помеченную именами обеих правителей. Эти монеты датированы Т.Н.Ломоури 1400 годом. На монетах дата выпуска не указана, но Георгий УП на ней упоминается с эпитетом "кази", т.е. "победитель", что и дает возможность определить дату чекана монеты. Анализ данных письменных источников позволяет нам утверждать, что серебряная монета Ахмеда Джелаира и Георгия УП была выпущена в 1396 г.

Французский ученый В.Ланглуа в своем труде наряду с монетами отчеканенными монгольскими правителями, описывает серебряные монеты выпущенные Ахмедом Джелаиром и грузинским царем Георгием УП.

Данное В.Ланглуа определение монетных типов считалось неверным. Работая над фактическим материалом, мы пришли к выводу, что В.Ланглуа был первым ученым правильно и точно определившим монетные типы Ахмеда Джелаира и Георгия УП.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. კვირკველია

XVIII ს. ირანული კერამიკა

(საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მასალების მიხედვით)

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დიდი ხანია ინახება გვიანფეოდალური ხანის ირანული მეთუნეობის საყურადღებო ნიმუშები. აქ საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი XVIII ს., განსაკუთრებით მისი ნახევრის, ფაიანსისა და ნახევარფაიანსის ჯამები, ბადიები, თეფშები, ლანგრები, სანელსაცხებლები, ღარნაკები, სარიტუალო ჯამები, დეკორატიული შორენკეცები და სხვ. ისინი შეძენილია ცალ-ცალკე, 1865 წლიდან მოკიდებული 1942 წლის ჩათვლით. ამ მდიდარი კოლექციების კერამიკის ფონდში თავმოყრას დიდად შეუწყეს ხელი ყოფილი კავკასიის მუზეუმის მესვეურებმა ბ. შელკოვნიკოვმა და ბ. კაზნაკოვმა, რომელთაც ირანში მოგზაურობისას შეიძინეს მათი დიდი ნაწილი. დიდია ამ კოლექციების მნიშვნელობა, რადგან მათი შესწავლა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის XVIII ს. ირანული კერამიკის წარმოება-განვითარების შესახებ.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ამ კოლექციების მეცნიერული შესწავლის ცდას. მაგრამ, ვიდრე უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, აუცილებელ გარემოებად მიგვაჩნია იმ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომების მიმოხილვა, რომლებიც დიდ დახმარებას გვიწევენ საკვლევი კოლექციების შესწავლაში.

ჩვენს ხელთ არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვიდან ირკვევა, რომ XVIII ს. ირანული კერამიკა მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. მიუხედავად ამისა, გვაქვს ზოგიერთი ცალკეული სტატია, რომლებიც გვიანფეოდალური ხანის ირანული ფაიანსის ნიმუშებისადმია მიძღვნილი. მათ შორის აღსანიშნავია ს. მასლენიცინას ნაშრომი[1], რომელიც მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში დაცული XVIII-XIX სს. ირანული კოლექციების შესწავლას ემყარება.

საინტერესოა აგრეთვე ს. მასლენიცინას მეორე ნაშრომიც - XVIII-XIX სს. ირანული კერამიკის კატალოგი, რომელიც წარმოადგენს ზემოაღნიშნულ მუზეუმში დაცული ირანული ფაიანსის ნიმუშების საკატალოგო აღწერილობას. იგი გარკვეულ დახმარებას გვიწევს, როგორც ნივთიერი, შესაჯამებელი მასალის შემცველი ნაშრომი[2].

XVIII ს. ირანულ ფაიანსთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო საკითხია აღძრული და განხილული ტ. არაპოვასა და ი. რაპოპორტის ერთობლივ ნაშრომში. ავტორები კერამიკული წარმოების ნიმუშებზე დაყრდნობით განიხილავენ ირან-ჩინეთის კულტურულ კავშირებს XVI-XVIII სს[3].

ბაქოს რ. მუსტაფიევის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული XVIII ს. ირანული კერამიკის ნიმუშების აღწერილობანი მოცემულია რ. ასადულაევას

---

1 С. Масленицина, Специфика стиля иранской керамики ХУШ-XIXвв. Гос. музея искусства народов Востока. Сообщения. Вып. УII. Москва, 1973.

2 С. Масленицина, Каталог иранской керамики ХУIII-XIX вв. Москва, 1970.

3 Т. Арапова, И. Раппопорт, К истории культурных связей Ирана и Китая в ХУI - начале ХУШ вв. Гос. музей искусства Народов Востока, Москва, 1971.

სტატიაში[4]. იგი საინტერესოა, როგორც ნივთიერი, შემაჯერებელი მასალის შემცველი.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული XVIII ს. ირანული კერამიკის ზოგიერთი ნიმუში წარმატებით შეისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა გ. ლომთათიძემ, ს. ბ. ბაბაევმა, ვ. ბ. ბაბაევმა და მ. მიწიშვილმა. სწორედ ქართველი ავტორების ნაშრომებზე დაყრდნობით, ჩვენ ძეცლით ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელი თიხის XVIII ს. „ქსოვილისათვის დამახასიათებელი ორნამენტით" შემკული ირანული ჭურჭლების ერთი ჯგუფის სადაურობისა და ასაკის დადგენა.

გვიანფეოდალური ხანის ირანული კერამიკის შესწავლით დიდი ხანია დაინტერესდნენ უცხოელი მეცნიერებიც.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ფრანგი მეცნიერი ჟ. როშეშუარი ასკვნიდა, რომ XVIII-XIX სს. ქ. ქერმანი წარმოადგენდა ჩინური სელადონების მინაბაძების წარმოების წამყვან კერას[5]. მისი ეს მოსაზრება დღეს საკვლევით გამართლდა. XVIII ს. ირანული ფაიანსის ზოგიერთი ნიმუში შესწავლილია ამერიკელი მეცნიერის ა. ფოუპის[6] ნაშრომში, ფრანგი მკვლევარის მიშელინ სენლივრ დიუმონის მონოგრაფიაში[7].

ბუდაპეშტის ისტორიულ მუზეუმში დაცული თეთრი, ლურჯად მოხატული ჩინური ფაიფურის მიბაძვით ნაკეთები XVIII ს. ირანული ჯამის ატრიბუციაა მოცემული უნგრული მეცნიერის ფერხერვარის სტატიაში.

გვიანფეოდალური ხანის ირანული ფაიანსის, ისე როგორც მთელი ისლამური კერამიკის შესწავლის საქმეს უდიდესი ამაგი დასდო ინგლისელმა მეცნიერმა ა. ლეინმა. თავის უკანასკნელ მონოგრაფიაში მან XVIII-XIX სს. ირანულ კერამიკას ცალკე თავი მიუძღვნა[8].

მსოფლიოს მრავალ მუზეუმსა და სიძველეთსაცავში დაცული გვიანფეოდალური ხანის ირანული სათუნე ხელოვნების ნიმუშების შესწავლის საფუძველზე გვიჩვენა თუ რა სახისა და შემკულობის კერამიკა იყო გავრცელებული XVIII-XIX სს. ირანში. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული ხანის ირანული კერამიკის წარმოება-განვითარების მთლიანი სურათი ჯერჯერობით აღდგენილი და შესწავლილი არ არის. ჩვენ დარწმუნებით არაფერი ვიცით თუ რა გავლენას ახდენდა ამ ხანის ირანული სათუნე ხელოვნების ნიმუშები მეზობელ ქვეყნებზე, როგორი იყო შრომის ორგანიზაციის წესი კერამიკულ სახელოსნოებში, ანდა რა როლს თამაშობდა თიხისა და ფაიანსის ჭურჭელი ფეოდალური ურთიერთობის რღვევისას ირანელთა ყოფაში და სხვა.

როგორც თავის ადგილას ითქვა, ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცული XVIII ს. ირანული კერამიკის ნიმუშები კეცით, გარეგანი ფორმით, შემკობის სტილითა და მანერის ნაირფეროვნებით ხასიათდება. ამიტომ ისინი ყოველმხრივ შესწავლის მიზნით შემკობის ტექნიკისა და სტილის საფუძველზე შემდეგ ჯგუფებად დავყავით: მონოქრომული, შავად მოხატული ფირუზისფერ ჭიქურქვეშ, კობალტით მოხატული და ბოლოს ვარაყიანი ფაიანსი. თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

---

4 Р.А с а д у л а е в а, Произведения иранских мастеров в собрании Гос.музея искусств им. Д.Мустафаева.- Сб. ст.Государственного Музея искусства народов Востока, Москва, 1971.

5 J.R o c h e c h o u a r t, Comte J., de Souvenirs d un vouage en Perse, Paris, 1867, pp. 274-326.

6 A. Survey of Persian Art from Prehistoric time to the modern time, London-New-York, 1939.

7 M i c h e l i n e, C e n t l i v r e s-D e m o n t, Une communaute de potiers en Jran, 1971.

8. A.L a n e, Later islamic pottery, London, 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სახის კერამიკის ნიმუშებისათვის დამახასიათებელია ერთფეროვანი, ოვალურ-ფირუზისფერი, მოყავისფრო, მომწვანო ან თეთრი ჭიქური. პოლიქრომიული ან ლუსტროვან ნაწარმთან შედარებით მათი დეკორი ძალზე ღარიბია. მეცნიერთა აზრით, ირანში იგი ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში აღმოცენდა ჩინური სელადონების გავლენით და XVIII-XIX სს. მოატანა. მონოქრომულმა კერამიკამ აყვავებას სეფიანთა ხანაში (XVI-XVIII სს.) მიაღწია, როცა კობალტით მხატვრობა შეერწყა ორნამენტის შესანიშნავ მონოქრომიულ კვეთას.

ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში მეთუნეობის მონოქრომიული ნიმუშები საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი, რომელთა შორის რიცხობრივად ჭარბობს თიხისაგან დამზადებული ლურჯად და ფირუზისფრად მოჭიქული ქსოვილისათვის დამახასიათებელი ორნამენტით შემკული ჯამ-ბადიები. ჩვენთვის ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი შესწავლილი არაა. მათი სადაურობისა და ასაკის დადგენაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართველი არქეოლოგების ნაშრომებმა. 1948 წელს თბილისის დედაქალაქის გათხრებისას გ. ლომთათიძემ კულტურულ ფენაში აღმოაჩინა ჩვენს მიერ საკვლევი ჭურჭლების იდენტური ფრაგმენტები, რომლებიც მან ირანულ წარმოშობისად მიიჩნია და XVIII ს. დაათარიღა.

ზემოთ მოტანილი მასალები რეალურ საფუძველს ქმნის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცული ჯამ-ბადიებიც იმავე საუკუნეს მივაკუთვნოთ.

იმავე საუკუნით უნდა განისაზღვროს კერამიკის ფონდში დაცული იმ ჯამ-ბადიების, ფიალების, ქილების, თეფშებისა და დეკორატიული ღარნაკების ასაკიც, რომელთა დეკორი, მიუხედავად მისი სისადავისა, კეცით, გარეგანი ფორმითა და ჭიქურის ფერით ანალოგიურია ზემოთ ნახსენები რელიეფური, ქსოვილისათვის დამახასიათებელი ორნამენტით შემკული ჭურჭლებისა.

ა. ლეინის ცნობის მიხედვით, XVIII ქალაქ ქერმანში ამზადებდნენ რელიეფური ორნამენტით შემკულ ფირუზისფრად და ლურჯად მოჭიქულ ჯამ-ბადიებს, რომელთა ფორმა-მოყვანილობა ჩინური ფაიფურის ანალოგიურ ჭურჭელს წააგავს[9]. ამ აღწერილობით, ისინი აშკარად უახლოვდებიან საკვლევ ჭურჭლებს, რაც ამ უკანასკნელის ქ. ქერმანელი მეთუნეების ნახელავად მიჩნევის საშუალებას ქმნის. მონოქრომიული ჭურჭლების რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე კერამიკის ფონდში დაცული (კოლ. №46-02) ფაიანსის ჯამიც, რომელიც შიგნიდან მოჭიქულია ფირუზისფრად, გარედან კი მწვანედ. ძირზე მოცემულია ოთხკუთხა ნიშანი, ჯამის ჩინურ ნახელავად გასაღების მიზნით. ა. კუბეს ცნობით, ასეთი ნიშანი ფაიანსის ირანულ ნიმუშებზე გვხვდება XVIII საუკუნეში და შემდეგაც, ხოლო თვით ჩინურ ფაიფურზე კი არაუადრეს XVIII საუკუნისა[10]. ა. კუბე აქ ნაწილობრივ შეცდა, რადგან ჰ. გარნერის გამოკვლევით კვადრატული ნიშანი ჩინურ ფაიფურზე გვხვდება ჩენ-ტეს ხანაში 1506-1521 წწ.[11]

საკვლევი ჯამის XVIII ს-ით დათარიღება ხერხდება ა. ლეინის ცნობის მიხედვით. „XVIII ს. ქ. ქერმანში, - წერს იგი, - ირანელი ხელოსნები ამზადებდნენ ღია მწვანედ მოჭიქულ სადა ჯამ-ჭურჭელს"[12].

მისი აღწერილობანი ზუსტად ემთხვევა ხსენებული ჯამის გარეგან ნიშნებს.

---

9 A. L a n e, Later islamic pottery, p. 136.

10 А.К у б е, История Фаянса, Берлин, с 131.

11 H. G a r n e r, Oriental blue an white, London, 1957, p. 97-100.

12 A. L a n e, Later islamic Pottery, p.151.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავად მოხატული კერამიკა ფირუზისფერ ჭიქურქვეშ

ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში ამ სახის ფაიანსის ნიმუშები წარმოდგენილია ჯამების, ფიალების, თეფშებისა და ლარნაკების სახით. დამზადებულია ისინი უხეში ნახევარფაიანსისაგან. შემკული მცენარეული, უფრო გეომეტრიული ორნამენტით, მოხატულია შავი საღებავით და გადაფარებული აქვს უფერო ფირუზისფერი გამჭვირვალე ჭიქური. დამზადების, დეკორის შემკობის სტილითა და მანერის მხრივ ისინი ხელსნობის ერთ ცენტრში წარმოებული ნიმუშების შთაბეჭდილებას სტოვებენ, თუ რომელ ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი.

შავად მოხატული კერამიკა ფირუზისფერ ჭიქურქვეშ ირანში ცნობილი იყო უკვე XII-XIII სს, რომელიც ა.ლეინის გამოკვლევით დამახასიათებელი იყო ე.წ. - „ყუბაჩური" კერამიკის ერთ-ერთი ჯგუფისათვის სეფიანთა დროს (XVI-XVIII სს.) და არსებობას განაგრძობდა გვიანფეოდალურ ხანაშიც[13]. სტილისტური ცვლილებანი ამ სახის კერამიკაში მხატვრობის უკიდურეს სქემატურობაში გამოვლინდა, რომლის მოხატვა წარმოებს არა ფუნჯით, არამედ კალმით ან ლერწმის დეროთი.

XVIII ს. ადრეულ ნიმუშებზე მოხატულობა ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას და დინამიურობას, ხოლო მის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით საუკუნის დასასრულს, პრიმიტიულია და რამდენადმე უხეშიც. მიუხედავად ამისა, ჭურჭელთა გარეგანი ფორმა შედარებით მეტყველია, რომელიც ასე აუცილებელია მონოქრომული კერამიკისათვის.

ჩვენს მიერ საკვლევი ზემოთ ნახსენები ირანული ჭურჭლების ანალოგების ფრაგმენტები მიკვლეულ იქნა თბილისის დედაციხის გათხრებისას, რომელიც ქართველმა არქეოლოგებმა XVIII ს. მეორე ნახევრით დაათარიღეს[14]. ამავე საუკუნით განსაზღვრა მსოფლიოს მრავალ მუზეუმში დაცული ფირუზისფერ ჭიქურქვეშ მოქცეული, შავად მოხატული კერამიკის ნიმუშების ასაკი ა.ლეინმაც[15]. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს საკვლევი ჭურჭლებიც XVIII ს. მეორე ნახევარს მივაკუთვნოთ.

კობალტით მოხატული კერამიკა

მსოფლიო მეთუნეობის ისტორიაში ძნელია მოიძებნოს მეორე ნივთიერება, რომელსაც ისეთი როლი შეესრულებოს კერამიკული ნაწარმის მხატვრულ შემკობაში, როგორც კობალტს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ განვითარებული შუა საუკუნეებიდან მოკიდებული დღემდე ირანში კობალტით მოხატული კერამიკა წარმოადგენს წამყვან სახეობას და უდიდეს გავლენას ახდენს ფაიანსის მხატვრული შემკობის ყველა ტექნიკაზე, სტილსა და მანერაზე. თეთრი, ლურჯად მოხატული ნაწარმი, მათი თავშეკავებული, უკიდურესად ნათელი კოლორიტული იდეით წარმოადგენს მემკვიდრეს სახელგანთქმული ლუსტრისას. კობალტი, ისე როგორც ლუსტრი, იძლეოდა ბრწყინვალე შესაძლებლობებს ორი ფერის წყალობით გადაეჭრათ დეკორის საოცარი ეფექტურობა ლურჯი ფერის ნაირი ელვარებით და ფონის თვალისმომჭრელი კრიალა სითეთრით. ჩინური ფაიფურის უშუალო გავლენით ირანულმა კობალტით მოხატულმა კერამიკამ განვითარების უმაღლეს საფეხურს XVI-XVII სს. მიაღწია. მის წარმოებაში სახელი გაითქვეს ქალაქებმა: ქერმანმა, მეშხედმა და იეზდმა.

ჩინური ფაიფურის გავლენას თავი ვერ დააღწია ე.წ. „ყუბაჩურმა" კერამიკამაც, რომელიც, მკვლევართა აზრით, ყველაზე მეტად ინარჩუნებდა ნაციონალურ კოლორიტს.

თუ რამდენად დიდი იყო ხვედრითი წონა კობალტით მოხატული კერამიკისა ირანის ექსპორტში, ამაზე მეტყველებს ის, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში მხოლოდ ერთად-

---

13 A.L a n e, დასახ. ნაშრ., გვ. 201.

14 გ.ღ ო მ თ ა თ ი ძ ე, იქვე, გვ.89.

15 A.L a n e, Later islamic pottery, p.202.

ერთი „თეთრი – ლურჯად“ მოხატული ფაიანსის ნაწარმი გაჰქონდათ[16]. კობალტმა უდიდესი როლი შეასრულა მხატვრული შორენკეცების წარმოებაში, რომლის გარეშე წარმოუდგენელია საერთოდ მათი არსებობა.

ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში კობალტით მოხატული კერამიკა წარმოდგენილია ჯამების, ფიალების, თეფშების, ლანგრების, ქილების, დეკორატიული ვაზებისა და მხატვრული შორენკეცების სახით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ XVIII ს. კობალტით მოხატულმა კერამიკამ ირანში გარკვეული ცვლილებები განიცადა, თუმცა მისი განვითარება მაინც წინა საუკუნეების, განსაკუთრებით სეფიანთა ხანის, ფაიანსის გავლენით წარიმართა.

საკვლევი ჭურჭლებიდან წინარე ხანის ნიმუშებს ყველაზე მეტად თეთრი, ლურჯად მოხატული (კოლ. №89-13/II; №89-13/10) ლანგრები უახლოვდება. მათი კეცი სხვებთან შედარებით მსუბუქია და თხელი. შემკულია ცენტრში ლოტოსის ყვავილით. პირსა და უკანა მხარეს ამშვენებს ისევ ყვავილის გამოსახულება. ჭურჭელთა მთელი ჭრელი მოქცეულია კონტურებში, ხაზების სახით, რომელიც მოხატულია კობალტით ნაღვენთების გარეშე. კოლ. $\frac{121-67}{151}$ ლანგარი, პირველისაგან განსხვავებით, გულზე შემკულია ხვეული ორნამენტით, რომელიც წარმოშობის სათავეს XII-XIII სს. კერამიკულ ნიმუშებში პოვებს. განსხვავებული ორნამენტით შემკობის მიუხედავად, ისინი ერთი სახელოსნოს ნაწარმი უნდა იყოს, დამზადების მანერისა და კეცის მიხედვით. ამავე ნიშნებით ისინი XVIII ს. ქერმანელ ხელოსანთა ნაწარმის შთაბეჭდილებას ტოვებენ, რასაც მხარს უმაგრებს ა.ლეინის ნაშრომში დაცული ცნობებიც. საკვლევი ლანგრები აშკარად განსხვავდება ს.მასლენიცინას მიერ აღწერილი მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის მუზეუმში დაცულ ანალოგიურ ჭურჭლისაგან, რაც მათი XVIII ს. მეორე ნახევრით დათარიღებას უწყობს ხელს.

სეფიანთა ხანის (XVI-XVII სს.) ირანული ფაიანსისათვის დამახასიათებელი ორნამენტული მოტივებით არის შემკული (კოლ. №17-42/80) დეკორატიული ვაზა, რომლის ჭრელში ორგანულად არის შერწყმული ძველი და ახალი ელემენტები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლარნაკის კეცი, რომელიც თეთრი პასტისაგან არის დამზადებული და ფაიფურის იმიტაციას წარმოადგენს. ასეთი კეცი დამახასიათებელია XVII-XVIII სს. ირანული კერამიკისათვის. ლურჯად მოხატულ საკვლევ ჭურჭლებს შორის ბევრია ისეთები, რომელთა ანალოგები შეისწავლეს ა.ლეინმა და ს.მასლენიცინამ და XVIII ს. თარიღდება. მათ რიცხვს მიეკუთვნება (კოლ. 7-02; №51-60/6) საწვნე და სახილე ჯამები. ეს კი საფუძველს ქმნის მათი XVIII ს. დათარიღებისათვის.

საკვლევ ჭურჭლებს შორის ბევრია ისეთებიც, რომელთა დეკორში კობალტი გაღვრილია უხეირო გამოწვისა და სწორი ტექნოლოგიის დაკარგვის გამო. ამან, როგორც ჩანს, აიძულა ირანელი ხელოსნები ეძიათ დამატებითი მოხატულობა ალურის ხაზით. მაგრამ ეს ხდება XVIII ს. დასასრულს, უფრო XIX საუკუნეში. ხშირად კობალტს ემატება მანგანუმი, როგორც დამატებითი აქცენტი. მიუხედავად ამისა, მანგანუმი მაინც დაქვემდებარებულის როლში გამოდის და ესთეტიკური თვალსაზრისით ვერ იტანს მნიშვნელოვან დატვირთვას.

კობალტით მოხატვის ტექნიკის კრიზისმა თეთრ, ლურჯად მოხატულ კერამიკაში გამოიწვია სხვადასხვა სახის დამატებანი – პირველ რიგში მარგანეცისა, მოგვიანებით სპილენძის ჟანგის, რომელიც ფირუზისფერს ქმნის. ეს პროცესი, რომელმაც თანდათან პოლიქრომია წარმოშვა, XVII ს. დაიწყო და ყველაზე მეტად გამოვლინდა კობალტით გამოხატულ პოლიქრომიულ კერემიკაში, სადაც ლურჯ-თეთრ გამას შეერწყა მეწამული, მწვანე და ყვითელი ფერი. ევროპაში ამ დროს დაიწყო ემალით მოხატული ჩინური ფაიფურით გატაცება, რის გამოც კობალტი მოდიდან გამოვიდა.

XVIII ს. ირანმა, როგორც ა.ლეინი ფიქრობს, ეკონომიური დაუძლურების გამო ვერ შეძლო ემალით მოხატული ჩინური ფაიფურის შეძენა, რამაც თავისი ანარეკლი პო-

---

16 A. Lane, Later islamic Pottery, p. 76.

ვა პოლიქრომიული კერამიკის განვითარებაში და მნიშვნელოვნად შეზღუდა იგი[17]. მაგრამ, XIX ს-ში, როგორც კი ირანმა შეისყიდა ემალით მოხატული, ე.წ. „ვერსიული ოჯახის“ ჩინური ფაიფურის ნაწარმი, ამან წინ წასწია და განაპირობა კობალტით მოხატული პოლიქრომიული კერამიკის წარმოება. ამიტომაა, რომ XIX ს. ირანში პოლიქრომიული კერამიკა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლებით ჭარბობს XVIII საუკუნისას. აღბათ, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მსოფლიოს სიძველეთა საცავებში XVIII ს. ირანული პოლიქრომიული კერამიკა ნაკლებად არის წარმოდგენილი. შესაძლოა იგივე მიზეზი უდევს საფუძვლად იმ ფაქტს, რომ ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში ამ სახის ნიმუშები მცირე რაოდენობით ინახება.

კობალტით მოხატულ საკვლევ ჭურჭლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მხატვრულ შორენკეცებს, რომლებიც 18 ერთეულის სახით არის წარმოდგენილი. ისინი რომელიღაც საერო ან საკულტო ნაგებობას ამშვენებდნენ. შემკობის სტილისა და ტექნიკის მხრივ, პოლიქრომიული კერამიკის ჯგუფს განეკუთვნებიან. ყველასათვის დამახასიათებელია რელიეფური ორნამენტი, რომელიც ყალიბითაა ამოყვანილი. დეკორის ძირითადი თემაა ნადირობის ან შეყვარებული წყვილის შეხვედრის ამსახველი სცენა, რომელიც წარმოშობის სათავეს ირანულ მინიატურულ მხატვრობაში პოვებს.

საკვლევი შორენკეცების დეკორი უშუალოდ სეფიანთა ხანის (XVI-XVII სს.) მინიატურის გავლენას განიცდის. ჩვენ აქ ვხვდებით ძველ სეფიანურ ტანსაცმელში გამოწყობილ, თეთრ ცხენზე ამხედრებულ გოგო-ბიჭებს. ფონად აქ გამოყენებულია ბექობები, რომელთაც ბუჩქნარი, ყვავილები და ბაღახი ფარავს. შორენკეცების დეკორზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ახალ ეპოქას თავისი გააქვს; ბორცვს იქით ჩვენ ვხედავთ ცისფერ ჰორიზონტს, საერო თუ საკულტო ნაგებობებს და სხვა.

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენს საკვლევ შორენკეცებს აახლოვებს დეკორის თემა, მაშინ როცა მათ ერთურთისაგან თიშავს ფიგურათა რელიეფის სიმაღლე. ა.ლეინი აღნიშნავს, რომ XVIII ს. ირანული მხატვრული შორენკეცებისათვის დამახასიათებელია ფიგურათა დაბალი რელიეფი[18]. ამავე აზრისაა ს.მასლენიცინაც და ორივეს ერთად მაღალი რელიეფი მხოლოდ XIX ს. შორენკეცებისათვის მიაჩნიათ ნიშანდობლივად. დაბალი რელიეფი თუ მართლაც დამახასიათებელია მხოლოდ XVIII საუკუნისათვის, როგორც ამას ა.ლეინი ფიქრობს, მაშინ შორენკეცების ერთი ჯგუფი (5 ერთეული), რომელიც ამ ნიშნით ხასიათდება, შეიძლება ხსენებული დროით დავათარიღოთ. მაგრამ აქ აღიძვრის ერთი მეტად საინტერესო და საჭირბოროტო საკითხი, რა ვუყოთ შორენკეცების იმ დიდ ჯგუფს (15 ერთეული), რომელთა ზედაპირზე აღბეჭდილი ფიგურები პირველთან შედარებით გაცილებით მაღალრელიეფურია, მაგრამ კეცით, ზოგიერთი ფორმითაც, რაც მთავარია საერთო ფონით (ლურჯი), ორნამენტული მოტივების და სახეების დეტალებისნაირი საღებავით შემკობის სტილითა და მანერით ერთმანეთის თითქმის იდენტურია? ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს ან ხელსნობის ერთი ცენტრის პროდუქციასთან, ანდა ტრადიციის გაგრძელებასთან, რომელიც XVIII ს. დაიწყო და XIX ს-შიც გაგრძელდა. ამას ადასტურებს ა.ლეინის, ა.ფოუპისა და ს.მასლენიცინას მიერ აღწერილი XIX ს. შორენკეცების დეკორი, რომელიც ზოგ შემთხვევაში საკვლევი შორენკეცების ჭრილს იმეორებს. წარსულისადმი მიბაძვით დამზადებული კერამიკის წარმოებამ ირანში აყვავებას ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით მიაღწია. სუვენირების სახით აქ ნაირი ჯამ-ჭურჭელი და შორენკეცი მზადდებოდა. ამ სახის კერამიკის დამზადებით 1869-90 წწ. სახელი გაითქვა თეირანის სახელოსნოებმა[19]. თეირანის სუვენირული კერამიკის სტილის თავისებურებანი ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცული კოლექციების შესწავლითაც ვლინდება. შორენკეცებსა და ლარნაკებზე ჩვენ ვხვდებით სეფიანთა ტანსაცმელსა და თავსაბურავებში გამოწყობილ გოგო-ბიჭებს, რითაც ირანელი ხელსნები ევროპელთა თვალში წარსული დიდების გაცოცხლებას ცდილობდნენ.

---

17 A.L a n e, Later islamis pottery, p. 191.
18 A.L a n e, Later islamic pottery, p.171.
19 A.L a n e, Later islamic pottery, p.86.

დასასრულ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კერამიკის ფონდში დაცული შორენკეცები მიეკუთვნებიან ირანული მეთუნეობის იმ ნიმუშებს, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულიად არ განიცდიან ჩინური ფაიფურის გავლენას, რაც ასე ნიშანდობლივია XVI-XIX სს. ირანული კერამიკისათვის.

ლუსტროვანი კერამიკა

როგორც ცნობილია, XI-XIII სს. ირანულმა კერამიკამ მსოფლიო აღიარებას სწორედ ლუსტროვანი (ვარაყიანი) ფაიანსის წარმოებით მიაღწია. ლუსტრით მოხატვის ტექნიკა გულისხმობს მოჭიქულ და გამომწვარ ნაწარმზე ჭიქურზე დადატანილი ორნამენტის ნაირი ფერის საღებავით მოხატვას, რომლის შემადგენლობაში შედის ბაქმაზსა და ძმარში გახსნილი ყვითელი ან წითელი დარიშხანი, ვერცხლი, ოქრო, მარკაზიტი (პირიტი), ნიტროლი და სპილენძი[20]. XIII ს. ცნობილი სპარსელი მეთუნის აბულ-ყასიმ-აბდალა-იბნ-აღი-მუჰამედ-იბნ-აბუ-თაჰირის ცნობით, ლუსტრით მოხატული ნივთი თავსდება თიხის ყუთში და შემდეგ გამოიწვება აღმდგენელი/ცეცხლით (კვამლით). ნაზავში ნახშირორჟანგის შეღწევით ლითონის ჟანგები აღსდგება ქვეჟანგად, ეს უკანასკნელი კი ლითონებად, რაც ნაირ ელფერს იძლევა.

ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში ლუსტროვანი ფაიანსი წარმოდგენილია სანელსაცხებლების, ყალიონის ჭურჭლის, დეკორატიული ვაზებისა და ლუსტრისდამაგვარი საღებავით მოხატული ჯამის სახით. სულ 17 ერთეული. ლუსტრის ფერის მიხედვით, შეიძლება გავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: 1. თეთრ და ნაცრისფერ ფონზე ყავისფრად და მწვანედ მოხატული, 2. მუქ ლურჯ ფონზე ყავისფრად შემკული. მათი კეცი სქელია, უხეშია და ნასვრეტოვანი; ასეთი ფაიანსის სიმტკიცის კოეფიციენტი დაბალია, რაც ასე დამახასიათებელია XVIII-XIX სს. ლუსტროვანი ნაწარმისათვის. დეკორის მიხედვით მოწმდება, რომ ზოგიერთი მათგანი სეფიანთა ხანის ლუსტროვანი კერამიკის ჭრელს იმეორებს. ამის ნათელ ნიმუშს წარმოადგენს კოლ. №14-09/431 სანელსაცხებლე. იგი შემკულია პარკული მოტივებით, სადაც ნაზად დააბიჯებს ფარშევანგი და ხოხობი. კოლ. №107-15/3 ჯამის ძირს შიგნიდან ამშვენებს მუხლებზე დაჩოქილი ყმაწვილის ფიგურა, რომელიც სეფიანურ სამოსელშია გამოწყობილი; ცალ ხელში ჯამი უჭირავს, მეორეში კი ლარნაკი. გარედან პირზე შემოვლებულია არაბული წარწერა. ჯამის ჭრელი XVI-XVII სს. ირანული მინიატურის აშკარა გავლენითაა აგებული.

საკვლევი ჯამის ჭრელიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამოსელი, რომელიც ყავისფერი წინწკლებით არის მოხატული სამ, ოთხ ან მეტ მარცვლად დაჯგუფული. ორნამენტის ეს სახე გვხვდება XI-XIII სს. ირანულ, მესოპოტამიურ, ეგვიპტურ, ბიზანტიურ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ მოჭიქულ კერამიკაზე. იგი ამშვენებს როგორც ადამიანთა სამოსს, ისე ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებას.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ საბჭოთა და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში მის წარმოშობაზე არაფერია ნათქვამი. ამან გაზარდა ჩვენი ინტერესი მისი შესწავლისადმი. ჩვენი აზრით, ორნამენტის ეს სახე თავს პირველად იჩენს სასანურ ირანში. ცნობილია, რომ სასანიანთა შაჰები და დიდებულები თავიანთი სამოსელისა და თავსაბურავის დასამშვენებლად იყენებდნენ სამ ან ოთხ ცალად დაჯგუფებულ ძვირფას თვლებს. მესამე საუკუნის ვერცხლის სასანურ თასზე გამოსახულ პიტიახშ პაპაკის თავსაბურავი და სამოსელი სამ ცალად დაჯგუფული ძვირფასი ქვებითაა მოოჭვილი. როგორც ჩანს, არაბების მიერ სასანური ირანის დაპყრობის მერე შემკობის ამ წესმა სამოსიდან კერამი-

---

20 N. R i t t e r, J.R u s k a, F.S a r e, R.W i n d e r l i c h, Orientalische Steinbücher und Persische Fayensetechnik, Istanbul Mitelungen herausgegeben von der Alteilund Istanbul des archeologischen Institutes des Deutchen Reiches. Istanbul, 1935, Heft 9, p. 41.

კაში გადაინაცვლა. და მთელ ისლამურ მეთუნეობას მოედო, საიდანაც შემდგ ქრისტიანულ სამყაროშიც შეაღწია. ამას ადასტურებს შუა საუკუნეების ქრისტიანული (ბიზანტია, საქართველო, სომხეთი), ისლამური მეთუნეობის ნიმუშების ურთიერთშედარება. კვლევის შედეგად ისიც დადგინდა, რომ ისლამურ კერამიკაში ხსენებული ორნამენტის გავრცელების უკიდურესი ზღვარია XVIII საუკუნე. ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნიდან იგი იშვიათად გვხვდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი საკვლევი ჭურჭლები გარეგანი ფორმით იჩენენ მსგავსებას XVI-XVII ს. ირანულ ლუსტროვან ნიმუშებთან. ამის ნათელი დადასტურებაა კოლ. №98-II/3 დეკორატიული ღარნაკი, რომელიც XVII ს. ირანში გავრცელებული ა.ფოუპის მიერ გამოქვეყნებული, ე.წ. „ხელის საკურთხევლის"[21] ფორმა-მოყვანილობას უნდა იმეორებდეს. მათი შეპირისპირება გვაფიქრებინებს, რომ XVIII ს-ის ირანელ ხელოსანს „ხელის საკურთხევლისათვის" ყელის დაგრძელებით და პირის შევიწროებით ღარნაკის სახე მიუნიჭებია, ამით მან თავი დააღწია ზუსტ იმიტაციას და ამასთანავე შექმნა ახალი დანიშნულების ჭურჭელი ხსენებული ვაზის სახით.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ ჭურჭელთა ერთი ნაწილი (4 ღარნაკი), რომლებიც მუქ ლურჯ ფონზე ყავისფერი ლუსტრითაა მოხატული, ისფაჰანელი მეთუნეების ნახელავს წარმოადგენს. რაც შეეხება ღარნაკებისა და სანელსაცხებლების იმ ნაწილის, რომლებიც თეთრ და ნაცრისფერ ფონზე შემკულია მწვანე და მუქი ყავისფერი ლუსტრით, ქ. ქაშანში უნდა იყოს დამზადებული; მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფორმით, ზოგ შემთხვევაში დეკორითაც, ანალოგს იჩენენ ზემოთ ნასესხებ ისფაჰანურ ნიმუშებთან. არაა გამორიცხული, რომ ისფაჰანელ ხელოსნებს თავიანთი ნაწარმი ქაშანელი ოსტატების ნახელავის მიბაძვით ეკეთებინათ, რადგან პირველი უკანასკნელს მუდამ ჩამორჩებოდა ლუსტროვანი ფაიანსის წარმოებაში. ამის ნათელი დადასტურებაა კერამიკის ფონდში დაცულ ისფაჰანური წარმოშობის (კოლ. №88-II/2) ღარნაკის ქაშანურ ვაზასთან (კოლ. №I-26/28) შედარება. ორივე ვაზა დამზადებულია მყარ ნახევარფაიანსისაგან. აქვთ მაღალი ყელი, მრგვალი და დაბალი ქუსლი. ქაშანურ ვაზას, ისფაჰანურისაგან განსხვავებით, ყელზე ზემოთ შემოსდევს ამობურცული რგოლი, რაც ხელს უწყობს მათ გამიჯვნას.

ემთხვევა მათი დეკორის თემა. მუცლის არეში მცენარული მოტივების ფონზე შველი და ვარხვია გამოსახული, ოღონდ განსხვავებულ პოზაში. ქაშანური ვაზის დეკორი უფრო მდიდარია და მხატვრულადაც სრულყოფილი, ვიდრე ისფაჰანურის. ქაშანურ ვაზას თეთრ ფონზე მწვანე ლუსტრი ამშვენებს, ნაირი ელფერით, ისფაჰანურს კი მუქ ლურჯ კეცზე ყავისფერი ლუსტრი ყოველგვარი ელფერის გარეშე. მასზე აღბეჭდილი ორნამენტული მოტივები და ლუსტრი უხეშადაა დატანილი და დაფარულია ნაღვენთებით. ყოველივე ამის შემდეგ, განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ერთ საამქროში, უფრო მეტიც, ერთი და იგივე ხელოსნის მიერაა დამზადებული?

აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს უხეირო იმიტაციასთან, ხელოსნობის ორი სხვადასხვა პუნქტის ნაწარმთან.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული ჭურჭლების უმრავლესობა აშკარა ნათესაობას იჩენს ერმიტაჟში გამოფენილი XVIII ს. ირანულ ანალოგიურ ნაწარმთან, რაც უფლებას გვაძლევს მათი იმავე დროით დათარიღებისათვის.

დასასრულს, გვსურს შევეხოთ კერამიკის ფონდში დაცული, ჩვენგან შესწავლილი ყველა ჭურჭლის ფუნქცია-დანიშნულებას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა ხასიათდება მაჰმადიანურ სამყაროში გავრცელებული მეთუნეობის ნიმუშებისათვის ნიშანდობლივი ორმაგი ფუნქციით, რაც მათ უტილიტარულ და თვალსატკბობ ნივთებად გამოყენებას გულისხმობს.

---

21 A. P o p e, A Survey, p.712.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г.Г.Квирквелия

ИРАНСКАЯ КЕРАМИКА ХУIII ВЕКА
(по материалам Гос.мезея Грузии)

Р Е З Ю М Е

В фонде керамики Отдела этнографии Гос.музея Грузии хранятся замечательные образцы иранского гончарного производства позднефеодального периода: фаянсовые чаши, миски, тарелки, блюдца, и т.д.

Настоящая статья посвящена научному изучению этой коллекции. В результате исследования установлено, что в ХУIII веке в Иране были распостранены следующие виды керамики: монохромный, полихромный, расписанный в черный цвет под бирюзовой глазурью, украшенный кобальтом и люстровый фаянс. В труде каждая группа рассмотрена отдельно.

I. М о н о х р о м н а я к е р а м и к а. Для керамики этого вида характерна одноцветная, обычно бирюзового цвета, коричневатая, зеленоватая или белая глазурь. Их декор беден по сравнению с полихромными и люстровыми изделиями. Зато их внешняя форма значительно выразительна. По мнению исследователей монохромная керамика возникла в Иране в раннем средневековье под влиянием китайских селадонов, которая достигла своего расцвета в ХУI-ХУIII вв.

2. К е р а м и к а с ч е р н о й р о с п и с ь ю п о д б и р ю з о в о й п о л и в о й. Исследуемые образцы этого типа фаянса представлены в виде чаш, тарелок и блюд. Они украшены растительными и геометрическими орнаментами. Расписаны черной краской и покрыты бесцветной глазурью. Такого вида керамика возникла в Иране в XII-XIII вв. и достигла ХУIII-XIX вв.

3. К е р а м и к а с к о б а л ь т о в о й р о с п и с ь ю. В фонде керамики Отдела этнографии Гос.музея Грузии образцы этого вида фаянса представлены в большом количестве. В результате исследования установлено, что в ХУIII веке в Иране расписанная кобальтом керамика была широко распространена. Особо выделяется по художественному уровню "сине-белая" керамика. В ХУIII веке расписанная кобальтом керамика в Иране претерпела определенные изменения, хотя она развивалась под влиянием фаянса предшествующих веков, особенно в ХУI-ХУII вв. На кобальтовую керамику оказал также большое влияние китайский фарфор.

4. Л ю с т р о в а я к е р а м и к а. В исследуемой коллекции люстровый фаянс представлен в виде декоративных ваз, кальянов, сосудов для благовоний и т.д. По цветам люстра они делятся на две группы: I. Расписанные коричневым и зеленым цветом на белом и сером фоне. 2. Украшенные коричневым люстром на темно-голубом фоне. Черепок таких изделий толстый и пористый.

Из изучения декора люстровой керамики устанавливается, что некоторые из них повторяют украшения люстрового фаянса Сефевидного периода (ХУI-ХУII вв.) Часть исследуемых сосудов, расписанная коричневым люстром на темно-синем фоне, является изделием исфаганских гончаров. Группа же декоративных ваз и сосудов для благовоний, украшенная зеленым и темно-коричневым люстром на белом и сером фоне, изготовлена в Кашане, ибо люстр указанного вида был характерен для этого города еще в XII-XIII вв. и по традиции достиг ХУIII в.

Большинство изученных нами иранских фаянсовых изделий XVIII в. по назначению характеризуется двумя функциями, что подразумевает их использование в утилитарном назначении и для декоративных целей.

Таким образом, изучение иранских фаянсовых изделий, хранящихся в фонде керамики отдела этнографии Гос.музея Грузии, дает нам возможность проследить пути развития и становления иранской керамики XVIII века.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჯიქია

ველურ მცენარეთა და ბოსტნეულის გამოყენება ხალხურ კვებაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

„ადამიანთა მოდგმის ბავშვობის“ (ენგელსი) ხანა ველურ ბალახეულ-ხილთა საკვებად გამოყენებით იწყება – კმაყოფილდებიან პირველ რიგში ნადირობასთან ერთად ბუნებისაგან მზამზარეულად ბოძებული პროდუქტის მითვისებით. „ველურობის დაბალ საფეხურზე ადამიანის საკვებს სხვადასხვა ხეხილი, კაკალი, მცენარის ფესვი წარმოადგენს... შუა საფეხურზე საკვებად იყენებენ აგრეთვე ფქვილის შემცველი მცენარის ფესვებსა და ბოლქვებს“, თვით მისი პროდუქტები კი „უმთავრესად ასეთი მითვისების დამხმარე იარაღს წარმოადგენენ“[1]. არსებობის საშუალებათა მორგანისეული დაყოფითაც პირველმნიშვნელობისანი არიან მცენარეთა ნაყოფი და ძირები[2].

უძველესი წარმოშობის ველურ მცენარეთა სხვადასხვა სახეობა კულტივირებულ საჭმელ პროდუქტების გვერდით დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

ცნობილია, რომ კულტურულ მცენარეთა უმრავლესობა თავის სათავეს იღებს ველური ფლორიდან, რომელიც ამ ჯგუფის მცენარეთა სიის გამდიდრების დაუშრეტელი წყაროა[3]. მაგრამ იქ, სადაც სათანადო პირობები მცირე იყო, ან თითქმის სულ არ არსებობდა, მისი გამოყენების კუთრი წონა დროთა განმავლობაში არ კლებულობდა. ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ მთაში ხილ-ბოსტნეულის შემცველს წარმოადგენდა საჭმელად ვარგისი მთისა და ტყის სხვადასხვა ბალახეული და ხილი. მისი, როგორც საკვების, მნიშვნელობა ბარშიდაც დიდი ჩანს.

ისტორიულად „მხალთა ველისათა სიმრავლე ურიცხვი“ ყოფილა (გ. მერჩულე)[4]. როგორც ვახუშტი გვამცნობს, „ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელნი საზამთროდ საკმარი ბალახნი, მხლად წოდებულნი“[5], გარკვეული ადგილი ჰქონია მას მიჩნეული სასულიერო ცხოვრებაში. ამაზე მეტყველებენ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი, დამყარებული ისტორიულ წყაროებზე[6]. „დაბადებაში“ ხშირად იხსენიება „მხალი“ და „თივა ველისა“[7] საჭმელად.

ველურ მცენარეებს, ანუ „მთის ბალახებს“, ხევში “ხიმხალს“ რომ უწოდებენ და თუშეთში „საწებას“[8], მთიელთა კვების რაციონში დიდი ადგილი ეჭირა. წარმოდგენილი იყო უხვი სახეობებით. „ბალახთ მოღებას“ (შეგროვებას) მხოლოდ ქალები და ბავშვები ეწეოდნენ. ეს საქმიანობა მამაკაცებისათვის სასირცხვო საქმეს წარმოადგენ-

---

1 ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახი, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 27.

2 М о р г а н Л.Г. Древнее общество, Л.1934, с.14.

3 ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 323.

4 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, თბ., 1930, გვ. 146.

5 ვ ა ხ. უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1941, გვ. 30.

6 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., წ. II, თბ., 1935.

7 დაბადება, წიგნი I, ნაწ. I, შესაქმე მოსესი, თავი თ, გვ. 15, თავი გ, გვ. 6.

8 პ. ხ უ ბ უ ტ ი ა, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 144.

და. საზოგადოდ ქალის ღვაწლი საჭმელის მოპოვების საქმეში სწორედ საჭმელ მცენარეთა შეგროვებაში გამოიხატება[9]. აგროვებდნენ სხვადასხვა ადგილებში: ბუჩა, სათოლი, საძოვარი, სახნაური, ღელისპირი, ბოსტანი, მინდორი, ყანა, ყამირი; ძირითადად ივნის-ივლისში.

მიირთმევდნენ ნედლს, მოხარშულს ან მწნილის სახით, სვამდნენ ნაყენს.

ნედლი - ძველ ქართულად „უმგბარი მხალი"[10], ასრულებდა ხილისა და მწვანილის მაგივრობას (მარილმოყრილი ან შეტანებული კერძთან). ზოგი ორმაგი დანიშნულებით - მწვანილად და იმავე დროს სანელებლადაც იხმარებოდა.

მოხარშულს მხალად ან შეჭამადად ამზადებდნენ, დებდნენ კეცეულის, ხინკლის და მხლოვანის გულად.

მწნილს კერძს შეატანდნენ და შიგაც ურთავდნენ. ნაყენი ჩაის მაგივრობას წევდა. შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით დასაყრდენ წყაროს წარმოადგენს აკად. ივ. ჯავახიშვილის შრომები.

საკვლევ რაიონში ველზე მუშაობისას ყოფაში დავამოწმეთ შემდეგი სახის ველური საჭმელი მცენარეები: მასისტარა; ბოლოკა; ჭიმა//ხიფხოლაჲ, მძივანაჲ// ვაციწვერა; მუკუდო; მათუთი; ჯორიკუდაყი; ტყის ნიორა; თხაძუძუაჲ; მოჩიკაჲს ტარა; ხატოტი; მდოგვი; აშყი; სასხეპი; ბოსტანი; გოზინტარა; პიტნა; ქონდარი; წიწმატი; კენკეშაჲ; შუპყაჲ; დუცი//დუსი; დეკა; დეკის ყვავილი; კვლიავა//კვლია; ტუსა; ფხოლითავაჲ; დიყი; დიფჩა/დიყის თესლი/; ხაჭიჭორა//ჩიტის წიწმატა//ხავარტა; მუკავანაჲ//მუკავეღა; ნადირმხალაჲ; ლაგი; აღვაშაჲ; ლახჭიმა//ხოზო; ბარდალა; ძირხვენაჲ//ძირხვნის თავი; ჭერთხალა//წართხალი; დიღხამაჲ; ყროლაჲ; შებუ; ფხიჯაყი; ტიტა//ხოხნოტა; ღოლო; ღანძილი//ბაშო; მარიამძმარა; მამალო; საჯარაჲ; ქვაფირტვაღი; წითელმხალა; ვაშლის სულაყი; ნაცარქათამა; მჭივანაჲ; ზუშანაჲ; ჩადუნაჲ; თათამა; ჭეკარა; წვრილმხალა; ბატის ფეხაჲ; ქვიშამხალა; ყივა; სასუქა; კაწა; საღვიძლაჲ; ერბოვანა; გაბლუარაჲ; ცხენის სახვრემაჲ; ფხოლი; ჩუგუ კიტრა; კიტრა კომოლა//მთის კიტრას ყვავილი; ლახტარა; ვირდუცაჲ; მაყალორძა; კვინჩხაჲ; ბუერაჲ; აკნაკეშა; სურო; კარნუყაჲ; ჭეკუნტელა//ჭეკუსწვერა; ნარაჲ - სამნაირია: ველის, მთის, ყანის; მწყერთ იფქლა; მარიამელა; კიტრი კობალა; ხბოშუბლაჲ; ბაყაყის ფეხი; მაყრანწელაჲ; ჩიტის თოლაჲ; ბალბა; თითმავალა; ღორის ნაწყლა; ჭარხლის ფოთოლი; კანაფა; წენგარა; ნარცეცხლა; საღათა; ოსურმხალა//ჯუნჯრუკი; თიკნიყურაჲ; თეთრმხალა; მოხეური მხალაჲ; ხორცავანაჲ; კომჩხალაჲ; ქართული და ოსური კიტრანა; განადირებული ხახვი, ზოკო - მერცხალიკაყ, მარნაყის, ღურბელაყ, საწვავაყ/თუშეთი/, გულწითელა, წერასწუას/ქამა/, კალმახა/ხის/, ქორა/ფშავი/.

ველურ მცენარეთა ნაირსახეობა დავადასტურეთ ქსნის ხეობაში, ქიზიყში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოსა და სვანეთში, ჩრდილო კავკასიაში - დარგოელებსა და ლაკებში. მდიდარია სხვადასხვა ჯიშის მინდვრის მხალეულით ქართლისა[11] და იმერეთის[12] მინდორ-ველებიც.

მოტანილ დასახელებათაგან უმრავლესობა თავისი ძველი სახელწოდებით შემორჩა ყოფას, რაც კარგად ჩანს ძველ ქართულ სიტყვათა ლექსიკონებიდან (V-XI სს. და გვი-

---

9 Барнетт, А. Род человеческий, М., 1968, с. 164.

10 ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 425.

11 ჯ.სონღულაშვილი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, თბ., 1959, გვ. 117-148; ს.ბედუკიძე, საველე ეთნოგრაფიული მასალა მცხეთის რაიონიდან (ხელნაწერი), 1963.

12 Эристов Р. Очерк Имеретии в сельскохозяйственном отношении. Т., 1876, с. 30.

ანდელი)[13], ვაჟა-ფშაველას თხზულებებიდან[14], ივ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან[15].

უმად საჭმელს შეექცევიან მხოლოდ „გაღვერილს“ (გაფცქვნილს) ან შემდეგ ხელის გულზე გასრესილს. იჭმება ღერო ან ძირი მცენარისა, ზოგისა – ორივე. ულუმად გახვეულს ფივი (ხევს.) ეწოდება.

ჭიმა-ხიფხოლასა და მუავანას ხაჭო-წყალში, ან ხაჭო-შრატში აწებენ და ისე შეექცევიან. თუშეთში „საწებაჲს“ ბალახებია: მიჩიკარარაჲ, ხაპარაჲ, მამალო, დიყი, შუპყაჲ, ჭძივანაჲ, გიერაჲ, სასუქაჲ, ჭეკუნტელა, ნარი, მარიამძმარა, ჯარნუყაჲ. „ამ შეზავებით მცენარე საკმაო გემოს იძლევა“[16] და ისე ყვარებიათ, რომ ზოგჯერ სადილიც აღარ მონდომებიათ[17].

შეჭამანდი უფრო მეტად ჭინჭრისა იცოდნენ და დიდმარხვაში სახმარი კერძი იყო. წყალში „ჩაკაფულ“ (ჩაჭრილ) ჭინჭარს ფქვილს „ჩაუკიდებდნენ“ და უცხიმოდ მოხარშავდნენ. ჭამის დროს პურს „შეასახვდურებდნენ“ (შეატანდნენ).

მხლისათვის გარკვეული სახის ბალახეულს მოხარშავენ, გაწურავენ, „დაკეპავენ“ ვარცლის საფხეკით, „დადალულ“ //მოხრაკულ/ ხახვს, კვერცხს, მარილს გაურევენ და გამდნარ ერბოს მოასხამენ, ზოგჯერ ნივრითაც შეაგემებენ. იჭმება პურთან.

ძველ საქართველოში 9 მხალეული და მისი 18 ჯიშ-სახესხვაობა ყოფილა, რომელთაგან ამიერკავკასიასა და საქართველოში ველურად იზრდება და ამის გამო აღგილობრივ მცენარედ უნდა იყოს მიჩნეული: ღვალო, ისპანახი, ჯიჯილაყი, ბალბა, მუაუნა, დანდური, სატაცური, სვინტრი, არჯაკელი და კომბოსტოს ჯიშთაგან 9 ჯიშ-სახესხვაობა[18].

მხლოვანისა და ხინკლისათვის წვრილად დაჭრილს მარილს დააყრიან, ხელით გაზელენ და გაწურავენ. ამის შემდეგ ერბოს, ხაჭოსა და ზოგან ახალ „შეწურულ“ ყველს ერთურთში აურევენ და გახვევენ „პურის ქერქში“ გამოსაცხობ-მოსახარშად. ჭამის წინ მხლოვანას „გასერავენ“ და გულში ერბოს ჩაუდებენ. ყველაზე მეტი ერბო მჭივანის მხლოვანას ჭირდება. მთიულებს ამაზე ლექსიც კი გამოუთქვამთ:

„მჭივანაჲ ჩიოდაო,
ბევრი ერბო მშიოდაო,
დიასახლისს რო შავხედე,
ცრემლი ჩამასდიოდაო“[19].

მთხრობელთა დაკვირვებით, ყველაზე „მსუქანია“ ბალბა და ამიტომ ერბოც ნაკლები უნდა. „რო გასრისო, ხელს პოხავსო“.

მწნილად დებენ („ჩააძმობენ“) მუაველას, ჭერთხალას, სასხეპას, ტყის ნიორას, შებუს, დიყს, სასუქაჲს, ჭიმას, გიერაჲს, წვერაკას[20]. ხმარობენ ზაფხულში და საზამთროდაც ინახავენ.

სამწნილე მცენარეს გარჩეულს კონებად შეკრავენ, ჩააწყობენ კასრებში და „თავზე რო უვლიდეს, იმდენ წყალს დაუყენებენ“. ინახება „მეორედ მოსვლამდის“.

მუაველას, გემოსთვის, ხარშვისას კერძშიაც ჩააყოლებენ. შებუს ზამთარში ხინკალ-კეცეულის ხაჭო-ყველის, ხორცის, „კარტოხაჲს“ საგულეში გასარევად ხმარობენ. „ყველაფერს შეიხდენს, რაც არ უნდა შეურიო“. განსაკუთრებით საამოა არყის სმაში და უფრო მეტად მამაკაცები ეტანებიან.

---

13 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. სულხან-საბა ორბელიანი (ქართული ლექსიკონი), 1928; რაფ. ე რ ი ს თ ა ვ ი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან, თბ., 1884.

14 ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., სრული კრებული, თბ., 1961.

15 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ტ. II.

16 გ. თ ე დ ო რ ა ძ ე, 5 წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1930, გვ. 30.

17 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა; ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 58.

18 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., წ. II, გვ. 283.

19 ლ. კ ა ი შ ა უ რ ი, მთიულეთის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 92.

20 იქვე, გვ. 118.

საზამთროდ ინახავენ ღოლოს, კვლიავს, ჭეკარაჲ//საგოგაჲს, ჭარხლის ფოთოლს, ზოკოს, პიტნას, ქონდარს, სასუქას, გომატს, ვაშლის სულაყს, კარნუხაჲს, საღვიძოაჲს, კვინჩხაჲს, სვინტრს, ბუერას. ახმობენ სახლში, „კუდიებად" დაწნულს. „ზეზეზე ფიცხდება და დაიფშვნება, უმზეოდ ნელ-გრილად შრება და კარგად ინახება. კერის თავზე დაკიდება არ შეიძლება, შებოლდება და დამწარდება". თუში საზამთროდ გამხმარ ბალახეულს „ჩავეს" უწოდებს და იმის მიხედვით, თუ რის კერძს დაამზადებს, ჩავესაც იმისი სახელი მიეცემა: მაგ., ღოლოს ჩავე, ბუერაჲს ჩავე და სხვ. ზოკოს მზეზე აშრობენ. ზამთარში ხმარების წინ, წყალში დააღობენ, იციან ხინკალში. კვლიავსა და ქონდარს ახმობენ სანელებლად, უფრო მეტად ხორციანი კერძებისათვის.

საქართველოში მარილის შემდეგ, არც ერთი სანელებელი არ ყოფილა და არ არის ისე გავრცელებული, როგორც -ბარში კამა და მთაში კვლიავი. მათ თითქმის ყველანაირი კერძის საკმაზად ხმარობენ. საინტერესოა, რომ კვლიავი (Kammon), კამასა და ქინძთან ერთად, სანელებელი ყოფილა სირია-პალესტინაში, რკინის ხანაში[21].

საყურადღებოა, რომ ხევსურეთში დავამოწმეთ წერთხალას, ხოხნუტაჲს, კოკორაჲს, მოჩიკას ფქვილის სახით შენახვა საზამთროდ. გამხმარს „დააფქვილებდნენ" ქვით და საჭიროების დროს გაურევდნენ პურში ან მოხარშავდნენ რძეში. ამ დანიშნულებით მოჩიკას გამოყენება სცოდნიათ აგრეთვე ფშავსა და თუშეთში. ლიტერატურაში აღნიშნულია სვანეთში მცენარეთა ძირების დაფქვა პურში გასარევად[22]. დაღესტანში (ლევაშისა და აკუშოს რაიონებში) დავამოწმეთ მთის მცენარის - მირკელა მურას (ახმობენ) გარევა პურის ცომში. ველური მცენარის ფქვილად გამოყენება ცნობილია აღტაელებშიც. მცენარეს - Čapraй ფქვავდნენ და აცხობდნენ პურის მაგივრად[23]. გარკვეული მცენარეების ქერქის გახმობა, დაფქვა და გუნდებად შენახვა საჭიროებისათვის დადასტურებულია სხვადასხვა ხალხში. ცოდნიათ ქოქოსის კაკლის ნაჭუჭში მოხარშვა ცომის სქელი მასის მიღებამდე, ან პირდაპირ წყალში გახსნა[24].

ველურ მცენარეთა განაწილება არათანაბარი სიუხვით ხასიათდება სხვადასხვა კუთხის ცალკეული სოფლებისათვის. მაგ., აჭეხელებს (ხევს.) მხოლოდ კენკეშასა და წერთხალას მოპოვებაზე მიუწვდებათ ხელი და ისიც ძალიან შორი მთებიდან მოაქვთ. მათი მეზობელი მთიულების სოფლებში - სეთურები, არახვეთი, ჯაღმიანი, კაიშაურები და სხვ. 20-25 სხვადასხვა გემო-თვისების მქონე მცენარეა გამოყენებული საკვებად.

განსაკუთრებით ბევრს ხმარობენ ნედლ „უშრომ" ბალახს არხოტის თემის ხევსურნი, რითაც ხსნიან კიდეც საღი, მაგარი კბილების ქონებას: მხლოვანებისა და მხლის კერძ-შეჭამანდის ნაირსახეობა აღინიშნება ხევსა და მთიულეთ-გუდამაყარში.

საქართველოში საკვებ პროდუქტთა, ამ შემთხვევაში, ველურ მცენარეთა და ხილის, სამკურნალო თვისებების მნიშვნელობისათვის იმთავითვე მიუქცევიათ ყურადღება და ძველ სამედიცინო ლიტერატურაში მას გარკვეული ადგილიც აქვს დათმობილი[25]. ხალხის მეხსიერებას თაობებისათვის გადაუცია ცოდნა, რაც მცენარეთა ორგანიზმზე მოქმედების დაკვირვებით შეუძენია და გამოუყენებია ამა თუ იმ სენის სამკურნალოდ. გარკვეულ მცენარეთა ნაყენი შინაგან სნეულებათა, ზოგიც გარეგან დაავადებათა მოსარჩენად იხმარებოდა[26].

---

21 Clarence Meyer, American Folk Medicine, Neu York, 1975

22 О р б е л и Д., Сванетия, С-П., 1904, с. 36.

23 П о т а п о в, Пища алтайцев, Сб.Музея Антропологии и этнографии, т.XIУ, 1953, с. 65.

24 Т а й л о р Э., Доисторический быт человечества и начало цивилизаций, М., 1868, с. 362.

25 ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი-ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, თბ., 1959.

26 ი ა დ ი გ ა რ დ ა უ დ ი, მედიცინა ძველ საქართველოში, თბ., 1938.

მთხრობელთა გადმოცემით, სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ დუცს, დუდგულის ყოილს, ხაჭიჭორას, ტიტას, კვლიავს, ცხრაძარღვაჲს, სვინტრს, გიეშას, ესკილას, პიტნას, ცაცხვის ყოილს, მძახველს, ბალბას, ჭინჭარს. ზ.ფანასკერტელს სამკურნალო მნიშვნელობის საკვებ მცენარეებში ჩამოთვლილი აქვს, აგრეთვე, მთაშიც გავრცელებული მუავანა და ქონდარი[27].

დუცი ყველგან ბრ იზრდება. ხარობს მთის კალთებზე, ხევებში, ტყის ველებში. ხშირად რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი ერთი ადგილიდან ეზიდებიან მას.მაგ., ხევსურეთის სოფლები - უკანახო, ბუჩუკურთა, ჩირდილი, ლიფოდა, უბანი, დუცით დოშხევიდან მარაგდებიან. იგი ჭიის საწინააღმდეგო წამლადაა მიჩნეული და განსაკუთრებით მწყემსები ეტანებოდნენ[28].

დუდგულის ყოილის ჩაი გაციებულის წამლად ითვლებოდა.

კვლიავი მუცლის ტკივილის დროს უხდება ადამიანს და საქონელს. აწერენ, აგრეთვე, მადის მომგვრელ თვისებებს. უხდება კუჭის ტკივილს და სიცხის დასაწევად ხმარობდნენ. მწყემსების აზრით, ნოყიერი, ცხვრის გამასუქებელი მცენარეა[29].

ხაჭიჭორა სისხლდენის შემწყვეტი საშუალება ყოფილა.

ჭინჭარს სიცხიანი ავადმყოფისათვის ხმარობდნენ, ხოლო მისი თესლი საქართველოში სამკურნალო წამლის შემადგენლობაში შედიოდა მუცლის ტკივილის, თირკმლის, საშვილოსნოდან სისხლის დენის, შარდის გუშტის, კოლიტის და სხვა დაავადებათა დროს[30].

ტიტა მოწამლულის წამლად ითვლებოდა.

სვინტრი დაუეჟილობის ან მოტეხილობის დროს მოსახდენი ყოფილა. დანაყავდნენ ძირებს, რძეში ადუღებდნენ და საფენებს ადებდნენ ავადმყოფს.

მოხარშული გიერის წვენს სვამდნენ ციების წინააღმდეგ. გასრესილს, კოლოს საწინააღმდეგოდ, კანზეც ისვამდნენ.

ცაცხვის ყოილის ჩაის სიცხის დროს გაციებულს და მეძუძურს ასმევდნენ.

მძახველის ნახარში გულის ჩივილების და კეფის ტკივილის დროს ცოდნიათ. ჭამდნენ წითელქარის და ხვეღის წამლად.

ესკილას ჩაი თირკმელებს უხდება. მისი ნაყენით ძველად მოწამლულსა და ქვეწარმავლის ნაკბენს მკურნალობდნენ.

პიტნა საგულე საშუალება იყო მთაში მიჩნეული. იცოდნენ კვლიავისა და პიტნის ერთურთში დაფშვნა და არაყში ჩაყრა. ნაყენს სვამდნენ ტკივილების გასაყუჩებლად. ძველად პიტნა მრავალმხრივ ყოფილა გამოყენებული სამკურნალოდ - საჭმლის მოუნელებლობის, მუცელში „ბალღამის" და „სიგრილის ქარისა", ხვეღების, სისხლ-ძარღვთა შევიწროების, „მსხუილთა წელთა" ტკივილის დროს და სხვ.[31]

ბალბას სამკურნალო მნიშვნელობა ჭრილობის მოშუშებაში გამოიხატებოდა. იგი ამ მიზნით აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში იხმარებოდა. ქართლ-კახეთში ხატოვანი თქმაც არსებობს: „ბალბა არ მომიხარშო", „თავზე ბალბა დავადე". პირველის გადატანითი მნიშვნელობაა ვერას დამაკლებ, ვერას მიზამო, ე.ი. ვერ დამჭრი იარაღით, რომ საჭირო იყოს ჭრილობაზე მოხარშული ბალბის დადებაო, მეორე - გაბრაზებულის დამშვიდება-დაწყნარების აზრით ითქმის, რადგან პირდაპირი მნიშვნელობით იგი ჭრილობის სიმწვავის დასაყუჩებლად და მოსარჩენად გამოიყენებოდა[32].

ველური მცენარეული პროდუქცია სეზონურ საჭმელთა რიგს მიეკუთვნება, თუმცა, როგორც დავინახეთ, რამდენიმე სახეობას საზამთროდაც ინახავენ.საკვებად გამოიყე-

---

27 ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

28 ივ.ბ უ ქ უ რ ა უ ლ ი, ტბათანიდან წოვათამდინ, მოამბე, VIII, თბ., 1897, გვ. 55.

29 ზ.შ ე ნ გ ე ლ ი ა, საქართველოს სამკურნალო მცენარეები, თბ., 1952, გვ. 58.

30 ზ.ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 98, 123.

31 იქვე, გვ. 115, 122-123, 136, 150, 203.

32 თ.ს ა ხ ო კ ი ა,ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი,ტ.I,თბ.,1950.

ნება ძირითადად ივნის-ივლისში, როცა მცენარის ნორჩი ყლორტები განსაკუთრებული გემოვნებით გამოირჩევა. „გაზაფხულზე, როდესაც ზვავები დადნება, ნაზოვრებში კენკეშა და ჩადუნა ამოჩნდება, მოვკრეფ ნორჩ ჩადუნას, მოვიტან ბინაში, მოვსარშავ რძეში. იმაზე გემრიელი განა კიდევ რამ იქნება?" - ოცნებობს მწყემსი ბიბუნა[33]. დაგვიანებით მოკრეფილი „ბალახი" საჭმელად უხეშდება, მწარდება და სასარგებლო თვისებებსაც კარგავს. ზაფხულის პერიოდში ზემოთ განხილული მცენარეული ამდიდრებს ორგანიზმს ბუნებრივი ვიტამინებით.

ხილს მთებსა და ტყეებში აგროვებდნენ. ყოფაში დავამოწმეთ: შალშავი //სლიშავი//ლიშავი/ //მოცვი/; მაჟალო; პანტა; კეწარაული, თეთრწითელა, წყურიელა, ორყუნწაჲ, ცლიკვაჲ, შოთხი, ურძანი, თხილი, მაცხარი, ბალამწარა, მშვლის დედა, თამელი, მარწყვის დედა, სვინტრი, ამპურა, მწორო, მძახველი, შავხილა, წიფელი, ზღმარტლი, კოწახური, კუნელა, პურგულა, უცნობელა, წითელი ხილი, ხახამაჲ, ქუბი, დეკა, ეკალხუნწაჲ, დედუოლა, ზუთუ, ალუდაური, ხურტკბილი, სტომი, ალუდა, ცირცელი, შოთხვი, დეჯოლაჲ, სტობი, ხვაფა, ლუნწი.

შალშავის მოსაკრეფად ქალები და ბავშვები დადიოდნენ მთაში. შეექცეოდნენ ნედლს, ნაყენს ხმარობდნენ ჩაის ნაცვლად, ამზადებდნენ მურაბას, ახმობდნენ საზამთროდ.

ული ჭალის პირებში ქვიშაში იზრდება. ხმარობდნენ მურაბისათვის, განსაკუთრებით კარგი ყოფილა ულის ჩაი.

მარწყვს მთებში კრეფდნენ და საზამთროდ ახმობდნენ.

ტყემლის მუაბეს ამზადებდნენ. მოხარშულს ფიცარზე გასაშრობად გააკრავდნენ ან ქილებში ჩაასხამდნენ. ხმარების დროს კერძებში ჩახარშავდნენ ან შეჭამანდად მოამზადებდნენ და პურჩაყრილს შეექცეოდნენ. ხევსურეთში ტყემალს არ ინახავდნენ, მხოლოდ ხილად შეექცეოდნენ.

ხუნწის მუაბედ მოდუღება იცოდნენ და საზამთროდაც ახმობდნენ მზეზე. მოხარშულს კერძად იყენებდნენ პურჩაყრილს, დამტკბარს ჩაის ნაცვლად სვამდნენ.

მაჟალოსა და პანტას დაჭრილს დაუთლელად „აჩირებდნენ" მზეზე, ან ღუმელში. ზამთარში მოხარშულს პურჩაყრილს კერძად ხმარობდნენ. ისე, ხილად, წინასწარ წყლიან ქვევრში ჩაყრიდნენ დასაღობად. პანტა ოთხი-ხუთი თვე ინახებოდა, მაჟალო - ექვსი-შვიდი თვე; ჩაყრიდნენ გოდრებში ან გაფენდნენ ფარდაგებზე.

მსხალთან დაკავშირებით დავამოწმეთ ხატის აკრძალვის ფაქტები. გამვლელისათვის წმინდა ადგილას მდგარი პანტის ნაყოფის ჭამა იკრძალებოდა. ქსნის ხეობაში (შუა ალევი) წმინდა გიორგის ხატის გარშემო 12-13 ძირი სხვადასხვა ჯიშის მსხალის ხე მდგარა, რომელთა მოკრეფა და მოთუთქვა არ შეიძლებოდა, „ხატი დამიზზდა". გაყიდვის უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ თანდილაშვილები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თუ სხვა ხილისა და ბალახეულის შეგროვებას მხოლოდ ქალები და ბავშვები მისდევდნენ, პანტის შესაგროვებლად ჭალის პირებში და ჯვარ-ხატების ახლომახლო მხოლოდ მამაკაცები, უმეტესად ახალგაზრდები დადიოდნენ. ცხადია, ქალის ამ საქმისაგან ჩამოშორება, ხატის „შიშით" იყო გამოწვეული. საქმე ის არის, რომ ეთნოგრაფიულ ყოფაში „მსხლის ხე" წმინდა ხედ იყო მიჩნეული (ჩრდილო კავკასია)[34] და თუ „წმინდა ადგილებში" იდგა, ზოგიერთ შემთხვევაში, მის ძირში „ნიშნებიც" იყო მოწყობილი და ხეზე ჯვარიც ყოფილა ხოლმე ამოკვეთილი (თეთრი წყაროს რაიონი, სოფ. პანტიანი)[35].

---

33 ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, პატარა მწყემსის ფიქრები, თხზ., ტ.III, თბ., 1961, გვ. 31.

34 Ф.Д ю б у а де М о н п е р е. Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937, с. 55.

35 დ.პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1962, გვ. 124.

პანტას სამკურნალო მნიშვნელობაც ქონია: ხმარობდნენ ბავშვებისათვის, კუჭის აშლილობის დროს. საქართველოში არსებული წესის მიხედვით, „დედოფალს“ მზითევში სხვა ნივთებთან ერთად „ნეფის“ ოჯახში პანტის ჩირიც მიქონდა თურმე: „თუ მეფე მუცელში გაიხსნას, უებარი წამალიაო“ (ი.გრიშაშვილი)[36].

შვინდი მთიულეთის სოფლებში ანანურის მხრიდან (პავლეური) ამოქონდათ. ზამთრისათვის გასაშრობად წამოდუღებულს გაფენდნენ მზეზე. შვინდის შეჭამანდი მთელს ქსნის ხეობაში გავრცელებული ძველისძველი კერძია. გამხმარ შვინდს ჩაყრიდნენ ადუღებულ წყალში, მოხარშულს გაწურავდნენ და გახეხავდნენ. შეგრილებულ ნახარშს ექვილს მოუკიდებდნენ, რომ არ „აიმურკლოს“//„აიკორტნოს“ და კვლავ შემოდგამდნენ ცეცხლზე. ჩაყრიდნენ დანაყილ ნიგოზს, ნიორს, ხელმეორედ ადუღებდნენ. გადმოდგმის წინ მარილით შეაგემებდნენ. შვინდის შეჭამანდი გარდა იმისა, რომ სასიამოვნო საჭმელია, სამკურნალო მნიშვნელობაც ქონია. ხალხის დაკვირვებით, უხდება მუცლის ტკივილსა და კუჭის აშლილობის დროს მოსახდენია.

ესკალას – მწიფეს ხილად შეექცეოდნენ და მუბვეს ხარშავდნენ. შესანახად ქოთნებში ასხამდნენ. ნაყენის სამკურნალო თვისებებზე ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

შავესკალა ჩაის მაგივრობას წევდა. ხმარობდნენ მუცლის ტკივილის საწინააღმდეგოდ.

თხილის მზეზე გახმობა, ან ლუმელში გაშრობა იცოდნენ.

კოწახური ძალიან სასარგებლოდ ითვლებოდა. ჭამდნენ უმს, ახმობდნენ, ამზადებდნენ ბაქმაზს[37], ინახავდნენ მარილწყალში. ხმარობდნენ კერძებში, ამზადებდნენ კისელს. თირკმელების წამალია. ძირების ნახარშს სიყვითლის, ღვიძლისა და ნაღვლის დაავადებების დროს სვამდნენ.

ამპურას სასარგებლო თვისებებზე ხევსურული ხალხური ლექსი გვამცნობს:

„დაწყევლილმა ხუთკურამა,
ხუთნი შვილნი დამიხოცნა,
ბეწიკუამა ამპურამა,
ერთაჲ იქაც მამირჩინა“.

ხილის კრეფა სასიამოვნო პროცესს წარმოადგენდა, თუმცა მოსაპოვებლად, ხშირად, შორსა და უვალ ადგილებში უხდებოდათ წასვლა. მთიელებმა კარგად იცოდნენ, რომელი მთა ან ტყე იყო ამა თუ იმ სოფლისათვის „ხილით მდიდარი“. მაგ., ხევსურეთში სოფ. ჩირდილის ბავშვები ხილის საკრეფად ივლის-აგვისტოში ახლომახლო მთებს შეესეოდნენ. ესენია: ლეკიანა, ღელის კარი, ნახიზნარი, გალაუგი, საჯორობო, ხახისთავი, საზვინია, აპარეკათ სახლა, საქუხარა, სადათვია, მუჯახევა, საღებიათ კლდე, ჩალის ძირი, ფიცართ ბოლო, სახარავნია.

გუდამაყრის (მაქართა), მთიულეთის (არახვეთი, მღვეთა, ფასანაური) და ფშავის (კაწალხევი, მაღარო, ხილიანა) ქვემო სოფლებში აქა-იქ ნამყენი ხილიც ქონიათ ეზო-ბაღებში: მსხალი, ვაშლი-კიტრანა და შაფრანი, ტყემალი, ქლიავი, ჭანჭური, ბალი, კაკალი, ლოღნაშო.

ვაშლს ცოცხლად ინახავდნენ, ან ხარშავდნენ მუბვედ.

მსხლისა ჩირი იცოდნენ „ღარადელად“ ასხმული. ახმობდნენ მზეზე ან ფურნეში.

ქლიავსა და ლოღნაშოს მუბვედ ამზადებდნენ. ცხავში გახეხილს ფიცარზე გააკრავდნენ გასახმობად, „აყრილი-ტყლაპია“. გემოვნებისათვის ლობიოს კერძში ხორც-წვენში და ფქვილისწყლის შეჭამადში შეურევდნენ.

კაკალი შედარებით ბევრი ყოფილა ფშავში. შესანახად გაახმობდნენ და „დაჲნიგვზავდნენ“ (გაარჩევდნენ). იცოდნენ შეჭამანდი-ათთანა. დარჩეულ ნიგოზს ნიორ-

---

36 ო.სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

37 ბაქმაზი-თურქული pekmer -ხარშვით დასაქმებული ყურძნის წვენი. შდრ. კვაწარახი. იხ. Турецко-русский словарь, сост. Д.А.Магазаних, М., 1931, с. 834.

პანტას სამკურნალო მნიშვნელობაც ქონია: ხმარობდნენ ბავშვებისათვის, კუჭის აშლილობის დროს. საქართველოში არსებული წესის მიხედვით, „დედოფალს“ მზითევში სხვა ნივთებთან ერთად „ნეფის“ ოჯახში პანტის ჩირიც მიქონდა თურმე. „თუ შეფე მუცელში გაიხსნას, უებარი წამალიაო“ (ი.გრიშაშვილი)[36].

შვინდი მთიულეთის სოფლებში ანანურის მხრიდან (პავლეური) ამოქონდათ. ზამთრისათვის გასაშრობად წამოდუღებულს გაფენდნენ მზეზე. შვინდის შეჭამანდი მთელს ქსნის ხეობაში გავრცელებული ძველისძველი კერძია. გამხმარ შვინდს ჩაყრიდნენ ადუღებულ წყალში, მოხარშულს გაწურავდნენ და გახეხავდნენ. შეგრილებულ ნახარშს ექვილს მოუკიდებდნენ, რომ არ „აიმურკლოს“//„აიკორტნოს“ და კვლავ შემოდგამდნენ ცეცხლზე. ჩაყრიდნენ დანაყილ ნიგოზს, ნიორს, ხელმეორედ ადუღებდნენ. გადმოდგმის წინ მარილით შეაგემებდნენ. შვინდის შეჭამანდი გარდა იმისა, რომ სასიამოვნო საჭმელია, სამკურნალო მნიშვნელობაც ქონია. ხალხის დაკვირვებით, უხდება მუცლის ტკივილსა და კუჭის აშლილობის დროს მოსახდენია.

ესკალას - მწიფეს ხილად შეექცეოდნენ და მუბავეს ხარშავდნენ. შესანახად ქოთნებში ასხამდნენ. ნაყენის სამკურნალო თვისებებზე ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

შაესკალა ჩაის მაგივრობას წევდა. ხმარობდნენ მუცლის ტკივილის საწინააღმდეგოდ.

თხილის მზეზე გახმობა, ან ღუმელში გაშრობა იცოდნენ.

კოწახური ძალიან სასარგებლოდ ითვლებოდა. ჭამდნენ უმს, ახმობდნენ, ამზადებდნენ ბაქმაზს[37], ინახავდნენ მარილწყალში. ხმარობდნენ კერძებში, ამზადებდნენ კისელს. თირკმელების წამალია. ძირების ნახარშს სიყვითლის, ღვიძლისა და ნაღვლის დაავადებების დროს სვამდნენ.

ამპურას სასარგებლო თვისებებზე ხევსურული ხალხური ლექსი გვამცნობს:

„დაწყევლილმა ხუთკურამა,
ხუთნი შვილნი დამიხოცნა,
ბეწიკუამა ამპურამა,
ერთაჲ იქაც მამირჩინა“.

ხილის კრეფა სასიამოვნო პროცესს წარმოადგენდა, თუმცა მოსაპოვებლად, ხშირად, შორსა და უვალ ადგილებში უხდებოდათ წასვლა. მთიელებმა კარგად იცოდნენ, რომელი მთა ან ტყე იყო ამა თუ იმ სოფლისათვის „ხილით მდიდარი“. მაგ., ხევსურეთში სოფ. ჩირდილის ბავშვები ხილის საკრეფად ივლის-აგვისტოში ახლომახლო მთებს შეესეოდნენ. ესენია: ლეკიანა, ღელის კარი, ნახიზნარი, გალაუგი, საჯორობო, ხახისთავი, საზვინია, აპარეკათ სახლა, საქუხარა, სადათვია, მუჯახევა, საღებიათ კლდე, ჩალის ძირი, ფიცართ ბოლო, სახარავნია.

გუდამაყრის (მაქართა), მთიულეთის (არახვეთი, მლეთა, ფასანაური) და ფშავის (კაწალხევი, მაღარო, ხილიანა) ქვემო სოფლებში აქა-იქ ნამყენი ხილიც ქონიათ ეზო-ბაღებში: მსხალი, ვაშლი-კიტრანა და შაფრანი, ტყემალი, ქლიავი, ჭანჭური, ბალი, კაკალი, ლოღნაშო.

ვაშლს ცოცხლად ინახავდნენ, ან ხარშავდნენ მუბავედ.

მსხლისა ჩირი იცოდნენ „ღარადელად“ ასხმული. ახმობდნენ მზეზე ან ფურნეში.

ქლიავსა და ლოღნაშოს მუბავედ ამზადებდნენ. ცხავში გახეხილს ფიცარზე გაკრავდნენ გასახმობად, „აყრილი-ტყლაპია“. გემოვნებისათვის ლობიოს კერძში ხორც-წვენში და ფქვილისწყლის შეჭამადში შეურევდნენ.

კაკალი შედარებით ბევრი ყოფილა ფშავში. შესანახად გაახმობდნენ და „დაჲნიგვზავდნენ“ (გაარჩევდნენ). იცოდნენ შეჭამანდი-ათთანა. დარჩეულ ნიგოზს ნიორ-

---

36 ი.სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

37 ბაქმაზი-თურქული pekmer -ხარშვით დასაქმებული ყურძნის წვენი. შდრ. კვაწარახი. იხ. Турецко-русский словарь, сост. Д.А. Магазаних, М., 1931, с. 834.

თან ერთად დანაყავდნენ და ადულებულ წყალში გახსნიდნენ; ზალადანაყილ ნიგოზს მარილს დააყრიდნენ და მშრალად ბყოლებდნენ პურს; საზამთროდ ინახება – გამხმარი ან დანაყილი მარილით. საჭიროების დროს გაურევდნენ კერძებში (ლობიო, ბიბილეთა, ჩაწებდნენ ატრიას დანაყილ ნიგოზში და სხვ.).

ნიგოზი. 11. კაკალი მთელს საქართველოში მრავალგვარად იყო და არის გავრცელებული; შეფარდებული კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოსთან მეტ-ნაკლებად დიდი რაოდენობით ცხარე საწებელას, კერძის და ტკბილეულის სახით წარმოგვიდგება; ხილად, ტკბილეულში – მურაბა, გოზინაყი, ქადა, ჩურჩხელა; კერძებში – საცივი, ფაფა, ხინკალი და სხვ.; სხვადასხვა მხალეულის სანელად; საწებელად – ბაჟა, ზალა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კაკლის მურაბა, როგორც ძველისძველი ტკბილეული და დამახასიათებელი მხოლოდ ქართული მენიუსათვის.

ფშავში (სოფ. მიგრიაულთა) ხილი თუ ნაყოფს არ მოისხამდა, „დიდხუთშაბათს“ ოჯახის უფროსი მამაკაცი ნაჯახით ხელში ხესთან მისული მუქარით იტყოდა – „უნდა მოვჭრაო“, მეორე შესძახებდა – „ნუ მოსჭრი, დაისხამსო“. პირველი არ ცხრებოდა, იწევდა ხისკენ, დაიჭერდნენ და ასე რამდენიმეჯერ მეორდებოდა. ბოლოს ცოტათი მაინც დაკრავდა ხეს ნაჯახს, რის შემდეგ მას საბოლოოდ მოაშორებდნენ ხეს. ხალხის რწმენით, აღნიშნული რიტუალის შესრულების შემდეგ, ხეს ნაყოფი უნდა მოეცა.

საქართველოს ბარის სოფლებში ხილის სიჭრელე და სიუხვე ზრდის მის, როგორც საკვების მნიშვნელობას.

ბოსტნეული. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ძველად ბოსტნეული (მტილეული) შემდეგ ჯგუფებად იყო დაყოფილი: მწვანილი, „მხალი“, „მდელო“ ანუ „ძირხვნეული“ და ხმილი. ჯ. სონღულაშვილი ბოსტნეულის კულტურებს ბოტანიკური ნიშნების მიხედვით ოთხ ჯგუფად ყოფს: ფოთლოვანი, ნაყოფიანი, ძირხვენები და ბოლქოვანი[38].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მტილეული სულ რამდენიმე სახეობით შემოიფარგლებოდა. კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო მთიელს არ ანებივრებდა ამ მხრივ და თუ მაინც ახერხებდა იგი გამოეტაცა ბუნებისათვის ვარგისი მიწა, გულმოდგინედ უვლიდა და დროულად იცავდა მისი დამუშავება-აღების ყველა წესს.

ბოსტანში ითესებოდა: კომოშტო//კომბოსტო/, კარტოფილი//კარტოხა/, ჭარხალი, ნიორი, ბოლოკი, ლობიო//ღებიო/, ხახვი, ბაღის პიტნა.

კომბოსტო საქართველოში „ყოველთა კომბოსტოთა სახელი და უფროსად თავდახუეულთა“ ყოფილა. ხოლო მისი ერთ-ერთი სახესხვაობა „კალნაბი კომბოსტო ყვავილიანი“[39] წყაროებში უკვე IX საუკუნეში იხსენიება. კომბოსტოს ცხრა ჯიშ-სახესხვაობა მიჩნეულია ადგილობრივ ბოსტნეულად[40]. საქართველოში კომბოსტოსაგან მზადდებოდა და მზადდება ნაირსახის საჭმელები და სხვადასხვანაირი მწნილეული.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში კომბოსტოსაგან მზადდებოდა: შეჭამანდი – კარტოფილი და კომბოსტო ერთად მოხარშული; მოთუთქული ერბოთი; ხორცთან, კარტოფილთან, ჭარხალთან და მწვანილებთან ერთად ჩახარშული. საგულე ხინკლის, ქადა-მხლოვანის. ამ უკანასკნელისათვის მოხარშავდნენ, გაურევდნენ ხაჭო-ერბოს, მარილს, გააზვევდნენ ცომში და გამოაცხობდნენ. ხინკლისთვის ურევდნენ ხორცში, ყველში, ხაჭოში, კარტოფილში. კომოშტოს ხინკალს უწოდებდნენ კომბოსტოს ფოთოლში გახვეულ „დაკბეჭულ“ ხორცს მოხარშულს თავისავე ორთქლში. ახლა ამ კერძს ტოლმას ეძახიან.

საზამთროდ მწნილად დებდნენ ან ორმოებში ყრიდნენ. მწნილისთვის მოთუთქავდნენ, ცივ წყალს გაავლებდნენ, ჩაყრიდნენ კასრებში ან ქვევრებში. მარილს დააყრიდნენ და ჯოხით ჩანაყავდნენ //დაჩეჩქავდნენ, რომ „დაიწეწკოს“. სანელად რაც „შაუხვდებოდათ“ იმას გაურევდნენ: შვინდის მჟავე, წიწაკა, კვლიავა და სხვ. ითესება ივნისში და იჭრება ნოემბერში.

---

38 ჯ. სონღულაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

39 სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

40 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., წ. II, გვ. 104.

ჭარხლის ფოთლებს ზაფხულში იყენებდნენ კერძად და კეცეულ-ხინკლის გულად, აგზადებდნენ ისევე, როგორც კომბოსტოს. „ენკენიის თვეში“ ამოთხრიდნენ ძირებს და ამასაც მწნილად დებდნენ, ნაწილს ორმოებში ყრიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში პურეულის შემდეგ მარცვლეულთა შორის უპირველესი ადგილი ლობიოს უკავია. იგი საქართველოში დაახლოებით XVI ს. მეორე ნახევარში, ან დამლევში უნდა იყოს გაჩენილი. ლობიოს კულტურის შემოტანა-გავრცელება უმთავრესად გურიას ეკუთვნის, დასავლეთ საქართველოში კი ოსმალეთის გზით უნდა იყოს შემოსული[41]. მთიანეთში, მთხრობელთა გადმოცემით, „ლობიო ნელა შემოვიდა“, ადრე თესავდნენ „ცერცვს“ და მისგან ამზადებდნენ შეჭამანდს.

ლობიო ყველგან ვერ ასწრებდა დამწიფებას, „სიცივე აზრობს“. იცოდნენ ლობიოს მოხარშვა „სურსალ“ (მშრალად) და წვნიანად. – წყალში მოხარშულს გაურევდნენ ხახვს, რძეს, თუ ქონდათ, ქინძსა და კამასაც. მიირთმევდნენ პურჩაყრილს. ასევე – ჩუნჩასაც (მწვანე ლობიო), აზავებდნენ ერბოთი და მწვანილით; ფშავში ცოდნიათ ლობიოს შეჭამანდი შეზავებული კვერცხით, ნიგვზითა და ხახვით. კვერცხიანი ლობიოს კერძი მოხსენიებულია „კალმასობაში“: „მოიღეს სადილი და დასხდნენ, და ჩამოარიგეს სანოვაგე და ამასთან ერთის მომცროს ღანგრით ახალი ლობიო ერბოკვერცხითა შემგბარი, და ერთი დიდი ჯამიცა სავსე მაწონი“[42].

ლობიოს საზამთროდ „დაჟალულს“ (დამარცვლულს) მზეზე გაახმობდნენ, რომ „უნდილი“ არ დარჩენილიყო და არ „დაბობოვებულიყო“. ინახავდნენ ქილებში.

ყველაზე დიდი მოთხოვნილება ბოსტნეული კულტურებიდან იყო კარტოფილზე. გ. ჯაღაბაძე მიმოიხილავს მიწათმოქმედების მდგომარეობას XIX ს-ში და მისი აზრით, მთაში მიწათმოქმედების მემინდვრეობის დარგმა ორნაირი დარტყმა განიცადა. ჯერ ერთი, XIX ს-ის მეორე ნახევარში მხარის მოსახლეობა ფართოდ მოეკიდა წვრილფეხა საქონლის მოშენებას, რომელიც ბაზარზეც გადის, მეორე მხრივ, XX ს-ის დასაწყისში კარტოფილმა დაიკავა დიდი ადგილი ნათესი ფართობების რაოდენობაში[43]. ხოლო პირველად საქართველოს მთიანეთი (საკვლევი კუთხეები და სვანეთი) უნდა გასცნობოდა კარტოფილს არა უგვიანეს XVIII ს. 90-იანი წლებისა[44]. ეს კულტურა, როგორც მიჩნეულია სპეციალურ ლიტერატურაში, აღნიშნულ კუთხეებში რუსეთიდან შემოვიდა და შემდეგ ფართოდ გავრცელდა ბარში[45]. სიძველისა და ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა, აგრეთვე, სახელწოდება კარტოხა//კარტოხაჲ//კარტო(აღმოსავლეთ საქართველოს მთა). ამგვარ ცვლილებას ქართული დიალექტები არ იცნობს, იგი დამახასიათებელია რუსული დიალექტებისათვის სხვადასხვა პოზიციაში. რუსული დიალექტის ფორმა – Картоха უშუალოდ მიიღო მთის დიალექტებმა[46].

ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ კარტოფილის გავრცელება ქიზიყში გაცილებით უფრო გვიან უნდა მომხდარიყო, ვიდრე მაგ. ხევსა და ფშავ-ხევსურეთში. მთხრობელთა მახსოვრობაში იგი იმდენად იშვიათი ყოფილა, რომ მაგ., ზემო ბოდბელები (ქიზიყი) მხოლოდ ჭირ-ლხინის სუფრისათვის ყიდულობდნენ, რადგან „სახელი იყო, კარტოფილი რომ ქონდათ სუფრაზე“ (ამოქონდათ სიღნაღიდან ფუთი 6 შაურად).

---

41 ჯ.სონღულაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 31-38.

42 იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, თბ., 1948, გვ. 23.

43 გ.ჯაღაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამიწათმოქმედო იარაღები, საქ.სსრ მეცნ.აკად. მოამბე, ტ.XXII, №1, თბ., 1959, გვ. 108.

44 ივ.ქავთარაძე, ზოგიერთი კულტურული მცენარის დიალექტიკური სახელწოდებანი და მათი მნიშვნელობა, მას.საქ.ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1972, გვ. 333.

45 ნ.ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, ტ. II, თბ., 1913. ივ.ქავთარაძე, დასახ. ნაშრ. Орбели Д., Сванетия, С.-П., 1904.

46 ივ.ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 332.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანის კვებაში კარტოფილს იმდენად დიდი ადგილი დაუჭერია, რომ მისგან დამზადებული კერძები ლიფანაღის დროსაც კი იხმარებოდა (სოფ. მურყმელი).

ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში კარტოფილს ყოველდღიური ხმარებიდან ერთი პროდუქტი არ გაუტოლდება, პურის გარდა.

კარტოფილისაგან ამზადებდნენ ქადა-ხინკალს. ქადისათვის გულში ერბოს ჩადებდნენ. ორივეს ჭამისას ერბოში ამოაწებდნენ; ყველიანი კარტოფილის ქადას ხევში „შამაკრულას" ეძახიან; კარტოხაჯს ფაფა „გაპფურცქვნილი" და გაზელილი კარტოფილია რძეში წამოდუღებული; შეჭამანდი – მოხარშული წყალში ხახვთან ერთად; მოხარშული; შემწვარი ერბოში; „მშრალა შემწვარი //დაკვერილეებული კარტოხაჯ" (ხევსურეთი) ან კანიანად ნაცარში „ჩაცხობილ კარტოხაჯ". კარტოფილი შედიოდა ხორცისაგან და ბოსტნეულისაგან დამზადებულ თითქმის ყველა კომბინირებულ კერძში. იცოდნენ „კარტოხაჯანი პური". მარხვაში – მოხარშულ, გაფცქვნილ-გაზელილს ნიორწყალს დაასხამდნენ, ან „კომოშტოს" გაურევდნენ და უცხიმოდ ქადისკვერს გამოაცხობდნენ. სამარხო იყო ერთმანეთში არეული კარტოფილი და კომბოსტო მუავე კომბოსტოს წვენგადასხმული. შეატანდნენ პურს.

ზამთრისთვის ინახავდნენ ორმოებში ან გოდრებში. ორმოები ყანის პირებზე, სახლის ახლოს ან ზოგჯერ შინაც ჰქონდათ. ერთ ორმოში თუ ოჯახის მოსახმარ კარტოფილს ჩაყრიდნენ, მეორე აუცილებლად სათესლედ იყო გამიზნული. მას გაზაფხულამდე არ მოხსნიდნენ. პირამდე გავსებულ ორმოს ჩაღას, ან ტყის ფოთოლს დააფარებდნენ და ზემოდან მიწას დაყრიდნენ სითბოსთვის. ორმოს ნაკლულს არ დატოვებდნენ, სახლში „დააქუჩებდნენ", ყინვას რომ არ „დაეზარ". იცოდნენ ორმოზე თივის სარის აგებაც. კვებაში იხმარებოდა მაისის ჩათვლით.

ბოლოკს ხევსურეთში ბოსტანს უწოდებენ- მოყავდათ ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობას იძლეოდა ბუნებრივი პირობები. უმად საჭმელია- მარილში ამოწებული; განსაკუთრებით შეატანდნენ ცხიმიან საჭმელებს. ძველადვე შედიოდა სამკურნალო წამლებში[47]. ის, რომ ბოლოკის მოყვანას მთაში დიდი ხნის ისტორია აქვს, მოწმდება, აგრეთვე, საბოლოკე ადგილების არსებობით. გ. ჯაღაბაძეს მოჰყავს თუშეთში სათემო, სასოფლო საბოლოკე ნაკვეთების დამუშავებისა და ბოლოკის მოყვანის წესები. ბოლოკი საერთო დანიშნულებით ითესებოდა და განაწილებაც თანაბრად ხდებოდა[48]. ეთნოგრაფიულ ყოფაში მის მოყვანას განსაკუთრებით ბარში მისდევდნენ[49].

ბაღის პიტნას ხორც-წვენში, ლობიოს კერძსა და ხინკალში ხმარობდნენ გემოვნებისთვის. იცოდნენ საჭამანდიც: „დაკაფულ" პიტნას ფქვილს მოუკიდებდნენ, ერბოს ჩაასხამდნენ და ისე ადუღებდნენ. მთიელები ხახვს მწვანილადაც ხმარობდნენ და კერძის სართავადაც იყო. მწვანე ფოთოლს მთელი ზაფხული ჭამდნენ და აგრეთვე ხინკალში, ხაჭოპურში, ერბო-ყველში, კვერცხ-ერბოში, ხაჭო-ერბოში, ხორც-წვენში, ყაურმაში ხმარობდნენ. იცოდნენ ნიორთან ერთად დანაყილის წყალში გახსნა მოხარშული კარტოფილის ჩასაწებად.

საზოგადოდ ქართველისათვის ხახვი მეტად მნიშვნელოვანი ბოსტნეული იყო. „ნორჩი მწვანე ხახვის ჭამა გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში პურთან და ყველთან ერთად ძალიან გავრცელებული იყო. ზოგჯერ გაჭირვების დროს, ხახვი და პური ერთადერთ საკვებს წარმოადგენდა"[50], რაზედაც ანდაზაც მეტყველებს: „ხახვი და პური, კეთილი გული". ქართლში ხშირი იყო სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე პურ-ღვინოსთან მხოლოდ ხახვი. ამ დროს ხახვს უმს ან შემწვარს ხმარობდნენ. ამ უკანასკნელს ხში-

---

47 ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, დასახ. ნაშრ.; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

48 გ. ჯ ა ღ ა ბ ა ძ ე, მიწათმოქმედება თუშეთში, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, კრ., თბ., 1967, გვ. 16.

49 ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 64-68.

50 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 221.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად „წერეთლურ მწვადსაც“ უწოდებდნენ[51].

ნიორს მთელი წლის განმავლობაში ჭამდნენ. მისგან ამზადებდნენ: შეკამბლი-ადუღებულ წყალში ჩაყრიდნენ დანაყილ ნიორს, ერბოსა და მარილს; ნივრის ფოთლიდ-ნაყილს, წყალში გახსნილს და ფქვილმოკიდებულს გაახვევდნენ ქერქში; საწებელა; მწნილი. ინახავდნენ გაღებად გამშრალს.

ნიორი უძველესი კულტურაა, ერთაირად გავრცელებული მთასა და ბარში და დიდი მნიშვნელობის მქონე. აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ნივრის მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ კაცს ოცი-ოცდაათი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის მეტი რომ არ ქონდა, იქაც ნიორს დათესავდა. ბაღჩაში გამოყოფილ კუთხეს „სანივრეს“ უწოდებდნენ[52]. ტერმინი სანიორე (სვანეთი) ტოპონიმიკამაც შემოინახა. ამასვე ადასტურებს ხალხში გავრცელებული თქმა- „ნივრის ფასად“, ე.ი. ძველად ბოსტნეულთა შორის, ნიორი ყველაზე მეტი მოყავდათ და ყველაზე იაფადაც ფასობდა[53]. როგორც ნიადაგ სახმარი, ძველ ადთქმებშიც იხსენიება ხახვთან ერთად „ვჭამდით პრასასა და ხახუსა და ნიორსა“[54].

ხახვი, ნიორი და ბოლოკი უძველესი ხანიდან მთელს აღმოსავლეთში გავრცელებული ბოსტნეული ყოფილა. ჰეროდოტეს ცნობით, ეგვიპტეში პირამიდების ამგები მუშა-ხელოსნებს საჭმელად იმდენ ბოლოკს, ნიორსა და ხახვს აძლევდნენ, რომ ერთ-ერთის აგებაზე მარტო ამისთვის 1600 ვერცხლის ტალანტი დახარჯულა. ძველი ებრაელებიც ძალიან ეტანებოდნენ ნიორსა და ხახვს[55]. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ისტორიულ პერიოდში ადამიანების შეწირვა ნივრითა და ხახვის ბოლქვებით შეუცვლიათ[56]. საყოველთაოდ იყო ცნობილი მათი სამკურნალო თვისებები. დადასტურებულია, რომ ვიტამინების შემცველობით ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებენ სხვა ბოსტნეულთა შორის[57].

ამ ბოლო 20-30 წლის მანძილზე მთიელთა მცირე ბოსტნები გამდიდრდა (რა თქმა უნდა, სადაც შესაძლებელია) მწვანილ-ბოსტნეულით: სტაფილო, კიტრი, პამიდორი, ქინძი, კამა, წიწმატი, ოხრახუში, ტარხუნა, გოგრა. გოგრისას შეჭამანდს ამზადებდნენ: მოხარშულს შეანღეზენ ერბო-ხახვით და რძით. დანარჩენს შეექცევიან ნედლს ან ხმარობენ კერძებში. სტაფილოს და გოგრას საზამთროდაც ინახავენ.

კვების სფეროში მეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მცენარეული პროდუქტების ღირებულების შეფასება იცვლებოდა. იმ პერიოდში, როცა საკვების განხილვას ენერგეტიკული თვალსაზრისით უდგებოდნენ, მათ როგორც ნაკლებ კალორიულს, დაბალ შეფასებას აძლევდნენ და მხოლოდ საგემოვნო თვისებებს აწერდნენ. დროთა განმავლობაში, ვიტამინების შესახებ სწავლების განვითარებასთან ერთად, მისი მნიშვნელობაც იზრდება. ცნობილია, რომ ველურ მცენარეთა საჭმელად გამოყენებული სახეობანი ბევრ ვიტამინმატარებელს წარმოადგენს. დიდი გავრცელება ჰპოვა ვეგეტარიანულმა საკვებმა. ამ სახის საკვების ისტორია ათასწლიანი სიძველისაა. მისი პირველი მქადაგებლები იყვნენ ბერძენი ფილოსოფოსები, მეცნიერები ისეთი საჭმლისა, რომელიც ნათელ, კარგ განწყობილებებს მოგვრიდა და ხელს არ შეუშლიდა მშვიდ ძილს[58]. ვეგეტარიანობამ მას აქეთ ფართო გავრცელება და პოპულარობა მოიპოვა კონტინენტის ბევრ ქვეყანაში. რუს მეცნიერთა შორის ვეგეტარიანელთა მიმდევარი იყო ა.ბეკეტოვი, რომელმაც მომავალი მხოლოდ მცენარეულ საკვებს უწინასწარმეტყველა, რადგან ხორცეულს ადამიანის პროგრესში არავითარი გავლენა არ მოუხდენია. ა.ბეკეტოვის შემოთავაზებული

---

51 ჯ.სონღულაშვილი, დასახ.ნაშრ., გვ. 74.
52 იქვე, გვ. 76.
53 თ.სახოკია, დასახ. ნაშრ., ტ. II.
54 ი.აბულაძე, დასახ.ნაშრ., გვ. 329.
55 ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 217.
56 მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 185.
57 Ордынский В., Лук и чеснок. М., 1934, с. 3-4.
58 Бюл Е.А., Екисенина Н.И., Пароменова Э.Г., Лукасик И.С., Овощи и плоды в питании человека, М., 1959, с.6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონცეფციის მცდარობა კარგად დაასაბუთა ლენინგრადელმა მეცნიერმა ი. ვოლპერმა[59].

XX საუკუნის დასაწყისში კვების ფიზიოლოგიის წინაშე წინა პლანზე დაფიქრ. ადამიანის საზრდოობის რეფორმის, ბუნებასთან ახლო მყოფ საკვებზე დაბრუნების პრობლემები (ვეგეტარიანული, უმი, დაღერღილი მარცვლის ცომისაგან გამომცხვარი პური).

კვება, რომელიც თითქმის მხოლოდ მცენარეული პროდუქტებისაგან, თუნდაც აკმაყოფილებდეს მოთხოვნილებას, წარმოადგენს არა მარტო მონოტონურ და ერთფეროვან საკვებს, არამედ მას არ შეუძლია უპასუხოს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს. ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენეს სუფთა ვეგეტარიულობის მავნებლობა და შერეული საკვების კეთილმოქმედება ორგანიზმზე[61]. „ახალი მექსიკის პუებლო ინდიელებს, რომელნიც იძულებული არიან თითქმის მარტო მცენარეულობით იკვებონ, უფრო პატარა ტვინი აქვთ, ვიდრე ბარბარისობის დაბალ საფეხურზე მყოფ ინდიელებს, რომელნიც მეტწილად ხორცითა და თევზით საზრდოობენ"[62].

თუმცა სულაც არ იყო საჭირო ექიმის მიერ საკუთარ თავზე ცდის ჩატარება იმის დასადასტურებლად, რომ ერთფეროვანი კვება (მცენარეული, ან ხორციელი და სხვ.) მძიმე ზიანს აყენებს ორგანიზმს, მაგრამ ასეთი ექსპერიმენტი ცნობილია მედიცინის ისტორიაში – ექიმი უილიამ სტარკი თვეების განმავლობაში იკვებებოდა თავისი შეშუშავებული დღის რაციონში შემავალი ერთფეროვანი საკვებით, რასაც შეეწირა კიდეც 29 წლის ასაკში[63].

ამრიგად, ეთნოგრაფიული მასალის შეჯერებამ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურასთან ცხადყო, რომ ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ველურ მცენარეთა როლი, როგორც საკვებისა, დიდი იყო.

დამოწმებულია ყოფაში მოხმარებული ბევრი სახეობა, მათი მოპოვების, დამზადების, მიღება–შენახვის ხალხური წესები. გამოვლინდა ზოგიერთი მათგანის სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება. მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებით დადასტურდა ველური ბალახეულისა და ხილის ნაყენის დამზადება სასმელად, ჩაის სახით, როგორც არა მარტო საბმო და არომატული სასმელი, არამედ როგორც სამკურნალო მნიშვნელობის მქონეც.

უძველესი დროიდან მოყოლებული მცენარეული საკვები საერთოდ და რა თქმა უნდა, ბოსტნეულ–ხილთან ერთად მისი შემცველი „ხიმხალი" და მთის ხილი, როგორც ფართო და მრავალმხრივი კომბინირებული კერძების შემადგენელი და ორგანიზმისათვის ბუნებრივი (უხარშავი) ვიტამინების წყარო, მკურნალობის ეფექტის გაზრდის საშუალებას იძლეოდა. ცხადია, მთის პირობები ვერ შეედრება ბარის ფართო შესაძლებლობებს, სადაც ბოსტანი, ბაღი და ვენახი იძლევიან მრავალგვარ მცენარეულ ვიტამინურ საკვებს. მაგრამ მათთან ერთად „უმგბარ მხალს", „ხმილს", მხალს, „ხიჩხტელს"[64] – თითოეულ მათგანს ადამიანის კვებაში სათანადო ადგილი ჰქონდა დაკავებული. ქართველს გემრიელი ბურისჭამა უმწვანილოდ ვერ წარმოედგინა. იგი სუფრის აუცილებელ კუთვნილებასა და მშვენებას შეადგენდა.

ქართველის კვების რაციონში ამ სახის კერძების შეფარდებით მეტნაკლები რაოდენობით ხმარება, უდავოდ საფუძველია საქართველოში ვიტამინების ნაკლებობით გამოწვეული დაავადებებისა. საინტერესოა, ასევე, რომ თვით ეს დაავადება ამავე მიზეზით სამედიცინო ლიტერატურაში ნაკლებად არის გაშუქებული.

ეთნოგრაფიული მასალის შუქზე ცხადი გახდა მთიელთა ტრადიციული ცოდნა ველურ მცენარეთა დაკვირვება–შერჩევაში, რომელიც გაცილებით მეტ წინდახედულებას მოით–

---

59 В о л ь п е р И.Н., А.Н.Бекетнов о пище и питании. Вопросы питания, №4, М., 1960, с. 73.

60 ჰ. გ ლ ა ზ ე რ ი, დრამატული მედიცინა, თბ., 1964, გვ. 210–212.

61 Наступление на голод, Курьер, июль–август, 1962, с.23, Е.А.Б е ю л და სხვა, დასახ.ნაშრ., გვ. 6.

62 ფრ.ე ნ გ ე ლ ს ი, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

63 ჰ.გ ლ ა ზ ე რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 210–212.

64 ს უ ღ ხ ა ნ–ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 456.

ხოვს შედარებით ხორცეულ საკვებთან. სანამ ასე მრავალნაირი გახდებოდა მცენარეთა სხვადასხვა სახეობების საკვებად გამოყენება, ადამიანს საუკუნეთა მანძილზე დიდი შრომა დასჭირდა, რომ გაერჩია და გამოეყო სასარგებლო, საჭმელად უვარგისი, სამკურნალო და შხამიანი მცენარეები.

რა თქმა უნდა, ველურ მცენარეთა საჭმელად გამოყენების ფაქტს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ვერ ჩავთვლით როგორც ამ კუთხის თავისებურებას, რადგან ბევრი მიზეზის გამო (შიმშილი, სხვა სახის საკვების ნაკლებობა, განვითარების ადრეული საფეხურები და სხვ.) მას ყველა ხალხი იყენებდა და იყენებს. მაგრამ საჭმელ კერძებში გამოყენების თავისებური ხერხები (მხლოვანები, ხინკალი, თხიერი კერძეული და სხვ.) კი შეიძლება ეროვნულ თავისებურებად ჩავთვალოთ.

მცენარეული საკვების სასიცოცხლო მნიშვნელობა არა მარტო მის ვიტამინურ შემცველობაში გამოიხატება, არამედ სხვა ორი მიზეზიც ხდის მას შეუცვლელს. ჯერ ერთი, რომ სხვა საჭმელთან შერევით ანაწევრებს მას და აადვილებს მასში საჭმლის მომნელებელი წვენების შედწევას (მაგარი, მშრალი საჭმელი ძნელად მოსანელებელია); მეორეც ის, რომ მექანიკურად აღიზიანებს ნაწლავის კედლებს, მოქმედებს მასში მყოფი საჭმელის გადაადგილებაზე. საჭმლის მონელების თვალსაზრისით, იგივე მნიშვნელობის შემცველია მცენარეულ-ბალახეულის ის სახეობანიც (კიტრი, სალათი, ისპანახი და სხვ.), რომლებსაც ორგანიზმი მოუნელებლად იშორებს[65].

ადამიანი ჭამს არა მარტო იმისათვის, რომ დანაყრდეს, არამედ თვით ჭამის პროცესმაც უნდა მიაყენოს მას სასიამოვნო შეგრძნებები, გამოიწვიოს გემოვნების ნერვის გაღიზიანება, რასაც სანელებლები იწვევენ. საფუძველი შედგება არა მარტო სასიამოვნო შეგრძნებებისაგან, რომელსაც განიცდის ადამიანი ჭამის დროს, არამედ გემოშიც, რომელიც აუცილებელია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ყველაზე აუცილებელი სანელი არის მარილი[66], რომლის შემდეგ, როგორც ზემოთ დავინახეთ, კვლავ ვერც ერთი სხვა სანელი ვერ შეედრება[67]. მას (კამასაც) ამავე დროს კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს დამამშვიდებელი და დუღილის პროცესის დამაცხრომელი გავლენა აქვს. ამიტომვე უნდა იყოს, რომ ჩვენში მუავე და ცხარე, თანაც მცენარეული საჭმლის მოჭარბებულად ხმარების გამო, ხალხი ბუნებრივი ალღოს წყალობითაც და შეგნებულადაც მათ უხვად ხმარობდა და ეტანება ეხლაც. ამასთანავე მთაში მისი დიდი გამოყენება ფიზიოლოგიურად გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან შეზღუდულ კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებში, საჭმელად ვიტამინებით მდიდარ მცენარეთა ხმარება დიდი ცოდნა-გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

---

65 Л е й д е н, проф., Пища здоровых, Спутник здаровия, 1904, №I-2, с. 19-20.

66 „მარილი ხევსურეთში ძნელი საშოვარია და მას ბარიდან ჯორებით ეზიდებიან, წინათ პირიქით ხევსურები მარილს ქისტეთიდან ეზიდებოდნენ თურმე. ქისტები სოფ. დათეხში „ვეზის მარილს“ ხარშავდნენ და ამ ფხვნილ მარილს ხევსურები ყიდულობდნენ და ხმარობდნენ. პირიქეთი ხევსურები მარილს ხორნაულას მუავე წყლიდან ადუღებდნენ თურმე და ამ მარილს საჭმელში ხმარობდნენ. ხევსურს დაკლებისა ეშინია და ოჯახები მარილს წინასწარ იმარაგებენ. შეძლებულ ოჯახს მარილის ყორე უდგია. მარილს ხევსურეთში არ ყიდიან, სესხი კი შეიძლება“. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 113.

67 არ არსებობს კუთხე მსოფლიოში, რომ არ იყოს რაიმე სანელი ბალახეული. ბევრ ქვეყანაში სანელი შემოჰქონდათ აგრეთვე სხვა ქვეყნებიდანაც, მაგ., მიხაკი, მუსკატი, კარდამონი და ა.შ. ინდოეთიდან და სხვ. П р а х т м а н Я.Н., В а с и л е в с к а я О.В., Питание, Социально-гигиеническое исследование народностей Дагестана, вып.I, Даргинцы, М.-Л., 1930, с.83.

ველურ მცენარეთა ბაზაზე, ბართან მჭიდრო კავშირში, ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთთან ურთიერთობის შედეგად, მთიელთ გამოუმუშავებიათ ბოსტნის მოვლა-მოშენების ახალი წესებიც; გაიმდიდრეს მენიუ სხვადასხვა სახის ბოსტნეულით (ჭარხალი, კომბოსტო, კარტოფილი, ლობიო და სხვ.; კერძების დამზადება დაუქვემდებარეს მამა-პაპათაგან ბოძებულ ტექნოლოგიურ ხერხებს (ხინკალი, ქადა, შეჭამანდი).

დაბოლოს, ყველა სახის (ველური, კულტურული) ბოსტნეულის შესწავლის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი, „თუ რით იკვებება ქართველი ხალხი მთაში ამჟამად. მთიელთ საერთოდ ყოფა-ცხოვრების ძველი ნაშთი ყველგან უფრო ხანგრძლივ აქვთ ხოლმე დაცული და ეს გარემოება საშუალებას აძლევს მკვლევარს ისტორიულ წყაროებში გაფანტული ცნობების შინაარსი უფრო ზედმიწევნითა და რეალურად გაიგოს“[68]. ეს შეფასება მით უფრო ზრდის ზემოთ განხილულ მცენარეული კერძების მნიშვნელობას.

Н.Джикия

Употребление диких растений и овощей в пище горцев Восточной Грузии

Р Е З Ю М Е

Большое место в рационе питания горцев отводилось диким растениям - горным травам, называемым в Хеви- х и м х а л и, в Тушетии - с а ц е б а к и и фруктам.

Растения употреблялись в сухом виде, вареными, настоянными, замаринованными и высушенными на зиму для приправы.

Народная память из поколения в поколение передавала знания и действие лечебных трав на организм человека при различных заболеваниях.

---

68 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. გელაძე

შრომითი ურთიერთდახმარების ერთი ფორმა მესხეთში

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილი იყო შრომითი ურთიერთდახმარების სხვადასხვა ფორმები. მათ არსებობას განაპირობებდა, ერთი მხრივ, ინვენტარისა და მუშახელის ნაკლებობა საგლეხო კომლებში, ხოლო, მეორე მხრივ, ხალხში ურთიერთდახმარების ტრადიციის არსებობა.

იმ დროისათვის, რომელსაც ეხება ჩვენი მასალა, მიწა პატარა ოჯახების ინდივიდუალურ მფლობელობაში ან სარგებლობაში იყო. ასევე, პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო იარაღი ოჯახების ინდივიდუალურ საკუთრებას შეადგენდა. მაგრამ იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში სამიწათმოქმედო სამუშაოების სიძნელე აღემატებოდა პატარა ოჯახების ძალებს, ისინი ურთიერთდახმარებას მიმართავდნენ - კოლექტიურად ასრულებდნენ ან მთელ სამუშაოს ან სამუშაოთა რიგს.

შრომითი ურთიერთდახმარების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა ჩვენს მიერ მესხეთში დამოწმებული შრომითი გაერთიანება, რომელიც გულისხმობდა ორი-სამი ოჯახის მიერ მემინდვრეობის ციკლის ყველა სამუშაოს ერთობლივად შესრულებას. ეს შრომითი გაერთიანება ცნობილი იყო მ ო დ გ ა მ ი ს სახელწოდებით[1].

არსებული ლიტერატურის[2], ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასა-

---

1 ივ. ჯავახიშვილი ამ სიტყვას ქართული ენის ნიადაგზე წარმოშობილად მიიჩნევს (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია I, -თბ., 1930, გვ. 250-251). ეს ტერმინი საქართველოში ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ IX ს., როდესაც მას გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონია. ის აღნიშნავდა საერთოდ თანამონაწილეს - მემკვიდრეობაში, რაიმე საქმიანობაში და ა.შ. (ც. ჯ ი ქ ი ა, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში.- წიგნში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1946, გვ. 394-397). დროთა განმავლობაში ამ ტერმინის მნიშვნელობა შეევიწროვდა და საკვლევი დროისათვის (XIX ს. ბოლო-XX ს. დასაწყისი) იგი აღნიშნავდა ურთიერთდახმარებას მემინდვრეობასთან დაკავშირებული ცალკეული სამუშაოების შესრულებისას (მოსავლის აღება, ღეწვა-მესხეთი) (ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე. ს. ს. პატარაშენი, ერკოტა, დადეში. - საქ. სსრ მეცნ. აკად. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ხელნაწერი 874), ასევე, ამხანაგობას ხალხურ კერამიკულ წარმოებაში (კახეთი) (ღ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი. ქართული კერამიკა, I, კახური. - თბ., 1949, გვ. 110), მაგრამ ყველაზე ფართოდ მ ო დ გ ა მ ი იხმარებოდა, როგორც კოლექტიური ხვნის გამომხატველი ტერმინი. ეს სიტყვა, როგორც ხვნის დროს კოლექტიური შრომის გამომხატველი ტერმინი, სომხურსა (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 250-251) და თურქულ (ყ. ჯ ი ქ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 394) ენებში ქართულიდან ნასესხები ყოფილა.

2 В е р м и ш е в Х.А. Экономический быт государственных крестьян в Ахалцихском и Ахалкалакском уездах, Тифлисской губернии. - В кн.: Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. III, - Тифлис, 1886, с. 1-282; გ. ჩ ი ტ ა ი ა, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1930, ტ. V, გვ. 269-286.

ლისა[3] და ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით მოკლედ შევეხებით მესხეთის სამიწათმოქმედო სისტემას.

მესხეთის მემინდვრეობის სისტემა მრავალ სამუშაოს შეიცავდა. ნიადაგის მომზადება ხვნა-თესვისათვის, ხვნა-თესვა, მოსავლის აღება, გადაზიდვა, ბეღლში ჩაყრა. ამათ შორის ყველაზე ადრეულ სამუშაოებს წარმოადგენდა ნიადაგის მომზადება ხვნა-თესვისათვის (დ ა ს უ ლ ვ ა, სახნავ-სათესი ნაკვეთის გაწმენდა ქვა-ღორღისაგან, ნიადაგის განოყიერება).

დასულვას მიმართავდნენ თოვლის დნობის დაჩქარების მიზნით. ამისათვის თოვლს აღაგ-აღაგ აყრიდნენ ცხვრის ნაკელს, ნაცარს ან მიწას. ეს ადგილები ჩაიჩვრიტებოდა, ჰაერის ნაკადი აღწევდა მიწამდე და თოვლის დნობის პროცესი ჩქარდებოდა. ამავე მიზნით იცოდნენ თოვლიანი ნაკვეთის დ ა კ ა ნ ჯ ვ ა (კანჯში[4] ხარებს აბამდნენ და თოვლიან ნაკვეთზე გადაატარებდნენ); გარდა ამისა - საქონლის გატარება ან ჯოხით აღაგ-აღაგ თოვლის ამოღება.

ნაკვეთის გაწმენდა ვარაუდობდა ძირითადად ქვა-ღორღის აკრეფას და ნაკვეთიდან გატანას.

ნიადაგის განოყიერებას მესხეთში უდიდესი ყურადღება ექცეოდა. ამისათვის იყენებდნენ საქონლის პატივს, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში აგროვებდნენ ბოსელთან. სახნავ-სათეს მიწებში პატივის გატანისათვის ყველაზე კარგ დროდ ზამთრის პირი ითვლებოდა, თუმცა შემოდგომით და ადრე გაზაფხულითაც შეიძლებოდა ამ სამუშაოს ჩატარება. ნაკელი, ჩვეულებრივ, გაჰქონდათ მარხილით, რომელზედაც იდგა წნელისაგან დაწნული ძარი. ძარს სახნავ-სათესში ერთმანეთისაგან ტოლი მანძილის დაშორებით აბრუნებდნენ. ნაკელის რაოდენობა დამოკიდებული იყო ოჯახის შესაძლებლობაზე და, გარდა ამისა, იმაზე, სარწყავი იყო მიწა თუ ურწყავი (სარწყავი ნიადაგი ნაკელის მეტ რაოდენობას მოითხოვდა). ნაკელის გაშლა მიწის ზედაპირზე ან მაშინვე ხდებოდა ანდა გროვებად, დატოვებდნენ და საგაზაფხულო ხვნის წინ გაშლიდნენ.

ხვნა-თესვის საკმაოდ რთული სისტემა იყო მესხეთში. აქ როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო ნათესებისათვის მიწას რამდენჯერმე ხნავდნენ.

მარტის შუა რიცხვებიდან იწყებოდა საგაზაფხულო თესვა - ქ ე რ ო ბ ა. ამისათვის მიწას შემოდგომიდან ამზადებდნენ: მოხნავდნენ ჯილღით (სახვნელი იარაღი, რომელშიც სამი-ოთხი უღელი გამწევი ძაღლა იბმოდა), მერე, თოვლის მოსვლის წინ, ჩ ა ღ ა რ ა ვ დ ნ ე ნ (მოხნავდნენ დიდი ინტერვალით) ისევ ჯილღით ან მსუბუქი სახვნელით არონით, რომელშიც ერთი ან ორი უღელი გამწევი ძაღლა იბმოდა. ასე დამუშავებულ მიწაში გაზაფხულზე ითესებოდა საგაზაფხულო ხორბლის ჯიში - დიკა, შემდეგ ქერი და ბოლოს სიმინდი. უკვე დათესილ მიწას კიდევ გადახნავდნენ (ჩ ა ა ხ ნ ა ვ დ ნ ე ნ) ჯილღით ან არონით და საბოლოოდ ფარცხს გადაატარებდნენ.

მაისის ბოლოს იწყებოდა ანეულის ხვნა (თ ე რ ძ ვ ა). ამ დროს იხვნებოდა ერთი წლით ნასვენი მიწა (კ უ რ ც ხ ა ლ ი). ამისათვის იყენებდნენ ჯილღას ან, თუ იყო ამის შესაძლებლობა, დიდ გუთანს - მრავალხარბმულ სახვნელ იარაღს. აგვისტოს ბოლოს გათერძილი მიწები მეორედ უნდა მოხნულიყო (ა ო შ ი ლ ი ყ ო). აოშვა ხდებოდა ჯილღით ან არონით. მთხრობელთა გადმოცემით, კარგი მეურნე ორჯერ აოშავდა ხოლმე. ასე დამუშავებულ მიწაში სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან თესდნენ ღოლის პურს ან ჭვავს. თესვის წინ ამ ნაკვეთებს დაფორჩხავდნენ (დ ა კ ა ნ ჯ ა ვ დ ნ ე ნ). ფორ-

---

გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში. - კრ.: მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1972, გვ. 9-36; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა მესხეთ-ჯავახეთი. - თბ.: ფედერაცია, 1938; ლ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, მიწათმოქმედება მესხეთში. - თბ.: მეცნიერება, 1973.

3 საქ. სსრ მეცნ. აკად. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ხელნაწერები - 813, 862, 870, 874, 877.

4 იგივეა, რაც ფ ო რ ჩ ხ ი.

ჩხში (კანჯი) ორი უღელი მუშა პირუტყვი იბმოდა. დათესილს ფარცხს გადაატარებდნენ. საშემოდგომო ხვნა-თესვა ოქტომბერში უნდა დამთავრებულიყო.

მაისში საგაზაფხულო ხორბლეულის ნათესები იმარგლებოდა და სიმინდის ყანები ითოხნებოდა. სიმინდს ორჯერ, ზოგჯერ სამჯერაც თოხნიდნენ. პირველ გათოხნას გ ა - ჩ ა ფ ვ ა ს ეძახდნენ, მეორეს - შ ე მ ო ყ ე ლ ვ ა ს.

ივლისში პურეულ მოსავალს იღებდნენ. ხშირ შემთხვევაში ამისათვის ზუსტად იყო დადგენილი ვადები. მაგალითად, ზოგიერთ სოფელში ყანის აღება იწყებოდა პეტრე-პავლობიდან და ელიობისთვის უნდა დამთავრებულიყო. მესხეთში პურეულს ცელით იღებდნენ. ცელვის დროს საჭირო იყო დამხმარე იარაღები - ორთითი, ფოცხი, ბულულის კეტი. თიბვა რამდენიმე ადამიანის ერთდროულ შრომას მოითხოვდა. რამდენიმე კაცი ცელავდა, იმათ მიჰყვებოდნენ სხვები, რომლებიც მოცელილ მ ჭ ე ლ ს აგროვებდნენ ორთითებით და ფოცხებით. თუ მჭელი სველი იყო, აგროვებდნენ ღ ვ ა რ ე - უ ლ ა დ რიგზე ერთ ზოლად (ძ ა ა ღ ვ ა რ ე უ ლ ე ბ დ ნ ე ნ). თუ მშრალი იყო დადგამდნენ პატარ-პატარა ბულულებად. შემდეგ ამ ბულულებს დგამდნენ ზვინებად, რომლებსაც აქ ძ ი რ ე ბ ს უწოდებდნენ. ძირში ოცი ბულული შედიოდა.

მოსავალი სპეციალური ურმებით (თ ა ვ ღ ო რ ა, თ ა ვ ღ ო რ ი ა ნ ი უ რ ე მ ი, ს ე ლ ი) გადაჰქონდათ. ამ საზიდ საშუალებებში ორი-სამი უღელი იბმოდა.

ამას მოსდევდა ლეწვა. იმ სოფლებში, სადაც პურეულის მოსავალი შედარებით ადრე მოდიოდა, ლეწვა მარიამობისათვის უნდა დამთავრებულიყო. ლეწავდნენ კალოზე კევრებით. კალოებს მესხეთში შიგ სოფლებში მართავდნენ. კალოს მომზადება მარტივი საქმე იყო. საკალოე ადგილს მოასუფთავებდნენ, მოტკეპნიდნენ, მორწყავდნენ და ძველ ბზეს მოაყრიდნენ. ეს კეთდებოდა ლეწვის დაწყებამდე ერთი დღით ადრე. საღეწ იარაღს კევრი წარმოადგენდა, რომელშიც ერთი უღელი ხარი იბმოდა. მესხეთში შედარებით დიდი ზომის კალოები სცოდნიათ და ამიტომ კალოზე ოთხი კევრითაც ლეწავდნენ ხოლმე. ყოველ მათგანზე თითო ადამიანი იდგა და ერეკებოდა ხარებს. ლეწვის დროს დამხმარე იარაღებს წარმოადგენდა: ორთითი, ფიწალი, ფოცხი, ნიჩაბი. ბზას კალოზე ჩაშლიდნენ, შემდეგ ხარებს კევრებს „აუბამდნენ" და იწყებოდა ლეწვა. ზევიდან კარგად რომ „მოიღეწებოდა", რამდენჯერმე უ ქ ც ე ვ დ ნ ე ნ (ორთითით ბზას გადაბრუნებდნენ). როცა „გაბზეცდებოდა", რამდენჯერმე უნდა ე ფ ი წ ლ ა თ (ფიწლით უნდა გადაებრუნებინათ).

ლეწვას რომ მოათავებდნენ, გაღეწილს არნადით მოაგროვებდნენ და დაიწყებდნენ განიავებას. ჯერ ფიწლებით ანიავებდნენ, მერე ხის ნიჩბებით (გ ა ნ ი ჩ ბ ვ ა). ამის შემდეგ იწყებდნენ შ ე ხ ვ ა ვ ე ბ ა ს. ხვავს ჯერ დ ა ა ც ხ ა ვ ე ბ - დ ნ ე ნ (ცხავში გაატარებდნენ), მერე ცხრილში გაატარებდნენ და ბოლოს ტაბაკებით დ ა კ მ ა ზ ა ვ დ ნ ე ნ (ქვისგან ასუფთავებდნენ).

სიმინდის აღება სექტემბერში იწყებოდა. სიმინდს ჩაღიანად ჭრიდნენ და ურმებით გადაჰქონდათ სახლში, სადაც ტაროს ტეხდნენ. გარჩეულ სიმინდს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, კ ა ლ ო ზ ე, აგროვებდნენ, ამას მოყვებოდა სიმინდის გ ა ნ ა ყ ვ ა, რისთვისაც სიმინდის ტაროებს გროვას დიდი კეტებით სცემდნენ.

ყველა აღნიშნულ სამუშაოს მოდგამში გაერთიანებული ოჯახები ერთად ასრულებდნენ: აერთებდნენ იარაღს, გამწევ ძალას, პირად შრომას და დაწყებული ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მემინდვრეობასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას ერთად ეწეოდნენ. ერთმანეთს რიგრიგობით ეხმარებოდნენ. ხვნის დროს ჯერ ერთის მიწას მოხნავდნენ, მერე მეორისას, იმის მიხედვით, თუ რომელი ნაკვეთი იყო მზად ამისთვის. ასევე, მოსავლის აღების, გადაზიდვის, ლეწვის თუ სხვა სამუშაოების შესრულების დროსაც ერთმანეთს ეხმარებოდნენ. მუშახელის დაპურება და საქონლის გამოკვება ევალებოდა ოჯახს, ვის ნაკვეთშიც მუშაობდნენ იმ დღეს. ერთად მუშაობის მთელ მანძილზე მოდგამში გაერთიანებული ოჯახები მუშა პირუტყვს რიგრიგობით აძოვებდნენ.

მოდგამის მუშაობის დროს თავს იჩენდა შრომის სქესობრივი და ასაკობრივი დანაწილება. ზოგიერთ სამუშაოს მხოლოდ კაცები ასრულებდნენ. ასეთ სამუშაოებს განეკუთვნება ხვნა, თოხნა; ცელითაც მხოლოდ კაცები მუშაობდნენ. მარგვეთასა და სახნავ-სათესი ნაკვეთებიდან ქვა-ღორღის გატანაში ქალები და მოზარდები მონაწილეობდნენ, ზოგიერთ სამუშაოებში, როგორიც იყო, მაგალითად, ღეწვა, კაცებთან ერთად ქალებიც შრომობდნენ.

მოდგამი არ იყო შეპირობებული ნათესაური კავშირით.

როგორი იყო შრომითი მონაწილეობა და შრომადღეების განაწილება? მოდგამის იმ სახეობაში, რომელიც ჩვენ დავამოწმეთ ს.ს.საროსა (ასპინძის რაიონი) და მუსხში (ახალციხის რაიონი), შრომით, იარაღით თუ გამწევი ძალით მონაწილეობა და შრომადღეების განაწილება არ იყო ნორმირებული. გამწევი ძალით, იარაღით თუ მუშახელით მონაწილეობდნენ შესაძლებლობის მიხედვით. მიუხედავად მონაწილეობის ხარისხისა (იარაღით, გამწევი ძალით, მუშახელით), ერთმანეთთან მუშაობდნენ იმდენს, რამდენიც სჭირდებოდა თითოეულ ოჯახს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დროისათვის, რომელსაც ეხება ჩვენი მასალა, ასეთ სამეურნეო კავშირებს ამყარებდნენ ეკონომიკურად დაახლოებით ერთნაირი მდგომარეობის ოჯახები. და ამიტომ განსხვავება, რომელიც იყო ამ გაერთიანებაში მათი მონაწილეობის მხრივ (ინვენტარით და მუშახელით), არ იყო მნიშვნელოვანი. ამ ოჯახებს სახნავ-სათესი მიწებიც დაახლოებით ტოლი ოდენობისა ჰქონდათ ხოლმე.

მოდგამის იმ სახეობაში, რომელიც ჩვენ ს.ს.უდესა და ვაღეში (ახალციხის რაიონი) დავამოწმეთ, აუცილებელი იყო გამწევი ძალით თანაბარი მონაწილეობა. იარაღითა და მუშახელით მონაწილეობის ხარისხს არ ჰქონდა მნიშვნელობა. შრომადღეების განაწილება არ იყო ნორმირებული.

მემინდვრეობასთან დაკავშირებული სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოდგამი იშლებოდა.

ჩვენი აზრით, შრომითი გაერთიანების ეს სახე წარმოადგენს შრომითი ურთიერთდახმარების უძველეს ფორმას, რომელიც დიდი ოჯახის რღვევის შედეგადაა წარმოქმნილი.

როგორც ცნობილია, დიდი ოჯახის რღვევის შედეგად წარმოქმნილ პატარა ოჯახებს შორის პირველ ხანებში არსებობდა გარკვეული სამეურნეო ერთობა, რაც გამოიხატებოდა ზოგიერთი სამეურნეო ნაგებობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღის და მიწის ზოგიერთი ნაკვეთის საერთო მფლობელობაში და ასევე, ურთიერთდახმარებაში ისეთი სამუშაოების დროს, რომელთა შესრულება პატარა ოჯახის ძალებს აღემატებოდა. ინდივიდუალურ ოჯახთა შრომითი გაერთიანება თავდაპირველად ერთ პატრონიმიაში შემავალ პატარა ოჯახების შრომით გაერთიანებას წარმოადგენდა[5].

კოლექტიური შრომის დროს ადრე არსებულ ნათესაურ პრინციპზე მეტყველებს აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილი შრომითი გაერთიანების აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი. ამ მხრივ საინტერესოა ტერმინი მოდგამიც. იგი ვახტანგ VI კანონთა კრებულის შესავალში მ ო დ გ ა მ ი ს[6], ხოლო ი.ტფილელის „დიდმოურავიანში“ ნ ა თ ე ს ა ვ ი ს, გ ვ ა რ ტ ო ბ ი ს მნიშვნელობით იხმარება[7].

ნათესაურ პრინციპზე აგებული კოლექტიური შრომა ხშირ შემთხვევაში არაეკვივალენტურ ურთიერთდახმარებას წარმოადგენდა[8]; შემდეგ, როდესაც ნათესაური პრინ-

---

5 Р о б а к и д з е А.И. Особенности патронимической организации у народов горного Кавказа. - СЭ, 1968, №5, с.94.

6 ი.დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ.I, თბ.,1963, გვ.99.

7 ს.ჯ ი ქ ი ა, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში. წიგნში: იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1946, გვ. 395.

8 აღ.რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

ციპი მეზობლობით იცვლება, შრომითი ურთიერთდახმარება ეკვივალენტური ხდება[9] და ზოგიერთ რაიონში ექსპლუატაციის ფორმას იღებს[10]. მაგრამ ამ ურთიერთობების გაფერ-თარება ყოველთვის მოცემულ ჩარჩოებში არ თავსდება. ხშირად მეზობლობა-ურთიერთობა დამყარებულ შრომით ურთიერთდახმარებაში წარმოდგენილია უფრო ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი ურთიერთობები. ამის ერთ-ერთ მიზეზს ალბათ ისიც უნდა წარმოად-გენდეს, რომ დიდი ოჯახების დაშლის პროცესი პატარა ოჯახებად საუკუნეების მანძილ-ზე გრძელდებოდა[11]. ეს კი განაპირობებდა უკვე ადრეულ ხანაში შრომითი ურთიერთდახ-მარების სხვადასხვა ვარიანტების არსებობას.

შრომითი გაერთიანებების ძველ ფორმებში, რომლებმაც მოაღწიეს XX საუკუნემდე, დაცულია სხვადასხვა დროისა და სოციალური წყობის დამახასიათებელი წესები. ამიტომ მათი თავდაპირველი ბუნების აღდგენა შესაძლებელია კოლექტიური შრომის ამა თუ იმ ფორმის „მოცემულ სოციალურ გარემოში მისი კონკრეტული სახით შესწავლისა და ისტო-რიულ ასპექტში განხილვის საფუძველზე"[12].

ამ თვალსაზრისით, ს. ს. საროსა და მუსხში დადასტურებული მოდგამი ასახავს იმ ურთიერთობებს, რომელიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო დიდი ოჯახის რღვევის შე-დეგად გაჩენილ პატარა ოჯახებს შორის შრომითი ურთიერთდახმარებისთვის, როდესაც მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო თავიდან ბოლომდე ერთობლივად სრულდებოდა და სადაც შრომადღეების განაწილება ხდებოდა არა მონაწილეობის პროპორ-ციულად, არამედ მოთხოვნილების მიხედვით, სადაც ქონებრივი მდგომარეობა შრომის შედეგის (შრომადღეების) განაწილებაზე არავითარ გავლენას არ ახდენდა; თუმცა ამ შემთხვევაში მიწა უკვე პატარა ოჯახების ინდივიდუალურ მფლობელობაში ან სარგებლო-ბაშია და ნათესაური ურთიერთობები შეცვლილია მეზობლობით.

ს. ს. ვაღესა და უდეში დამოწმებული მოდგამი ასახავს მოდგამის შედარებით გან-ვითარებულ ფორმას, რადგან აქ უკვე არის ტენდენცია რეგლამენტირებისა (ჯერჯერო-ბით ეს ეხება გამწევ ძალას).

უნდა ვიფიქროთ, რომ შრომითი ურთიერთდახმარება ცალკეული სამუშაოების დროს ასახავს კოლექტიური შრომის ევოლუციის შემდგომ ეტაპს, რადესაც პატარა ოჯახები ეკონომიკური თვალსაზრისით შედარებით დამოუკიდებელნი იყვნენ და მხოლოდ ზოგიერთი სამუშაოს შესრულებისას საჭიროებდნენ ურთიერთდახმარებას. საგულისხმოა, რომ მეს-ხეთში ორი-სამი ოჯახის ურთიერთდახმარება ცალკეული სამუშაოების შესრულების დრო-საც (ხვნა, მოსავლის აღება, გადაზიდვა, ღეწვა) მოდგამის სახელწოდებით იყო ცნო-ბილი.

---

9 ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

10 იქვე.

11 I ს. ინდივიდუალური ოჯახები უკვე საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორიის ძირითადი საკითხები - თბ., ფედერაცია, 1938, გვ. 373).

12 ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში: კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში. თბ., 1941, გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Геладзе Т.Ш.

Одна из форм трудовой взаимопомощи в Месхети
(резюме)

В статье рассматривается одна из форм трудовой взаимопомощи - м о д г а м и. Это было объединение двух-трех семей для совместного проведения годичных полевых работ.

В исследуемый период (конец XIX - начало XX вв.) семьи, объединенные в модгами, землями, равно как и скотом и сельскохозяйственным инвентарем, владели индивидуально. Однако, трудности, связанные с сельскохозяйственными работами, заставляли их прибегать к таким трудовым объединениям. Они объединяли инвентарь (живой и мертвый), рабочую силу и начиная с ранней весны до поздней осени сообща вели все работы, связанные с полеводством.

Анализ этнографического материала и соответствующей литературы дает возможность считать данную форму трудовой взаимопомощи архаической формой коллективного труда, появившейся в результате распада большой семьи.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ზანდუკელი

კერამიკული წარმოება გორში

საყოველთაოდ ცნობილია თიხის კეთილშობილური თვისებები და მისი უდიდესი მნიშვნელობა კაცობრიობის კულტურულ წინსვლაში. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობის თითქმის ყოველ მხარესთან. ეს კავშირი იმდენად არსებითია, რომ გარდასულ ეპოქათა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის რეკონსტრუქციაზე მსჯელობისას კერამიკა დღესაც უტყუარი საბუთის როლს ინარჩუნებს.

საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და იხვეწებოდა სხვადასხვა დანიშნულების ქართული თიხის ჭურჭელი. ეროვნული ხალხური კერამიკული ფონდი თავისთავად მეტყველებს საქართველოს ფარგლებში გავრცელებულ ამა თუ იმ სახის ჭურჭლის, როგორც სამეურნეო დანიშნულების კულტურის, ელემენტის სიძველეზე. კერამიკული დარგების თითქმის ყველა სახეობის განვითარების უწყვეტი ზოლი დღევანდლამდის მოიტანა ქართველმა ხალხმა.

საქართველოში თიხის ჭურჭლის დამუშავების სახელგანთქმულ ცენტრთა შორის შიდა ქართლს გარკვეული ადგილი უჭირავს. აქვე შემონახულია დარგის საქმიანობასთან დაკავშირებული საინტერესო ცნობები და მასალები. აღნიშნული რეგიონის მრავალ კერამიკულ ცენტრთაგან გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ქ. გორი, სადაც მიუხედავად ხელოსანთა სიმცირისა, კარგად არის შემონახული კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული ტრადიციები, ჩვენი გამოკვლევის ერთი ნაწილის, კერძოდ – მოჭიქული ჭურჭლის წარმოების მაძიებელი, შესწავლას საფუძვლად უდევს გორში ამჟამად მოქმედი მოჭიქული ჭურჭლის წარმოების შესახებ შესწავლილი კონკრეტული მასალა. აქ არ შევჩერდებით ისეთ საკითხებზე, რომელიც უკვე შესწავლილი და გამოქვეყნებულია აწ. განსვენებული ჩვენი მეცნიერების ლ. ბოჭორიშვილისა და ს. ბედუკიძის მიერ. ამდენად, ჩვენ განმეორებას მოვერიდეთ, შეძლებისდაგვარად მოგახსენებთ იმ ცვლილებებზე, რომელიც მოხდა გამოქვეყნებული ნაშრომებიდან დღემდე.

შიდა ქართლის ბაზარს თიხის ჭურჭლით უმთავრესად გორელი ოსტატები ამარაგებდნენ. ისინი საკმაოდ მრავალწევრიანი ამხანაგობების სახით, „ქურა-ქარხნის" მეპატრონე ოსტატების ირგვლივ ერთიანდებოდნენ. რევოლუციამდელ გორში, მეჭურჭლეთა საკმაოდ ძლიერი ამქრული გაერთიანებები მოქმედებდა. რევოლუციის შემდეგ კი, როგორც საერთოდ ხელსნობის სხვა დარგებშიც, კუსტარული მეჭურჭლეობა თანდათანობით გადაგვარების გზას დაადგა, ამქრული გაერთიანებები დაიშალა. ერთი პერიოდი თითქმის შეწყდა კიდეც ქალაქში კერამიკული წარმოება. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან გორელმა ხელსნებმა იაქტიურეს, ქურები ააგეს და თიხის ნაკეთობათა ტრადიციულ წარმოებას ისევ მიჰყვეს ხელი. ამჯერად ოსტატებმა ტექნიკის მიღწევებით ისარგებლეს და მექანიზებული სისტემების მოშველიებით, შრომის შედარებით გაიოლებული სახე შექმნეს.

გორისათვის უმთავრესად მოჭიქული ჭურჭლის წარმოება იყო და არის ნიშანდობლივი. მოჭიქულობა ქართული თიხის ჭურჭლის არსებითი ნიშანია. მოჭიქულ კერამიკას ჩვენში მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჭიქურის ადგილობრივი წარმოების ადრეულ ტრადიციებზე საკმაოდ მდიდარი არქეოლოგიური და წერილობითი წყაროები მოგვეპოვება. დღესდღეობით, თანამედროვე გორის ეთნოგრაფიულ ყოფაში ჭიქურის ფართოდ დანერგვა-გამოყენების ტენდენცია ამ ტრადიციის სიძლიერის აშკარა გამომხატველია. ამ ტრადიციის გამძლეობითვე აიხსნება ისიც, რომ ჭიქურ გადასხმული თიხის ჭურჭლის

წარმოების სახელგანთქმული ცენტრები კახეთსა, ქართლსა თუ იმერეთში ჯერ კიდევ მწყობრში დგანან და მათი პროდუქცია განსაკუთრებულ ინტერესს.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, თვალყური გვედევნებინა გორელი მეჭურჭლეებისა- ნების მუშაობისათვის და დეტალურად შეგვესწავლა თიხის მოპოვების- მოზელის, ლაფე- ბად დაჭრის, გამოხელვის, დაგუნდავების, ჩარხზე მოჭრის, დაყურვის, დაძირვის, გა- შრობის, წითლად გამოწვის, მოხატვის, ჭიქურის გადასხმის და საბოლოოდ მეორედ გა- მოწვის მთელი რთული პროცესები. ამასთანავე შევეცადეთ დეტალურად წარმოგვედგინა გამოსაწვავი ქურისა და სამუშაო ქარხნის აგებულებანი; რადგანაც, მოსალოდნელია, მალე ისინიც ისტორიის კუთვნილებად იქცნენ.

გორში თიხაზე მომუშავე ცნობილ ხელოსანთა მრავალრიცხოვანი არმიიდან დღეისათ- ვის მხოლოდ ორი კაცი შემორჩენია ტრადიციულ წარმოებას. ესენია: ისაკა ტატულაშვი- ლი და შალვა თაყნიაშვილი. მათი დიდი ინტერესი მოჭიქული ჭურჭლის დამზადების და განმტკიცების მიმართ იმაშიც მჟღავნდება, რომ ცდილობენ მუშაობის ფერხულში ოჯახის წევრებიც აქტიურად ჩააბან.

გორში კერამიკული წარმოების უძველეს ტრადიციებზე საინტერესო ცნობები შემოგ- ვინახეს იმ ხელოსნებმა, რომლებიც დღეს აღარ მისდევენ ამ საქმიანობას, მაგრამ თავიანთი ინფორმაციებით მნიშვნელოვნად გვეხმარებიან საკითხის ისტორიის შესწავ- ლაში (ნ. აზაღაძე, კბილაშვილი, ნადირაძე, ელიაშვილი და სხვ.).

ქ. გორში გამოვლენილი ეთნოგრაფიული მასალა თიხის ჭურჭლის თაობაზე დიდია თა- ვისი მოცულობითა და მნიშვნელობით. პირველ რიგში იგი საშუალებას იძლევა გორის კერამიკული ხელოსნობა განხილულ იქნეს, როგორც ქალაქური ტიპის ხელოსნობა. მეჭურ- ჭლეობა გორში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ტრადიციულად მამიდან შვილზე გადადიოდა. მეჭურჭლე ი. ტატულაშვილის გადმოცემით, კოლექტივიზაციამდე გორ- ში 20 ქარხანა მუშაობდა. საჭურჭლე მიწა რამდენიმე ადგილას მოიპოვებოდა, მათი ადგილზე გადმოტანა ურმებით ხდებოდა. დღეს მიწას მეტეხიდან მანქანებით ეზიდები- ან. წლიური გეგმით გათვალისწინებული საშენი მასალისათვის ნახევარი საბარგო მან- ქანა ნედლეული სავსებით საკმარისია. ხელოსნებს სამუშაო მოწყობილობა ქურასთან ახლოს აქვთ გამართული, თიხის დასაყრელი ადგილიც აქვე აქვთ გამოყოფილი. თიხას ადრე ფეხით ზელდნენ, დღეს კი მას სპეციალური თიხის საზელი ელექტრომანქანით ამუ- შავებენ. ჭურჭლისათვის გათვალისწინებულ საშენ მასას მიწას უწოდებენ, დაზელილ მიწას კი- თიხას. დაზელის შემდეგ მიწა დათოხკუთხედებულ ლაფებად იჭრება, ლაფები გუნდებად ნაწილდება. ერთი ნორმა დაზელილი მიწიდან 15 ლაფა იჭრება, ერთი ლაფი- დან 4-5 გუნდა, გუნდის ნაწილებად დაყოფა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახისა და რა ზომის ჭურჭელია ასაშენებელი.

ჭურჭლის შენება ჩვეულებისამებრ ჩარხზე ხდება, იმ განსხვავებით, რომ წარსულ- ში (ორი ათეული წლის წინ) ხის ჩარხით სარგებლობდნენ. დღეს კი როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, მუშაობის გაიოლების მიზნით, ოსტატი რკინის ჩარხს დაეუფლა, რომელ- საც ფეხის ნაცვლად ელექტროდენით ამუშავებს. ჭურჭლის კეთებისასაც ხელოსანი ხის იარაღის ნაცვლად მეტალისაგან გამოჩარხული იარაღებით სარგებლობს. მიუხედავად წარმოების პროცესის გაადვილებისა, ხელოსნის გარჯა მაინც შრომატევადია. „ერთი ჭურჭლის კეთებისას თიხა ასჯერ უნდა გადატრიალდეს და ჭურჭელს 40-ჯერ მაინც უნდა შეახოს ხელი“ - გადმოგვცემს ერთ-ერთი მეჭურჭლეშთხრობელი.

ჭურჭლის საბოლოო სახის მიღება საკმაოდ რთული პროცედურის ჩატარებას გულისხ- მობს:

1. გუნდის დაკვრა
2. გუნდის გასწორება
3. გუნდის ჩაბრუნება
4. გუნდის დაბლა დაყვანა
5. გუნდის კვლავ ამოყვანა
6. გუნდის სიმაღლეში აყვანა
7. ჭურჭლის კედლების გათხელება

8. ყელის გასაკეთებლად მარაგის დატოვება
9. ჭურჭლის გასაზრდელად ხელმეორედ კედლების გათხელება
10. ხელის ფიცრით გასუფთავებამდე მიყვანა
11. ხელის ფიცრით ფორმის მიცემა
12. ხელის ფიცრით ხელმოსაკიდი ძირის გამოყვანა
13. ხელის ფიცრით ჭურჭლის გაღამაზება
14. ყელის გამოყვანა
15. ყელის დავიწროება
16. ყელის სიმაღლეში აყვანა და თან გასწორება
17. ყელის გასუფთავება
18. ყელის კანტის გაკეთება
19. ჭურჭლის სველი ჩვრით გაწმენდა
20. ტუჩის მოჭრა
21. სველი ჩვრით ტუჩის განედის გაკეთება-მოსუფთავება
22. ნეკა თითით ტუჩის გამოყვანა
23. ჭურჭლის მოჭრა მავთულის ძაფით-„ბრიდით".

როგორც ვხედავთ, ჭურჭელზე მუშაობისათვის გათვალისწინებული დეტალების და მომენტების ჩამოთვლაც კი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შენების პროცესის სიძნელეზე. ზემოთ მოხსენიებული ყველა მომენტის შესრულება ჩარხზე წარმოებს, ჩარხიდან მოჭრილი ჭურჭლის მხატვრული სრულყოფა დაზგაზე გრძელდება.

1. ჩარხიდან ფიცარზე გადატანა
2. ყურის მიბმა
3. ანგობაში ამოვლება
4. მოხატვა-წარწერა

დაზგიდან ჭურჭელი ქურაში გადადის და ახალი საზრუნავი ჩნდება:

1. ქურაში ჩაწყობა
2. გამოწვა
3. ქურიდან გამოლაგება
4. ჭურჭლის დაბერტყვა
5. შეღებვა
6. ქურაში ხელმეორედ ჩაწყობა
7. ჭურჭლის მეორედ გამოწვა
8. ქურიდან ჭურჭლის ხელმეორედ გამოლაგება
9. გასაყიდად გამზადება.

არის შემთხვევა, როდესაც ჭურჭელი ჩარხის გარეშე კეთდება, ასეთ ჭურჭელზე გამოძერწილს იტყვიან, ხოლო ბავშვის ან ქალის მიერ ჭურჭლის სახელდახელოდ, უჩარხოდ გამოყვანას - გამოტყლიპვას უწოდებენ.

ადრე გორში ძირითადად ისეთი ჭურჭელი მზადდებოდა, რომელიც ოჯახში ყოველდღიური მოხმარებისათვის იყო გათვალისწინებული. მოჭიქული ჭურჭელი - თეფშები, მათლაფები, ჩაის ჭიქები, სამურაბეები, საყვავილე ვაზები, ბადიები, ღანგრები, ჯამები, ორყურები, საწვნე ჭურჭელი, მარნები, ერთხელ გამომწვარი წითელი ჭურჭელი -დიდი ჯამები სარეცხისათვის, წაფიები, სიბურები, სასანთლეები, საწურები, სამარილეები, სალამურები, ჩიბუხები და სხვადასხვა ზომის ქილები.

ხაზოგადოებრივი განვითარების დონის შესაბამისად იცვლება ხალხურ ჭურჭელზე მოთხოვნილება. რაღა თქმა უნდა, ზოგიერთი კერამიკული მოხმარების საგნის ფაიფურით, მინით ან ლითონის მასალით შეცვლამ შეასუსტა კერამიკულ ჭურჭელზე ფართო მოთხოვნილება. გორელ კერამიკოსებს ძირითადად ყურადღება გადააქვთ მოხმარების ისეთ საგნებზე, რომლებიც სახელმწიფო ფაბრიკა-ქარხნებში არ მზადდება, ესენია: თიხის ქილები, ქოთნები, ქვაბქოთნები, საჯერო სურები, ლიტრები, სადღვებლები, ჩანახის ჯამები, სადვინეები, ჭინჭილები.

ხალხური მოჭიქული ჭურჭლის მოცულობის განმსაზღვრელ ერთეულად ოდითგანვე თუნგი იყო აღიარებული. თუნგი ოთხ ჩარექის ტევადობისაა, მასზე მოზრდილი ჭურჭელი მსხვილ ჭურჭლად იწოდებოდა, მცირე მოცულობისა კი წვრილად. დღეს მოცულობის სასაზომ ერთეულად ლიტრია მიღებული. ხელოსნების მიერ ჭურჭლის განსაზღვრული ზომების მითვალისწინებას წარმოების პროცესს. ხელოსნები დასამზადებელი თუ დამზადებული ჭურჭლის ოდენობას ლიტრობით განსაზღვრავენ, მათ იციან, რამდენი ლიტრი ჭურჭელი უნდა მოიჭრას ქურის ასავსებად.

მოჭიქული კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავი ქურები, ჭურჭლის ტევადობის მიხედვით, ასთუნგიანიდან სამასთუნგიანამდე იყო. უკანასკნელ ათწლეულში შეშით საწვავი ქურების ადგილი ძირითადად ელექტროქურებმა დაიკავა. ისინი ძველი შეშის საწვავი ქურების იდენტურნი არიან. გორელი ხელოსნები ი.ტატულაშვილი და შ.თაყნიაშვილი ელექტროქურებზე მუშაობენ. ეს ქურები კონსტრუქციულად საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველი- ტატულაშვილის ქურა, თონის მსგავსად, მიწაშია ჩადგმული, და მას „ორმოქურას" ეძახიან, ამ უკანასკნელის კედელზე გარშემო ელექტროსპირალები შემოუყვება. მასში ჭურჭელი რკინის ჩანგლის მეშვეობით სამ პირად ლაგდება. მეორე ტიპის ქურა კი, თაყნიაშვილისა, თავისი აგებულებით ადრევე არსებულ შეშით საწვავი ქურის ზომისა და ფორმისაა, გამოსაწვავი ჭურჭელი ოთხპირად იწყობა. პირველისაგან განსხვავებით მეორე ელექტროქურა ოთხკუთხედი ფორმისაა, ერთსართულიანი (შეშისათვის გათვალისწინებული ძირის ქურის გარეშე). იგი პირდაპირ მიწიდან შენდება. ქურის კედლები აგურისაა და ლამის მიწითაა შელესილი. კედლებში ჩაყოლებული აგურები ნახევარი ზომით წინაა გამოწეული ფილების დასაწყობად. ფილებს შორის კედლების გასწვრივ დენის სპირალია (ცეცხლგამძღე, ხრომონიკელით) სიმაღლეზე ცხრა მწკრივად დატანებული.

ელექტროქურაში (იგულისხმება II ტიპის ქურა) ჭურჭლის დასაწყობი თაროები ძველის ანალოგიურია. ქურის კედელში ოთხპირად დატანებულია ე.წ. სასოლეები, ერთ პირში 15 სასოლეა. თაროებისათვის გათვალისწინებული სოლები სხვადასხვა ზომისაა, შეიძლება იყოს ერთპირიანი და ორპირიანი – ჯამებისათვის. ქურის ზედა ნაწილი-ჭერი წარმოადგენს მრგვალი ფორმის „მცას", რომელზედაც ქურის გასაციებლად 50 სმ დიამეტრის ბანია ამოჭრილი. ქურის ძირზე ორმწკრივად, განსაზღვრული მანძილის დაშორებით, აგურნახევარია დაწყობილი, ფილების დასაწყობად. ფილები ჭურჭლის დასალაგებელ თაროებისათვის არის გამიზნული, ფილებზე ზემოდან ისევ აგურნახევრის სიმაღლით მეორე სართულის თაროები ეწყობა და ა.შ. ქურაში თაროები სამ სართულად ეწყობა. თაროსა და თაროს შორის მანძილი აგურნახევარია. ჭურჭელი სიმაღლის მიხედვით ლაგდება, ოთხ რიგად. ქურის უკანა კედლისპირა ფილები უძრავია, დანარჩენი კი- მოძრავი.

შეღებილი ჭურჭლის გამოწვა, ე.ი. ჭურჭლის მეორედ გამოწვა, თითქმის ისევე ხდება, როგორც პირველ შემთხვევაში, იმ განსხვავებით, რომ მოჭიქული მეორედ გამოწვისას ისე მჭიდროდ ვეღარ იწყობა, პირიქით, საჭიროა მათი ხალვათად განლაგება. პირველ წვას წითლად წვას უწოდებენ, მეორედ გამოწვას კი „დაგლაზურებულის" დაწვას.

ელექტროქურაში დაბლა „ქურის კალოზე", პირველ სასოლეებამდე ჯამები ეწყობა, ე.წ. „ერთი დასტა", რაც გულისხმობს 8 ჯამის რაოდენობას; ჯამები ერთმანეთზე იდგმება ზედაპირებით-სამფეხებით, კედლისპირა სოლებზე, დაახლოებით 100 ჯამი ეტევა, (სოლები საერთოდ ჯამებისთვისაა მხოლოდ განკუთვნილი). ერთ სართულზე ჭურჭლის სამი პირი ეწყობა. შუა – მეორე პირში დაახლოებით 50 ცალი ექვსლიტრიანი დაეტევა, წინა მესამე პირში კი 10 ლიტრიანები. ერთი პირი ჭურჭლის მოთავსების შემდეგ ზემოდან კრამიტს გადააფარებენ. იმ მიზნით, რომ კრამიტი დაეფაროს, დაბლა უფრო სწორ და ფართო პირიან ჭურჭლებს მიუჩენენ ადგილს (ქილები და ხელადები). შემდეგ მეორე სართულის ისევ სამპირად დაწყობას ახდენენ და ამგვარად სიმაღლეზე ოთხი პირი თავსდება. ბოლო მეოთხე პირზე ისევ ჯამები ან ტუჩიანი ჭურჭელი ეწყობა. ბოლოს ხდება ჩაწყობილი ქურის ჭინჭილებით „დახინჯვა", რაც ნიშნავს ცარიელი ადგილის პატარა ჭინჭილებით ამოვსებას, ამას ცეცხლის მოძრაობისათვის აქვს მნიშვნელობა.

ჭურჭლის თავის ადგილზე განლაგების შემდეგ ქურის კარები აგურით ამოშენდება და თიხით შეიღესება. ძველად ქურის ამოშენებულ კარებს ბარას უწოდებდნენ.

ელექტროქურის ჩართვა დაბალი ტემპერატურით იწყება. ტემპერატურის თანდათანობითი გაძლიერება, რაც ელექტროქსელის ხუთჯერადი ჩართვით სრულდება, ხელს უწყობს კერამიკული ჭურჭლის ხარისხიან გამოწვას. წვის პროცესი 7 საათი გრძელდება. ელექტროავტომატის ერთდროული გამორთვით და საწვავი ნაწარმის თანდათანობით გაციებით სრულდება ოსტატის თიხის ჭურჭელზე მუშაობა. თანამედროვე ელექტროქურაში გამოწვის პროცესი, მსგავსად შეშის საწვავი ქურისა, სპეციალური საათვალეებით მოწმდება, ქურის სამი საათვალე ისეა განლაგებული, რომ ჭურჭელი მთლიანად ხედვის ორბიტაშია. პირველი გამოწვის დროს თიხის გაწითლება ჭურჭლის გამოწვას ნიშნავს. შედებილი ჭურჭლის გამოწვის დროს ჭიქური-საღებავი ბრჭყვიალებს, ლაპლაპს იწყებს.

ქურის კედლებთან ახლო მდებარე ჭურჭელი განსხვავებული ფერისა გმოდის, იმის და მიხედვით თუ რა მანძილითაა დაშორებული დენის სპირალებთან. თუ ჭურჭელს წვა დააკლდა, იტყვიან „თორე", „უმი" გამოვიდაო, ასეთი ნაწარმი შედებვას ვერ აიტანს, დაიშლება. ზედმეტი დენის შემთხვევაში ჭურჭელი დადნება.

ჭურჭლის დაწვა როცა დამთავრდება, მაშინვე საჰაეროს გახსნიან, რომ ქურა არ „გაიბეროს". საჰაეროს გახსნა ბანის ტალახიდან განთავისუფლებას ნიშნავს, ორთქლისათვის გზის მისაცემად კრამიტს გადასწევენ. ჭურჭელი სიწითლეს რომ დაკარგავს, ე.ი. გავარვარებული აღარ არის, მაშინ ქურის ცას ნახევარ კრამიტს კიდევ გადახდიან - რის შედეგადაც ჭურჭელი ორ საათში მთლიანად უფერულდება და ჩაშავდება. ამის შემდეგ ცას მთლიანად ახდიან, ცის თანდათანობით გადახდა ჭურჭელს დასკდომისაგან იცავს.

დამწვარი ჭურჭლის გამოლაგება ბრიდან - კარიდან იწყება და იქვე, მოსუფთავებულ ადგილას ლაგდება. ქურა სეზონის მანძილზე ორ თვეში ერთხელ ხურდება, ერთ პროცესზე თუ ლიტრობრივ იანგარიშებენ, ქურაში 200 ლიტრი ჭურჭელი იწვის. ცხრა თვის განმავლობაში ხუთი ქურა ჭურჭელი მზადდება.

კერამიკული ნაწარმი ადრე ჭირნახულზე იცვლებოდა, დღეს კი ფულით შეისყიდება. გორული ჭურჭელი უმთავრესად გორის ბაზარზე იყიდება, ანდა სოლანის მაღაზიებში ნაწილდება.

ქ. გორში მეჭურჭლე ოსტატთა საქმიანობაზე დაკვირვებამ ჭურჭელზე მუშაობის კოლექტიური ხასიათი გამოავლინა. კერამიკული ნაწარმის დამზადებაში ოჯახის თითქმის ყველა წევრი ღებულობს მონაწილეობას, თანაც ისე, რომ შრომა ფუნქციურად განაწილებულია. ოჯახის უფროსი ერთი სახის ჭურჭელს ამზადებს, მისი რომელიმე შვილი სხვა სახის ჭურჭლის გამოყვანაშია დახელოვნებული, მეორე შვილს მიწის ანუ თიხის დამუშავება ევალება და ა.შ. ქალთა სქესის წარმომადგენლები უმეტესად ჭურჭლის გაღამაზება-გამშვენიერებაზე ზრუნავენ. მათ ფუნქციაში შედის, აგრეთვე, მარნის აკინძვა, რომლის ცალკეული ნაწილებით ჩარხზე დამზადება მამაკაცს ოსტატთა მოვალეობაა.

ასეთია ქ. გორის კერამიკული წარმოების თანამედროვე მდგომარეობის ზოგადი სურათი.

გორული თიხის ჭურჭლის შესწავლამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო კერამიკული ხელოვნების ეროვნული ხასიათი, ორიგინალური სტილი, შინაარსობრივი მრავალფეროვნება და ფორმის დახვეწილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М.Зандукели

Керамическое производство в г.Гори

Р Е З Ю М Е

Среди прославленных центров обработки и производства глиняной посуды определенное место занимает Шида Картли. Особый интерес представляет г.Гори, где несмотря на небольшое количество мастеров сохранились традиции, связанные с керамическим производством.

На сегодняшний день осталось всего два представителя этого традиционного промысла. В настоящее время мастера пользуются достижениями техники и при помощи механизированных систем создали более легкую форму труда.

В Гори в основном было и есть развито производство глазурованной посуды. Посуды обычно готовились на станке, который приходил в действие с помощью ноги мастера. Сегодня используется электричество.В то же время,в последние годы, печи, которые отапливались древесиной, также заменены электропечами. По мере развития общественных отношений меняется и спрос на народную посуду. Горийские керамики основное внимание уделяют производству таких предметов, какие не производят заводы и фабрики. Раньше керамические изделия обменивались на натуральные товары. Сегодня они продаются на деньги. Горийская посуда в основном сбывается на местном Горийском базаре или скупается магазинами "Солани".

Выявленный в г.Гори этнографический материал дает возможность рассматривать горийское керамическое производство, как производство городского типа. В то же время прослеживается производство коллективного характера. В нем принимают участие почти все члены семьи.Труд разделен функционально.

Изучение горийской керамической посуды еще раз доказало национальный характер керамического искусства, оригинальный стиль, многообразие и изысканность формы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჯიქია

პურსაცხობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

პურის ცხობის საშუალებათა განვითარების ეტაპები კარგად არის შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში[1]. კერაში პურის ცხობის საფეხურების შეცვლის პროცესი განსაკუთრებით დაცულია სვანეთში. მ. ჩართოლანის მონოგრაფიაში[2] თანმიმდევრობითაა განხილული პურის გამოსაცხობი კერაჲს განვითარება: ფიქალი ქვის (კა-ს) პირდაპირ ქვებზე დადგმა და კერის ქვის ნაწილების რკინის მასალით შეცვლა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში პურსაცხობის რამდენიმე სახეობაა ცნობილი: კერა სპეციალური ჭურჭლის გარეშე, ზედგანი, კეცი და ღუმელი. ფშაველ და ხევსურ მოხუც მთხრობელთა მეხსიერებას ჯერ კიდევ შემორჩა პურის ნაცარ-ნაღვერდალში და კერის სიპზე გამოცხობის შემთხვევები[3]. მწყემსები სიპებისაგან გაკეთებულ „ფეჩზე" აკრავდნენ ღავაშს[4]. რკინის „ზედგანზე" პურის ცხობის წესი ხევსურეთის ეთნოგრაფიულმა ყოფამ დღემდე შემოინახა. საკიდელზე ჩამოსაკიდებლად ზედგანს „ჰელი აქვ გამაბმული", ზედ სიპია დადებული პურის „დასასმელად". შეიძლება, სიპზე შემაგრებული (II მოჭირთული) პურის ცომი გამოსაცხობად ნაცარშიც „შესცხონ". თუშეთში ზედგანს სამფეხა ზედადგარს უწოდებენ, ხოლო საკიდელზე ჩამოსაკიდებელს „ძაღგას" ეძახიან; ხევში - „კაიდანარას"[5].

თიხის კეცებში პურის ცხობის ტრადიციას დღემდე არ დაუკარგავს პრაქტიკული მნიშვნელობა (ისევე როგორც სამეგრელოში, რაჭაში, გურიაში, იმერეთში).

საკეცე მიწა წითელი, სუფთა და „უძრავი" უნდა ყოფილიყო. ქვიშა - მიწას ერთმანეთში გაზელილს დიაცი „ფლასზე" გაშლილ „ლამზე" დაუშვებდა და შიშველი ფეხებით

---

1 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული თონე, მიმომხილველი, II, თბ., 1951; მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961; ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969; Д у б р о в и н Г.Н. История войны и влодичества русских на Кавказе, т.II, СПБ., 1871; Э р и с т о в Р.О тушино-пшаво-хевсурском округе, ЗАП.КОИРГО, кн.III,Т., 1855; Т е п ц о в В.Я. Сванетия, Географический очерк, СМОМПК, т.X, Т., 1890.

2 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-70.

3. ზოგ პრიმიტიულ ხალხში დადასტურებულია პურის ნაცარ-ნაღვერდალში, გახურებულ ქვაზე, ქვებს შორის მოქცევით გამოცხობის წესები. Т а й л о р Э.Б., Первобытная культура, М.,1933,с.149; Л и п п е р т Ю., История культуры, СПБ., 1902, С. 326; Р а т ц е л ь Ф., Народоведение, I, СПБ., 1900, С. 253; К и р х м а н П. История общественного и частного быта, М., 1867, С. 36-38; Weule, K., Leitfaden der Völkerkunde, Leipzig, 1912, გვ. 41. ოკეანიის ხალხებში ცხობის გაუმჯობესებული საშუალება მიწისქვეშა ღუმელში (ორმო მიწაში) საჭმელთან ერთად გავარვარებული ქვების ჩადება ყოფილა. Т а й л о р Э.Б., Доисторический быт человечества и начало цивилизации, М.,1868, С.353.

4. ა. კ ა ც ა ძ ე, მასალები საქართველოს მეცხვარეობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. VII, 1955, გვ. 179.

5 ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967, გვ. 51.

ზედ შედგებოდა მოსაზელად. თითქმის ნახევარი დღე სჭირდებოდა ამ დამდღელი სამუშაოს შესრულებას. „მოამურგლებდა“//„გააგურგუსელავებდა“; ერთ საკეცე ეგვანდა მოგვიდა, პირებს შემოუბრუნებდა და სველ ხელს შემოატარებდა, რომ არ დაეტოვებინა ერთორი კვირა ჩრდილში გააშრობდა, შემდეგ კი ცეცხლზე პირქვე დაამხობდა გამოსაწვავად.

კეცების დამზადების საქმეში გამოირჩეოდნენ სოფ. წკერეს (მთიულეთი), მაღაროს კარის (ფშავი) და უკანაფშავის თემის სოფლებში მცხოვრები ქალები. საკეცე მიწა მთიულებს წამალათსოფლიდან მოჰქონდათ, უკანაფშავში შუაფხო-გოგოლაურთიდან, ხოლო მაღაროსკარის თემის სოფლებში ადგილზე მოიპოვებოდა.

პურის საცხობად მეცხვარეები ხმარობდნენ თუნუქის კიდეებამაღლებულ ჭურჭელს - საჯი. იმავე სახელწოდების (ساج) და ფორმის პურსაცხობია ცნობილი აზერბაიჯანშიც[6]. საჯი თურქული წარმოშობის სიტყვაა (saǰ), ნიშნავს რკინის ტაფას[7].

პურის გამოსაცხობი ღუმელი „ღომლის“ სახელწოდებით გავრცელებულია ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, თუშეთსა და ხევში. ჩვენ ეთნოგრაფიული მასალის შუქზე შევეცდებით წარმოვადგინოთ ღუმელის შენების ხევსურული წესი. იგი მარტივი აგებულებისაა და ამ სახითაა შემორჩენილი ყოფაში.

ღუმელი ორგვარია: „მიწის“ (მუდმივი) და „სიპის“ (დროებითი). მიწის ღუმელის ადგილია ძირის თვალში (II ქვეთა შინა// ქვეთას თვალი // სამყოფო//საჯალაფო// ოთახი), არის ხოლმე გვერდითაში და წინგარდაში (საიდანაც შედიან ჭერხოში). იგი მიდგმულია კედელთან ან შიგვეა ჩაშენებული. უფრო ხშირად სახლის აშენების დროს „დაამწყვდევენ“ კედელში. ხევში ღუმლისათვის გამოყოფილ ადგილს „საღომლე კუთხე“ ეწოდება. ხოლო დერეფანში ან ეზოში ამ მიზნით მოხმარებულ ადგილს „საღომელიას“ ეძახიან[8]. ხევსურეთში „ღომელი“, ვიწრო გაგებით, თიხის ის ნაწილიცაა, რაზედაც პურის ცომი დაეკვრის. საღუმელე თიხა ყველგან არ არის, მოაქვთ ჭიედან (სოფელი ხევსურეთში). ამ საქმის ოსტატები ქალები არიან, მაგრამ წებოვანი თიხის გამოსაცნობად ხშირად მცოდნე ქალი მიჰყავთ, რადგან ყველა ვერ ცნობს საჭირო მასალას. სუფთა თიხას შეურევენ დაჭრილ //დაკერეცილ თხის ბეწვს და წყალში მოზელენ ხელით; თითის სისქეზე გაბრტყელებენ და გრილ ადგილას დასდებენ გასამაგრებლად. ერთი თვის შემდეგ ცეცხლზე გამოწვავენ. ქალის მონაწილეობა ღუმელის აშენებაში ამით მთავრდება. მამაკაცები შეუდგებიან კედლების „ასახლებას“ ქვით, დაახურავენ ქვის ან თუნუქის „ცას“ (//ღომელის სარქველი - მოხეური)[9] და შიგნიდან გაღესავენ, ბოლი რომ არ გამოვიდეს. უკანა მხარეს „საენაჲ“ აქვს დატოვებული ცეცხლის ენის ასასვლელად. ღუმელს „სამ გვერდ ამაყორვილი აქვ, მეოთხე ეგრა დამრჩაღი. ქვეთა სიპს ძირჩი ცეცხლს შაუგზავენ“ (თუშეთი). ღუმლის „ცა“ ცეცხლის სიმხურვალეს მაღლა არ გაუშვებს, შიგნით დატრიალდება და გამოსაცხობად „შასხდენილ“ პურებს თანაბრად გაუნაწილებს. სიპის ღუმლის აშენება იციან კალოზე, გომურში ან წინგარდაში. ღუმელი დიდია[10] და იყენებენ განსაკუთრებული შემთხვევებისათვის, ჭირ-ლხინის დროს. ძირითადად საოჯახო მოხმარებისაა, მაგრამ თუ ადგილი აქვთ, არ დაანგრევენ (// გასწირავენ) და სანამ სიპი არ გატყდება, მთელი სოფელი სარგებლობს საჭიროების დროს. ხევში საოჯახო ღუმლებს გარდა დამოწმებულია, აგრეთვე, „საზიარო და საუბნო ღუმელებიც“. იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი ოჯახი რამდენიმე დამოუკიდებელ კომლად იყრებოდა და განაყრების ცხოვრება კვლავ ერთობის სახლში გრძელდებოდა, ხოლო ღუმელი ყველა იმ ოჯახისათვის აღვილად მოსახმარებელ ადგილას (საერთო „კარსუკენაში“ ან დერეფანში) იყო გამართული, ღუმლის გაყოფა არ ხდებოდა და განაყართა საზოგადო საკუთრებაში

---

6 Народы Кавказа, т.II,М., 1962, გვ.128.

7 Türçe Sörlük, Hazirlayan Mehmet Ali Ağakay, Ankara, 1966, გვ.616.

8 ვ.ი ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 55.

9 ხევში ქვის ფილას „ჭაჭი“ან „ბასრი“ ეწოდება.

10 თუ მიწის ღუმელში 4 პური ცხვება, სიპის ღუმელი 12 პურს იტევს ერთდროულად.

9. მოამბე, LXI-B

რჩებოდა. ასეთ ლუმელს მოხევეები „საზიაროს“ უწოდებენ და მას ძმა-ბიძაშვილები რიგით ხმარობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო დიდი მოცულობისა იყო ე.წ. „საუბნო ლომელი“, რასაც ერთ ადგილად დასახლებული მოგვარეები თუ მეზობლები იყენებდნენ. როგორც „საუბნო ლომელს“, ისე „საალმლიას“ (ბანით დახურული ღია ნაგებობა თანაუბნელთა ერთ-ერთ ეზოში) უბანი აშენებდა საერთო ძალით და მორიგეობით ახურებდნენ. იმის გამო, რომ ლუმლის სქელი კეცის გასახურებლად საკმაოდ ბევრი საწვავი მასალა იხარჯებოდა, პირველად ცეცხლის იქ დანთებას ყველა ერიდებოდა[11]. ადიღეელთა ლუმელიც სათემო საკუთრებად ითვლებოდა და საერთო ხოხმარებაში ყოფილა[12].

დავუბრუნდეთ ისევ სიპის ლუმლის მშენებლობის საკითხს. მას მხოლოდ შამაკაცი აშენებს. შეკაზმავს ჯორს ან ცხენს ქოჭით[13] და გაუდგება გზას ათ-თხუთმეტ კილომეტრზე. ლუმლისათვის საჭირო „ჩეთის“ სიპი რბილია და ადვილად იხსნება; დაკვირვებით, ზოგი ძროხის ტყავის სისქისა ყოფილა. „პირი რომ გაიკეთოს“, კოდეს ქარჩით შემოუვლიან და ფრთხილად ახლეჩენ ორზაპით, ან იგივე ქარჩით. თხელი სიპი წასაღებადაც იოლია და რაც მთავარია, მასზე კარგი პური ცხვება. ჩეთის სიპი ორია საჭირო – პურის ცომის დასაცხობი და ლომლის სახურავი. სიპებს „ქოჭის ტოლებში“ ჩადგამენ, ზემოთ და გვერდებზე ჭაპნით შეკრავენ. შემდეგ ეტაპზე სოფლის ახლომახლოდან გუდით[14] მოიტანენ წებოვან „ლურჯ“ თიხა-მიწას, დაყრიან „ხოხის“[15] სიპზე, დაასხამენ ცოტა წყალს და ურტყამენ ქვას, სანამ თიხას სიმაგრე არ დაეკარგება და ცომის სირბილეს არ მიიღებს. ასეთი ხსნარი ღესვაში ხელსაყრელი იყო. თიხის ზელვის ეს წესი მშენებლობის ადრეული საფეხურის ანარეკლს იძლევა და საინტერესოს ხდის ამ მეტად მარტივი ნაგებობის შენებასთან დაკავშირებულ შრომით პროცესს. ლუმლის სიგანე სიპის სიგანეზეა დამოკიდებული. სიმაღლე ერთი მეტრი აქვს. შენდება ორსართულად. პირველი სართულის ამოყვანის შემდეგ, დადებენ პირველ სიპს და შემოღესავენ გარშემო. ასევე მოიქცევიან მეორე სართულის აშენების შემდეგაც. მშრალი ქვის წყობის აშენების შემთხვევაში მეორე სართულს მაინც ორივე მხრივ გაღესავენ (II გაჰგოზავენ//გაჰგუღვენ). „სინათლე არსაიდან არ უნდა გავიდეს, რომ სითბოშიგ დაბრუნდეს“. თუ კალოზე უნდათ ლუმლის დადგმა, მყარზე (II მიწაზე) აშენებენ, განზე ან წინგარდაში ლუმელს ქვეშ სიპს ამოუდებენ.

ლუმლის მშენებლობის დროს გათვალისწინებულია ყველა წვრილმანი: კედლის სისქე, სიპის ანუ კეცის სისქე, სამშენებლო მასალა, ლუმლის სართულების სიმაღლე, გადახურვა, პურის შესაცხობის სიმაღლე – სიგანე და სხვ., რათა უზრუნველეყოთ პურის ცხობისათვის მთავარი ფაქტორი – გახურების დროს ლუმელში სიმხურვალის თანაბარი განაწილება[16].

სიპის ლუმელს ხევსურეთში ზოგან ფურნეს[17] უწოდებენ (ლებაისკარი). აგურით ნაგები ლუმელი – ფურნე 1961 წელს მხოლოდ ერთ ოჯახში დავამოწმეთ სოფ. შუა ბარისახოში. ფშავში ლუმელი – სიპის თუ აგურის, ორივე ფურნედაა ცნობილი. თუ სიპის

---

11 ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, მოცეური სახლის შინა (ხელნაწერი), თბ., 1962, გვ. 138.

12 К о с в е н М.О., Семейная община и патронимия, М.,1963,с.97-98.

13 ხის კეხი-შიდა მხრიდან გათლილი, ჯორს ზურგი რომ არ ატკინოს.

14 ტვირთის მოსაზიდად იციან ხბოს გუდები, ადრე ერბოსთვის ხმარობდნენ.

15 მაგარი რიყის ქვა -გამოიყენება მშენებლობაში,უწყობენ გარშემო ბანს, აგებენ მიწაზე საქონლის სადგომებში.

16 ამის თაობაზე რუსული ლუმლის მშენებელთა და პურის მცხობელთა საყურადღებოდ სპეციალური წიგნი გამოვიდა. Д е б у К.И. Справочная книга по хранению сельскохозяйственных продуктов, Л., 1926, с. 120-153.

17 „ლუმელი არს პურის საცხობი,რომელსა ფურნედ უწოდენ“.ს ულ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი,ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 309.

ფურნე სწორია, აგებულია ქვის კედლებით, ძირი (თუშური „ტერფი“) და სახურავი სპილსა აქვს და შელესილია თიხით, აგურის ფურნე მთლიანად აგურითაა ნაგები და გადაყვანილია თაღით. უპირატესობას აგურის ფურნეს ანიჭებენ, რადგან სიპი მალე სკდება, აღაგ-აღაგ ჩაიჩხვლიტება და პურიც უსწორმასწორო ცხვება. ფურნე ფშაური ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის ნაკლებად დამახასიათებელია. მას ადგილზე არსებობის ოთხიხუთი ათეული წლის ისტორია აქვს და ზოგ სოფელში 60-იან წლებში ცხრა-ათი წლით განისაზღვრებოდა. ფშავის შედარებით ბარის სოფლებში - კაწალხევი, თვალიკი და აგრეთვე ჟინვალსა (მთიულეთი) და მის ახლო-მახლო სოფლებში თითქმის ყველა ოჯახს აქვს ფურნე. თუშეთსა და მთიულეთში ფურნის სინონიმი ზოგჯერ „ფეჩიც“ არის.

ქსნის ხეობის მთის სოფლებში პური ფურნესა და კეცებში ცხვება, ზეგანსა და მთისძირა სოფლებში ფურნე და თონე თანაარსებობენ, ხოლო გარში მხოლოდ თონეს ხმარობენ. ქსნის ხეობაში ფურნე კონსტრუქციულად და საშენი მასალის თვალსაზრისით სხვა მთიელთა ფურნე-ღუმელის ფონზე, მაღალ დონეზე ჩანს, რაც უდავოდ, კერამიკულმა ცენტრმა - ცხავატმა განაპირობა. ფურნის ძირებს, თორნეებსა და კეცებს ცხავატელი მეთუნეები მთელს ქსნის ხეობაში ყიდდნენ. ზოგ ადგილში (კორინთა, მისი ზემო მიდამოები) მამაკაცები თავად ამზადებდნენ ფურნის ძირებს, თუკი ვარგისი წითელი მიწა ახლომახლო მოიპოვებოდა. ფურნის ძირი უმეტესად თიხისაა, გვერდები ქვისა, ან აგურის. თონე-თიხისაა. გარედან ქვითა და აგურით ამოშენებული. გარდა სიმაგრისა, სითბოს იჭერს და პურიც კარგად ცხვება, ჯერ იხარშება და მერე თანდათან შრება გამოცხობამდე. მესხეთში თონეც ჰქონიათ და ფურნეც[18], რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში[19] გვიანდელ წარმონაქმნადაა მიჩნეული. ჯავახეთის ყოფაში ძველთაგანვე გამოყენებულია თონე.

ქიზიყის სოფლებში კეცი და თონეა პურის საცხობი. ცნობილი არიან კეცის მკეთებელი ზემო ბოდბელი ქალები. ქიზიყის მოსახლეობას თონეთი ბოდბისხეველი მეჭურჭლეები ამარაგებდნენ.

რაჭაში პურის საცხობად კეცი და თონეა გავრცელებული, ხოლო „მთის სოფლებში, სადაც თონე არაა, პურს ფურნეებში, ღუმლებში აცხობენ. ეს უკანასკნელი ახალი შემოღებულია. გვხვდება როგორც ეზოში დადგმული (ღები), ისე თვით საცხოვრებელ სახლში ნაგები ღუმელი (ს. წედისი)“[20].

სპეციალური ლიტერატურის გაცნობა და საველე ეთნოგრაფიული მასალა აძლევა პურის ცხობის საერთო და მსგავსი ხერხების წარმოჩინების საშუალებას საქართველოს ცალკეულ კუთხეში, ჩრდილო და ამიერკავკასიის ხალხებში.

ქსნის ხეობის მკვიდრ მოსახლეობასთან მუშაობამ გვაჩვენა, რომ ფურნესა და თონეს ხმარობენ იმის მიხედვით, თუ რომელ ზოლში ცხოვრობენ (ასევე უწოდებენ კიდეც). ჩრდილოკავკასიელი ოსების პურის ცხობის ძირითადი საშუალება ნაცარ-ნაღვერდალია, მანამდე კი ცომს ხევსურთ მსგავსად ზედგანზე აშრობდნენ[21]. სომხეთში „თონირ“ არის გაბატონებული[22]. კუმიკები უმარტივესი ხერხის - ნაცარში გამოცხობის გარდა, სოფლისათვის საერთო ღუმელსაც ხმარობენ. მთელს სოფელში ორი-ხუთი ღუმელია, რომელსაც ახურებენ რიგ-რიგობით, ან საერთო ძალით[23]. ადიღეელთა ღუმელს ორი ფუნქ-

---

18 გ. ჯ ა ღ ა ბ ა ძ ე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 289.

19 ლ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 130-132.

20 ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 166.

21 М а г о м е т о в А.Х., Культура и быт осетинского народа, г.Орджоникидзе, 1968, с.302; К а л о е в Б.А. Осетины, М., 1971, с.164.

22 Е р е м я н С.Т. Естественно-исторические основы питания армянского народа, Армянская кулинария, М., 1960, с.25-26.

23 Г а д ж и е в а С.Ш. Кумыки, М., 1961, с. 246.

ცია აკისრია – საჭმელის ხარშვა და პურის ცხობა[24]. სამხრეთ დაღესტანსა და აზერბაიჯანში პურის საცხობია – „თონდურ“. ჩვენ მიერ ლაკებსა და დარგოელებში (დაღესტანი) დამოწმებულ პურსაცხობთაგან („თაუ“, „თურუმ“, „ქირი“, „სუნჩი“, „ტაკ“) ლუმელს ძალიან წააგავს ქირი.

აქვე შევნიშნავთ, რომ დმ.ბაქრაძე[25] ფურნის ეტიმოლოგიას პურს უკავშირებს, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. „ფურნე – ფურნო (ფურუნ B) ლათინურია, ქართულად ლუმელი ჰქვან“[26]. სავარაუდოა, რომ ეს ტერმინი ჩვენთან ლათინურიდან თურქული ენის გზით შემოვიდა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ლ.ბერიაშვილი, საცხობის თურქულის გავლენაზე შეიძლება არ ვილაპარაკოთ, რადგან პურის საცხობად იქ მიღებულია თორნე, ე.წ. „თანდირ“[27]. თურქულ სამზარეულოში არის ორგანყოფილებიანი ერთსართულიანი ლუმელიც- „ფურუნ“ (Furun)[28], რომლის დანიშნულებაა ზემოდან საჭმლის ხარშვა, თუ ცხობა. თურქულშიც სიტყვა ფურუნ იტალიურიდან (firin) დამკვიდრდა[29]. როგორც დმ.ბაქრაძე აღნიშნავს, გასული საუკუნის შუა ხანებისათვის საქართველოში ფურნე მხოლოდ ქალაქებში ყოფილა გავრცელებული[30]. ამასვე გვამცნობს „კალმასობის“ ტექსტი: „უკანასკნელ ქალაქებთა შინა შემოიღეს ფურნე, რომელსა შინა აცხობენ ლავაშსა ყიზილბაშის გვარზედ“[31]. ამასთანავე, ზემოთ მოყვანილი მასალიდანაც ჩანს, რომ ფურნე ქართული ეთნოგრაფიული ყოფისათვის ახალი შენაძენია; იგი მხოლოდ XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ბარის სოფლებიდან სამხედრო გზით იკიდებს ფეხს და სწრაფად ვრცელდება მთის მიკროარაონებში. ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა ქართული ლუმელი – ფურნე მოდიფიცირებული სახით ცნობილი რუსული ლუმლიდან[32] იყოს შეთვისებული. ის რომ, ქართული, რუსულისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი ფუნქციის (პურის ცხობა) მატარებელია, უდავოდ, ესოდენ განვითარებული მემინდვრეობისა და მის ბაზაზე წარმოებული პროდუქტის მრავალსახეობის შედეგია.

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა საქართველოს კუთხეებში და მათ შორის მთაში, რუსული ლუმლის ერთ-ერთმა სახესხვაობამ – თუნუქის ლუმელმა – „ფეჩი“, როგორც ქალის შრომის შემსუბუქების საშუალებამ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლებში პურის საცხობად ნაკლებად, მაგრამ მაინც ხმარებაშია ბუხარი. მთხრობელთა გადმოცემით, იგი „გვიანი“ ხანის შემოღებულია ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში. ვ.ითონიშვილი ხევში ბუხრის გაჩენის ყველაზე ძველ თარიღად XVII ს. მიიჩნევს[33].

---

24 С е р г е е в а Г.А. Пища; Культура и быт колхозного крестьянства Адыгейской автономной области, М.-Л.,1964, с. 104-105.

25 Б а к р а д з е Дм. Духан и пурне, Кавказ, №20, 1851.

26 ს.ს.ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, გვ. 360.

27 ლ.ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრომი, გვ. 132.

28 Z. Koç-ay, A. Ülkücan, A. Anadoly Iemekleri ol Türk Mutfagi, Ankara, 1961, ტაბ. XXI.

29 Турецко-русский словарь, собр.ст.Д.А.Магазаник, М., 1931, с.321.

30 Б а к р а д з е Дм., დასახ.ნაშრომი.

31 ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ.II, თბ., 1948, გვ.225.

32 რუსული ლუმლის პროტოტიპები აღმოსავლეთ ევროპის ჯერ კიდევ III ათასწლეულით დათარიღებულ საცხოვრებელთა კომპლექსში ჩანს. მისი გავრცელების არეალი მეტად გრძელ ჯაჭვს ქმნის დასავლეთითა და სამხრეთით. ფუნქციის მიხედვით, იგი ნაირსახოვანია: მასზე ხარშავენ საჭმელს, აცხობენ პურს, აშრობენ ტანსაცმელსა და მარცვლეულს, წვებიან გასათბობად და დასაძინებლად, ქვეშ კი ქათმებსა და გოჭებს აბინავებენ ზამთრობით. მოგვიანებით, იხმარება სხვადასხვა სახის ლუმელი, რომელსაც ერთი რომელიმე ფუნქცია ეკისრება. ერთ-ერთი ასეთთაგანია საქართველოში „ფეჩის“ სახელწოდებით გავრცელებული ლუმელი. რუსული ლუმლის არსებობა-განვითარების რთული გზა შესწავლილია ნაშრომში: Б л о м к в и с т Е.Э., Крестьянские постройки русских, украинцев и белорусов; Восточнославянский этнографический сборник, М., 1956, с.252-270.

33 ვ.ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრომი, გვ. 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н.П.Джикия

Приспособления для выпечки хлеба в горной Восточной Грузии

Р Е З Ю М Е

При изучении этнографической действительности различных уголков Грузии, нам удалос проследить за этапами развития средств выпечки хлеба. Особенно хорошо сохранились они в Сванети (М.И.Чартолани). В горных районах Восточной Грузии существует несколько приспособлений для выпечки хлеба: очаг (без специальной посуды), зедгани (подвешенное над очагом железное приспособление с камнем для выпечки хлеба), кеци (глиняная сковородка) и гумели. Сказители из Пшави и Хевсурети еще помнят случаи выпечки хлеба в золе на горячих углях, а также на камне (сипи) очага. Пастухи на "печке", сделанной из сипи, пекли лаваши. В этнографическом быту Хевсурети до сих пор сохранился способ выпечки хлеба на железной зедгани. Тесто, затвердевшее на камне, клали для выпечки в золу.

Традиция выпечки хлеба на кеци и поныне практикуется как в горных районах Восточной Грузии, так и в Самегрело, Рача, Гурии, Имерети.

В Хевсурети, Мтиулет-Гудамакари, Тушети и Хеви печь для выпечки хлеба называется гомели. Гомели бывает "земляное" (постоянное) и "каменное" (временное).

В различных уголках Грузии, в том числе в ее горах, особую популярность получила одна из разновидностей русской печи - жестяная печка, которая во многом облегчила женский труд.

В горных селах Восточной Грузии для выпечки хлеба, хотя в меньшей степени, но все же используется камин (бухари).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. მოდებაძე

ნართის დამუშავების ხალხური წესები სამცხე-ჯავახეთში

სამცხე-ჯავახეთის მატერიალური კულტურის შესწავლისათვის ისეთ ძეგლებთან ერთად, როგორიცაა მაღალმხატვრული ციხესების არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, ოქრომჭედლობა, ხეზე კვეთა, წიგნის მხატვრობა და სხვა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საფეიქრო წარმოების მხატვრულ ნაწარმს: ხალიჩებს, ფარდაგებს (ფიჩვებს), ჯეჯიმებს, ხურჯინებს და ა.შ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის მიხედვით დგინდება, რომ ნეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ადამიანმა უკვე იცოდა რთვა და ქსოვა, რაზედაც მიგვითითებს ამ პერიოდის ქვის, ძვლის და თიხის კვირისტავები, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ ადგილას არის ნაპოვნი: საგვარჯილეში, ხიზანაანთ გორაზე, ქვაცხელებში, ოჩამჩირეში, დიდუბეში, ურბნისში, ამირანის გორაზე და ა.შ. მრავლადაა აღმოჩენილი აგრეთვე „ქსოვილებიანი კერამიკა". უფრო მოგვიანო ხანის არქეოლოგიურ მასალებში კი თვითონ ქსოვილის ფრაგმენტებიც ჩნდება (ბედენი, დაბლა გომი, წვერმაღალა, დმანისი, არმაზციხე, „ყაზბეგის განძი" და სხვა)[1].

რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, შორეულ წარსულში აქვს დადებული სათავე აქაური მკვიდრი მოსახლეობის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებას. როგორც არქეოლოგიური ფაქტები მოწმობენ, ადამიანი ჯერ კიდევ 200-250 ათასი წლის წინ დასახლებულა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით დაჯილდოებულ ამ მხარეში. ახალციხის მახლობლად - ამირანის გორაზე მოპოვებული მასალები კი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ აქაური მკვიდრი მოსახლეობა შემოქმედი წევრი ყოფილა იმ კულტურულ ხალხთა ოჯახისა, რომელიც წინა აზიაში ძვ.წ. IV-I ათასწლეულთა მანძილზე დიდ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას ეწეოდა.

ახალციხის „ამირანის გორის" (III ათასწლეულის პირველი ნახევარი) არქეოლოგიური მასალების გაცნობის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელოსნობის ყველა დარგი ამ დროისათვის მესხეთში უკვე მაღალ დონეზე დგას[2].

საფეიქრო საქმიანობაც იმ დროისათვის ამ მხარეში კარგად განვითარებული რომ ყოფილა, ამის დამადასტურებელია ის უამრავი კვირისტავი, ნემსი და ა.შ., რომელიც „ამირანის გორის" გათხრების დროს აღმოჩნდა.

ხალხური ფეიქრობის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტია ადიგენის რაიონში, ე.წ. „ფარეხას გორაზე" აღმოჩენილ კერამიკულ ჭურჭელზე (რომელიც თარიღდება III ათასწლეულის დასაწყისით) მოცემული ქსოვილის ანაბეჭდები. ანაბეჭდების მიხედვით ჩანს, რომ კერამიკული ჭურჭლის დამზადებისას ე.წ. „ყალიბებად" გამოყენებული ქსოვილი საქსოვ დაზგაზე ყოფილა დამზადებული[3].

---

1 გ.გობეჯიშვილი, ბედენის აკლდამა, ძეგლის მეგობარი, კრ. XII; ქ.ისაკაძე, საფეიქრო საქმე საქართველოში, თბ., 1970; დ.ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, 1955; ა.აფაქიძე, გ.გობეჯიშვილი, ალ.კალანდაძე, გ.ღომთათიძე, მცხეთა, I, თბ., 1955; ც.ყარაულაშვილი, ქსოვილის ორი ფრაგმენტი ყაზბეგის განძიდან,-ჟურ. მეცნიერება და ტექნიკა, 1971 წ. № 8.

2 ტ.ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963.

3 „ფარეხას გორის" განათხარი მასალა (არქეოლოგი ო.ღამბაშიძე) ინახება სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში.

ანალოგიური სურათია ჯავახეთის – „ამირანის გორაზე“ (III ათასწ. პირველი ნახევარი) აღმოჩენილ ჭურჭელზე. ქსოვილის ანაბეჭდის ანალიზი აქაც გვიჩვენებს, რომ იგი საქსოვ დაზგაზე უნდა იყოს დამზადებული.

აღნიშნული მასალა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქსოვის ხელოვნება სათავეს შორეული წარსულიდან იღებს.

ლიტერატურის გაცნობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ უძველეს საქართველოში თავდაპირველად საფეიქრო ნაწარმის ძირითად ნედლეულად მატყლის ბოჭკო ყოფილა გამოყენებული. ჩვენმა წინაპრებმა მიაგნეს მატყლის ყველა იმ მაღალ ღირსებას (მატყლი სითბოგაუმტარია, დრეკადია, მოქნილი და პლასტიკური, კარგად იღებება და ნაკლებად ხუნდება, აქვს მოთეღვის უნარი), რომლითაც ყველა ბოჭკოვანი ნედლეულისაგან გამოირჩევა. ვფიქრობთ, ყველა ამ თვისების გამო იყო, რომ ჩვენს წინაპრებს მატყლი ძველად დიდი რაოდენობით გამოუყენებიათ. ამის საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია 1966 წელს ბედენის ზეგანზე ე.წ. „გადაჭრილ გორაზე“ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი მრავალნაირი ქსოვილის ნაშთები, რომლებიც „მიცვალებულთათვის ძვ.წ.XIX საუკუნეში ჩაყოლებულ ურემთან, საოჯახო იარაღთან, ძვირფას სამკაულთან და თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა“[4]. ამ ქსოვილის ფრაგმენტების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ უმეტესობა მატყლის ნართისაგანაა ნაქსოვი, თანაც ქართველი ფეიქრები 4000 წლის წინათ „მატყლის თავისებურებებს ისე კარგად იცნობდნენ, რომ შავი და უხეში ქეჩის მოსათელად იხარჯებოდა, სხვა კი სატანსაცმლე ქსოვილის ან რომელიმე საოჯახო ცალობითი პროდუქციის დასამზადებლად“[5].

შემდეგში საზოგადოებრივი განვითარების საფეხურების შესაბამისად იზრდებოდა და უმჯობესდებოდა მესაქონლეობა-მეცხვარეობა და შესაბამისად მატყლის რაოდენობა, რაც უშუალო კავშირშია საქსოვი დაზგების არსებობისა და ქსოვის წესების ცოდნასთან.

ანტიკური ხანის საქართველოში, როგორც ამას პ.გუგუშვილი აღნიშნავს, მატყლი იხეთი დიდი რაოდენობის უწარმოებიათ (რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ საფეიქრო საქმიანობა ძალზე მაღალ დონეზე ყოფილა ახული), რომ იგი „საექსპორტო ვაჭრობის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა“[6].

საინტერესოა საკითხი, როგორი ჯიშის ცხვარი ჰყავდათ უძველეს საქართველოში და როგორი ხარისხის მატყლი ჰქონდა ამ ცხვარს.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეცხვარეობის განვითარება-გავრცელების შესახებ მნიშვნელოვანი ლიტერატურა არსებობს[7]. ლიტერატურის გაცნობისა და ველზე ეთნოგრაფიული მასალის მოძიების შემდეგ ირკვევა, რომ საქართველოში ძირითადად გავრცელებული ყოფილა თუშური და იმერული ჯიშის ცხვარი. დასახელებული ჯიშებიდან იმერული ცხვარი უძველესი ჯიშის ცხვარია.

ივ.ჯავახიშვილის ცნობით „კუდიანი ცხვარი“, ე.ი. იმერულ ჯიშად წოდებული პირუტყვი ძველად გავრცელებული ყოფილა მთელ საქართველოში[8].

პ.გუგუშვილის დასკვნით „დღეს იმერულად ცნობილი ჯიში არსებითად ძველქართული, ე.ი.ოდესღაც მთელ საქართველოში გავრცელებული ცხვარია[9].

---

4 ქ.ი ს ა კ ა ძ ე, საფეიქრო ბოჭკოვან მასალათა დამუშავება ძველ საქართველოში, მაცნე, თბ., 1979, გვ. 75.

5 იქვე, გვ. 81.

6 პ.გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ.III, თბ., 1959, გვ. 780.

7 ლ.კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „საქართველოს მეცხოველეობის ბიბლიოგრაფია“, თბ.,1952; ა.ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, „ახალი ქართული ცხვარი“, თბ.,1947; მ.ი ვ ა ნ ო ვ ი, „მეცნიერება“, თბ.,1939; პ.გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.ტ.III, თბ.,1959; მ.ს ვ ა ნ ა ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს-ში, თბ., 1984.

8 გაზ. „კომუნისტი“, 1937 წელი, № 55.

9 პ.გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 581.

მ. რჩეულიშვილის აზრითაც, „ძველად აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იმერული ცხვარი თუშურ ცხვრად გადაჯიშებულა და მისი თუშურად გადაქცევის პროცესი ზემო ქართლში ჯერ კიდევ ამ ორმოცი წლის წინათაც მიმდინარეობდა“[10].

ამრიგად ირკვევა, რომ უძველესი ჯიშის ცხვარი, რომელიც საქართველოს სამცხე-ჯავახეთში, იყო გავრცელებული, იმერული ჯიშის ცხვარი იყო. ამას თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ სამცხე-ჯავახეთში ბევრგანაა საფლავებზედ დადგმული ცხვრის ძეგლები. ცხვრის რქების სხვა ტიპებთან ერთად „იმერული“ ვერძის რქების ფორმებსაც ვხვდებით[11].

იმერულ ცხვარს უფრო ნაზი და თანაბარი მატყლი ჰქონდა. „ადგილობრივი მოსახლე მართალია თავის ცხვრის კანძის სიმცირეს უჩიოდა, მაგრამ მისი მატყლის ხარისხს მაინც მეტად აფასებდა, მისგან ის შინამრეწველურად საკმაოდ კარგი ხარისხის ე.წ. იმერულ შალს ამზადებდა“[12]. ანგარიშგასაწევი იყო ის გარემოებაც, რომ იმერული ჯიშის ცხვარი გამოირჩევა სწრაფი გამრავლების უნარით. წელიწადში ის ორჯერ დოლიანდება და თითოეულ დადოლებაზედ 1-2 ან 3 ბატკანს იგებს.

ვახუშტის დახასიათებით, „იმერული ცხოვარნი უდუმონი და კუდიანნი მარადის მშობელნი ტყუპთა და ოდესმე სამ-ოთხთა“[13].

მიუხედავად იმერული ცხვრის ჯიშის ასეთი უპირატესობისა, სამცხე-ჯავახეთში მან ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა. ვფიქრობთ, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო სამცხე-ჯავახეთში არსებული მკაცრი, ხანგრძლივი ზამთარი და მშრალი ჰავა. მთხრობელთა გადმოცემითაც, „გრძელ კუდიანმა (ე.ი. იმერულმა) ცხვარმა ჩვენთან ვერ იხეირა“[14].

სამაგიეროდ სამცხე-ჯავახეთში გავრცელება ჰპოვა თუშური ჯიშის ცხვარმა. „თუშურის მატყლი უხეში და ნაირბეწვიანია, თუმცა სხვა ნაირბეწვიან ცხვართა მატყლთან შედარებით ნაზია და რბილი. თუშურის მატყლს გაჭიმვისა და გრეხის კარგი გამძლეობა აქვს, რაც საფეიქრო მრეწველობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან თვისებად ითვლება“[15]. გარდა იმისა, თუშური ჯიშის ცხვარს გემრიელი და ნაზი ხორცი აქვს, იძლევა საუკეთესო გემოს ყველს (სამცხე-ჯავახეთში ცხვრის რძისაგან აკეთებდნენ ჩვეულებრივ ყველს, ტენიღს და ანზღატს - შრატს მოადუღებენ და იმასაც ყველივით აკეთებენ, შეამარილებენ და ქოთნებში ინახავენ). ყველა ამ თვისების გამო, საქართველოსა და ამიერკავკასიის უმეტეს ნაწილში გავრცელებისა და რაოდენობის მხრივ გაბატონებული აღგილი თუშური ჯიშის ცხვარმა დაიჭირა.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამცხე-ჯავახეთში თუშური ჯიშის ცხვარი შეურეველი სახით არ ჰყავდათ.

უპირველესი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ სამცხე-ჯავახეთი, როგორც განაპირა პროვინციული მხარე, გარეშე მტერთა მუდმივი რბევის ობიექტს წარმოადგენდა. შემოსეული მტერი კი იტაცებდა მხარის მთელ მატერიალურ ფასეულობას, გადარეკავდა ხოლმე საქონლის ჯოგებსა და ცხვრის ფარებს. გადარეკილი ცხვარი ხვდებოდა ადგილობრივ ცხვარს და მათი მეტიზაციის შედეგად წარმოიშობოდა ხოლმე სრულიად განსხვავებული ჯიში. იყო შემთხვევა მოტაცებული ცხვრის შემდეგ უკან დაბრუნებისა. მაშასადამე, ცხვრის ჯიშთა აღრევის ერთი მიზეზი ეს იყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საძოვრების საკითხში მტკიცედ დადგენილი სასაზღვრო წესი არ არსებობდა. მეზობელი ქვეყნის მეცხვარეებს ცხვარი საძოვრად საქართველოსა და ამიერკავკასიის საძოვრებზე გადმოჰყავდათ, ქართველებს კი პირიქით. ვფიქრობთ, მეორე მიზეზი ეს უნდა იყოს.

---

10 მ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართული ცხვრის შესწავლისათვის, გვ. 123.

11 იმერულ ცხვარს რქების ხვეულობა აქვს სოფ. არაღის და ძველის სასაფლაოებზე, აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ეზოში არსებულ ვერძის ქანდაკებებს.

12 შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 116.

13 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ., 1941, გვ. 146.

14 მთხრობელი ზედგენიძე ელენე ფილიპეს ასული (95 წლის) ს. ჭობარეთი, 1985.

15 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი ...., გვ. 580.

მაგრამ იყო ხოლმე შემთხვევა, რომ მეცხვარე სრულიად გარკვეული მიზნით თვითონ ახდენდა ხოლმე ცხვრის ჯიშთა მეტიზაციას, რადგანაც „მეზობელი ქვეყნის ცხვრებს მეღი რიგი ისეთი თვისებები აქვთ („დუმა", დიდი ცოცხალი წონა, მერძეულობა და ცხვა), რომლისკენაც მისწრაფება ქართველ მომთაბარე მეცხვარეებს ჰქონდათ[16].

ვფიქრობთ, სწორედ ამის გამო იყო, რომ ჯავახეთში ხელი მიჰყვეს მაზეხის ჯიშის ცხვრის მოშენებას (იგი ერევნის გუბერნიაში გავრცელებულ ჯიშთაგან უძველესი ადგილობრივი ჯიშია). მაზეხი დიდი ტანის, მაგრამ ფერადობით აჭრელებული და ცუდი ხარისხის მატყლის მქონე ცხვარია. უფრო მეტიც, „მატყლისა და ხორცის თვისებებით მაზეხი ყველა ამიერკავკასიურ ჯიშზე დაბლა იდგა, მაგრამ სამაგიეროდ იგი გამოირჩეოდა მაღალი წველადობით"[17]. სწორედ მაზეხის ცხვრის მაღალმა მერძეულობამ განაპირობა მისი ფართოდ გავრცელება ჯავახეთში.

თუშურის მაზეხის ჯიშთან მეტიზაციით წარმოშობილია, აგრეთვე, ბევრი სხვა გარდამავალი საფეხურის მქონე ტიპები, რომელსაც ქიასმას ეძახიან. ეს ჯიში გავრცელებული იყო ახალციხისა და გუმბრის მაზრაში[18].

ამრიგად, პარალელურად თუშური ცხვრისა სამცხე-ჯავახეთში ძირითადად გავრცელებული ყოფილა მაზეხისა და ქიასმას ჯიშის ცხვარი.

მთხრობელთა დაკვირვებით, უკეთესი ხარისხის მატყლითა და წველადობით გამოირჩეოდა სამცხეში გავრცელებული ქიასმას ჯიშის ცხვარი.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ სამცხე-ჯავახეთში ჰყავდათ აგრეთვე მერინოსის (ესპანური) ჯიშის ცხვარი. როგორც პ. გუგუშვილი აღნიშნავს, „თვითმპყრობელობამ ადრიდანვე მიაქცია ყურადღება ამიერკავკასიაში მეცხვარეობას. ცენტრალური რუსეთის საფეიქრო მრეწველობის წრეები ძლიერ დაინტერესებული იყვნენ აქაური მატყლით. ბუნებრივია, ასეთ პირობებში რუსეთის მრეწველობასა და ცარიზმს უნდა ეზრუნათ აქ მეცხვარეობის განვითარებისათვის. სწორედ ამ მიზნით 1822 წელს გენ. ერმოლოვმა ქართლელ და კახელ მემამულეებს დაუგზავნა მერინოსის რამდენიმე ცხვარი.

1830-1840-იან წლებში მერინოსის ჯიშის ცხვრები ამიერკავკასიაში შემოიყვანეს ტავრიდის გუბერნიიდან გადმოსახლებულმა რუსმა კოლონისტებმაც"[19].

რუსი კოლონისტები, სახელდობრ დუხობორები, ჩასახლებულნი იქნენ ჯავახეთში, კერძოდ ბოგდანოვკის რაიონში. სწორედ მათ შემოიყვანეს დასახლებული ჯიშის ცხვარი ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში. ამის შემდეგ მერინოსის ცხვრის მოშენებას თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც აწარმოებდნენ, რადგანაც მისი მატყლი დიდი სინაზით გამოირჩევა და ჩვეულებრივ ცხვართან შედარებით მეტ მატყლსაც იპარსავდა.

1937 წლისათვის ეთნოგრაფმა გ. გოგოლაძემ მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მოძიების დროს ჯავახეთში, კერძოდ ახალქალაქის რაიონის სოფ. ბარალეთში დაადასტურა მერინოსის ჯიშის ცხვრის არსებობა[20].

მაგრამ, როგორც ჩანს, მერინოსის ჯიშის ცხვარმა ვერ აიტანა აქაური მკაცრი ჰავა. უმეტესობა ამოწყდა, ხოლო მცირე ნაწილი გადაგვარდა. საბოლოო ჯამში მერინოსის ცხვრის მოშენებას არ მოჰყოლია ის შედეგი, რომელიც ნავარაუდევი იყო. ამიტომ სამცხე-ჯავახეთის სოფლებში ამჟამად მერინოსის ჯიშის ცხვარს ვერსად შეხვდებით.

მეცხვარეობა სამცხე-ჯავახეთში ოდითგანვე მესაქონლეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა.

ვახუშტი ბატონიშვილი სამცხე-საათაბაგოში მესაქონლეობასთან დაკავშირებით შე-

---

16 შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 184.

17 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი..., გვ. 588.

18 იქვე, გვ. 580.

19 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 573-574.

20 მ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები, 1937, ხელნაწერი № 37, გვ. 22.

ნიშნავდა, „პირუტყვნი მრავლად, არამედ ცხოვარნი უმრავლესად“[21]. მეცხვარეობის განვითარებას სამცხე-ჯავახეთში ხელს უწყობდა ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები და ამ მხარეში დიდი რაოდენობით არსებული საძოვარი – იაღაღები[22].

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ძვირფას და საინტერესო წყაროს სამცხე-ჯავახეთში მეცხვარეობის განვითარების შესახებ გვაწვდის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. დავთრის მონაცემები ცხადყოფს, რომ საათაბაგოში მესაქონლეობის ეს დარგი ყველაზე მეტად იყო განვითარებული. ცხვარი ისეთი დიდი რაოდენობით ყოფილა, რომ 1573 წლის „გურჯისტანის კანონ ნამეში“ ჩაწერილია: „ფარაში სამასი ცხვარია, ჩვეულებრივ ორასია, ყველაზე უმნიშვნელო ფარა ასი ასორმოცდაათი თავისაგან შედგება“[23]. ცხვარზე გაწერილი გადასახადის მიხედვით, მ.სვანაძემ დაადგინა, რომ „სამცხე-საათაბაგოში 300 ათასამდე ცხვარი აღირიცხებოდა. 7II სოფლიდან 633 სოფელი მეცხვარეობას მისდევდა. ცხვარი ყველაზე დიდი რაოდენობით ახალციხის ლივაში ჰყოლიათ“[24].

ცხვრის მოვლა-გამოკვება და კრეჭვა შემდეგნაირად წარმოებდა. როგორც ცნობილია, სამხრეთ საქართველოში მკაცრი, უხვთოვლიანი და ხანგრძლივი ზამთარი იცის, ამიტომ ცხვარი საცხვარეში ჰყავდათ და ბაგურად კვებავდნენ მთელი 3-4 თვის განმავლობაში (საერთოდ საქონელი ბაგურ კვებაზე გადაჰყავდათ გიორგობის თვეში (ნოემბერში). ცხვარს კი ზედა მთიდან ჩამოყვანის შემდეგ „ყიშლებში“, მდინარეთა ხეობებში, მზისგულ საძოვრებზე აძოვებდნენ, ე.ი. ისეთ ადგილებში, სადაც პირველი „ჩამოყრილი“ თოვლი დიდხანს არ ჩერდებოდა. იანვრის თვიდან კი თოვლს უკვე რომ „დასდებდა“, ცხვარს ბაგურად კვებავდნენ).

აქვე საჭიროდ ვთვლით, აღვწეროთ მესხური საცხოვრებელი, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება და უზარმაზარი კომპლექსის სახით არის წარმოდგენილი.

მესხური საცხოვრებელი მიწურ-ბანიანი გადახურვით იყო. წინ ჰქონდა წამოხურული კარაპანი (კარაპანი კი იმის მიხედვით, როგორი ტიპის საცხოვრებელი იყო, მესხეთში კი ძირითადად სამი ტიპის საცხოვრებელი არსებობდა, სხვადასხვა ფორმისა). კარაპნიდან იყო შესასვლელი საერთო დერეფანში. საერთო დერეფნიდან იყო გასასვლელი ოდაში (სასტუმრო სახლში), დარბაზში (საჯაღაბო სახლში) და საცივო სახლში. საერთო დერეფანს ჰქონდა განშტოება შიგა დერეფნის სახით, საიდანაც იყო შესასვლელი ბოსელში ანუ როგორც მას სამცხე-ჯავახეთში ეძახიან, ახორში (ახორსა და ოდას შორის თხელი ფიცრის ტიხარი იყო). ახორის გაგრძელებაზე, უკანა კედელთან იყო საცხვარე, რომელიც თავის მხრივ გატიხრული იყო კიდევ სათოხლედ.

მესხური საცხოვრებლის კომპლექსში შედის აგრეთვე საბძელი, სადაც ინახავდნენ საქონლისა და ცხვრის საკვებს. ახორიდან და საცხვარიდან იყო შესასვლელი საბძელში. ხშირ შემთხვევაში საბძლის განის გაგრძელებას წარმოადგენდა კალო. საბძელს ჰქონდა დიდი ზომის ერდო, საიდანაც საბძელში ყრიდნენ ბზეს.

მსხვილფეხა საქონლისაგან განსხვავებით, ცხვარს დღისით კალოზე გაუშლიდნენ წინასწარ ზამთრისათვის მომზადებულ თივას, ღამით კი საცხვარეში აბინავებდნენ[25].

---

21 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 448.

22 არა მარტო სამცხე-საათაბაგოს, არამედ საქართველოს შიდა რაიონების ქართლის, კახეთის და თვით თუშეთის ცხვარიც ზაფხულობით სამცხე-ჯავახეთის იაღაღებზე მოჰყავდათ საძოვრად.

23 მ.ს ვ ა ნ ა ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს-ში, თბ., 1984, გვ. 83.

24 გ.ჯ ა ღ ა ბ ა ძ ე, რეცენზია მ.სვანაძის წიგნზე – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს-ში „წითელი დროშა, 1985, № 75.

25 საცხვარეში დაგროვილ ცხვრის ნაკელს ანუ „ხუშკს“ საცხვარის ერთ კუთხეში აგროვებდნენ. ცხვრის „ხუშკი“ ბევრი უნიკალური თვისებით გამოირჩევა. უპირველესი ის გახლდათ, რომ „ხუშკი“ მაღალ ტემპერატურაზე განიცდის წვას. ამის გამო წელკავითა და ქარით დასნეულებულ ავადმყოფებს მიუყვანდნენ და „ხუშკის“ გროვაში წელამდე ჩასვამდნენ. მთხრობელთა დაკვირვებით, ავადმყოფი მაღე მომჯობინდებოდა ხოლ-

ცხვარს, ჩვეულებრივად, თივით კვებავდნენ. მთხრობელთა დაკვირვებით, თივით გამოკვებული ცხვარი სუქდებოდა და ბეწვიც გრძელი ეზრდებოდა. ბზე კი ცხვარს ამჭლეებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტიც, არა მარტო ბაგურად კვების, არამედ იაღადებზე ძოვების დროსაც ესა თუ ის ბალახი გავლენას ახდენდა მატყლის ხარისხზე. მაგ., ჭყანტრობ ადგილებში, ჭილის შალახს ცხვარს არ მოაძოვებდნენ. გარდა იმისა, რომ ასეთ ადგილებში ნაკვები ცხვრის მატყლი შედარებით მდარე ხარისხისა იყო, ცხვარს უჩნდებოდა დაავადება ე.წ. „პეპეწი". მარტ-აპრილიდან თოვლს რომ აიღებდა, ცხვარი სოფლის ახლო-მახლო გაჰყავდათ საძოვრად. მაისის თვიდან კი ცხვარი უკვე მთაში „მიუდიოდათ". სამცხე-ჯავახეთში ველზე მასაღების მოძიების დროს დავადასტურეთ, თითქმის ყოველ სოფელს ჰქონდა „ქვეშა მთა" და „ზედა მთა" (სადაც ივნისის მეორე ნახევრიდან, დაბლა ძალზე რომ დაცხებოდა, მიჰყავდათ ცხვარ-ძროხა საძოვრად).

ცხვარს მოსამწყემსავად მთაში (ვისაც ბევრი, 300-400 ცხვარი ჰყავდა) ოჯახიდან მიჰყვებოდა ერთი მამაკაცი, რომელიც სხვებთან შედარებით ფიზიკურად შემძლე და მოხერხებული იყო (საერთოდ, დიდ-გაუყოფელ ოჯახებში ოჯახური იერარქია შემდეგნაირად იყო დანაწილებული: ერთი მამაკაცი ცხვარ-ძროხას მწყემსავდა, მეორე ხვნა-თესვას აწარმოებდა, მესამე კი - აღებ-მიმცემობას). ვისაც 25-30 ცხვარი ჰყავდა, რამდენიმე მეზობელი ერთად ერთიანდებოდა და ერთ-ერთ მათგანს მიაბარებდნენ (აბრიდნენ) ხოლმე ცხვარს, დანარჩენები მისი ფორნაკები იყვნენ. ფორნაკი მწყემსს ცხვრის მწყემსვაში გასამრჯელოდ აძლევდა 10 სულ ცხვარზე 1 ბატკანს, 4 რუბ (1 რუბი 4 კგ უდრის) პურს და 1 წყვილ ქალამანს. ორივე შემთხვევაში ცხვარს საწველად ოჯახიდან მიჰყვებოდა ერთი ან ორი „მენთიური", „მოიეიღე", ქალი და ერთი მორბედი (10-12 წლის გოგო-ბიჭები), ხბო-კრავის მოსადენ-გასადენად.

იცოდნენ ცხვრის გაბარება „ქესუმათაც", ე.ი. როცა ქალს ოჯახიდან ხელი არ ეწყობოდა, ცხვარს გაჰყოლოდა საწველად, მაშინ მწყემსსა ან რომელიმე „მენთიურ" ქალს და ცხვრის პატრონს შორის იდებოდა გარიგება. ამ გარიგების მიხედვით, ცხვარი კიდეც უნდა მოემწყემსათ, მოეწველათ და ყველიც გაეკეთებინათ, სამაგიეროდ ცხვრის პატრონი ვალდებული იყო 1 სულ ცხვარზე ერთი ბათმანი (8 კგ) ყველი გადაეხადა.

ცხვრის პირველი კრეჭვა(კრეჭვა უძველესი ტერმინია, მოგვიანებით კი ხმარებაში შემოვიდა ტერმინი პარსვა) ხდებოდა გაზაფხულზე მაისის თვეში, მაგრამ აქ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ მაისში ხდებოდა არა ცხვრის მთელი სულადობის კრეჭვა,არამედ იკრიჭებოდა მშრალი ანუ როგორც მას სამცხე-ჯავახეთში ეძახიან - „უგი". „უგს" წარმოადგენდა შემდეგი ცხვარი: თოხლი (ერთი წლის), შიშმაგი (წლინახევრის - ორი წლის დედალი ცხვარი, რომელსაც ბატკანი არ ჰყოლია), „ბერწი" ცხვარი და ვერძი ანუ ყოჩი. რაც შეეხება დედა ცხვარს და კრავს (ბატკანსაც ეძახიან), მას ივნის-აგვისტოს თვეში კრეჭავდნენ.

საინტერესოა თუ როგორი მოხმარება ჰქონდა სამცხე-ჯავახეთში ასეთი დიდი რაოდენობის მატყლს. ჯერ ერთი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მატყლი ადრიდანვე საგარეო ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა, მეორეც მატყლი ძვირფასი ნედლეული იყო საფეიქრო-საოჯახო შინამრეწველობისათვის (გარდა სატანსაცმლე ქსოვილებისა და ცალობრივი-ფარდაგი, ხალიჩა, ჯეჯიმი, ხურჯინი და ა.შ. დამზადებისა, სამცხე-ჯავახეთში მატყლი დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა ლოგინებისათვის.

---

* მე, იცოდნენ, აგრეთვე „ხუშკის" შემოყრა „სამღვბროიან" ქვაბზე. ეს ხელს უწყობდა დულილის პროცესის გახანგრძლივებას, რაც აუცილებელი პირობა იყო იმისა, რომ სამღებრო'ში ჩაწყობილი ხართი უხუნადი გამოსულიყო.

ხშირ შემთხვევაში „ხუშკს" იყენებდნენ საქონლის დასაწოლი ადგილის მოსამშრალებლად. ვფიქრობთ, ეს იმიტომაც კეთდებოდა, რომ „ხუშკი", როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „ხურვალია", მსხვილფეხა საქონელს კი მეტი სითბო სჭირდებოდა.

მატყლს ანსხვავებდნენ კრეჭვის ვადების მიხედვით. არსებობს გაზაფხულის, შემოდგომის და ბატკნის მატყლი.

სამცხე-ჯავახეთში საუკეთესოდ ითვლებოდა გაზაფხულისა (გაზაფხულის მატყლი გრძელბეწვა და უფრო ნაზი იყო შემოდგომის მატყლთან შედარებით) და ბატკნის მატყლი, რომელთაც ძირითადად ფარდაგ-ხალიჩების საქსოვად იყენებდნენ, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გაზაფხულის მატყლს თავისი უარყოფითი თვისებებიც გააჩნდა. უპირველესი იყო ის, რომ გაზაფხულის მატყლი უფრო „ხარჯიანი" იყო. გაზაფხულის მატყლის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენდა ის, თუ რამდენად დროულად დაიცავდნენ კრეჭვის ვადებს. ცხვრის კრეჭვა დროზე ადრე არ უნდა ეწარმოებინათ, ე.ი. ცხვარი მაშინ უნდა გაეკრიჭათ, როცა მატყლი უკვე „აყრილი" ექნებოდა. დაგვიანება კი იწვევდა „კვირტის" წარმოსვლას და ზრდიდა მატყლის „ხარჯიანობას". მატყლის „ხარჯიანობას" ზრდიდა ისიც, რომ ზამთრის განმავლობაში ბაკში ნამყოფ ცხვარს გაზაფხულზე გაკრეჭვის დროს ძალზე ბევრი „ჩალდახი", „ტარტლი" - ზედმეტი ჭუჭყიანი მატყლი რჩებოდა.

შემოდგომის მატყლს (შემოდგომის მატყლი, იმის გამო, რომ ცხვარი იალაღებზე ძოვდა სიცხესა და ქარ-წვიმაში, შედარებით უხეში-ცხიმგამოცლილი და მოკლებეწვა იყო) იყენებდნენ სატანსაცმლე ქსოვილისათვის, ნაბდების სათელავად და ნაბდური წესით მოთელილი საფენებისათვის. იშვიათ შემთხვევაში შემოდგომის მატყლს ხმარობდნენ ფარდაგ-ხალიჩების ქსოვის დროს მისაქსელისათვის (საზედაოსათვის). შემოდგომის მატყლის დამუშავება ქსელისათვის არ შეიძლებოდა, რადგან იგი მოკლებეწვა (სუსტი) იყო და ბეჭდვისას შეიძლებოდა ჩაწყვეტილიყო. არ შეიძლებოდა, აგრეთვე, შემოდგომის მატყლისაგან ლოგინების შეკერვა. იმავე ძიზეზის გამო- მოკლებეწვა იყო და ქსოვილიდან გამოდიოდა. მიუხედავად დასახელებული უარყოფითი თვისებებისა, შემოდგომის მატყლს დადებითი მხარეებიც გააჩნდა. შემოდგომის მატყლი ნაკლებ „ხარჯიანი" - სუფთა იყო. შემოდგომობით გაკრეჭავდნენ ცხვარს, აუცილებლად მდინარეში „ჩაყრიდნენ", გაატარ-გამოატარებდნენ და რომ შეშრებოდა, მერე კრეჭავდნენ. ამდენად, დაბანილ ცხვარს მატყლიც სუფთა ჰქონდა.

ცხვარს კრეჭავდნენ „დუქარდით" (მაკრატლით), შემდეგი წესით: მკრეჭავი ჯერ მუცელს უკრეჭავდა ცხვარს, შემდეგ კი სამ ფეხს შეუკრავდა, წააცევდა და ისე აგრძელებდა მუშაობას. თხას კი ფეხზე მდგომს „კნაჭავდნენ" (თხის გაპარსვის დროს სამცხე-ჯავახეთში ტერმინ „კნაჭვას" ხმარობენ[26].

სამცხე-ჯავახეთში ცხვრის კრეჭვის დროს იცოდნენ მეზობლების (მამაკაცების) მოხმარება ე.წ. „მკრეჭელთა ნარდის (ნადის) შეყრა", რომელიც შრომამიგებით პრინციპზე იყო დაფუძნებული. სულხან-საბას მიხედვით, „ნადი არის მუშაკნი ერთად შეყრილნი"[27]. ნ.ჩუბინაშვილსაც ნადი განმარტებული აქვს, როგორც „მუშაობა მრავალთაგან მამითადი"[28]. „მკრეჭელთა ნარდის (ნადის) დროს" დაახლოებით 5-6 მამაკაცი შეიკრიბებოდა და ჯერ ერთის კუთვნილ ცხვარს კრეჭდნენ, შემდეგ მეორესას და ა.შ. ვის ცხვარსაც კრეჭდნენ, იგი ვალდებული იყო მომხმარეებს მუშაობის დამთავრების შემდეგ ვახშმით გამასპინძლებოდა. უმასპინძლდებოდნენ ძირითადად შემდეგი კერძებით: ერბო-კვერცხით, ყაურმით, ბატის ფლავით, აპოხტით, ძეხვით, ბიშით და ა.შ. აუცილებლად მოიტანდნენ არაყს (ქერისას).

მუშაობის დაწყებამდე დუქარდზე (საკრეჭ მაკრატელზე)[29] იცოდნენ წმინდა ერბოს, უმარილო ქონის ან ნავთის წასმა. მთხრობელთა დაკვირვებით, ეს ხელს უწყობდა დუ-

---

26 ტერმინ „კნაჭვასთან" დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთში შემორჩენილია ხალხური ლექსი, რომელსაც იმ შემთხვევაში ეტყოდა ერთი მეორეს, როცა ეს უკანასკნელი პირგეუპარსავი იყო: „შენ,ჩემი თხა ხარ გაუკნაჭავი,
მე ჯვაღი მინდა, მომეც ბაღანი".

27 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი,ლექსიკონი,ტ.I,თბ.,1966,გვ.556

28 ნ.ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბ.,1961, გვ.310.

29 სიტყვა „დუქარდი" სულხან-საბასთან განმარტებულია, როგორც „სარისველი", „მაკრატებელი", „მაკრატელი", ხოლო ნ.ჩუბინაშვილთან „დიდი მაკრატელი მკერავლთა, ანუ საპარსი ცხვართა".

ქარდიდან ჟანგის მოცილებაში და დუქარდი უფრო ადვილად გადიოდა მატყლში.

გაკრეჭილი ცხვრის მატყლს შემდეგნაირად ახარისხებდნენ: მატყლს მოაცილებდნენ „ჩალდახს", „ტარტლს", შემდეგ მუცლისას, ჭლიკისას, კისრისას ცალკე ინახავდნენ, ზურგის სუფთა მატყლს კი ცალკე ახვევდნენ კანძად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატყლს, გარდა კრეჭვის ვადებისა, ახარისხებდნენ ფერის მიხედვითაც: თეთრს, შავს, ყავისფერს, ყომრალს (მოწითალო ფერი იყო) ცალკე ინახავდნენ და საჭიროებისდამიხედვით იყენებდნენ. მაგ., თეთრსა და შავი ფერის მატყლს ერთმანეთს გადაურევდნენ და გაჩეჩავდნენ. მიღებულ ფერს „ღემა" ფერს უწოდებდნენ. შავი ფერის მატყლს იყენებდნენ სატანსაცმელე ქსოვილისა და წინდების მოსაქსოვად.

პირველი გაკრეჭვის შემდეგ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხვარი გადაჰყავდათ საგაზაფხულო საძოვრებზე (ქვედა მთაზე). ივნისის მეორე ნახევრიდან, შედარებით რომ დაცხებოდა, ცხვარი საძოვრად გადაჰყავდათ უფრო მაღალ საძოვრებზე – ზედა მთაზე, რომელსაც იაილებს (თურქული სიტყვაა და ნიშნავს საზაფხულო იაღაღებს) ეძახოდნენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: სამცხე-ჯავახეთში მეწველ (ბატკნიან) ცხვარს ერთხელ კრეჭავდნენ. ეს ხდებოდა 22 ივნისის შემდეგ, ე.ი. „მზე რომ დაბრუნდებოდა" (ეს არის ზაფხულის ყველაზე ცხელი დრო – მზე აღწევს ზენიტს). მთხრობელებმა ეს ფაქტი შემდეგნაირად ახსნეს: მეწველი (ბატკნიანი) ცხვარი სუსტი იყო. რომ არ გაციებულიყო და ამის გამო რძე არ გაშრობოდა, ამიტომ კრეჭავდნენ ერთხელ, თანაც როცა ძალიან ცხელოდა.

ბატკნების გაკრეჭვა ხდებოდა აგვისტოს თვეში (მარიობისათვის, ე.ი. 28 აგვისტოს ბატკანი უკვე გაკრეჭილი უნდა ყოფილიყო). ხოლო ცხვრის დანარჩენი სულადობის მეორე კრეჭვა ხდებოდა შემოდგომობით სექტემბრის ბოლოს – ოქტომბრის დასაწყისში.

დახარისხებულ მატყლს შემდეგ რეცხავდნენ. გაზაფხულის მატყლს გამდინარე წყალთან მიიტანდნენ, საფოსტო ბარათისებურად გადაკეცავდნენ. ისე რომ, ნაკრეჭი მხარე გარედან მოქცეოდა, შემდეგ წყალს დაასხავდნენ-დაალბობდნენ. აიღებდნენ სპეციალურ ჯოხებს „სატყეპელა" – „თოხაჯებს" და მით კარგად „დატყაპავდნენ ისე, რომ მატყლი უნდა აქაფებულიყო (საპონწასმულივით), შემდეგ დაასხამდნენ სუფთა წყალს, ამ პროცესს რამდენჯერმე გაიმეორებდნენ. ბოლოს მატყლს მდინარეში ჩაყრიდნენ – „გააღალღადებდნენ". გარეცხილ მატყლს, კარგად რომ დაიწრიტებოდა, მოიტანდნენ და სახლის წინ, ეზოში გაკეთებულ „ჭერებზე" (ორ ბოძზე დამაგრებულ ფიჭვის სწორი ღატა) გადაფენდნენ. ცოტა რომ შეშრებოდა, მატყლს სახრით წკეპლავდნენ. კარგად რომ გაშრებოდა, შემდეგ ჩეჩავდნენ.

შემოდგომის მატყლის გარეცხვა კი განსხვავებულად ხდებოდა. ჯერ ერთი, შემოდგომის მატყლი სუფთა იყო და „სატყეპელათი" „დატყეპვა" არ ჭირდებოდა. მეორეც, შემოდგომის მატყლი „ფაცახი", „კაპრაში" – მოკლებეწვა იყო და რეცხვის დროს დაიკარგებოდა, ამიტომ შემოდგომის მატყლს ხის გობებში, ჯვალოებში ჩაყრიდნენ, დაასხამდნენ წყალს და ისე რეცხავდნენ. გარეცხვის შემდეგ მატყლს გაწურავდნენ, მოიტანდნენ და სახლის წინ საღებზე (საჭეჭავებზე) და ჯეჯიმებზე შლიდნენ და ისე აშრობდნენ.

გარეცხვის შემდეგ მატყლი დროულად უნდა დამუშავებულიყო – გაჩეჩილიყო, თორემ იგი „დაინაბდებოდა".

საჩეჩელი, საფეიქრო წარმოების ისეთივე უძველესი ხელსაწყოა, როგორც თითისტარ-კვირისტავი. ამის საილუსტრაციოდ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი უძველესი ქსოვილის თუ „ქსოვილებიანი კერამიკის" ნიმუშები გამოდგებოდა, საიდანაც ჩანს, რომ მცენარეული თუ ცხოველური ბოჭკო საჩეჩელზე (ან მის მსგავს ხელსაწყოზე) არის გაჩეჩილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელით გაჩეჩილ ბოჭკოთა ფთილებით მრთველები ასე კარგად დამუშავებულ (თანაბარი დიამეტრის) ნართს ვერ მიიღებდნენ.

მესხური საჩეჩელი შედგება: ფიჭვის ხის სადგამისაგან, რომელიც წარმოადგენს (ფიჭვის ან ნაძვის) 45-50 სმ სიგრძის ფიცარს. ძირი ორ ადგილას (შუაში) სიგანეზე ამოჭრილი იყო და მასში მაგრდებოდა სამკუთხედად შეკრული ორი ფიცარი, რომლებსაც მხრებს ეძახიან. მხრებს თავზე გადაკრული ჰქონდა თუნუქის ფურცელი, კბილებად კი ორ

წყებად ჩასმული რკინის წვერწამახული ჩხირები გააჩნდა.

ფორმით მესხური საჩეჩელი საქართველოს სხვა კუთხეების საჩეჩელების მსგავსია, გარდა სვანური „ლაფთირისა". სვანური საჩეჩელის თავისებურება მის ბოლო ბოლოს ორ მხრებში მდგომარეობს, მას რკინის კბილები ორ წყებად უზის და სხვა ქართულ საჩეჩელებთან შედარებით ვიწროა[30].

სამცხე-ჯავახეთში კარგ მატყლს (რბილ, გრძელბეწვა მატყლს) არ ეწეწავდნენ, პირდაპირ ჩეჩავდნენ ფთილებად. მოკლებეწვა მატყლს კი ან ხელით დაწეწავდნენ ან შვილდისარზე დაპენტავდნენ, რადგანაც დაჩეჩვის დროს ბეწვი დაცვივდებოდა.

აღსანიშნავია, რომ მუშაობის დაწყებამდე საჩეჩელს კბილებზე უსვამდნენ წმინდა ერბოს. მთხრობელთა გადმოცემით, ეს იმიტომ კეთდებოდა, რომ მატყლი უკეთ გაეტანა საჩეჩელს (ერბოს ან მცენარეული ზეთის წასმა საჩეჩელის კბილებზე დავადასტურეთ ქვემო ქართლშიც).

სამცხე-ჯავახეთში მასალის დამუშავების ხალხურ წესთან დაკავშირებული იყო შრომის ორგანიზაციის გარკვეული ფორმა. მატყლის დამუშავებისას (ჩეჩვა, რთვის დროს) იცოდნენ „მორთავის" ანუ ჩეჩვის და რთვის ნარდის (ნადის)შეყრა". უმეტესად ზამთრის თვეებში (სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები როცა მოთავებული ჰქონდათ)დაახლოებით საღამოს 7 საათზე 10-15 ქალი რიგრიგობით ჯერ ერთ ოჯახში შეიკრიბებოდა და ყველა ერთი პირის კუთვნილ მატყლს ჩეჩავდა და ართავდა მთელი ღამის განმავლობაში. მასპინძელი მომხმარებელ ქალებს დასხავდა ოდა სახლში ხის ტახტზე - საქვებზე (მესხური ოდის შუა კედელში, კარის პირდაპირ, გამართულია ბუხარი ანუ ოჯახი (ოჯაღი). ბუხრის მარჯვნივ და მარცხნივ კედლის მთელ სიგრძეზე არის ორი საქვი).

საქვებზე გაშლიდნენ ნაბდებს, ზევიდან ჯეჯიმებს-ნაბდებზე ბეწვი რომ არ გასუფლიყო და, ამნაირად იწყებდნენ ჩეჩვა-რთვას. ვისი სამუშაოც სრულდებოდა, ვალდებული იყო მომხმარებელ ქალებს ორჯერ გამასპინძლებოდა ვახშმით. ამასთან დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული იყო ანდაზა „უფულო მუშა იქნება, უპურო არაო"[31].

მასპინძელი აუცილებლად აცხობდა ბიშს, აკეთებდა აგრეთვე ტრადიციულ მესხურ კერძებს: თუთმაჯს, თათარბერაგს, ხინკალს, ჰასუთას, ხავიწს, აკეთებდნენ კორკოტის ფლავს (დოლის პურს დანაყავდნენ, გაახმობდნენ და ხელსაფქვავზე დაფქვავდნენ, შემდეგ გაცრიდნენ, რომ ფქვილი გასვლოდა. გასუფთავებულს ჩაყრიდნენ-შეინახავდნენ და საჭიროების შემთხვევაში იყენებდნენ კორკოტის, ფლავის გასაკეთებლად), ხშირ შემთხვევაში აცხობდნენ ყათმარს (7-12 ფურცლიანი უგულო ქადა).

აუცილებლად მიართმევდნენ მუშა ქალებს ყაისაფას (იგივე კომპოტი- სხვადასხვანაირი ხილის ჩირში აურევდნენ ერბოში მომწვარ ხახვს).

მოგვიანებით მომუშავეებს კვლავ უმასპინძლდებოდნენ („დათუთქავდნენ" ერიშტას, აკეთებდნენ ხინკალს, წერო ხინკალს, თათარბერაგს და ა.შ.). მეორე ვახშამს იასულულს ეძახოდნენ (იასულული თურქული სიტყვაა და ნიშნავს გამთენიისას ჭამას). ეს წესი სამცხე-ჯავახეთის ყველა სოფელში დავადასტურეთ და მას ყველგან „იასულულს" ეძახიან. მსგავსი შემთხვევა საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოწმდება. მაგ., „ხევსურეთში მეორე ვახშამს საპირბეწვს უწოდებდნენ, ფშავში- საძილისკუდს, მთიულეთში - სირისკუდას, ხოლო თუშეთში - სირისკუდას - საბეწვეს"[32].

ქ.ახალციხის მკვიდრის სერგო ბერიძის ცნობით: „სამცხე-ჯავახეთში წესად იყო მეზობლების თავშეყრა ოჯახებში, განსაკუთრებით ზამთრის გრძელი ღამეების დროს, როდესაც ნადური წესით ქსოვდნენ ფარდაგებს, ხალიჩებს, ჭილს, ხურჯინებს, აწარმოებდნენ შალისა და ნაბდის თელვას და სხვა. მაშინ ზეპირმთქმელები მორიგეობით იწ-

---

30 გ.ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე - XVIII ბ, 1954, გვ. 198.

31 მთხრობელი მაისურაძე ნინა ისაკის ასული (82 წლის), სოფელ ჭობარეთი, 1986.

32 ნ. ჯ ი ქ ი ა, მუშის დაპურების საკითხი ხელნაცვლივ შვეიის დროს აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, საქ.სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXIV-ბ, თბ., 1979, გვ. 92.

ყებდნენ წინაპართა გმირული ამბების თხრობას. პირველ რიგში ისინი ჰყვებოდნენ ზეპირ გადმოცემებს საყვარელი მგოსნის შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ[33].

შემდეგში თანდათანობით დაიხვეწა, ეკონომიურად სასარგებლო, მორალური, ესთეტიკურად გიურად იმედის მომცემი შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა. უკვე ტრადიციად იქცა მეზობლებისა და მოკეთეების მოხმარება არა მარტო ჩეჩვა-რთვის დროს, არამედ სახლის აშენებაზე, ახოს ბღებაზე, ბარვაზე, თოხნაზე, ხვნაზე; თიბვა-მკაში, ბუმბულის წეწვის დროს და ა.შ.

კოლექტიური დახმარების მარტივ ფორმას – მუშა ქაღლების შეკრებას ხევსურეთში ადგილი ჰქონდა უმეტესად მატყლის ჩეჩვის დროს. ხევსურეთში მუშად შეყრილი ქაღლების აღსანიშნავად ხმარობდნენ ტერმინს „მჩეჩელები“, თვით პროცესს კი „მჩეჩელთა შეყრა“ ეწოდებოდა[34]. ჩეჩვის დროს მეზობელი ქაღლების მოხმარება იცოდნენ ქართლშიც და იტყოდნენ ხოლმე „მეზობლები შევყარე“. ფშავში კოლექტიური დახმარების ასეთ ფორმას იყენებდნენ დართვის დროსაც. შეამხანაგების ამ საინტერესო წესის გამოყენებისას თუშეთში თანასოფლელი ქაღლების გვერდით დადასტურდა რამდენიმე შემთხვევა დაღესტნის სოფლებიდან გადმოსული ქაღლების მონაწილეობითაც[35].

მატყლს ჩეჩავდნენ (გაზაფხულისას) ფთილებად. გაჩეჩილ ფთილებს შემდეგ ერთად დააწყობდნენ და ახვევდნენ „ბურმაჯებად“ („ბურმაჯი“ თურქული სიტყვაა და ნიშნავს დახვეულ მატყლს). დართვის წინ ქულებს გაშლიდნენ, ნაწილ-ნაწილ მოწყვეტდნენ ოთხ-ხუთ ფთილას, ხელით დააგრძელებდნენ, მკვლავზე დაიხვევდნენ და ისე ართავდნენ. შემოდგომის მატყლსაც ფთილებად ართავდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შემოდგომის მატყლის ფთილებისაგან „ბურმაჯების“ გაკეთება არ შეიძლებოდა. გაჩეჩილ ფთილებს ერთად დააწყობდნენ, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის ზოგ სოფელში (სოფ. მუსხში) „სიმაგს“ უწოდებდნენ.

მატყლის საჩეჩელში გატარებისას, საჩეჩელს კბილებში რჩებოდა მატყლის ისეთი ნაწილი, , რომელიც მოკლებულა იყო, დაბეკნილი ლა ბირკიანი. ამგვარი მატყლი ცხვარს აკრეჭილი ჰქონდა მუცლის, ფეხის და კისრის არედან. საჩეჩელის კბილებში დარჩენილ მდარე ხარისხის მატყლს სამცხე-ჯავახეთში „კვირტს“ ეძახიან. კვირტს ხელახლა ჩეჩავდნენ, დაართავდნენ და მიღებულ ნართს ხმარობდნენ ჯეჯიმის მოსაქსოვად, რომელსაც სამცხე-ჯავახეთში „კვირტის ჯეჯიმს“ უწოდებდნენ, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კი კვირტის ძაფისაგან ფარდაგის მოქსოვაც დასტურდება. მაგ. თუშეთში კვირტის ძაფისაგან ქსოვდნენ ფარდაგს, რომელსაც „კვირტულას“ უწოდებდნენ[36].

საჩეჩელის კბილებში დარჩენილ მდარე ხარისხის მატყლს ე.წ. „კვირტის მატყლს“ სამცხე-ჯავახეთში იყენებდნენ მუთაქების გასატენადაც, ჰყრიდნენ ღეიბებში, ქსოვდნენ ფაჩუჩებს, რომელსაც ძირად ტყავი ჰქონდა ამოკერებული, წნავდნენ ხბოს საბმურებს. ხევსურეთში კი კვირტის ძაფისაგან თოთო ბავშვებს უქსოვდნენ ქუდებს და თათებს, რომელსაც „კვირტის ქუდს“ და „კვირტის თათებს“ ეძახოდნენ[37].

სამცხე-ჯავახეთში გაჩეჩილ მატყლს „ხერტარზე“ (თითისტარი) ან „თეშზე“ ართავდნენ. დახართავად იყენებდნენ ჯარასაც. (სამცხე-ჯავახეთისაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოში სართავ ხელსაწყოს „თითისტარს“ ეძახიან, ხოლო საძახავს „ტარს“).

თითისტარი საფეიქრო საქმის უძველეს ხელსაწყოს წარმოადგენდა. სულხან-საბა ორბელიანი თითისტარს მეორენაირად ჩერიას უწოდებს, ხოლო ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში მოცემულია, თითისტრის, როგორც დანიშნულება „მკედთ სასთველი“ ისე მუშაობის პროცესიც „თითებით საბრუნავი[38]. იგი წარმოადგენს თავსა და ბოლოში წვერწა-

---

33 გაზეთი „წითელი დროშა“, 1966 წელი, №49.

34 აღ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურეთის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 252.

35 ც. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ქაღლის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974, გვ. II.

36 გ. ჯ ა ღ ა ბ ა ძ ე, „თუშური კვირტულა“, ძეგლის მეგობარი“, №21.

37 გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 185.

38 ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 233.

მახულ ხის ჩხირს, რომელიც მუცლის ნაწიღში გამსხვიღებულია. ზომით თითისტარი „თეშთან“ შედარებით პატარაა, სიგრძე მერყეობს 25 სმ-დან 30 სანტიმეტრამდე.

სამცხე-ჯავახეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ნივთების გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თითისტარის პოვნის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. სამაგიეროდ, მრავლად არის აღმოჩენილი ქვის, ძვლისა და თიხის კვირისტავები. კვირისტავს კი წარსულშიც და შემდეგშიც ის დანიშნულება ჰქონდა, რომ რთვის დროს თითისტარის ბრუნვა გაეხანგრძლივებინა და ნართი დაემაგრებინა თითისტარზე.

უხსოვარი დროიდანვე კვირისტავს ამზადებდნენ ქვის, თიხის, ძვლის, რქის ან მაგარი ჯიშის ხისაგან, უფრო გვიან ამ დანიშნულებით მინა და ლითონიც გამოუყენებიათ. ფორმის მიხედვით, კვირისტავი გვხვდება ბეჭდისებური, კონუსური, ცილინდრული, ბურთისებური და ა.შ.

ფრიად საყურადღებოა ერთი ფაქტი. ბრუნვის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, რადიუსის სიგრძის სიზუსტე ახასიათებს კვირისტავებს, რომლებიც „ამირანის გორის“ და ზეკლის ყორღანის გათხრების დროს აღმოჩნდა. ამავე დროს ზოგიერთი მათგანი მძიმეა და გაკეთებულია ქვისაგან, ზოგი შედარებით მსუბუქი ძვლის ან თიხისაა. ქ. ისაკაძის აზრით, „მრთველი მძიმე კვირისტავს რთვის დაწყებისას იყენებდა, მსუბუქს კი თითისტარზე საკმაო რაოდენობით დახვევისა, ანუ თავისთავადი დამძიმების შემდეგ, რაც უზრუნველყოფდა ერთნაირი სიჩქარით თითისტარის ხანგრძლივ ბრუნვას, ნართის თანაბარ გრეხას და ხვიის ჩამოუშლელობას“[39].

სამცხე-ჯავახეთში „ხერტარით“ (თითისტარი) რთვის დროს მრთველი იჯდა, მარცხენა ხელში მატყლის ფთილა ეჭირა, მარჯვენაში კი- ხერტარი, რომელსაც ატრიალებდა კალთაში ჩადებულ ჯამზე ან კერამიკული ჭურჭლის ნატეხზე. ეს ხელს უწყობდა ტარის ბრუნვას და ამავე დროს კალთას იცავდა გაცვეთისაგან. რთვის დროს ხერტარის კვირისტავიანი მხარე ქვემოთ იყო მოქცეული, წვერი კი ზემოთ ისე, როგორც ქართლ-კახეთში[40], ფშავ-ხევსურეთსა და იმერეთშია გავრცელებული - მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოს დასახელებულ კუთხეებში რთვის დროს თითო ფთილა ეჭირათ ხელში, სამცხე-ჯავახეთში კი ართავდნენ, როგორც ფთილებით ისე „ბურმაჯებით“. რთვის დროს გარკვეული რაოდენობის ნართი რომ დაეხვეოდა ტარზე, ე.ი. ხერტარი რომ შემძიმდებოდა („შეკვირისტავდებოდა“), ამის შემდეგ კვირისტავს მოაძრობდნენ და „ხერტარს“ ნართს ორჯერ შემოახვევდნენ ჯვარედინად, რომ ნართი არ ჩამოშლილიყო, შემდეგ კი ისევ აგრძელებდნენ რთვას.

სამცხე-ჯავახეთში რთვისას იყენებდნენ „თეშსაც“, რომელზეც ძახავდნენ კიდევ. ფორმით „თეში“ განსხვავდება ხერტარისაგან (თითისტარისაგან) ჯერ ერთი იგი ხერტარზე სიგრძით დიდია (სიგრძე 40-45 სმ-ია). ამავე დროს უფრო მსხვილი და დიამეტრით მთელ სიგრძეზე თითქმის ერთნაირია.

რთვის დროს თეშის კვირისტავიანი მხარე ზემოთ იყო მოქცეული და თეში მოძრაობდა ძახვის საპირდაპირო მიმართულებით. მუშაობის დროს მრთველი ფეხზე იდგა. უფრო მეტიც, თეშზე რთვისა და ძახვის პროცესი მას შეეძლო სიარულის დროსაც შეესრულებინა.

სამცხე-ჯავახეთში ართავდნენ აგრეთვე ჯარაზედაც. ჯარა ანუ ჭახრაკი, როგორც საბა განმარტავს, „ართავ საბურავი მანქანაა“[41]. იგი მარტივი სახის ღვედის საშუალებით მოქმედი ბორბლიანი ხელის მანქანაა, რომელიც თითისტარზე გვიან არის გამოგონებული, შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით (კვირისტავთან შედარებით ჯარას ბორბალი ბრუნვის სიჩქარეს ზრდის, რაც თავისთავად მაღალნაყოფიერია)[42].

---

39 ქ. ი ს ა კ ა ძ ე, საფეიქრო საქმე საქართველოში, თბ., 1970, გვ. 135.

40 ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 119.

41 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928.

42 მ. ჩართოლანი რეცენზიაში, კრებულისა „მესხეთ-ჯავახეთი“ ც. ყარაულაშვილის ნაშრომის „ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში“ მიმართ, იმ მონაკვეთზე, სადაც ლაპარაკია მესხეთ-ჯავახეთში ჯარათი რთვის პროცესზე, აკეთებს შენიშვნას, რომ

სამცხე-ჯავახეთში ჯარა ორგვარი ფორმისა გვხვდება. ხმარებაში იყო ისეთი ჯარა, რომლის ბორბალი ანუ როგორც მას სამცხე-ჯავახეთში ეძახიან, გოგორა, [illegible] ხისაგან არის დამზადებული და ჯარა, რომლის ბორბალი (გოგორა) ურმის [illegible] იყო. გარდა გოგორასი, ჯარა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სადგამი, ღამბი, ტარი, სახელური, ჩანჩუხი.

ჯარაზე რთვა შემდეგნაირად წარმოებდა: მრთველი ჯარას წინ იყო დამჯდარი, მარცხენა ხელში მატყლის ფთილა ეჭირა, მარჯვენათი კი ჯარას ტარს ატრიალებდა. მართალია ჯარაზე რთვა შრომის ნაყოფიერებას ზრდიდა, მაგრამ ხარისხით თითისტარზე დართულ ნართს ამჯობინებდნენ. ეს, ეფიქრობთ, იმის გამო, რომ ჯარაზე რთვის დროს მრთველს ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა, ამიტომ მას რეგულარულად აღარ შეეძლო ხელი გაეყოლებინა ძაფისათვის, ეს კი იწვევდა იმას, რომ ძაფი თანაბარი დიამეტრისა არ გამოდიოდა. ძაფის ხარისხზე გავლენას ახდენდა ისიც, რომ მას უფრო მეტი „კვირწლები" მიჰყვებოდა. დართულ ნართს შემდეგ ორ-სამ წვერად ამოახვევდნენ გორგლებად და „თეშზე" ან ჯარაზე ძახავდნენ. ძახვისას თეში თავჩაბრუნებულია, კვირისტავის მხარე ზემოთ არის, წვერი კი- ქვემოთ. თეშს კვირისტავის მხარეს პატარა კავი - „თავკაპი" ან ჭდე ჰქონდა ძაფის გამოსადებად. „ხევში ამგვარ ტარს რკინის კაპის მაგიერ წვერთან ერთი ჭდე ჰქონდა, მას „ყიპჭოს" ეძახდნენ, ხოლო მთლიან ტარს „ყიპჭოიან ტარს"[44].



სურ. I

- სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ჯარათი რთვას ბოლო დრომდე აწარმოებდა მოსახლეობა.

43 „გოგორა" სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არის, როგორც „ერქვანთ თვალი საბრუნავი", ხოლო ნ. ჩუბინაშვილს განმარტებული აქვს, როგორც „მცირე ურმის თუალი, მხოლოდ მორგვსგან შექმნილი მკურივად თჳნიერ ფერსოექისა და სოლებისა, უფრორე იხმარების ერქუანთათვს".

44 ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 119.

II. მოამბე, LXI-B

მარჯვენა მარძაყზე დაიდებდნენ თეშის მთელ ტანს და ხელის გულით აბრუნებდნენ, შემდეგ ხელს გაუშვებდნენ და ჰაერში დატრიალდებოდა. თეში ხელში მასზე დახვეული ძაფით ეჭირა, ძაფი კი ფეხზე იყო გამოდებული, რომ არ ჩაშლილიყო (სურ. 2). დაბალი ნართის ნაწილს თეშზე დაახვევდნენ, ძაფს კაცზე გამოსდებდნენ და [illegible] ნენ ძახვას. სამცხე-ჯავახეთში ძახვის დროს გვერდზე სპეციალურ ტყავის წინსაფარს-„ბარბინაკს" იკეთებდნენ. იგი ხელს უწყობდა თეშის ბრუნვას და ამავე დროს სამოსელსაც იცავდა გაცვეთისაგან.



სურ. 2. თეშზე რთვის პროცესი

ტყავის წინსაფრის გაკეთება ნართის დამუშავების დროს მოწმდება, აგრეთვე, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ სომხებსა და თარაქვებში, ხევში და თრუსოს ოსებში - ხევში ტყავის წინსაფარს „ყუნალაჲ" ეწოდებოდა, ხოლო ოსებში - „ქიშელაჲ"[45].

გ. ჩიტაიას აზრით, ტყავის წინსაფარი მეცხვარეობის მიმდევარ ხალხში დასტურდება და ძაფის რთვის საგანგებო წესთან ყოფილა დაკავშირებული[46].

მატყლს, გარდა „თეშისა", ძახავდნენ ჯარაზე (ჭახრაკზე). ჯარაზე ძახვის პროცესი რთვის ანალოგიურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამწვერად-გორგლად ამოხვეული ძაფი ძირს იდო, მძახავი (ქაღი) ჯარას წინ იჯდა. მარჯვენა ხელით იგი სახელურის მეშვეობით ჯარას ბორბალს ატრიალებდა, მარცხენა კი დასაძახავად გამზადებული ნართის გორგლიდან გამოშლილ ძაფზე ჰქონდა გამოდებული. ჯარას ბორბალზე და „ტარზე", რომელიც სადგამის დასაწყისში კოჭის მაგვარ ხელსაწყოში იყო ჩამაგრებული, გადაცმული იყო ღამბი, ხშირ შემთხვევაში კი ტყავის ღვედი. ჯარას ბორბლის მოძრაობით მოძრაობდა კოჭში ჩამაგრებული ტარიც, ტარზე კი დამაგრებული იყო ძაფის ერთი

---

45 ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ქარგვა-ქსოვის წესები ხევში, 1957-58.

46 გ. ჯ ა ღ ა ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 121.

ბოლო. ტრიალის-მოძრაობის შედეგად იგრიხებოდა და ტარზე ეხვეოდა ძაფი.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი ფაქტი. სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული მასალების მოძიების დროს სოფ. აწყვიტაში დავამოწმეთ ქვისაგან დამზადებული ჯარას ბორბალი[47].



სურ. 3. ქვის ჯარას გოგორა

სამცხე-ჯავახეთი თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს წყალობით ქვის საბადოების უამრავ მარაგს შეიცავს, ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ჩანს, ამ სიმდიდრეს უხსოვარი დროიდანვე სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებდა. ქვის დამუშავება-გამოყენების ტრადიცია თავს ავლენს კუთხის მოსახლეობის ყოფის სხვადასხვა სფეროში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო დანიშნულების ქვის ხელსაწყო-იარაღების ასეთი დიდი რაოდენობით არსებობა, სამცხე-ჯავახეთში დასამუშავებლად გამოსაყენებელი მაღალხარისხოვანი ქვების სიუხვითა და მრავალფეროვნებითაც აიხსნება, როგორიცაა: ბაზალტი, ანდეზიტი, ტუფი და ა.შ.

ჩვენს მიერ ველზე ეთნოგრაფიული მასალების მოძიების დროს სოფ.აწყვიტაში დამოწმებული ქვის ჯარა დამზადებულია ადგილობრივ არსებული შავი ბაზალტისაგან.

ჯარას ბორბალი ანუ გოგორა ურმის ბორბლის მოდელს წააგავს, რომლის სოლები დაბალი რელიეფით არის გამოყოფილი და სხივს წარმოადგენს. თითოეული სხივის სიგრძე 13 სმ-ია. როგორც ურმის ბორბალი, ჯარას ბორბალი ბოლოვდება 5 სმ სიგანის წრიული სიბრტყით, რომელსაც ურმის თვალზე „ფერსოს“ უწოდებენ. ჯარას ცენტრალური ნაწილი, ე.წ. „ხუნდა“ ორივე მხარეს არის გამოკვეთილი ისევე როგორც სხივები და ყველაზე უფრო გამოწეულ ადგილს წარმოადგენს ბორბლისას. ხუნდის გარე დიამეტრი 10 სმ-ია, შიდა 7,5 სმ, ხოლო მთლიანად ბორბლის დიამეტრი 44 სმ. „ხუნდის“ შუაში გაკეთებულია ოთხკუთხედი ხვრელი ღერძის გასაყრელად.

„ქვის ჯარა“ ქვისა და ხის ნაწილებისაგან შედგენილ ხელსაწყოს წარმოადგენდა. ქვის გოგორაში გაყრილი იყო ხის ღერძი, ხისსავე სახელურით. ხის იყო ჯარას „სადგამიც“, ჯარას გოგორაზე და „ტარზე“, რომელიც სადგამის დასაწყისში კოჭის მაგვარ ხელსაწყოში იყო ჩამაგრებული, გადაცმული ჰქონდა ტყავის ღვედი. ჯარას გოგორას მოძრაობით მოძრაობდა კოჭში ჩამაგრებული “ტარი“, ტარზე კი დამაგრებული იყო ძაფის ერთი ბოლო. ტრიალის მოძრაობის შედეგად იგრიხებოდა და ტარზე ეხვეოდა ძაფი.

ქვის ჯარას ბორბალს-გოგორას ხის ბორბალთან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მოძრაობაში მოყვანის შემდეგ ჯარას ბორბა-

---

47 ამჟამად ქვის ჯარას ბორბალი ინახება დაბა ასპინძაში-ხვიდიშას ეკლესიაში.

ლი თავისი სიმძიმის (კუთრი წონის) გამო განაგრძობდა ინერციით ტრიალს. ამის გამო ჯარას შემდგომი დატრიალება-მუშაობა ნაკლებ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვდა, ესეც შესაფერ უადგილებდა მუშაობას.

ქვის ჯარა ისე როგორც საერთოდ ჯარას ტიპის ხელსაწყოები დაკავშირებული იყო ძველ შინარეწვით საქმიანობასთან. სამცხე-ჯავახეთის უძველესი მოსახლეობა სატანსაცმელ ქსოვილზე და საფენ-საგებელზე მოთხოვნილებას შინ ნაქსოვით იკმაყოფილებდა. ამ კუთხის მოსახლეობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოდითგანვე მისდევდა მეცხვარეობას და მესელეობას. ორივე დარგი ადგილობრივთ დიდი რაოდენობით აძლევდა საქსოვი დანიშნულების ნედლეულს. ჯარა და საქსოვი დაზგები ყოველი მესხური ოჯახის განუყრელ ინვენტარს წარმოადგენდა. ოჯახის მოზრდილი წევრი ქალები ბავშვებს ქსოვის ხელოვნებას 5-6 წლის ასაკიდანვე აჩვევდნენ. დამოწმებულია ფაქტი, რომ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ქსოვილის ზოგიერთ სახეობას მამაკაცებიც აწარმოებდნენ, მაგ. ჯვალოს ტომრისათვის საჭირო იყო მსხვილი და მაგრად ნაგრეხი ძაფი და ვფიქრობთ, რომ ქვის ჯარა ამ დანიშნულების ძაფის საგრეხად იყო გამოყენებული.

ქვის ჯარები, ისე როგორც ხის ჯარები, დიდი ხანია აღარ გამოიყენება, მაგრამ თვით ფაქტი მისი შემონახვისა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სამცხე-ჯავახეთში ქსოვის ხელოვნების ტრადიციულ სიძველეზე.

ნართის დასამუშავებელ ხელსაწყოებს: „საჩეჩელი", „ხერტარი", „თეში", ჯარა-ადგილობრივი ხელოსნები აკეთებდნენ. ხერტარს და თეშს ძირითადად აკეთებდნენ ვერხვის ხისაგან; კვირისტავს კი, რომ არ გამსკდარიყო და შედარებით მძიმე ყოფილიყო, პანტის ან მსხლის ხისაგან. საჩეჩელის გასაკეთებლად იყენებდნენ რაიმე მსუბუქ ხეს, ხოლო კბილებად წვერწამახულ რკინის ჩხირებს უკეთებდნენ, რაც შეეხება ჯარას, ზემოთ ჩამოთვლილ ნართის დასამუშავებელ ხელსაწყოებთან შედარებით ის უფრო რთული ხელსაწყო იყო და მას შედარებით დახელოვნებული ხელოსნები აკეთებდნენ (ნაძვის ან ფიჭვის ხისაგან).

საერთოდ ნართის დამუშავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქსოვილის ხარისხზე. ამიტომ მის დამუშავებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ნართი უნდა ყოფილიყო კარგად დართული (თანაბარი დიამეტრის), რადგან არათანაბარი ნართიდან ქსოვილიც არათანაბარი გამოდიოდა. არ უნდა ყოფილიყო აგრეთვე ზედმეტად დაძაბული, რადგანაც ქსოვილი „ხმელი" გამოდიოდა. გარდა ამისა, ნართი რომ რბილი ყოფილიყო, სპეციალურად რბილ მატყლს არჩევდნენ. ამ მხრივ საუკეთესო იყო ბატკნის მატყლი.

ხშირ შემთხვევაში დაძაბულ ნართს დახვეწ-დაასუფთავებდნენ ხოლმე სპეციალური „სახვეწით" (იყენებდნენ წინდის ჩხირსაც)[48].

სამცხე-ჯავახეთში საქსოვად ხმარობდნენ აგრეთვე თხის ბალანს. სულხან-საბას მიხედვით, „თხათასა თმასა ეწოდებიან ბალანი"[49]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბალნის ისეთი დიდი რაოდენობით მოხმარება, როგორც სამცხე-ჯავახეთში წარმოებდა, საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მოწმდება. თხის ბალანს ძირითადად იყენებდნენ ჯეჯიმის მოსაქსოვად. ბალნისაგან დამზადებულ ჯეჯიმს „ბალნის ჯეჯიმს" უწოდებდნენ. ბალნის ჯეჯიმი გამძლე, მაგრამ უხეში იყო. გამოიყენებოდა ძირითადად იატაკზე დასაფენად, ლოგინის ქვეშ საწოლზე გადასაფარებლად. „ბალნის ჯეჯიმზე" შლიდნენ აგრეთვე მარცვლეულს, მატყლს გასაშრობად. სოფელ მუსხში ჯეჯიმის გამოყენების ასეთი ფაქტი დავადასტურეთ. ძველად, როდესაც მიწურ-ბანიანი ტიპის სახლები იყო, „დარბაზში" კედლის ერთი ბოლოდან მეორემდე გაკეთებულ ხის დიდი ტახტების „საქვების" მთელ სიგრძეზე გაშლილი იყო ჯეჯიმი, ზევიდან კი ნაბადი. ნაბადს დღე აკეცავდნენ, საღამოს კვლავ გაშლიდნენ. ამ ტახტზე იძინებდა ოჯახის მთელი შემადგენლობა[50].

---

48 ნართის დახვეწა-დასუფთავება იცოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უნდოდათ საწინდედ და სატანსაცმელ ქსოვილებისათვის, ფარდაგ-ხალიჩებისათვის გამოსაყენებელ ნართს კი „დახვეწა" არ უნდოდა.

49 სულხან-საბა ორბელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 305.

50 მთხრობელი მარიამ ზედგენიძე-ჟუჟუნაძე (52 წ.), სოფ. მუსხი, 1984 წ.

ჯეჯიმის გარდა, ბალანს იყენებდნენ ჯვალოების მოსაქსოვად, მისგან გრეხდნენ აგრეთვე ჭაპანებს, აპეურებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამცხეში იმ ხალხს, რომლებიც თხის ბალნისაგან ქსოვდნენ, მაზმანს (თურქული სიტყვაა და ბალნით მქსოველს ნიშნავს) უწოდებდნენ. ამ ხელობის მიმდევართა გვარი იყო ინასარიძე და ცხოვრობდნენ ძირითადად სოფ. ანდრიაწმინდაში, საიდანაც ისინი „ძალმომრეობას" გამოქცეულები საცხოვრებლად სოფ. ჭობარეთში გადასულან. სოფლის ერთ უბანს ამჟამადაც „მაზმიანთ-უბანს" ეძახიან. საფიქრებელია, რომ სწორედ აქედან (ხელობის გამო) წარმოიშვა გვარები: მაზმიშვილი, მაზმანაშვილი.

აქვე საჭიროდ ვთვლით აღვწეროთ ჭაპნის საგრეხი ჩარხი და ჭაპნის გრეხვის მეტად რთული და საინტერესო პროცესი.

ჭაპნის საგრეხი ჩარხი შედგებოდა ძირისაგან (დაახლოებით 40X40 სმ) სისქე 8 სმ. საგრეხი ჩარხის ძირს ოთხივე მხარეს ჰქონდა ე.წ. „სახელურები", რომელიც საჭირო იყო ჩარხის ბოძზე მისაკვრელად. ძირზე იყო დამაგრებული რკინის ღერძები, მასზე კი, თავის მხრივ, დამაგრებული იყო ოთხი „ძუძუ"(კოჭისებური მოყვანილობის) რვა-რვა ღარით. ამ „ძუძუებს" თავზე ჰქონდა დამაგრებული რკინის „ყურები" - ძაფის მოსაბმელად. ჭაპნის საგრეხი ჩარხისათვის მასაღად გამოყენებული იყო კაკლის ხე,



სურ. 4

ჭაპნისათვის საჭირო ნართის დართვაც ჩარხზე წარმოებდა. ბოძზე მიკრულ ჩარხს თოკით აბრუნებდა ერთი კაცი, მეორე გაჩეჩილ თხის ბალანს „უმარჯვებდა" ჩარხის (ერთ) „ძუძუს" და ამნაირად ღებულობდნენ დართულ ნართს. დართულ ძაფს შემდეგ აორწვერებდნენ და ჩარხზევე გრეხდნენ. გრეხვა ბალნის რთვის ანალოგიაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძაფს „ძუძუს" თავზე დამაგრებულ რკინის „ყურს" გამოაბამდნენ. ერთი კაცი უბრუნებდა ჩარხს, მეორეს კი ძაფის ბოლო ეჭირა ხელში, ბრუნავდა ჩარხი და ამგვარად იგრიხებოდა ძაფი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხარის უღელში შესაბმელად საჭირო იყო სამ წვერზე დაგრეხილი თოკი, ხოლო ურემზე ტვირთის გადასაკოჭად ოთხწვერიანი ჭაპანი[51].

ამის გათვალისწინებით „ყურებზე" მოაბამდნენ დაგრეხილ ძაფს (3 ან 4 წვერს), ძაფის ბოლოები დამაგრებული იყო რკინის ჩანგალზე, რომელსაც ბოლოში რკინის დიდი ზომის რგოლი ჰქონდა. ჩანგალი რგოლით ერთ კაცს ეჭირა ხელში (აპეურის გრეხვის

---

51 ჭაპანს რომ ურემზე ტვირთის დასამაგრებლად (გადასაკოჭად) ხმარობდნენ, ამას გვიდასტურებს ნ.ჩუბინაშვილის ლექსიკონში სიტყვა „ჭაპნის" განმარტება-„თასმებისაგან დაგრეხილი თოკი, ღვედი ურმის სადებთა ტვირთთა გადასაჭირებელი". ტ.ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , დასახელებული ნაშრომი, გვ. 457.

დროს ჩანგალი რგოლით ერთ კაცს ეჭირა, ხოლო ჭაპნის გრეხვის დროს, რადგანაც მისი დაგრეხვა შედარებით ძნელი და შრომატევადი იყო, რგოლში გაყრილი იყო დიდი ზომის კეტი, რომელიც აქეთ-იქიდან ორ კაცს ეჭირა), მეორეს ხელში ეჭირა კაბლის ნისაგან გამოჩარხული ცილინდრის ფორმის ყალიბი (სიგრძე-9,5 სმ, დიამეტრი ერთი თავის-8,5 სმ, მეორის - 6,5 სმ) 4 ღარით. ეს ღარები საჭირო იყო ყალიბისათვის ძაფების გამოსადებად ანუ როგორც სამცხე-ჯავახეთში იტყვიან, ღარებში „გატანილი" იყო თოკები. ერთი კაცი თოკის (ღვედის) საშუალებით აბრუნებდა ჩარხს, ბრუნავდა ჩანგალიც, მიაყოლებდნენ თოკებს ყალიბს ზევიდან ქვევით (ჩარხისაკენ) და ამგვარად იგრიხებოდა ჭაპანი.

ჭაპნის გრეხვას ჭირდებოდა 3-4 კაცი. საერთოდ ჭაპნის გრეხვა რთულ და „დასაფასებელ" ხელობად იყო მიჩნეული, „მაზმანებშიც" კი ყველა ვერ გრეხდა ჭაპანს[52].

თხა საერთოდ ორნაირი ხარისხის საქსოვ მასალას იძლევა - უხეშ ბეწვს, იგივე ბალანს, რომლითაც ზემოთ დასახელებულ საგნებს ქსოვდნენ და ე.წ. თივთიკს. ნ. ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში თივთიკს შემდეგნაირად განმარტავს: „თხათა ბალნის ძირსა ლბილსა თმასა - თხისური და თივთიკი ეწოდების"[53]

თივთიკისაგან ნაზი მაუდის ქსოვილები მზადდებოდა, რაც ძვირად ფასობდა და ძირითადად ქალის კოსტუმისათვის იხმარებოდა.

თივთიკი შემდეგნაირად მიიღებოდა: გაზაფხულზე (დაახლოებით აპრილის თვეში) თხას ამოეზრდებოდა ღინღლი. ღინღლს ამოვარცხნიდნენ ხოლმე სპეციალური ხის სავარცხლის საშუალებით, რომელსაც სამცხე-ჯავახეთში „ჩამოსაგებ" სავარცხელს ეძახიან.

ჯავახეთის ზოგიერთ სოფელში კი თივთიკის მიღების განსხვავებული წესი დავადასტურეთ. თხას ბალანს - თივთიკთან ერთად გაკნაჭავდნენ. შემდეგ ცალპირა საჩეჩელზე გაჩეჩავდნენ. თივთიკი საჩეჩელის კბილებში რჩებოდა. მოაგროვებდნენ და შემდეგ დანიშნულებისდა მიხედვით იყენებდნენ.

როგორც ეთნოგრაფი ც. ყარაულაშვილი აღნიშნავს, „საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ტერმინი თივთიკი წარმოდგენილია ფონეტიკური სახესხვაობით" „თიფიკი" (ქართლი) „თივთიკი" (ხევი), „თიმთიკი" (რაჭა), „თინ" და „თინთიჭი" (თრუსოს ხეობის ოსები)[54].

თხის ბალნისა და თივთიკის დამუშავება ნართად მატყლისაგან განსხვავებულად მიმდინარეობდა. თივთიკს გარეცხვა, გაჩეჩვა არ უნდოდა. მას პირდაპირ ართავდნენ. ბალანსაც არ რეცხავდნენ. ჩეჩავდნენ ფთილებად. დართვისას კი ფთილებს აუცილებლად „შენამავდნენ" - დაასველებდნენ ხოლმე, რადგანაც ბალანი უხეშია და მრთველს ადვილად არ „ემორჩილებოდა".

შემდეგი პროცესი ნართის დამუშავებისა კი ისევე მიმდინარეობდა, როგორც უკვე აღწერილი შალის ნართისა.

საქსოვი მასალის წყლით დანამვა საქართველოს სხვა კუთხეებშიაც მოწმდება. კერძოდ, აჭარაში „იცოდნენ მატყლის დანამვა. დანამულ მატყლს შემდეგ კვანძებად დაახვევდნენ და კედელზე ჰკიდებდნენ"[55].

თხა - ცხვარი რომ სამცხე-ჯავახეთში დიდი რაოდენობით ჰყავდათ, ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. თხის მოშენება-გამრავლებით ადგილობრივი მოსახლე დიდად იყო დაინტერესებული. ჯერ ერთი თხის ბალნისაგან ქსოვდნენ ოჯახისათვის აუცილებელ მრავალ საგანს, მეორეც ცხვრის ფარაში აუცილებელი იყო თხის „ვაცის" ყოლა წინამძღოლად, მესამე და, რაც მთავარია, თხა დიდი მერძეულობით გამოირჩევა. ძროხის შემდეგ რძის

---

52 მაზმან ინასარიძე გიორგი აღექსანდრეს ძის თქმით (მცხ. სოფ. ჭობარეთში), „ხნული არ ჰქონდათ და ყანას არ მკიდნენ, ხელობით არჩენდნენ ოჯახს".

53 ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი..., გვ. 233.

54 ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური ქსოვის წესები კახეთში, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVI-B; 1970, გვ. 248.

55 ი. ს ა მ ს ო ნ ი ა, ტანსაცმლისათვის განკუთვნილი ქსოვილების ხალხური წესები აჭარაში. მაცნე, თბ., 1973, გვ. 154.

რაოდენობის მხრივ თხა მეორე ადგილზეა. ამავე დროს თხის რძე ბევრი ისეთი თვისებით გამოირჩევა, რაც ხშირ შემთხვევაში უპირატესობას აძლევს მას ძროხის რძესთან შედარებით. თ. სახოკიას მიხედვით: „თხა არის მთაზე მწყემსის მარჩენალი, ერთ-ერთ დღესაც ვერ გასძღებენ. ამიტომ თხას მწყემსები მთის ბალ-მარანს ეძახიან“[56].

აქვე აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქსოვილის დასამზადებლად სხვადასხვა ხარისხის ნართს იყენებდნენ. ჩვენთვის საკვლევი საფენების: ფიჩვის, ხალიჩის და ჯეჯიმის ქსელისათვის მაგრად დართული და დაძახული ნართი მზადდებოდა. ქსელის ნართი ამავე დროს უმეტესწილად სამი წვერისაგან შედგებოდა (ბეჭვისას რომ არ ჩაწყვეტილიყო), შასაყარი ანუ საზედაო უფრო რბილი, საშუალო გრეხილობისა და ორი წვერი ძაფი იყო. ხალიჩას კი დამატებით ხაოს ნართიც ჭირდებოდა, რომელიც დუნედ იყო დართული.

სამცხე-ჯავახეთში ჩიჩვა-რთვის და ქსოვისათვის ძირითადად იყენებდნენ კვირის შემდეგ დღეებს: სამშაბათს; ხუთშაბათს და შაბათს. სხვა დღეები ხელსაქმისათვის უქმ დღეებად (როგორც მთხრობელებმა უწოდეს, ნავს დღეებად) ჰქონდათ მიჩნეული. ორშაბათს, ოთხშაბათს და კვირა ძაღზე, ე.ი. შაბათს როგორც კი მზე ჩავიდოდა, არავითარ შემთხვევაში არ გაჭრიდნენ, არ შეკერავდნენ და არც ჩეჩვა-რთვასა და ქსოვას აწარმოებდნენ.

დაძახულ ძაფს იმ შემთხვევაში, თუ უნდოდათ საფიჩვედ, სახურჯუნედ, საწინდედ და სხვა ამგვარ საგანთა მოსაქსოვად ნართის სახით ღებავდნენ. ეს მოსაქსოვი საგნის მრავალფერადოვნებით იყო გამოწვეული. შეღებვამდე, დაძახულ, გორგლად დახვეულ ნართს მუხლებზე იტარებდნენ ჯვარედინად. ასე ამოახვევდნენ მთელ გორგალს. ჯვარედინად, შულოებად ამოხვეულ ძაფს სამცხეში „ხიფებს“ უწოდებდნენ, ხოლო თვით პროცესს „ნართის დახიფვას“. ქვემო ქართლში დასახელებული წესით ჯვარედინად ამოხვეულ ძაფს „ხანკლებს“, პროცესს კი „დახანკვლას“ უწოდებენ.

„ხიფებად“ ამოხვეულ ძაფს თავსა და ბოლოში ამაგრებდნენ თავისავე ნართით (რომ არ აბურდულ-აშლილიყო) და ნიშნისათვის უკეთებდნენ იმ ფერის ძაფს, რა ფერადაც შეღებვა უნდოდათ.

შემდეგ იწყებოდა ღებვის მეტად რთული და შრომატევადი პროცესი, (რომელსაც ცალკე თავში განვიხილავთ).

და ბოლოს ნართის დამუშავების ხალხური წესების განხილვის დროს მრავლად გვხვდება სომხური და თურქული ტერმინები (უცხოური ტერმინებით აღინიშნება ქსოვის პროცესიც და ორნამენტთა დასახელებებიც). მაგ. „ჰაჯაათი“, „თოხაჯები“ (სატყეპელა), „იასულული“ (სირისკუდი), „ჯვალი“ (ტომარა)[57], „ყაისაფა“ (კომპოტი, რომელსაც ნადის დროს მუშად შეყრილ ქალებს მიართმევდნენ), „ბურმაჯი“ (დასართავად ხელზე გადახვეული ძაფი), „ფაცახი“, „კაპრაში“ (მოკლებეწვა მატყლი), „ხიფები“ (შესაღებად გამზადებული ძაფი), „მაზმანი“ ბალნით მქსოველი და ა.შ. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებლებმა საუკუნეების განმავლობაში დასახელებულ ხალხებთან ურთიერთობის შედეგად მრავლად გასცეს თავისი და ასევე მრავლად შეითვისეს მათთან ახლო მყოფი ხალხის ლექსიკა.

რელიგიური რწმენა=წარმოდგენები ცხვარსა და ნართის დამუშავების ხალხურ წესებთან დაკავშირებით

მესხი კაცისათვის ცხვარი იყო შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო. ცხვარი აძლევდა მას სწრაფად მბრუნავ შემოსავალს, ნამატის, მატყლის, ხორცის, ყველის სახით. ამიტომ სამცხე-ჯავახეთში მესაქონლეობის ამ ძირითად დარგთან - მეცხვარეობასთან დაკავშირებულია მრავალი მაგიური მოქმედება.

---

56 თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1950, გვ. 285.

57 ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972, გვ. 138.

ცხვარი მესხეთში გაკუღტებული ჰყავდათ. ეს თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ ახალ წელს იცოდნენ ცხვრისათვის მილოცვა. ახალი წლის დილით გაიყვანდნენ ცხვარს საძოვარზე (თუ თოვლი იყო, მაშინ საცხვარეში) აარჩევდნენ საუკეთესოს [illegible] და რქებზე წითელ ვაშლებს ჩამოაცვამდნენ. ამით ცხვარს სისავსე, ნამატი და ბარაქა დაეკვებებოდა (მთხრობელი ჯვარიძე დავით ზაქარიას ძე, 52 წლის, ს. ჭობარეთი, 1986 წ.).

სოფელ უდეში კი ახალი წლის დღეს ვერძს რქებზე ჩამოაცვამდნენ თითა (გახვრეტილ) პურებს, რომელზეც დანთებული იყო სანთელი, შეიყვანდნენ დარბაზში და შემოატარებდნენ – ოჯახში ბარაქა დატრიალდებაო.

ერთ-ერთი მაგიური შემთხვევა საცხოვრებელ სახლთან არის დაკავშირებული. სამცხე-ჯავახეთში საერთოდ სამი ტიპის საცხოვრებელი არსებობდა: (საცხოვრებლის ტიპები ძირითადად გადახურვით განსხვავდებოდა) „მერცხლის ბუდურა ოდა“, „თაკარა ოდა“ და „ყორჩაშური“.

ჩვენთვის საინტერესო „ყორჩაშური“ გადახურვის დროს, როგორც ოდის, ისე ბოსლის გადახურვის დროს „კვანტების“ თავში გამოკვეთილი იყო ყორის, ვერძის თავი.

ამრიგად, მაღლიდან „ვერძის თავის“ გამოსახულება (როგორც „ოჯახის მოამაგე პირუტყვის“) დაჰყურებდა ოჯახს და უტყუარი ნიშანი იყო ოჯახის „ნაყოფიერებისა“ და გამრავლებისა. ვფიქრობთ, ეს ჩვეულება არქაული ხანის ნაყოფია და მისი საფუძვლები ადამიანთა ცხოვრების შორეულ წარსულშია საძიებელი.

ცხვრის კრეჭვასთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული მასალების მოძიების დროს მეტად საინტერესო მოვლენას წავაწყდით. არავითარ შემთხვევაში ცხვარს არ გაკრეჭდნენ, ხეს არ მოჭრიდნენ და საზოგადოდ არც ერთ მნიშვნელოვან საქმეს არ აწარმოებდნენ ახალი თვარის დროს. დანარჩენი ქართველი ტომების მსგავსად ისინიც არჩევდნენ „კარგ“ და “ცუდ“ თვარეს. ეს მოვლენა მეცნიერებაში ე.ი. „დუალისტური კონცეფცია“ „ბედნიერი“ ანუ „კარგი“ და „უბედური“ ანუ “ცუდი“ თვარის შესახებ საინტერესოდ აქვს ახსნილი სვანეთის მაგალითზე ცნობილ მკვლევარსა და ეთნოგრაფს ვ. ბარდაველიძეს[58].

„კარგ“ და „ცუდ“ თვარეს ამ მნათობის ფაზების მიხედვით არჩევდნენ და ყოველგვარ საქმეს მასთან შეფარდებით ახდენდნენ.

ადამიანები შორეულ წარსულში აკვირდებოდნენ თვარის მოძრაობას და ხედავდნენ, რომ მნათობის გადაადგილება ცის თაღზე, მისი განახლება, სისავსე, დაღვევა, გარკვეულ ცვლილებებს იწვევდა დედამიწაზე, მოქმედებდა ადამიანთა ბედზე. ძველი მიწათმოქმედი და მესაქონლე ტომები ვერ უძებნიდნენ რა ამ მოვლენას ახსნას, თვარის ფაზების ცვლას რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირებდნენ.

მეცნიერულად ცნობილია, რომ ახალი თვარის დროს, ცოცხალ არსებებს, ხეებს, მცენარეებს დამატებითი კაპილარები ეხსნებათ, მეტ სასიცოცხლო წვენს გამოყოფენ, ე.ი. ამ დროს ინტენსიურად მიმდინარეობს ზრდა-მატება. ამ პერიოდში მოჭრილი ხე თუ მცენარე გამოყოფს რა მომეტებულ წვენს, ფუტროვდება და მაღე ჭიანდება, ცხვარს კი მომეტებული ცხიმის გამოყოფის გამო გაპარსვის შემდეგ თავ-პირსა და ტანზე აყრის და კანი ძვრება. თვარის ფაზების ცვლის შედეგად დედამიწაზე მომხდარი ეს ცვლილებები თავისი შინაარსით მეცნიერებასთან არის დაკავშირებული, ფორმამ კი ცრუმორწმუნეებთან მიგვიყვანა. რახან ახალი თვარე მატებას იწვევდა, თითქოს იგი იწვევდა ადამიანთა უარყოფითი მოვლენების ზრდასაც. ამის გამო სამცხე-ჯავახეთში ახალ თვარეზე ჩვენთვის საინტერესო კონკრეტულ შემთხვევაში ცხვარს არ კრეჭავდნენ და საერთოდაც ყოველგვარ მნიშვნელოვან საქმეს, იყო ეს სახლის მშენებლობა, ხის მოჭრა და ა.შ. ე.ი. იმ საქმეებს, რომელთაც სისრულე, სისავსე და ბარაქა სჭირდებოდა, სავსე თვარის დღეებში აკეთებდნენ.

---

58 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1951, გვ. 61.

ზემოდასახელებულ საქმეებს არ აწარმოებდნენ ძველი მთვარის დროსაც, ისიც „ცუდ“ მთვარედ ითვლებოდა. მათ შორის არც ცხვარს არ კრეჭდნენ. ძველ მთვარეზე გაკრეჭილ ცხვრის მატყლს გამძლეობა არ ჰქონდა – უბარაქო იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარესთან დაკავშირებული დუალისტური შეხედულებები, როგორც ამას ვ.ბარდაველიძე აღნიშნავს, „თავისი წარმოშობით არქაული ხანის შეხედულებების ნაყოფია და ამ იდეების და რწმენის შესატყვისი პრაქტიკაც მაგიურ მოქმედებათა – იმიტატიური მაგიისა და ტაბუს, ე.ი. იმავე არქაული ხანიდან წარმომდინარე – ნიმუშებს განასახიერებენ“[59].

სამცხე-ჯავახეთში ცხვარს არ კრეჭდნენ, აგრეთვე, ხომლის (ხრომლის) ვარსკვლავის, გუნდი ვარსკვლავის დროს. ხომლის ვარსკვლავი ამოსვლას იწყებს თიბათვის 6-ს (ივნისში) და გარკვევით ჩანს უკვე I2 რიცხვში. ხომლის კვირაში ცხვარს არცერთ შემთხვევაში არ გაკრეჭდნენ (ლაპარაკია მდედ-მწველელ ცხვარზე). ხომლს მიაწერენ ისეთ ძალას, რომელიც აავადებს ცხვარს. ადგილობრივთა დაკვირვებით, ამ დროს გაკრეჭილ ცხვარს თავ-პირზე წყლულები უჩნდებოდა და მატყლი ცვიოდა. უფრო მეტიც, მეცხვარე ყოველთვის ცდილობდა, რომ ხომლის ვარსკვლავს დილით (ხომლის ვარსკვლავი გარკვევით განთიადისას ჩანს), იათაღზე (ადგილი სადაც ღამე დგას პირუტყვი) მწოლი ცხვრისათვის არ დაეხედა და არ დაეავადმყოფებინა. ამიტომ ცხვარი ან ტყისპირებში მიჰყავდათ და აფარებდნენ ან დილით ადრიანად აჰყრიდნენ და ატარებდნენ.

მსგავსი რწმენა სამცხე-ჯავახეთის გარდა ეთნოგრაფმა მ.მაკალათიამ დაადასტურა დაღესტნის მთიელებშიც[60].

სამცხე-ჯავახეთში შერეული ფერის ცხვარი ჰყავდათ: თეთრი, შავი, ჭრელი და ა.შ.

შავი ფერი ცხვრის ფარაში ყოლა კარგი იყო. ჯერ ერთი პრაქტიკული მოსაზრების გამო – ბუნებრივი შავი ფერის მატყლისაგან ქსოვდნენ შალს და მეორე შავი ფერის ცხვრის ფარაში ყოფნით „ფარა ავი თვალისაგან დაცული იქნებოდა“. იცოდნენ, აგრეთვე, პატარა ბავშვისათვის შავი წინდების ჩაცმა და შავ ყოჩზე შესმა იმავე მიზნით – „პატარა თვალს არ აიღებდა“.

მაგრამ შავი ცხვრის მატყლს – შავ მატყლს თავისი უარყოფითი მხარეც ჰქონდა. სახელდობრ, შავი ფერის მატყლს არავითარ შემთხვევაში ლოგინში არ ჩაყრიდნენ. მთხრობელთა გადმოცემით, შავი ფერის მატყლის ლოგინში ჩაყრით, შავის დაფარებით „ვიღაც გულით საყვარელი მოგიკვდებოდაო“.

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, სამცხე-ჯავახეთში ცხვარი დიდი რაოდენობით ჰყავდათ. თითო სოფელში ცხვარი რამდენიმე ფარად „დადიოდა“, იყო ხოლმე შემთხვევა რომელიმე ფარაში დაავადება გაჩნდებოდა (ცხვარს საერთოდ უჩნდებოდა შემდეგი დაავადებები: „თურქული“, „სარილუხი“ (სიყვითლე, პეპელი). ამ შემთხვევისათვის ჰქონდათ სპეციალური პატარა თასი, რომელსაც გარედან ლოცვის სიტყვები ჰქონდა ამოტვიფრული, მას „სასწაულმოქმედ“ თასს ეძახოდნენ. მეცხვარე სხვა მწყემსებისაგან მალულად აიღებდა ამ თასს, შიგ ასხამდა ჩვეულებრივ წყალს, რომელსაც „თასის წყალს“ ეძახოდნენ და ამ წყლით თავისი ფარის სუყველა ცხვარს დანამავდა. მორწმუნეთა აზრით, „დაავადება წამსვე სხვა ფარაზე გადავიდოდა, ხოლო ეს ფარა იკურნებოდა“.



სურ.5

---

59 ვ.ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63.

60 მ.მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესაქონლეობა მესხეთში – კრ. „მესხეთ-ჯავახეთი“. თბ., I972, გვ. 50.

იმ შემთხვევაში, თუ ცხვარს გაუჩნდებოდა „სარილული“, ჰქონდათ, აგრეთვე სპეციალური მძივები (დიდი ზომის შავწინწკლებიანი), რომელსაც „სარილულის მძივებს“ ეძახდნენ. აიღებდნენ ამ მძივებს და გაუვლიდნენ სხვა ფარას სიტყვებით: „დღეთა აციღე ჩემს ცხვარს ავადმყოფობა, სხვას შეახვედრეო“. შემდეგ კი თავის ფარაში ყველაზე საუკეთესო ცხვარს დაჰკიდებდნენ. ეს სხვებისაგან შეუმჩნევლად უნდა მომხდარიყო, თორემ ამას დიდი კონფლიქტები მოჰყვებოდა ხოლმე. მთხრობელთა გადმოცემით, დაავადება აციღდებოდა ხოლმე შელოცვილ ცხვარს და მეზობელ ფარაზე გადადიოდა, (მთხრობელი ივანიძე გრიშა ონისიმეს ძე, 60 წლის, სოფ. ჭობარეთი, 1986 წელი).

სამცხე-ჯავახეთში ხელსაქმის, ჩეჩვა-რთვისა და ქსოვის უქმე დღეები იყო ორშაბათი, ოთხშაბათი და კვირა. ამათგან კვირა „მძიმე“ უქმედ იყო მიჩნეული. „მძიმე“ უქმე იყო აგრეთვე შემდეგი რელიგიური დღესასწაულები: შობა, წყალკურთხევა, ყველიერი, აღდგომა, გიორგობა, ამაღლება, კვირაცხოვლობა, მარიამობა, პეტრე-პავლობა და ა.შ. გარდა ამისა, ამა თუ იმ სოფლისათვის რომელიმე სპეციფიური რელიგიური დღესასწაული იყო დამახასიათებელი. მაგ., ივლიტობა სოფ. ივლიტაში, ნინაობა სოფ. ტობაში, თევდორობა სოფ. ტოლოშში.

აღნიშნულ დღეებში სამცხე-ჯავახეთში არავითარ ხელსაქმესაც არ აწარმოებდნენ. მთხრობელების გადმოცემით, ღმერთი გაურისხდებოდათ და გაუწყრებოდათ.

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ხალხში ხელსაქმე, ჩეჩვა-რთვა და ქსოვა-კერვა არ შეიძლებოდა მაშინაც, როდესაც სოფელში მიცვალებული იყო. სანამ მიცვალებულს არ დაკრძალავდნენ, მანამ უქმობდნენ.

თითისტარიდან ძაფის „ამოტოლების“ დროს ძაფი რომ არ აბურდულ-აშლილიყო, სამცხე-ჯავახეთში იცოდნენ ლოცვის თქმა (სამწუხაროდ, ვერ აღვადგინეთ ლოცვის სიტყვები).

და ბოლოს, როდესაც სოფელში ახალი პატარძალი მოჰყავდათ, გზად შეხვედრილ ცხვრის ფარის მწყემსი ვალდებული იყო პატარძლისათვის საჩუქრად მიერთმია ცხვარი, მაგრამ ერთი პირობით, ეს ცხვარი პატარძალს ცხენიდან ცალი ხელით უნდა აეწია.

ამრიგად „ნართის დამუშავების ხალხური წესები სამცხე-ჯავახეთში, ჩვენი აზრით, საინტერესო კვლევა-ძიების ობიექტს წარმოადგენს. სამცხე-ჯავახეთში ფეიქრობის განვითარებისათვის საკმაოდ იძებნებოდა იაფი ნედლეული, როგორც მატყლის, ისე ხელის სახით. ამავე დარგს დასახელებული რეგიონისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მნიშვნელობა გამოიხატებოდა როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ ასპექტში.

დასაწყისში ეთნოგრაფიული მონაცემები გავაანალიზეთ არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მასალებთან და შევეცადეთ აღგვედგინა სამცხე-ჯავახეთის ადრეული მოსახლეობის შრომითი საქმიანობა ფეიქრობის დარგში.

ველზე სათანადო მასალის მოპოვების შემდეგ ეთნოგრაფიული მასალა მივუსადაგეთ აგრეთვე ისტორიულ ვითარებას. გამოვავლინეთ მრავალი ახალი ტერმინი, როგორც ცხვარ-მეცხვარეობის, ისე საკრეჭ, სართავ და საძახ იარაღებთან დაკავშირებით. აღვწერეთ ხალხური ხელსნობის ამ დარგთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაცია, რომელიც შრომამიგებით პრინციპზეა დაფუძნებული.

საკითხი „ნართის დამუშავების ხალხური წესები სამცხე-ჯავახეთში“ მეტად აქტუალურია. მის აქტუალობას ის შეადგენს, რომ ხალხის ყოფასა და მეხსიერებას იგი კვლავ შემორჩა. ინტერესი ამ თემისადმი გაპირობებულია იმითაც, რომ დღეისათვის ასე თუ ისე მაინც მივიწყებას ეძლევა და ბევრი რამ გამქრალა „ხალხური ფეიქრობიდან“. გამქრალია, მაგ., იმ მასშტაბის მეცხვარეობა, რომლის ნედლეულზეც ეს დარგი არსებობდა, ამიტომ შევეცადეთ დაწვრილებით და თანმიმდევრობით აღგვეწერა ტექნოლოგიური პროცესები - დაწყებული ცხვრის კრეჭვიდან- დამთავრებული ნართის შეღებვამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ბოკუჩავა

მორწყვის ტრადიციები საინგილოში

საინგილო უხვმოსავლიანი მიწათმოქმედების ძველი რეგიონია, რომლის ნოყიერ ნიადაგებს კავკასიონის მთიდან ჩამონადენი მდინარეები განუწყვეტლივ ამარაგებენ სარწყავი წყლით. მდინარეთა სადენარი კავკასიონის მთიდან აღაზნამდე გრძელდება და 25-30 კილომეტრამდე მანძილს მოიცავს. ეს მდინარეებია: მაწიმის, მუხახის, ბელაქნის, კატეხის, მაწეხის, თაღას წყალი და ქურმუხის წყალი. გარდა ამ მოზრდილი მდინარეებისა მთებიდან მრავალი ხევის წყალი ჩამოდის, რომელთაც საინგილოს მიწა-წყალზე თავისი განტოტებების გარდა ხშირი ფშანები დაუყვება, საიდანაც რეგიონი მარაგდება როგორც სასმელი, ისე სარწყავი წყლებით[1].

წყლის რესურსების ასეთი სიუხვე, ბუნებრივია, ხელს უწყობდა საინგილოში სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას და სამეურნეო კულტურათა სიმრავლეს. საინგილო ნალექების ნაკლებობას არ განიცდის, მისი კლიმატური და ოროგრაფიული თავისებურების გამო დიდი წვიმების დროს ხევებში წყალი უცბად მოდიდდება და ზოგჯერ დიდ ზიანს აყენებს, როგორც სამეურნეო სავარგულებს, ისე უშუალოდ მდინარეთა გასწვრივ დასახლებულ პუნქტებს[2].

იმისათვის, რომ ღვარცოფად მოვარდნილ მდინარეებს სავარგულები და სოფლები არ დაეზარალებინა, იცოდნენ მდინარის სანაპიროების გამაგრება ჯებირებით.

სანაპიროთა გამაგრება მდინარე ქურმუხის მაგალითის მიხედვით სოფლეურად იყო განაწილებული. ყველა სოფელს თავისი მიკუთვნებული ე.წ. „ბენდი" უნდა გაემართა. საამისოდ სოფელში შრომისუნარიანი ყველა მამაკაცი შეიყრებოდა, თან მიჰქონდათ ცული, წალდი, ბარ-ნიჩაბი და სათანადო ადგილზე დასხამდნენ სამფეხა საყრდენებს, რომელსაც მუხის ხის ტოტებისაგან შეკრავდნენ ხოლმე. ეს სამფეხები ერთმანეთზე უსურვაზით იყო გადაბმული და ჯებირის ჩონჩხს შეადგენდა. თვითონ ჯებირი ჯაგრცხილის კონებისა და რიყის ქვისაგან შენდებოდა. ჯერ ჯაგრცხილის კონებს დააწყობდნენ გარდიგარდმო, ზედ რიყის ქვის ფენას მოაყოლებდნენ და ასეთი მონაცვლეობით ამოიყვანდნენ კედელს. მისი სიმაღლე ორ მეტრამდე აღწევდა.

მდინარე ქურმუხი ხშირად ადიდებისას ასეთ ბენდს დალამავდა ხოლმე. მაშინ სოფელს კვლავ უხდებოდა „ჯამაათის შეყრა" და კვლავ სანაპირო სამაგრის შენება. ასეთ ბენდებს აგებდნენ, აგრეთვე, სარწყავი არხების სათავე ნაგებობათა გასამართავად.

ქართლის ძველი სარწყავი არხების სათავე ნაგებობათა გასამართავად სცოდნიათ გოდორყურების ჩადგმა, ამავე მიზნით ფიჩხის კონების ჯებირებსაც იყენებდნენ[3]. საინგილოში, ხალხური დაკვირვებით, სათავე ნაგებობების სიგანე არხის გადაყვანისათვის I/3-ზე მაინც უნდა გადალობილიყო, რომ წყალს არხში თავისუფლად ედინა.

საინგილოში მდინარეების სანაპიროების გამაგრების საქმე, ჯებირების მშენებლობის ხელმძღვანელობა, სოფლებსა და სოფლის შიგნით უბნებს შორის წყლის განაწილების და მიწათმოქმედთა წყლით დაკმაყოფილების ორგანიზაცია ევალებოდათ მერუეებს, რომელთაც ინგილოები „ჯუარებსაც" უწოდებდნენ. ჯუარად სოფელი ირჩევდა ამ ხელობი-

---

1 ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბ., 1947, გვ. 13.

2 გ. ჩ ა ნ გ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, თბ., 1970, გვ. 11.

3 იხ. მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1971, გვ. 33.

სათვის გამოსადეგ პირს, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა მდინარის ნირი და სარწყავი წყლით სოფლის მომარაგების საქმე. ზოგიერთ ოჯახში ჯუარობის ტრადიცია შთამომავლობით გადადიოდა მამიდან შვილზე. ჯუარებს გასამრჯელოს ნატურით უნაზღაურებდნენ. წელიწადში ერთი ოჯახი 3 ბაკანს უხდიდა[4]. უფრო გვიან ჯუარების გასამრჯელო ფულად შეცვლილა.

მდინარე ქურმუხზე სამი მუდმივი სარწყავი არხი იყო გაჭრილი: „კახისთავის ხევი", „კახმუღალის ხევი" და „ქეშხუთანის ხევი". ეს არხები მდინარე ქურმუხის დინებასთან კუთხეს ქმნიდა და განზე მიმდინარეობდა. ამ არხებს მდინარესთან შედარებით უფრო ნაკლებ დახრილი გეზი ჰქონდათ.

„კახისთავის ხევი" რწყავდა დაბა კახის კახისთავის უბნის ბაღ-ბოსტნებსა და ვენახებს; „კახმუღალის ხევი"- აღათუმურის, მეშაბაშის, ქოთუქლოსა და ალიბეგლოს მიწებს; „ქეშხუთანის ხევი" სოფელ ქეშხუთანის, ხარაბთალას და ყიმურუს ბაღ-ბოსტნებსა და ველ-მინდვრებს. ამავე არხებზე მოწყობილი იყო წისქვილები და ბრინჯის საცეხვი „დინგები". კახში სარწყავად იყენებდნენ ბგრეთვე მდ. კობალას წყალსაც, საიდანაც გაჰყავდათ ხოლმე დროებითი რუები. მდ. კობალას წყლით ირწყოდა კახისთავის უბნის თხილის ბაღები და ვენახები, ასევე „ფანცაურის მიწებიც".

ძირითადი არხებიდან ყოველ კომლს საკუთარი ნაკვეთის მოსარწყავად გაჰყავდა რუ. ზოგჯერ ორი მეზობელი შეამხანაგდებოდა და გარკვეულ ადგილამდე საერთო რუს გაიყვანდა, ამ ადგილიდან კი ცალკე მიჰყავდა წყალი თავის მამულში.

როგორც ვხედავთ, იქმნებოდა დიდი და მცირე არხების მთელი სისტემა. ქართლში მდინარიდან გამოყვანილ ძირითად რუს თავთარუს ეძახიან. საინგილოში კი იგივე დანიშნულების არხს ხევი ჰქვია. ხევიდან გამოყვანილ ყველა ზომის უფრო მცირე სადინარს რუს ეძახიან, განსხვავებით საქართველოს სხვა კუთხეებისაგან, სადაც წყლის ყველა სახის სადინარი განსაკუთრებული ტერმინით აღინიშნება, მაგ., ნაკადული, ეტი, საქცევი და სხვა.

საინგილოში გავრცელებული იყო ნაკვეთების რწყვა „გაფაინებით" /გაშლით/, ღამე მოაღვარებდნენ წყალს ნაკვეთზე, სწორედ ამას ეწოდებოდა „გაფაინება". ღამით რწყვას ამჯობინებდნენ. სიცხეში რწყვა არ შეიძლებოდა. ასევე არ ვარგოდა ხშირ-ხშირი რწყვა, ამბობდნენ მიწას ფიტავსო. ასევე იყო საქართველოს სხვა რეგიონებშიც (ქართლი, კახეთი). ხაღხი გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა ღამით მორწყვას. ინგილოთა დაკვირვებით, დღისით წყალი ძალიან თბებოდა, რაც მოსარწყავ კულტურებს აზიანებდა[5].

საინგილოში მიღებული იყო ვენახების „წუნწუხით" მორწყვა (წუნწუხი - წყალში გახსნილი ნაკელი). ამისათვის სარწყავ წყალს მიუგდებდნენ საქონლის სადგომს და ამის შემდეგ ვენახში გადაუშვებდნენ. ანალოგიური წესი გვხვდება ქართლის შუა მთისა და მთიან ზოლში და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ასევე აჭარასა და სვანეთში[6].

საინგილო წყალუხვია და სარწყავი წყლის ნაკლებობა თითქმის არასდროს არ იგრძნობა. მხოლოდ გვალვების დროს თუ იცის ქურმუხმა უმნიშვნელოდ დაცოტავება, მაშინ რწყვისას რიგს მიმართავენ ხოლმე. ჯერ ერთი უბანი რწყავს, მერე მეორე და ა.შ. რწყვის რიგს ჯუარი აწესებს. ურწყავი ადგილები იშვიათია, ასეთ ადგილებში თესდნენ ქერს და ფეტვს.

საინგილო მდიდარია სასმელი წყლებითაც. თუ წყარო სოფლიდან მოშორებით იყო, მაშინ სოფელში თიხის მილებით, ზოგჯერ კი უბრალო რუს საშუალებით გამოჰყავდათ წყალი და „ქერიზებს" აკეთებდნენ. ამისათვის დიდ ორმოს ამოთხრიდნენ, წყლით აავ-

---

4 ბაკანი - საწყაო ხის ან რკინის ჭურჭელია, რომელიც იტევს I-დან 4 კგ მარცვალს.

5 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 42.

6 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, იქვე, გვ. 50-51.

სებდნენ და ზევიდან გადახურავდნენ, ჯერ მორებს დააწყობდნენ, მერე ფიჩხს დაყრიდნენ და ზედ მიწას დაატკეპნიდნენ. აუცილებლად დაატანდნენ თუნგის ჩასაყოფ ადგილს. დიდი ქერიზი იყო ქეშხუთანში, სოფლის შუაგულში. მდიდრები ქერიზებს სოფლთაარ ეზოებშიც იკეთებდნენ.

საინგილოში ისტორიულად შემუშავებულ რწყვის წესებს ბევრი საერთო აქვთ საქართველოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით კი ქართლ-კახეთში არსებულ მორწყვის კულტურასთან. მსგავსებისა და განსხვავების საფუძველს სხვა მიზეზებთან ერთად გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები იწვევდა.

ამრიგად, მორწყვის კულტურის თვალსაზრისით, საინგილო გამონაკლისს არ წარმოადგენს, ვინაიდან მორწყვის მაღალგანვითარებული წესების არსებობა საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც არის დამახასიათებელი. განსაკუთრებით ნიშანდობლივია მერუის, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის არსებობა. ამ ფაქტის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ არა მარტო მორწყვის, არამედ საერთოდ სამიწათმოქმედო კულტურის სიძველეზე, რომლის განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენს მორწყვა, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო გვიან აღმოცენდა - მიწათმოქმედების განვითარების გარკვეულ საფეხურზე.

მაღალგანვითარებული მორწყვის კულტურის არსებობა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ არა მარტო მიწათმოქმედების, არამედ სარწყავი ქსელის არქიტექტურის ტრადიციებზე (ჯებირები, არხები, რუები, ქერიზები და სხვა).

საინგილოში შემუშავებული ჯებირების მშენებლობის წესი განსხვავდება ქართლ-კახეთში დამკვიდრებული აგების წესებისაგან. თუ საინგილოში ჯებირის კონსტრუქციის ჩონჩხს მუხის ან აღვის სამფეხები ქმნიან (ასეთი სამფეხა კონსტრუქცია ძალზე მყარია, მისი ფუძის ფართობი-დიდი, რაც მის საერთო გამძლეობას ზრდის), ქართლსა და კახეთში ჯებირებს სხვა წესით აგებდნენ: „ჯებირი მსხვილი ლატნებით იწვნებოდა ტირიფის მარგილებზე, რომელიც ფესვებსაც უშვებდა წყალში და დიდხანსაც სძლებდა. ჯერ ჩაარჭობდნენ თითო პირ მარგილს, ხუთ-ექვს ცალს ორივე მხარეზე ნაპირში, სადაც წყალი თხლად იყო, დაწნავდნენ, გაავსებდნენ ქვებით და მერე თანდათან უმატებდნენ და ხმელად მიჰყვებოდნენ“[7].

ჯებირის არსებული ტიპის დამკვიდრება საინგილოში, ბუნებრივი პირობებითაა გამოწვეული (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხშირია ღვარცოფები და წყალდიდობები).

ისტორიული თვალსაზრისით, სარწყავი კულტურის ძეგლებს საინგილოში შეგვიძლია ადრექრისტიანულ ხანამდე გავადევნოთ თვალი. ამაზე მიგვითითებენ როგორც ცალკეული არხები, ისე არხთა მთელი კომპლექსები. ადრექრისტიანულ ხანაში გაჭრილი არხის მაგალითი გვხვდება ლ. ჭილაშვილის წიგნში „კახეთის ქალაქები“. „შაქამდე მდინარე გიშის წყლამდე სანამ მივიდოდეთ, კარგად ჩანს ძველი ნაარხალი, რომელსაც თამარ მეფის არხს ეძახიან. არხის სათავე მდებარეობს დღევანდელ შაქის ხიდიდან ჩრდილოეთით, ერთ კმ-ზე, მდინარე გიშის წყლის მარჯვენა კალთაზე ნაპირზე. არხი გასდევს მთაგორიან რელიეფს და ერთი კმ შემდეგ უხვევს მდინარიდან მარჯვნივ ... არხის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის თითქმის სათავიდანვე მაღალი ნიშნულით მისდევს მთის დაკლაკნილ რელიეფს და რამდენადაც მისი გამტარიანობა არც თუ ისე დიდია (სიგანე 60-80 სმ, სიღრმე 30 სმ), ის ახლო მდებარე მიწების მოსარწყავად ალბათ არ იყო გამიზნული... ოხუთიდან სამ კმ-ზე გიში მდებარეობს ... ზემოხსენებული არხი სწორედ ადრექრისტიანული ხანის გიშის საეკლესიო ცენტრს უნდა დავუკავშიროთ და აქაც ისეთი სურათი უნდა გვქონდეს საეკლესიო ცენტრებისა და ხეობების ძველი ერთეულების დამოკიდებულებისა, როგორიც იყო კახეთის მხარის სხვა ერთეულებში[8]. რუებისა და არხების მშენებლობის კიდევ ერთი სარწმუნო ფაქტი დაკავშირებულია საინგილოს ბოსტან ქალაქთან და რუსთავთან.

---

7 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, გვ. 34.

8 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, კახეთის ქალაქები, თბ., 1980, გვ. 241.

დღეს მიღებულია, რომ ბოსტან ქალაქში „ბოსტანი“ დამახინჯებული საშუალო სპარსული „ვუსტანია“ და ის „საუფლისწულოს, სამეფო დომენს“ აღნიშნავდა. „კახეთის ქალაქების[9] ავტორის აზრით, საინგილოსა და კახეთის ბოსტან ქალაქებს გარდა სოციალური კატეგორიისა (სამეფო ადგილები) კიდევ ერთი გარემოება ანათესავებს: ბოსტან ქალაქი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით კუხეთის რუსთავის მეორე სახელი იყო[10], ამავე დროს, საინგილოს ბოსტან ქალაქის მახლობლადაც, „მდინარე კატეხის მარცხენა მხარეს მდებარე მოზრდილ ნაქალაქარს... რუსთავს ეძახიან, შემთხვევითია თუ არა ეს დამთხვევა? ავტორის აზრით, ის სავსებით კანონზომიერია; სამეფო ადგილები „ვუსტანები“ წესით უნდა არჩეულიყო, როგორც საუკეთესო ბუნებრივი პირობებით, ასევე მაღალგანვითარებული მეურნეობით გამორჩეულ ადგილებში. განვითარებული მეურნეობა კი მჭიდროდ უკავშირდება ხელოვნური სარწყავი სისტემების და საერთოდ სამელიორაციო კულტურის არსებობას[11]. დასახელება „რუსთავი“ თავისი პირდაპირი მნიშვნელობითაც სწორედ საარხო, კერძოდ კი, სარწყავი მეურნეობის არსებობაზე მიუთითებს. მართლაც, საინგილოს „რუსთავის ადგილმდებარეობა სწორედ ისეთია, მის სახელს რომ შეეფერება. ტერიტორია საკმაოდ ვრცელია, სადაც რუს თუ რუსთავებს დომინირებული ადგილი უკავია. რუ, რომელიც ალბათ დაედო საფუძვლად სახელს, სამი წყაროთი ივსება, რომლებიც დაახლოებით ასი მეტრით არიან დაცილებული ერთმანეთისაგან. დაფიქსირებულია კიდევ ერთი რუ, რომელიც სხვა წყაროთი მარაგდება წყლით. სულ ნაქალაქარზე ორი რუ ჩანს, რომლებიც ერთდებიან რუსთავის ნაქალაქარის ბოლოს...“[12] სადაზვერვო მასალებით, ასევე მიწის ზევით შემორჩენილი არქიტექტურული მონაცემებით, პირობითად უნდა დავუშვათ, რომ რუსთავი არსებობდა XIII-XIV საუკუნეებამდე[13].

საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით გვაღვები საინგილოში იშვიათად იცის. ამიტომაც შედარებით სუსტად არის განვითარებული გვაღვასთან დაკავშირებული, წვიმის მოსაყვანი რელიგიური ქმედებები. საინგილოში არ გვხვდება გვაღვასთან დაკავშირებული ისეთი რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონებისათვისაა დამახასიათებელი (ღაზარობა, გუთნით წყლის მოხვნა და სხვა). ერთადერთი რელიგიური ქმედება, რომელსაც ინგილოები მიმართავდნენ გვაღვის დროს, „საღრმთოს“ დაკვლაა. შეგროვდებოდა უბანი, იყიდიდნენ ყოჩს ან ხბოს „ტანას“ და წმინდა ხეების (წმინდა ხედ ძირითადად ცაცხვებს მიიჩნევდნენ) ძირში დაკლავდნენ, თან წვიმას ევედრებოდნენ.

საინტერესოა რიტუალი - „ხინკალხანობა“[14], რომელიც ყველიერის უკანასკნელ სამ დღეს წვიმების დროს იცოდნენ. თუმცა იგი გვაღვის დროს არ სრულდებოდა, მაგრამ შინაარსით ძალიან ჰგავს წვიმის მოსაყვან რელიგიურ ქმედებას: სოფლის ახალგაზრდობა (ბიჭები) შეიკრიბებოდნენ, ერთ-ერთს ხიოკალხანად აირჩევდნენ, მეომრად გამოაწყობდნენ, სოფელს კარდაკარ დაივლიდნენ და ყოველ დიასახლისს სურსათს შეწერდნენ ხარკად. შემდეგ სოფლის განაპირას იქეიფებდნენ და დასასრულს ხინკალხანს ტალახში აგორავებდნენ.

ინგილური „კოტიობა“ ძალიან ჰგავს საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ რიტუალ „ღაზარობას“ თუმცა ღაზარობა“ გვაღვის საწინააღმდეგო რელიგიურ რიტუალთა რიცხვს ეკუთვნის, „კოტიობა“ კი წყალდიდობის თავიდან აცილებას ემსახურება.

როგორც აღვნიშნეთ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე საინგილოში გადაუღებელი წვიმები იცის. სწორედ ამ დროს შვიდი - რვა ბიჭი (12-14 წლისა) შეგროვდებოდა და დიდი თოჯინით „კოტიტით“ ხელში ჩამოივლიდა კარდაკარ მთელ სოფელს სიმღერით: „ვინც

---

9 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, კახეთის ქალაქები, თბ., 1980, 217.

10 იქვე, გვ. 214.

11 იქვე, გვ. 216.

12 იქვე, გვ. 217.

13 იქვე, გვ. 218.

14 ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბ., 1947, გვ. 123.

ბევრ კვერცხს მომცემს ბიჭი ეყოლებაო, ვინც ცოტას, იმას გოგო გაუჩნდებაო და ისიც აკვანში ტირილით გასკდებაო".

ისევე, როგორც გვაღვების დროს, წყალდიდობის დროსაც იცოდნენ „ბალრიანების" დაკვლა.

М.Т.Бокучава

ТРАДИЦИЯ ОРОШЕНИЯ ЗЕМЕЛЬ В САИНГИЛО

Р е з ю м е

В данной работе рассмотрены вопросы о традициях и видах орошения земель в Саингило, в древнем земледельческом рагионе Грузии. В связи с особыми климатическими и орографическими данными в Саингило сложилась своеобразная система орошения, построения каналов, возведения дамб и т.д. Веками накопившиеся специфические навыки способствовали возникновению особой профессии, представители которой руководили возведением и ремонтом дамб, проложением и чисткой оросительных каналов и распределением воды между земледельцами. Система орошения сложившаяся в Саингило включает в себя своеобразную архитектуру каналов и дамб, наилучшим образом соответствующую существующим природным условиям. Похожий способ орошения земель сложился и в других районах Грузии (Картли, Кахети и др.). И для этих районов знаменателен факт существования человека особо занимающегося делами орошения, чей труд оплачивался деревенской общиной.

В работе также рассмотрены религиозные представления и верования связанные с дождем, с засухой и с наводнением. Они по народным представлениям способствовали улучшению погодных условий. В этих действиях християнские элементы причудливо переплетаются с языческими ритуалами жертвоприношения и другими затейливыми образами.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ცისკარიშვილი

სოიდ კოპასძის წარწერა

ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია მცირე ზომის ხატი, რომელიც მის მახლობლად მდებარე სოფ. ლაშეში მცხოვრებ ოთარ აბაშიძის ოჯახს ეკუთვნოდა.

ხატი ზომით 17 X 13,5 სანტიმეტრია, დაწერილი ყოფილა ფიცარზე და შემდეგ ორივე მხრიდან შეჭედილი ვერცხლის მოოქროვილი ფურცლით. ზედაპირზე, მცირედ ამოღებულ სწორკუთხა ჩარჩოში, მოთავსებულია მაცხოვრისა და ღვთისმშობლის წელსზევითა ფერწერული გამოსახულება, რომელიც თითქმის მთლიანად ავსებს მას. ვერცხლის ფურცელი ფარავს ჩარჩოს, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის შარავანდედსა და მათ მარცხნივ და მარჯვნივ დარჩენილ არეებს; ჩარჩო და ეს არეები შემკულია ძაღიან დაბალი რელიეფით შესრულებული მცენარეული სახეებით. ფიგურების მარცხნივ და მარჯვნივ, შესაბამისად, ჩარჩოსა და ფონზე მოთავსებულია დაქარაგმებული ბერძნული წარწერები: დედა ღვთისა და იესუ ქრისტე. ფერწერული ფიგურებიდან აღარაფერია გადარჩენილი. როცა ფიცრის გამაგრების მიზნით მოიხსნა ხატის ზედაპირის ვერცხლის ფურცელი, მის ქვეშ ბღმოჩნდა ტემპერით, თეთრ საფუძველზე შესრულებული ფერწერის ნაშთები; გამოყენებული ყოფილა ოქროს სიფრიფანა ფურცელიც. გამოსახულების იქით-აქეთ ჩანდა სინგურით დაწერილი ბერძნული დაქარაგმებული ისეთივე წარწერები, როგორიც ჭედურობაზე. ამრიგად, ირკვევა, რომ ხატი თავდაპირველად მთლიანად ფერწერული იყო და მხოლოდ მოგვიანებით ჩაისვა ვერცხლში; ამ დროსვე მაცხოვრისისა და ღვთისმშობლის შარავანდებებისათვის ცვილით მიუციათ რელიეფი, რომელიც ვერცხლის ფურცლებზე გამოიხატა.

ვერცხლის ფურცელი, რომლითაც დაფარულია ხატის ზურგი, მთლიანად შევსებულია ოდნავ ამობურცული ასოებით შესრულებული თერთმეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით. წარწერა ქანწილით იწყება. ქარაგმად ნახმარია მოკლე, კლაკნილი განივი ხაზი. ყოველი სტრიქონის ბოლოში და მეთერთმეტე სტრიქონში ყოველი სიტყვის შემდეგ დასმულია სამ-სამი წერტილი.

† ყრ ᲪᲐᲡᲙᲠᲘᲨᲘ ᲔᲨᲔᲑᲐ ᲐᲠᲯᲔᲚᲔᲑᲐ:
ᲨᲐᲡᲣᲨ ᲧᲣᲨ ᲨᲨᲔᲑᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲧ:
ᲧᲠᲗ ᲯᲨᲯᲗᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲔᲑᲘᲣ ᲝᲨ ᲯᲐᲡᲨᲯᲗ:
ᲡᲔᲑᲘᲣ ᲡᲐᲘᲑ ᲠᲣᲘᲡ ᲯᲝ ᲧᲐᲡᲡᲝᲗ:
ᲐᲐᲨᲯᲗᲘᲠ ᲨᲨᲐᲨᲠᲘᲨᲘᲠ ᲧᲚᲔᲗ:
ᲥᲐᲠᲣᲗᲯ ᲣᲠᲨ ᲡᲑᲣᲠᲨ ᲘᲯᲯᲥᲡᲠ:
ᲧᲠᲨᲨ ᲯᲡ ᲨᲗᲨᲡᲨ ᲡᲧᲠᲑᲡᲨ ᲐᲗᲡᲔᲯᲨ:
ᲯᲔᲧᲗᲣᲨ ᲧᲑᲣᲨ ᲧᲯᲨᲨᲨᲣᲨ:
ᲨᲨᲨᲠᲘᲣᲨ ᲨᲨ ᲐᲗᲗᲡᲨᲨ ᲧᲠᲗᲯᲨ ᲨᲨᲨ ᲑᲨ:
ᲗᲠᲗᲠᲘᲣᲨ: ᲯᲐᲗᲡᲗᲨᲨ: ᲧᲠᲨᲨ ᲐᲡᲣᲨ:

ქარაგმების გახსნით:
ქ შენ არსებისა ხატო უცვალებელო
არსთა ყოველთა დამცატველო იესუ
შენი მამკობი სურვილით და მოსავი
სახელით სოიდ ნათესავად კოპასძე
რუამისაგან და რაინდოსაგან შობილი
პორციოთვე თანა სულითცა ჩამომკსენ
შენსა მას დიდსა საშინელსა რისხვასა
მეოხებითა ყოველთა წმიდათათა
და შობილისა შენისა უბიწოჲსათა
მეუღლითურთ და ძეებით ნაუმ და ზა
ქარიათურთ მოიჭედა ქორონიკონსა რპთ
წარწერის ქორონიკონი უდრის 1501 წელს (1312+189=1501).

ხატის შემსრულებელი სოიდ კოპასძე ცნობილია ჩვენთვის კიდევ ორი ძეგლიდან. პირველი მათგანი არის 1502 წლის წარწერა მოთავსებული კახორის ეკლესიის (ზემო იმერეთში) ხატზე, რომელიც დაცულია ქუთაისის მუზეუმში. მასში ნათქვამია, რომ ეს ხატი მოჭედა და დახატა სოიდ კოპასძემ, „მას ჟამსა ოდეს ოლთისთა ვმთავრობდი". ამ წარწერის გამომცემლის ს. კაკაბაძის თქმით: „კახორის ეს ხატი, ეჭვს გარეშეა, მოტანილი უნდა იყოს ოლთისის ერთ-ერთი ეკლესიიდან"[1]. ასევე შეიძლება ითქვას ჩვენი ხატის შესახებაც, ე.ი. ისიც გაკეთებულია ოლთისში და შემდეგ, იქ თურქობის დამყარების გამო გადმოხვეწილ კოპასძეებს წამოუღიათ ზემო იმერეთში.

მეორე ძეგლი, სადაც სოიდ კაპასძეა მოხსენიებული, არის XVI საუკუნის I მესამედში შედგენილი „კოპასძეთა ხელნაწერების მოსახსენებლები", სადაც სოიდ კოპასძე დიდად-განათლებულ პიროვნებად არის მიჩნეული: „და სოიდ კოპასძესა, ტაოსა ამილახორსა და მხატვრობით კეთილად ჰელოვანისა და სიბრძნისა მეტყუველისა საღთოთა წერილთა მარად აღმასრულებელისა და თარგმანთა განმარტებელისა"[2].

ამრიგად, როგორცა ვნახეთ, სოიდ კოპასძის შესახებ არსებული ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილ სამივე საბუთში ის მხატვრად იხსენიება; ამასთანავე ერთ მათგანში (1502 წ. წარწერაში) - ოლთისის მთავრითაც, ხოლო მეორეში (კოპასძეთა ხელნაწერების მოსახსენებლები) - ტაოს ამილახვრად.

В.Г.Цискаришвили

Надпись Соила Копасдзе

Резюме

В статье публикуется одиннадцатистрочная надпись асомтаврули, находящаяся на задней стороне серебряной обкладки небольшой (17x13,5 см) иконы, хранящейся в Харагоульском краеведческом музее. В ней сказано, что икона сделана и украшена Соилом Капасдзе. Живописные фигуры Богоматери и Христа не сохранились.

---

1 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წერილი, შენიშვნები და მასალები, საისტორიო კრებული, წ.I, 1928, გვ. 110-111.

2 ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, კოპასძეთა ზედნაწერების მოსახსენებლები, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 16-17.

ტაბ. I



ภาพที่ 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჩიკვილაძე-აბაშიძე

დაღესტნელი ოქრომჭედლები თბილისში
(ოქრომჭედელი ხიზრი კაულაევი)

დაღესტან-საქართველოს ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მიუხედავად დაძაბული პოლიტიკური მომენტებისა (განსაკუთრებით XVI-XVIII საუკუნეებში), საქართველო - დაღესტნის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ურთიერთობათა რიტმი არ შენელებულა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი და დაღესტნელი ხალხების კეთილმეზობლობის და მეგობრობის განმტკიცებაში.

თემა - „დაღესტნელი ოქრომჭედლები თბილისში" საკმაოდ რთულია, თავს იჩენს საკითხთა მრავალი წყება, რომლებზეც პასუხის გაცემა უთუოდ ხანგრძლივ, ჩაღრმავებულ და სერიოზულ კვლევა-ძიებას საჭიროებს. თემა რომ სათაურში ნავარაუდევ შინაარსს მოიცავდეს, საჭირო იქნება ისეთ საკითხებზე გავამახვილოთ ყურადღება, როგორიცაა, - დაღესტნელი ხელოვნების საქართველოსკენ ლტოლვის მიზეზები. ამასთან დაკავშირებით, დასაზუსტებელია დრო, როდის დაიძრა მათი ნაკადი თბილისისაკენ, რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა, ჩამოდიოდნენ უკვე ოსტატები თუ ჩვენში ოსტატდებოდნენ, განსაკუთრებით რა დარგში სპეციალისტდებოდნენ და რატომ, როგორ იდგა ნედლეულის, მასალისა თუ იარაღის მოპოვების საკითხები; არანაკლებ მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ტექნოლოგიის, დაღესტნური ნაწარმის ფორმათა ქართულთან მიმართების ესთეტიკური გემოვნების პრობლემები. საკითხის ისტორიის თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა ამქრისა და მისი სტრუქტურის შესწავლა, დაღესტნელი ხელოსნების მასში მონაწილეობის განსაზღვრა.

ანალოგიური კვლევა-ძიება ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესწავლასთან ერთად მიზნად ისახავს ქართველი და დაღესტნელი ხალხების ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის გამოვლენას, რაც თანამედროვე ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა.

საქართველო-დაღესტნის ეკონომიკურ კავშირს ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ეყრება საფუძველი. სახმარი ღირებულების მქონე საგანთა გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე წარმოქმნილმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო ქართველი და დაღესტნელი ხელოსნების მჭიდრო დაკავშირებას. ამ ორ ხალხს შორის გაცვლა-გასაღების სფეროში, სამეწარმოქმედო იარაღებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გარდა, ხელოსნური ნაწარმიც იყო. ქართული ხელოსნური წარმოების ნაკეთობებზე დიდი მოთხოვნილება იგრძნობოდა დაღესტანში და, პირუკუ, ქართველები ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებდნენ დაღესტნური ნივთების მიმართ. ჩვენში ოდითგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყუბაჩელ და კუმუხელ ოსტატთა ნახელავი: სამკაულები, იარაღი, საოჯახო ჭურჭელი.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ნივთიერი მასალა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაგროვდა ერთი საუკუნის მანძილზე.

აღნიშნული დაწესებულების ეთნოგრაფიის განყოფილების ძვირფასი ლითონებისა და იარაღის ფონდებს მრავალ ქართულ საოქრომჭედლო და იარაღის ნიმუშებთან ერთად დიდი რაოდენობით ამშვენებს დაღესტნური ხალხური ნაწარმი[I], რომელთაგანაც ზოგიერთი საკუთრივ დაღესტნური წარმოშობისაა, დანარჩენი კი თბილისსა თუ საქართველოს სხვა-

---

I ლ.ბ ე დ უ კ ა ძ ე, ლ.ს ო ს ე ლ ი ა, მ.ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სარტყლების კატალოგი, თბ., 1976.

დასხვა ქალაქებში მუდმივად ჩამოსახლებულთა ან დროებით ჩამოსულ ოსტატთაგანაა დამზადებული.

თბილისში დაღესტნელი ხელოსნების ცხოვრება-მოღვაწეობის არა ერთი და ორი შემთხვევა აღინუსხება. მათი ხელოსნური შემოქმედება გარკვეულ ისტორიას ქმნის, რომლის ერთ-ერთ საინტერესო ფურცელს ხიზრი კაულაევის ნაღვაწი წარმოადგენს.

ხიზრი კაულაევი 9 წლისა იყო, როდესაც თბილისში ჩამოიყვანეს. თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი მან ჩვენს დედაქალაქში გაატარა და აქვე გარდაიცვალა 1973 წ. დასაფლავებულია სოღანლუღში მუსლიმანურ სასაფლაოზე. და არა მარტო თვითონ, არამედ ოჯახურად დაუკავშირდა ხიზრი საქართველოს.მისმა მშობლებმა და ძმებმაც საბოლოო ბინა თბილისში დაიდეს, ბოტანიკური ბაღის სასაფლაოზე. ქალიშვილი - როზა კაულაევა, თბილისის მკვიდრია და ჩვენი ინფორმატორიც, რომლისგანაც საინტერესო ცნობებს ვიღებთ არა მხოლოდ მამის, არამედ სხვა დაღესტნელი ხელოსნების მუშაობის შესახებაც.

უთუოდ დიდ ინტერესს იწვევს დაღესტნელ ხელოსანთა ცხოვრება-მოღვაწეობა თბილისში. ეს პრობლემა სპეციალური კვლევის საგანია და ჩვენი მომავალი მუშაობის ამოცანაც. ამჯერად ჩვენ ვიფარგლებით კონკრეტული მიზნით. ყურადღებას ვამახვილებთ ხიზრი კაულაევის ხელოსნური მოღვაწეობის მხოლოდ ერთ ასპექტზე - მისი დაღესტნიდან ჩვენში ჩამოსვლის მიზეზებზე, თბილისში მოჯამაგირიდან ოსტატობამდე განვლილ გზაზე და იმ გარემო-პირობებზე, რომელშიც უხდებოდა მუშაობა დაღესტნელ ოსტატს. ხიზრი კაულაევის ხელოსნურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით საკითხთა მთელი წყება იჩენს თავს, რომელთა შესწავლა ჩვენი შემდგომი მუშაობის მიზანს წარმოადგენს.

ხიზრი კაულაევი თბილისში დამკვიდრებული ერთ-ერთი ცნობილი დაღესტნელი ხელოსანია, რომლის ნაღვაწის რამდენიმე ნიმუში და სახელოსნო იარაღები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში ინახება[2]. აღნიშნულმა გარემოებამაც გარკვეულწილად განსაზღვრა, შესწავლის ობიექტად მრავალთა შორის ხიზრი კაულაევი შეგვერჩია.

საკითხის დამუშავებისას ვსარგებლობთ მასალით, რომელიც შეკრებილია თბილისში უშუალოდ ხიზრი კაულაევისაგან ნოდარ ჩიკვილაძის მიერ (1964-1967 წწ.). ჩვენ მხრივ, მასალა გავამდიდრეთ ოსტატის ქალიშვილთან მუშაობით. ამასთანავე ახალი მასალები მოვიპოვეთ დაღესტანში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციაში მონაწილეობით (1980 წ.) და თბილისში დარჩენილ დაღესტნელ ხელოსანთა ოჯახების წევრებთან მუშაობით,რის საფუძველზეც ჩვენს ხელთ თავი მოიყარა უაღრესად საინტერესო მასალამ.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების განვითარების დონე მნიშვნელოვნად განისაზღვრება ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობით. არახელსაყრელი რელიეფური პირობები, მოსახლეობის სიმჭიდროვე, მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობა, მიწის სიმცირისა თუ სიმწირის საფუძველზე შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და ამ მიზეზებით გამოწვეული შემოსავლის ახალი წყაროს ძიების აუცილებლობა, რამდენადმე ხელს უწყობს ხელოსნობის ცალკეულ ცენტრთა წარმოშობას. შემდგომ უკვე ტრადიციის ძალა წარმართავს შინამრეწველობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას. აქედან გამომდინარე, ქვეყნის გეოგრაფიულმა პირობებმა, სოციალურ-ეკონომიკურმა თავისებურებამ და კულტურულ-ისტორიულმა ვითარებამ განსაზღვრა საქვეყნოდ ცნობილი დაღესტნური ოქრომჭედლობის ჩასახვა-განვითარება.

როგორც ცნობილია, XIX ს-ის ბოლოს საფაბრიკო პროდუქციის გაზრდამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი ვაჭრობის განვითარებას. შეიცვალა საიუველირო ნაკეთობებზე მოთხოვნილების ხასიათი, რამაც ბუნებრივად შეაფერხა დაღესტნური ოქრომჭედლობის ნაწარმთა გასაღება. შექმნილი სიტუაციიდან თავის დასაღწევად დაღესტნელი ოსტატები ის-

---

2 საილუსტრაციო მასალა, კერძოდ, იარაღების რეპროდუქციები სურათების სახით ჩართულია ტექსტში. აღწერილობანი და მუზეუმის საკოლექციო მონაცემები დართულია ტექსტის ბოლოში.

ტორიულად გამართულებულ გზას დაადგნენ. ისინი სტოვებდნენ მშობლიურ ადგილებს და ამიერკავკასიისა თუ ჩრდილო კავკასიის დიდი ქალაქებისაკენ მიემართებოდნენ. საზრდოს ეძებდნენ, სახელოსნოებს ხსნიდნენ და თანამემამულეთა გვერდით ადგილობრივ ოქრომჭედლებსაც უამხანაგდებოდნენ. მაგალითად, ყუბაჩელი ოსტატი, ბარცის გვარის შვილი აღიხანი, 1894-1914 წლებში თბილისში მუშაობდა გრაგიორად და ამწყობად ქართველ ოქრომჭედლებთან თომა ჯიქიასთან, ოსტატ ჯანელიძესთან და გამომცდელ ჩამომსხმელთან ლეკიშვილთან[3].



სურ. I.

დაღესტნელთა საშოვარზე წასვლას ჯერ კიდევ ადრე, XII საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, როდესაც დაიწყო სავაჭრო კავშირი ამიერკავკასიასთან, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან. შინაგანი ბაზარი დაღესტნისა ვეღარ უძღებს კონკურენციას-აღნიშნავს ჯ. გაბიევი, - და ადგილობრივი ხელოსანი იძულებული ხდება წავიდეს ერთმორწმუნე პროვინციებში, სადაც უფრო ფართო გასაღების ბაზარია[4].

საშოვარზე დინებამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო დაღესტნის რუსეთთან შეერთების შემდეგ. ამ პერიოდიდან საშოვარზე წასვლა დაღესტნელი მოსახლეობის სამეურნეო ბაზის მოწესრიგების ერთადერთი მნიშვნელოვანი საფუძველი ხდება.

კაპიტალიზმის განვითარებამ გაამძაფრა გლეხობის მდგომარეობა. მიწის უქონლობის გამო გლეხთა უმეტესობა ჩაება ხელოსნობაში, მათი ნაწილი კი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური მიწა-წყალი და სამუშაოს ძიებაში გაფანტულიყო სხვადასხვა ქალაქებში. საშოვარზე წასვლა მნიშვნელოვანი მომენტია ვერცხლისა და იარაღის მწარმოებელ დაღესტნელთა ცხოვრებაში.

დაღესტნელთა ლტოლვა სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოში, მასობრივ ხასიათს ღებულობს. ლეკები იწყებენ კავკასიის ქალაქებში თავისებური კოლონიების შექმნას.

დაღესტნელთა საშოვარზე წასვლის შესახებ თავის დროზე ო. მარგრაფი აღნიშნავდა: „საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ისიც, რომ კავკასიაში და აღბათ ამიერკავკასიაშიც არ არის არცერთი სოფელი ან აული, სადაც ვერ ნახავთ ერთ ან ორ დაღესტნელ ხელოსანს"[5].

---

3 მ. მ ა გ ო მ ე დ ო ვ ი, ტრადიციების კვალდაკვალ, თბილისი, 1971.

4 Д.М.С. Г а б и е в, დასახელებული ნაშრომი.

5 М а р г р а ф О.В. Кустарная промышленность Кавказа, 1882, с.XXXVI.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ დაღესტნელი ხელოსნები, კერძოდ ლაკები და დარგოელები (კუმუხელები და ყუბაჩელები), უფრო შორ გზასაც ადგებოდნენ, ოღონდ ხელოსნებს ნახავდით როსტოვში, მოსკოვში, ორენბურგში, კონსტანტინოპოლში, ბერლინში, პარიზში და სხვაგან[6].



სურ. 2

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, დარგოელთა ოლქიდან XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, ყოველწლიურად საშოვარზე დაახლოებით 12 ათასი კაცი გადიოდა. ზოგიერთი სოფლიდან მამაკაცების 20-30% ტოვებდა სახლ-კარს.

დაღესტნის სოფლებიდან ოქრომჭედლობის განვითარების დონით ყუბაჩი და კუმუხი განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ. მრავლისმთქმელია ამ მხრივ ის ფაქტიც, რომ საიუველირო ნაწარმთა კეთების ტრადიცია დღეს თითქმის მხოლოდ ყუბაჩსღა შემორჩა. ფაქტობრივი მასალის მიხედვით, საშოვარზე ხელოსნები ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ამ ორი რაიონიდან გადიოდნენ.

როგორც ე.ასტვაცატურიანი ვარაუდობს, ყუბაჩიდან ხელოსნების გასვლა კავკასიის ომის შემდგომ პერიოდში უნდა დაწყებულიყო. მეორე რაიონი, საიდანაც მასიურად და ინტენსიურად ხდებოდა ხელოსანთა საშოვარზე ლტოლვა, იყო ყაზი-კუმუხი.

კუმუხელი ხელოსნის ხიზრი, კაჟლაევის გადმოცემით, დაღესტნიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ლაკი კუმუხელი ხელოსნები მიდიოდნენ და მათი უმრავლესობა თბილისში სახლდებოდა. ლაკები აქ თავისებურ კოლონიებს ქმნიდნენ, ადვილად პოულობდნენ საერთო ენას ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, სწრაფად ითვისებდნენ მათ ენას, წესჩვეულებებს და მათთან ერთად თანამშრომლობდნენ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დაღესტნის სოფლებიდან ქალაქებში ჩამოსახლებას თავდაპირველად ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა. დროთა ვითარებაში ინდივიდებს ათეულები სცვლიდნენ, ბოლოს კი ოჯახებითაც ჩამოდიოდნენ და მუდმივ თავშესაფარს პოულობდნენ.

ყაზი-კუმუხიდან საშოვარზე გასულ ხელოსნებზე პირველ ცნობას გვაწვდის ვორონოვის ნაშრომი[7]. ე.კაზუბსკის ინფორმაციის საფუძველზე, ყაზი-კუმუხის ოლქში, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ვერცხლზე მომუშავე 313 ხელოსანი აღი-

---

6 Народы Кавказа, т. I, с. 408.

7 В о р о н о в, Из путешествия по Дагестану, Сборник сведений о Кавказских горцах (ССОКГ), Тифлис, вып.Ш, 1870, с. 36.



სურ. 3

რიცხება. მათგან საშოვარზე გადიოდა 285 ხელოსანი. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ უმეტეს ნაწილს კუმუხელები შეადგენდნენ. ციფრობრივი მონაცემების მიხედვით, აღნიშნული პერიოდისათვის ლაკებით დასახლებული რაოდენობიდან ყოველწლიურად 600 კაცი გადიოდა, ყუბაჩიდან კი 200, ე.ი. დაღესტნიდან სულ 800 ვერცხლის მწარმოებელი მიდიოდა საშოვარზე, რაც თავისთავად საკმაო ძალას წარმოადგენდა.

პირველი ქალაქი, სადაც დაღესტნელი ოსტატები გამოჩნდნენ, თბილისი იყო. საარქივო მასალების მიხედვით[8], 1842-1917 წლებში თბილისში 124 მუსულმანი ხელოსანი აღირიცხებოდა. აქედან 122-დაღესტნელი იყო. თბილისში მათი ჩამოსვლა თანდათანობით ხდებოდა. 1860 წლის დასაწყისში აქ 4 ხელოსანი იყო ცნობილი, 1878 წლისათვის მათი რაოდენობა ათამდე გაიზარდა. 1878 წლიდან 1917 წლამდე კი თბილისს 100 ახალი ხელოსანი შეემატა. აქედან 80-მდე ლაკი იყო, 3-ყუბაჩელი, 16 კი-დაღესტნის სხვადასხვა კუთხეთა წარმომადგენელი.

გარდა თბილისისა, დაღესტნელი ხელოსნები საქართველოს სხვა ქალაქებშიც სახლდებოდნენ. მაგალითად, ახალციხეში იყო 5 დაღესტნელი ხელოსანი; ბათუმში - 18; გორში - 1; თელავში - 3; ლაგოდეხში - 1; ოჩამჩირეში - 1; სიღნაღში - 3; სოხუმში - 6; ფოთში - 2; ქუთაისში - 21.

საშოვარზე წასული ხელოსნები ორ ჯგუფად, ორ კატეგორიად იყოფოდნენ: გამსვლელნი და ადგილობრივ მომუშავენი. გამსვლელი ხელოსნები მოგზაურობდნენ. არა მარტო დაღესტნის სოფლებსა და ქალაქებში, არამედ კავკასიისა და რუსეთის ტერიტორიებზეც. ადგილობრივ მომუშავენი ჩამოსახლების პუნქტებში საოსტატოებს აწყობდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ შვილებს, ნათესავებს, მახლობლებს იზიდავდნენ და ხელობას ასწავლიდნენ. ხიზრი კაჟლაევის გადმოცემით, ჩამოყვანილ მახლობლებს შინამოსამსახურეებად იყენებდნენ და შემდეგ პროფესიონალ ოსტატებადაც ზრდიდნენ.

ნათქვამიდან გამომდინარე, ხელოსნები უმეტესად ერთმანეთის ნათესავები იყვნენ (მამა-შვილები, ძმები, ბიძაშვილები, ზოგჯერ მეზობლებიც). მოზიდული ხელოსნების ნაწილი სამუდამოდ მკვიდრდებოდა იქ, სადაც დროებით სამუშაოდ ჩამოდიოდა. მეორე ნაწილი კი წლის უმეტეს დროს (დაახლოებით 8-9 თვეს) ატარებდა გარეთ, იმ ადგილებზე, სადაც იგი სამუშაოდ მიიწვიეს, შედარებით ნაკლებ დროს კი (3-4 თვე) საკუთარ ოჯახს, სოფელს ანდომებდა; უკეთ რომ ვთქვათ, საშინაო საოჯახო-სამეურნეო

---

8 А с т в а ц а т у р я н Э.Г., დასახელებული ნაშრომი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 4

სურ. 5

საქმეების მოსაგვარებლად თავის სამყოფელს უბრუნდებოდა. ამ უკანასკნელებზე შეიძლება ითქვას, რომ მოძრავ ცხოვრებას ეწეოდნენ. ისინი დაღესტანს ძირითადად სექტემბერ-ოქტომბრიდან სტოვებდნენ, მაშინ, როდესაც მინდვრის სამუშაოები დამთავრებული იყო. ამ პერიოდში დაღესტანი საგრძნობლად ცარიელდებოდა. მომთაბარე ცხოვრებას განსაკუთრებით, ბუნებრივია, მამაკაცები ეწეოდნენ. აუღებში მხოლოდ მოხუცები და წვრილშვილიანი ქალები რჩებოდნენ. მოზარდი ვაჟებიც 12 წლის ასაკიდან ძმების თუ ნათესავების დასახმარებლად უკვე საშოვარზე მიდიოდნენ. შემდეგ კი, უმეტეს შემთხვევაში, შეგირდებად იზრდებოდნენ და ხელოსნობის სხვადასხვა დარგში ოსტატდებოდნენ. უფრო მეტიც, საშოვარზე გასული დაღესტნელი ხელოსნების ნაწილი სატრანზიტო ვაჭრობაში ებმებოდა და ამდენად კაპიტალისტური ექსპლოატაციის სისტემაში

14. მოამბე, LXI - B

ექცეოდა. თავს მოუყრიდნენ თუ არა კაპიტალს, სახელოსნოების გახსნას ესწრაფოდნენ და თავის გარშემო საუკეთესო ოსტატებს უყრიდნენ თავს.

როგორც მახაჩკალელი მთხრობელი ჰასან გარუნოვი გადმოგვცემს, [illegible] ნახავდით ისეთ სურათს, როცა ღეკურ ქურქებში გამოწყობილი, ერთ ცხენზე ინსტრუმენტაციდებული 3–4 ღეკი მიემგზავრებოდა სხვადასხვა მხარეში. მაისის შუა რიცხვებში დაქანცული ხელოსნები იმავე გზით უკან ბრუნდებოდნენ, სიმღერით უახლოვდებოდნენ მიტოვებულ ცოლ–შვილს და თან მათთვის მოჰქონდათ ცხრა თვის განმავლობაში ნაშოვნი ფული და საჩუქრები.

დაღესტნიდან [illegible]ტ–ხელოსნების სხვაგან ლტოლვას საფუძვლიან ახსნას უძებნიან ადგ[illegible]ლობრივი მთხრობ[illegible] კუმუხელი ხელოსნის, კურკიევ გაჯი ადდას გადმოცემით, [illegible]მუხში ოქრომჭ[illegible] ის [illegible] სახელოსნო იყო ცნობილი. ისინი სავსებით აკმაყოფილებდნენ ადგილობრ[illegible] ოსახლ[illegible] მოთხოვნებს, სამეს ართულებდა ის გარემოება, რომ ხელოსნები [illegible] ხელად [illegible]ელ[illegible]დნენ, ამიტომ იძულებულნი ხდებოდნენ მსხვილი ცენტრებისაკენ [illegible] „თუ ჩვენებური ხელოსანი ცოტა გამდიდრდებოდა სხვა ქალაქებში, აღნიშნავს მთხრ[illegible] – მაშინვე ნათესავები სთხოვდნენ შვილის წაყვანას და ხელობის შესწავლას; გარდა იმისა, რომ ჩვენებურ ხელობას შეასწავლიდა, ეხმარებოდა და ხელოსნადაც ზრდიდა. განსაკუთრებით ხელს უწყობდნენ ქვრივ–ობოლ ნათესავებს". „ეს ჩვენებური წესი იყო" – ადასტურებს კურკიევი გაჯი ადდა.



სურ. 6

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის II ნახევრიდან საშოვარზე წასული ხელოსნები ჯგუფებად ცხოვრობდნენ. შედარებით გამდიდრებული ხელოსნები სახელოსნოებს ჰქმნიდნენ, ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს იზიდავდნენ და თავისთან ამუშავებდნენ. ამის შესახებ როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ლაკი ხელოსანი ხიზრი კაჟლაევი.

ხიზრი კაჟლაევი დაიბადა დაღესტანში 1898 წელს. 1907 წელს დედის ძმას ომარ აბდულ გაბადს ჩამოუყვანია თბილისში. თუ არსებულ გადმოცემებს დავუჯერებთ, დაღესტნელ ხელოსანთაგან თბილისში პირველად ხიზრის დედის ძმა აბდულ გაბადი ჩამოსულა. შემდეგ კი თბილისს ხიზრის მამის ძმა დაუდ კაჟლაევი წვეია (გამოჩენილი კომპოზიტორის მურად კაჟლაევი მაგამედოვიჩის პაპა), მათთან ერთად თბილისისკენ გამოუწვია ხიზრის მამას, რომელიც ვერცხლზე მომუშავე ოსტატი ყოფილა (ძირითადად მასრებს ამზადებდა), მაგრამ სრულიად ახალგაზრდა 1905 წელს გარდაცვლილა.

ხიზრის ბიძას, დედის მხრივ, ღესელიძის ქუჩაზე სახელოსნო–საოსტატო მაღაზია გაუხსნია და აქვე დამზადებული ნაწარმით ვაჭრობდა. ბიძას ხიზრისთან ერთად მისი ძმებიც ბადავი და იუსუფი გადმოუყვანია თბილისში.

12 წლის ხიზრი შეგირდად იწყებს მუშაობას ბიძასთან. კონკრეტულ მაგალითზე ჩვე-

ნი მიზანია საერთო სურათი წარმოვადგინოთ დაღესტნელი ხელოსნების სახელოსნო მუშაობის სისტემაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 7

როგორც აღინიშნა, დაღესტნელ ხელოსნებს შეგირდებად აჰყავდათ თავიანთი სოფლებიდან ჩამოყვანილი ნათესავები. შეგირდებამდე ისინი ოსტატთან ხელის მოჯამაგირეებად მუშაობდნენ, ერთი წლის მანძილზე წყლითა და შეშით ამარაგებდნენ სახელოსნოს, სამუშაო ინსტრუმენტებს წმენდნენ, აწესრიგებდნენ და ხშირად საჭმელსაც ამზადებდნენ. საზღაურად წლის განმავლობაში უფასოდ იკვებებოდნენ და ოსტატისგან ერთ ხელ ტანსაცმელს იღებდნენ. ერთი წლის შემდეგ ოსტატი მოჯამაგირეს შეგირდად ამზადებდა - ვერცხლის ფირფიტას, ყალამს მისცემდა და ორნამენტის გამოყვანაში ავარჯიშებდა. მოწაფე ვარჯიშობდა როგორც გრავირებაზე, ასევე მოსევადებაზე. ამ საქმეზე მას 2-3 წელი უხდებოდა მუშაობა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ აითვისებდა სამუშაოს. კარგად დაოსტატების შემთხვევაში შეგირდი ქვეოსტატობას აღწევდა. ქვეოსტატს უკვე ჯამაგირი ენიშნებოდა, რომლის ნაწილს იგი საყოფაცხოვრებო დანიშნულებით იყენებდა და ნაწილს კი იმისათვის გადაინახავდა, რომ ოსტატად გახდომისას საკუთარი სახელოსნოს გახსნაზე ეზრუნა.

როგორც ვხედავთ, ოსტატობამდე ხელოსანი, როგორც წესი, გარკვეულ საფეხურებს გაივლის (მოჯამაგირე შეგირდი, ქვეოსტატი ოსტატი). ყველა წინა საფეხურიდან მომდევნოზე ასვლა დროსთან (5-6 წ.) ერთად გულისხმობს თავგამოდებულ შრომას, რომლის წარმატებით დაძლევა უბრალო მოჯამაგირის ოსტატად ქცევის საწინდარია. ოსტატად ხელდასმა გარკვეულ ცერემონიალს გულისხმობდა - შესასრულებელ სამუშაოში ამქრის 3-4 გამოჩენილი ოსტატი და უსტაბაში იღებდნენ მონაწილეობას. შესრულებული სამუშაოს დადებითად და მაღალი შეფასების შემთხვევაში უსტაბაში შეაქებდა ხელოსანს, ყურის ძირში ხელის შემოკვრით და ოსტატის ატესტატის გადაცემით ასპარეზზე გზას ულოცავდა მას.

ოსტატის წოდების მინიჭებას, ხიზრი კაჟლაევის ინფორმაციით, უსტაბაში და ქალაქის თავი აწერდა ხელს. მათი დასტურის შემდეგ იღებდა ოსტატი უფლებას საკუთარი სახელოსნოს გახსნისას. თუ სურვილი ექნებოდა, თავის მასწავლებელთანავე შეეძლო ხელოსანს სამუშაოდ დარჩენილიყო ოსტატის თანამდებობით.

სურ. 8

როგორც ვხედავთ, ხელოსანს ოსტატობის ოფიციალური სახე ატესტატის მიღების შემდეგ ეძლეოდა. ოსტატისათვის ატესტატის გადაცემა შეგირდის გამოცდის საფუძველზე ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით იქმნებოდა სპეციალური ოქმი, რომელსაც ხელწერით აღასტურებდა ორი ექსპერტი - იმ ხელოსნის ამქრის საუკეთესო ოსტატები, რომლის პროფილითაც სპეციალდებოდა შეგირდი. აღნიშნული ოქმის საფუძველზე ე.წ. საერთო გამგებლობის ნებართვით გაიცემოდა ატესტატი, როგორც სახელმწიფოებრივი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერდნენ ქალაქის თავი და ორი მამასახლისი.

ხიზრი კაჟლაევს დუქანი ანუ საოსტატო ადრევე გაუხსნია, ვიდრე ატესტატს მიიღებდა. ეს გარემოება ხელოსნის გარკვეულ წარმატებებზე მიგვანიშნებს. ხიზრიმ ატესტატი 1921 წლის თებერვალში მიიღო მხოლოდ. ატესტატი, რომელმაც ოფიციალურად აღიარა ხ.კაჟლაევის ოსტატობა, გაცემულია თბილისის სახელოსნო სამმართველოსგან და ხელს აწერს ამ სამმართველოს თავი ილია იოსების ძე დოსმიშვილი.

ხიზრი კაჟლაევის სახელოსნო, როგორც თვითონვე ამბობდა, „სომხის ბაზრის" ტერიტორიაზე მდებარეობდა არიანების კუთვნილ სახლში. ეს სახელოსნო ამავე დროს საცხოვრებელსაც წარმოადგენდა.

XIX ს. 20-იან წლებში, როცა ხიზრი საიუველირო მოღვაწეობას ეწეოდა, თბილისში სახელოსნოებს მთელი ქუჩები ჰქონდა დაკავებული. როგორც ირკვევა, სახელოსნოებისათვის სამუშაოდ ხელსაყრელი ადგილები ირჩეოდა, რომლებიც მისასვლელადაც მოხერხებული იქნებოდა და ნათელიც.

საოქრომჭედლო სახელოსნოებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ანალოგიური ადგილმდებარეობა ქონდათ: 1. სახელოსნო გზის პირას უნდა მდებარეობდეს - ადვილად მისაგნებ ადგილას, 2. სახელოსნო კარგად უნდა იყოს განათებული[9].

---

9 ლ.ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, მასალები კახეთის ქალექების ოქრომჭედლობის შესახებ, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, 1956, გვ. 148.



სურ. 9

შენობა, რომელშიც ხიზრის საოსტატო მდებარეობდა, ორი ხის იატაკიანი ოთახისაგან შედგებოდა. წინა ოთახი, დაახლოებით I4 კვ. მ მოცულობისა, ქუჩის პირას იდგა და სამუშაოდ მოხერხებული იყო. ოთახის წინა კედელი თავდაპირველად ღამღამობით ფიცრით იჭედებოდა, შემდეგ შემინეს და ვიტრინის ფუნქციას ასრულებდა. ეს ოთახი ხიზრის სახელოსნო იყო, რომლის ერთი კედლის თაროები დასამთავრებელი სამუშაო მასალით იყო გავსებული. აქ თავმოყრილი იყო ყველა სახის იარაღი (ხანჯლები, კაჟიანი თოფები, მასრები, ქარქაშები და ა.შ.). სავაჭროდ გამზადებული ნივთები თუ იარაღები კედლებზე ისე იყო გამოფენილი, რომ მყიდველს მათი შერჩევის შესაძლებლობა ჰქონოდა. ამავე კედელს ამშვენებდა ოსტატის ატესტატი და გადასახადის მოწმობა. სახელოსნო ოთახი ხიზრის საძინებელიც იყო. ხიზრის ძმები, რომლებიც შეგირდებად მუშაობდნენ, მეორე 20 კვ. მ ფართობის მქონე ოთახში ცხოვრობდნენ, რომელიც ამავე დროს მათ სამუშაო ადგილად ითვლებოდა. შეგირდებს იმგვარად ჰქონდათ მოწყობილი საწოლი ფიცრები, რომ ისინი დღის განმავლობაში ბაწრების საშუალებით ჭერზე მაგრდებოდნენ და სამუშაო პირობებს ქმნიდნენ. სახელოსნო ოთახის თავზე გარედან დამაგრებული აბრა გვაუწყებდა: „ხიზრი კაჟლაევის დუქანი. ვაჭრობა ოქროსი და ვერცხლის ნაწარმით". წარწერის გარშემო გამოხატული იყო ყველა ჯიღდო და მედალი, რომლებიც წარმატებული მუშაობისათვის მიუღიათ ხელოსნებს.

ეზოში, რომელშიც ხიზრის დუქანი მდებარეობდა, კიდევ სხვა 9 სახელოსნო-საოქრომჭედლო იყო განლაგებული, რომლებშიც ძირითადად დაღესტნელი ხელოსნები იყვნენ მოკალათებულნი, მათ შორის მხოლოდ ერთი ფეხსაცმლის შემკეთებელი სომეხი ხელოსანი მუშაობდა.

სახელოსნოებში ვაჭრობა ნაღდ ანგარიშზე წარმოებდა. ოსტატის შემოსავალი თვეში სამოციდან ას მანეთამდე განისაზღვრებოდა. ოსტატი წვრილი მესაკუთრეა. შრომის საშუალებები, რომელსაც წარმოებისას იყენებს, მის პირად საკუთრებას წარმოადგენს. ოსტატი ხელმძღვანელიცაა, და მუშაც, როგორც მწარმოებელი. ოსტატი თავის ნაწარმს თვითონვე ეპატრონება და ზრუნავს მისი რეალიზაციისათვის, ამდენად იგი ვაჭარიცაა. ოსტატი, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, მასწავლებელიცაა. წარმოების პროცესში ხელობის „საიდუმლოებაში აზიარებს თავის შეგირდს"[10] და როგორც ირკვევა, ოსტატი-

---

10 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ეკონომიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1953, გვ. 322-323.

სურ. I0

მოქალაქე პოლიტიკური მოღვაწეცაა, მონაწილეობს ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში[II].

დაღესტნელი ხელოსნები თბილისში დამოუკიდებელი მოღვაწეობისკენ ისწრაფვოდნენ. დაღესტნელ ოქრომჭედლებს თავისი ამქარიც ჰყოლიათ. ასეთ ამქრის უფროსად ანუ უსტა-ბაშად ხიზრი თავის თანამემამულეს აბდურაშად სეიდ გუსეინოვს ასახელებს. ეს უკანასკნელი თბილისში განთქმული ოქრომჭედელი (დაბადებული I862 წ.) თავის ამქრაში 30-40 სახელოსნოს აერთიანებდა. იგი ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, სახლში მომუშავეთაც[I2].



სურ. II

II ა. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 322-323.

I2 ოსტატი, რომელსაც შეგირდი და ქვეოსტატი არ ჰყავდა და გადატვირთული იყო შეკვეთებით, თავის სამუშაოს ე. წ. სახლში მომუშავეთ უგზავნიდა. სახლში მომუშავენი სხვადასხვა ოპერაციების შესრულებით ეხმარებოდნენ ოსტატს, რისთვისაც გასამრჯელოს იღებდნენ ხელოსნისაგან.

ამქრის უსტაბაში გარკვეული უფლებებით სარგებლობდა: სადავო საკითხის გარკვევისას მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა. ამქართან, როგორც წინამძღოლთან, ინახებოდა წითელი ფერის დროშა, რომელიც დღესასწაულებზე წინ მიუძღოდა ამქარს. „ამქრის დროშა ერთ-ერთ საშუალებათგანს წარმოადგენდა, რომელიც ამქრის წევრებს რაზმავდა თავის გარშემო, იგი მიჩვეული იყო წმინდათა-წმინდა საგნად, რომელიც წელიწადში ერთხელ გამოიტანებოდა ამქრის მედროშის მიერ – ამქრის დღეობაზე"[13]. დროშის მფლობელი ხიზრის ინფორმაციით, ყოველთვის ქართველი იყო, ჩოხაში გამოწყობილს უნდა წაელო დროშა. „ბაირახტარი უეჭველად ქართულ ტანისამოსში უნდა ყოფილიყო გამოწყობილი. ბაირახტარის ტანსაცმელიცა და ბაირაღიც ამქრის საერთო სახსრებით იყო შეძენილი, ორივე უსტაბაშის სახელოსნოში ინახებოდა, ერთიცა და მეორეც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იხსნებოდა"[14].

ამქრაში ყოველთვის მეგობრული და საღი ურთიერთობა სუფევდა. საკმარისი იყო ამხანაგობაში გაერთიანებულთაგან ვინმე გასაჭირში აღმოჩენილიყო; ფულის ან მასალის უკმარისობა ეგრძნო, რომ მთელი საამქრო ფეხზე დამდგარიყო, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული ამქრის სიძლიერის საწინდარი იყო. ამქრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პატიოსანი სიტყვის ძალას. საამქროს წევრებს დროსტარებისა და დასვენების თავისი პროგრამა ჰქონდა. ბოტანიკური ბაღი იყო მათი მხიარულებისა და თავის შესაქცევი ადგილი. პარასკევი იყო მათი დასვენების დღე, როდესაც სიმღერითა და ცეკვით ჯგუფურად მიედინებოდნენ ბაღისაკენ დუდუკისა და დოლის თანხლებით. ხიზრის ამქარს სიმღერით წინ მიუძღოდა ამქრის წევრი სომეხი ომღერალი ბაგრატა.

ამქარი დასამუშავებელ ნედლეულს კერძო პირისაგან იძენდა. ასეთ პიროვნებად ხიზრი ასახელებს ვაჭარ არზუმანოვს, რომლისგანაც ყიდულობდა ვერცხლს (I ზოლტნიკი 15 კაპ.) და ოქროს (I ზოლტნიკი 5 მან და 20 კაპ. №56 სინჯისა კი 3 მან. და 20 კაპ.). აღნიშნულ ფასებში იყიდებოდა ოქრო-ვერცხლი რევოლუციამდე. რევოლუციის შემდეგ კი ფასთა სხვადასხვაგვარობა შეიმჩნეოდა.

ხიზრის სახელოსნოში დამზადებულ ნივთებს ხიზრივე ადებდა ფასს და თავისივე დუქნიდან ყიდდა. სახელოსნოს სახელმწიფო გადასახადი ეკისრებოდა. ხიზრი წელიწადში 5 მანეთს იხდიდა.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ყველა სახელოსნო გარკვეული პროფილისა იყო, ერთი ტიპის ნივთებს ამზადებდა და ამით ვაჭრობდა. ხიზრი ძირითადად საბრძოლო იარაღის კეთებით იყო დაკავებული. მის დუქანში ხმლები, ხანჯლები, სხვადასხვა ტიპის თოფები და მისთანანი იყიდებოდა. სახელოსნოებში შრომის განაწილება მკაცრად იყო დაცული. როგორც ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, შრომის დანაწილების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საწარმოო ძალთა განვითარების პროცესში, რამდენადაც „ხელით წარმოების ნიადაგზე ტექნიკის სხვანაირი პროგრესი, თუ არა შრომის დანაწილების სახით, შეუძლებელი იქნებოდა"[15]. კერძო შემთხვევაში შრომის დანაწილება ნიშნავდა ერთი იარაღის სხვადასხვა ნაწილების დამუშავება-კეთებას და მას სხვადასხვა ოსტატი ესაჭიროებოდა. ხიზრი ხანჯლის პირს ლეკ აბრამ შახშაევს და ავარელ აღექსანდრეს (გვარი ვერ გაიხსენა ოსტატმა) ამუშავებინებდა, ქარქაშს – ლეკ აბდურაჰიმს. ხმალზე აბრამი ჰყავდა გაპიროვნებული და ა.შ.

ხელოსანთა სპეციალიზაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ე.შილინგიც: „თითოეული ხელოსანი ერთ ან ერთმანეთთან ახლო მდგომ რამდენიმე სპეციალობას ეუფლება. ხანჯალმა, მაგალითად, ვიდრე გასაყიდად გამზადდება, უნდა გაიაროს განსხვავებული სპეციალობის მქონე სამი ხელოსნის ხელში. პირს მჭედელი აკეთებს, ... ხელტარს ანუ

---

13 გ.ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, თბილისის ამქრის დროშები, მასალები საქ.ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII. 1963, გვ. 384.

14 ლ.ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, მასალები კახეთის ქალაქების ოქრომჭედლობის შესახებ, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, 1956, გვ. 58.

15 ვ.ი.ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ.III, გვ. 584.

სურ. I2

სახელურს – ამწყობი, მხატვრული დამუშავება კი ამომკვეთელისა და დასერვის ოსტატის წილად მოდის"[16].



სურ. I3

იარაღის დამკვეთს საქმე ხელოსნის მთავარ ოსტატთან აქვს უშუალოდ. მაგალითად, ხიზრი, როგორც მთავარი ხელოსანი, შეკვეთებს იღებდა და შემდგომ იგი ანაწილებდა ოსტატთა შორის ვიწრო სპეციალობების მიხედვით. სავაჭროდ გამზადებული იარაღები ისევ ხიზრის უბრუნდებოდა მხატვრული სრულყოფისათვის და მხოლოდ ხიზრისგან იღებდა დამკვეთი ნივთს.

იყო ზოგიერთი სამუშაო, რომლის შესრულება, სპეციალისტი ხელოსნების ნაკლებობის გამო, სხვა ქალაქებში წარმოებდა. მაგალითად, ძალიან ჭირდა თურმე ხმლის პირის დამზადება, რისთვისაც ხმლის პირზე შემკვეთები ვლადიკავკაზში იგზავნებოდა. ვლადიკავკაზში ამ საქმის ოსტატებად ლეკი ხელოსნები – მაგომედ გუზანოვი და ოსმან ომაროვი ითვლებოდნენ. თავისთავად ვლადიკავკაზელი ხელოსნები ადგილობრივი სამხედრო პირებისაგან იღებდნენ იარაღის დაკვეთებს. გამზადებულ პირებს მაგომედ გუზანოვი და ოსმან ომაროვი 20–25 ერთეულის სახით ხიზრის უგზავნიდნენ. ხიზრი საბოლოო სრულყოფის შედეგად გამზადებულ იარაღს ისევ ვლადიკავკაზელ ოსტატებს უბრუნებდა. ასე რომ,

---

16 Шилинг Е., Куба́чи, 1937, с. 35.

სამხედრო იარაღი ძირითადად ხიზრის ხელში გაიცვლიდა საბოლოოდ. ხიზრი თბილისში ამ საქმის დიდოსტატად იყო აღიარებული. ხიზრისგან მიღებული ცნობებით - ხმლის პირის გამოკვეთა 10 მანეთი ჯდებოდა, გამზადებული ხმალი, ნაწილობრივ მოოქრული 100 მან. ღირდა. სრულად მოოქრულილი ხმლის ფასი კი 200 მანეთამდე აღწევდა. მოსახლეობის ერთი ნაწილი დაინტერესებული იყო შავი რქით გაწყობილი იარაღით. ასეთი ხმალი 35 მანეთი ჯდებოდა.

სურ. 14.

როგორც ირკვევა, ხმლებს და საერთოდ იარაღს თბილისში ხიზრის გარდა ბევრი სხვა ხელოსანიც ამზადებდა, ყველას ოსტატის საკუთარი დამღა ესვა, რომელზედაც ხელოსნის სახელი და გვარი იკითხებოდა. დამღის დასმამდე ყოველგვარ ნივთს სპეციალური პუნქტი ამოწმებდა ხარისხისა თუ წონა-ზომის მიხედვით. ასეთი დამღა - ნიშანი ყველა ოსტატს ჰქონდა, რომლის გარეშე ნივთს ფასი ეკარგებოდა; ოსტატი, რომელიც თავის ნახელავს ყალბი, შეუმოწმებელი დამღით დანიშნავდა, სასტიკად ისჯებოდა - სპეციალურად მოწვეულ კრებაზე ამქრის ამხანაგობიდან ირიცხებოდა.

ზემოთ მოყვანილ მასალებს საინტერესო დასკვნისაკენ მივყავართ. როგორც ვიცით, დაღესტანი ოდითგანვე ხელოსნობის მდიდარი ტრადიციებით იყო ცნობილი. რაღა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო, რომ თბილისში მომუშავე დაღესტნელებიც სწორედ ამ ტრადიციების მემკვიდრეებად მოგვევლინებოდნენ. მაგრამ საკითხის შესწავლამ სხვა სურათი დაგვანახა. ჩვენში მომუშავე ოსტატები ძირითადად გლეხთა ოჯახებიდან არიან გამოსულნი, ოჯახებიდან, რომელთათვისაც ოქრომჭედლობა უცხო ყოფილა. ზემოთ ჩამოთვლილი მთხრობელების დოსტატება ამ ხელობაში ძირითადად ეკონომიურ, საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.

თბილისში მომუშავე დაღესტნელები იარაღის შემკობა-გამართვაზე და ორნამენტაციაზე მუშაობდნენ. ამზადებდნენ ბუდეებს, ქარქაშებს, აკეთებდნენ კაცისა და ქალის ქამრებს, ქალის სამკაულებს.

იარაღსა და სამკაულებზე მუშაობისას თბილისში დამკვიდრებული დაღესტნელი ხელოსნები იყენებდნენ არა მარტო თავიანთ ტრადიციულად გამომუშავებულ მეთოდებს, არამედ ხშირად ეყრდნობოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებსა და გემოვნებას. ამის შესაბამისად ეუფლებოდნენ ახალ ფორმებსაც, რომელთა მეშვეობითაც ოსტატები ცდილობდნენ ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი სახეებისა თუ ორნამენტების დაცვას, ადგილობრივი კოლორიტის შენარჩუნებას. ამ მხრივ ისინი ისე დაოსტატდნენ, რომ ყუბაჩელი ხელოსნებისათვის ქართული, სომხური, ჩერქეზული, ჩეჩნური, ოსუ-



სურ. I5

რი და ა.შ. ორნამენტების ელემენტთა გამოყვანა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა[17].

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თბილისელი დაღესტნელები ზუსტად, ზედმიწევნით ვერ იმეორებდნენ ქართული, ადგილობრივი კოლორიტის გამომსახველ სახეებს, დეტალებსა თუ ხასიათებს. ამდენად მათი ნამუშევრები ორგვარი ორნამენტის სინთეზის კვალს ატარებდა, რაც თავისებურად ახალი ტიპის ორნამენტის წარმოქმნას უწყობდა ხელს. ბუნებრივია ისიც, რომ თბილისში მომუშავე დაღესტნელი ხელოსნები



სურ. I6

I7 Ш и л л и н г Е.М., Кубачинцы и их культура. Москва-Ленинград, 1949, с. I6.

მუშაობის ძველი, უკვე ნაცადი მეთოდების პარალელურად ახალ ტექნიკურ ხერხებსაც იყენებდნენ და გარკვეული სიახლეებით ამდიდრებდნენ თავიანთ ხელოსნობას.

აღნიშნული გარემოება რამდენადმე განსაზღვრული იყო იმ ფაქტითაც, რომ მათ ხშირად უხდებოდათ მუშაობა ქართველ ოქრომჭედლებთან. მაგრამ დაღესტნელები ქართველთა გავლენის ქვეშ არ ექცეოდნენ, ისევე, როგორც ქართველი ოქრომჭედლები, რომლებიც ინარჩუნებდნენ ხელოსნობის ტრადიციულ ფორმებს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ დაღესტნელი ხელოსნები თავისებურად ახდენდნენ ნივთის მხატვრულ გაფორმებას. ნიმუშისათვის, მათი ნახელავი ყოველთვის მოსევადებული იყო ორნამენტთან ერთად. ქართველები კი ორნამენტის გარეშეც ასევადებდნენ ვერცხლის სამკაულს.

ხშირ შემთხვევაში თბილისური დამღიანი ნივთი დაღესტნელი ოსტატის მიერ იყო ორნამენტირებული ადგილობრივი ტექნიკის გამოყენებით, ადგილობრივი ხასიათის ორნამენტით, ხოლო შესრულებული მათ მიერ გამომუშავებული ეფექტური და ღრმა გრავირებით.



სურ. 17. ყალამი № 5-972/17

აი საკითხების წყება, რომლის წარმოჩენაც წინამდებარე ნაშრომში განვიზრახეთ. დაღესტნელ ხელოსანთა თბილისში მოღვაწეობა გაცილებით ფართო და მრავალმხრივია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თბილისში მოღვაწე დაღესტნელთა მიერ ნაკეთი ნივთების მრავალფეროვნება, მათი კატალოგიზაცია, დამუშავების ტექნოლოგია, საწარმოო იარაღების სპეციფიკა, საგანთა გასაღების პრობლემა და მისთანანი. მაგრამ, როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში აღინიშნა, მათი კვლევა-ძიება ჩვენი მომავალი მუშაობის ამოცანაა. ამჯერად ჩვენ შედარებით ვიწრო საკითხებით დავინტერესდით და შევეცადეთ ერთი ოსტატის მაგალითზე თბილისში დაღესტნელი ხელოსნების მუშაობის ზოგადი სურათი წარმოგვედგინა. და თუ ჩვენ ყურადღება ხიზრი კაჟლაევზე შევაჩერეთ, იმიტომ, რომ მისი ნაღვაწი ტიპურია და არსებითად წარმოაჩენს დაღესტნელ ხელოსანთა თბილისში ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითად ასპექტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н.Н.Чиквиладзе-Абашидзе

Дагестанские золотых дел мастера в г.Тбилиси (золотых дел мастер Хизри Кажлаев)

Р е з ю м е

Проблема исследования жизни и деятельности дагестанских мастеров в Тбилиси является предметом специального исследования. Статья ставит себе целью изучение некоторых моментов деятельности одного из дагестанских золотых дел мастера в Тбилиси Хизри Кажлаева.

В конце XIX века в результате роста фабричной продукции и изменения характера потребности ювелирных изделий, естественно, сбыт изделий дагестанских золотых дел мастеров затрудняется. Для выхода их созданной ситуации дагестанские мастера оставляли родные места и направлялись в крупные города Закавказья и Северного Кавказа. Особенно массовый характер приобретает их тяготение в Грузию, в частности в Тбилиси. По архивным материалам 1842-1917 годов в Тбилиси насчитывалось 124 мастера-мусульманина, отсюда 122 дагестанца. Дагестанцы, работающие в Тбилиси, в основном занимались над изготовлением оружия и украшений, в частности, мужских и женских поясов, женских украшений и др.

В результате совместной деятельности грузинских и дагестанских мастеров создавались и устанавливались своеобразные традиционные формы трудового и социального взаимоотнашений.

Изделия созданные совместно с дагестанскими и грузинскими золотых дел мастерами неоднократно прославляли Тбилисские изделия на различных рынках мира.

В статье помимо изложения деятельности и творческой жизни Х.Кажлаева публикуются ювелирные инструменты мастера, хранящиеся в фондах Отдела Этнографии Гос. Музея Грузии им. С.Н.Джанашия.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ნემსაძე

თიხის ჭურჭელი ძამის ხეობიდან

ზღუდერში, მდ. ძამას მარცხენა ნაპირის ბორცვზე, სადაც ერისთავთა რანგის მდიდრული სამარხები აღმოჩნდა, გაითხარა შედარებით ღარიბული ინვენტარის შემცველი ორი ორმო-სამარხი, რომლებშიც სხვა ნივთებთან ერთად თიხის 5 ჭურჭელი იყო (სურ. 2). ამავე სამაროვანზე შემთხვევით აღმოჩნდა დანგრეული სამარხის კომპლექსის ნაწილი, რომელიც შედგებოდა ორი თიხის ჭურჭლისა (ტაბ. VI) და ბრინჯაოს ორი მეტად საინტერესო ნივთისაგან. აქვეა შემთხვევით ნაპოვნი კიდევ ორი თიხის ჭურჭელი: ერთი კოპებიანი სასმისი (I90-65:267), მეორე მინიატურული ხელადა (I90-65:220) (ტაბ. VI).

ზღუდრის იმავე ბორცვზე, გაითხარა ნაგებობის ქვისწყობიანი საძირკვლის ნაშთი. ნაგებობისადმი ინტერესს აღვიძებდა ის, რომ დასაშვებად მიგვაჩნდა იქვე ახლოს წარჩინებულთა საგვარეულოს საცხოვრისის არსებობა. რაც შეეხება ნივთიერ მასალას, რომელიც შეიძლება ამ ნამოსახლარის დათარიღებისათვის გამოდგეს, ესაა ერთი მოზრდილი ჯგუფი (სურ. I) ჭურჭლებისა, რომელთა განხილვას ქვემოთ ვაპირებთ.

I90-65:245 ჭურჭელი* თიხისა, მონაცისფრო, მკრთალი მოვარდისფრო-მოყვითალო იერით; მას ოდნავ გადაშლილი მრგვალი პირი აქვს, დაბალი ყელი, რომელსაც ორი რელიეფური წიბო შემოუყვება. ქვედა მათგანზე გამობმულია დაბრტყელებული, ოვალურგანივკვეთიანი ყური. იგი მხარს ებჯინება. ტანი მაღალი და განიერი აქვს, ძირი ფართო და ბრტყელი. ერთ ყურზე ამოღარულია მარჯვნივ მიმართული სვასტიკა. პირი ერთ ადგილას ჩამოტეხილია, ჭურჭელი აღდგენილია და შევსებული თაბაშირით. ჭურჭლის სიმაღლე 34,2 სმ, პირის დმ - 9,5, ტანის დმ - 27, ძირის დმ - 20,8 სმ-ით განისაზღვრება.

I90-65:246 ჭურჭელი თიხისა, მონაცისფრო, გადაჭკრავს მოვარდისფრო ფერი; აქვს მოშავო ლაქები, წინაღწერილის მსგავსია და, ამდენად, იგივე აღწერილობის, აღდგენილია და შევსებული თაბაშირით. სიმაღლე - 36,2, პირის დმ - 9,9 X I0,I, ტანის დმ - 28,6, ძირის დმ - 23,2 სმ.

I90-65:247 ჭურჭელი თიხისა, ნაცრისფერი, ყურის ძირში ოდნავ მოვარდისფროა, იგივე აღწერილობის, რაც I90-65:245 და I90-65:246-ია. ჭურჭელს ორ ადგილას ჩამოტეხილი აქვს პირი, აკლია სვასტიკიანი ყურიც. აღდგენილია და შევსებული თაბაშირით. სიმაღლე -42,2, პირის დმ - I0,2, ტანის დმ - 32,5, ძირის დმ - 23,2 სმ.

I90-65:248 ჭურჭელი თიხისა, მონაცრისფრო მოყვითალო ფერის, ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი - ლაქები. იგივე აღწერილობისაა, როგორიცაა წინა სამი ჭურჭელი, მათთან შედარებით უფრო შემსხვილებული ტანი აქვს, ხოლო სვასტიკა მიმართულია მარცხნივ. აღდგენილია, შევსებული თაბაშირით. პირი ჩამოტეხილია სამ ადგილას. ჭურჭლის სიმაღლე - 40,I, პირის დმ - I0, ტანის დმ - 33, ძირის დმ - 24,5 სმ.

I90-65:249 ნაწილი ნაცრისფერი თიხის ორყურა ჭურჭლისა, იგი ეკუთვნის წინაადწერილ ჭურჭელთა ტიპს. შერჩენილია ჭურჭლის ტანის დაახლოებით მეხუთედი, ძირის მცირედი ნაწილი და ცალი ყურის მესამედი. შეკოწიწებულია და შევსებული თაბაშირით. სიმაღლე - 38 სმ.

I90-65:250/257/ პირ-ყელი იგივე ტიპის ჭურჭლისა, რომელსაც სვასტიკიანი ყური

---

* თანდართულ ნახატებზე კოლექციის საინვენტარო ნომერი (I90-65) არ აღინიშნება; აღნიშნულია მხოლოდ ექსპონატის რიგითი ნომერი - 245, 246 და ა.შ.











0 3 6

ხურ. I

სურ. 2

აქვს. შეკოწიწებულია ნაცრისფერი და მოვარდისფრო-ყვითელი ნატეხებისაგან. სვასტიკიანი ნატეხი (I90:65:257) მოერგო ჭურჭლის ამ ნაწილს. პირის დმ - 9,7 სმ.

I90-65:251 პირ-ყელი იგივე ტიპის ნაცრისფერი თიხის ჭურჭლისა, რომლის უსვასტიკო ყური მთელია, ხოლო მეორის ზედა მცირე ნაწილია შერჩენილი. შეწებებულია და შევსებული თაბაშირით. პირის დმ - 9,5 სმ.

I90-65:252 პირ-ყელი ღია ნაცრისფერი თიხის იგივე ტიპის ჭურჭლისა, რომელსაც შერჩენილი აქვს ძირთან გადატეხილი უსვასტიკო ცალი ყური. პირის დმ - I0,5 სმ.

I90-65:253 პირ-ყელი მოთეთრო-მოყვითალო თიხის იგივე ტიპის ჭურჭლისა. შერჩენილი აქვს ძირთან გადატეხილი უსვასტიკო ყური. პირის დმ - 7,I სმ.

I90-65:254 ყურის ძირი მონაცისფრო-მოვარდისფრო ფერის თიხის იგივე ტიპის ჭურჭლისა. მასზე ამოღარულია მარცხნივ მიმართული სვასტიკა. სვასტიკის ზომაა 4,7X3,6 სმ.

I90-65:255 ნატეხი იგივე ტიპის ღია ვარდისფერი თიხის ჭურჭლის ყელ-ყურისა. ყურის სიგრძე - 3,6 სმ.

I90-65:256 ნატეხი იგივე ტიპის ნაცრისფერი თიხის ჭურჭლისა. შერჩენილია მარცხნივ მიმართული სვასტიკის ზედა ნახევარი, სვასტიკის მკლავის სიგრძე - 2,2 სმ.

I90-65:257 მოერგო I90-65:250-ს.

I90-65:258 ნატეხები იგივე ტიპის მოვარდისფრო იერის თიხის ჭურჭლის ყელისა და კედლის.

როგორც აღწერილობიდან დავინახეთ, ზღუდრის ნაგებობის დამწვარ ფენაში აღმოჩენილი ჭურჭლები მონაცრისფრო-მოჩალისფრო ფერისაა, ზოგ შემთხვევაში მოვარდისფრო იერით, მათ ცეცხლში უთანაბროდ მოხვედრის გამო მუქი ლაქები დამჩნევია და ამდენად შეცვლილათ თავდაპირველი გამოწვის ფერი. ყველა მათგანს ახასიათებს მრგვალი და ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ორწიბოიანი ყელი, ქვედა წიბოზე და მხარზე სიმეტრიულად დარჩილული ორი დაბრტყელებული ოვალურგანივკვეთიანი ყური, ცალ ყურზე ერთ ან მეორე მხარეს მიმართული სვასტიკა, მსხვილი მაღალი ტანი, ფართო, ბრტყელი ძირი, საკმაოდ კარგად განლექილი თიხა, მკვრივი კეცი, სადა და კრიალა ზედაპირი; ხოლო შიდაპირს ემჩნევა ჩარხის ზოლები.

ცხადია, სითხის დასაყენებელი ეს ჭურჭლები, საკუთარი მოცულობის გამო, სასუფრე ჭურჭლებს ვერ მიეკუთვნება. როგორც მ. სინაურიძე შენიშნავს, ამდაგვარი ჭურჭლები პრაქტიკული უნდა ყოფილიყო, რადგან ორი ყურის გამო მარჯვედ ასაწევია და განიერი ძირის გამო კი - ამფორისაგან განსხვავებით, მყარად დასადგმელი[1], ამდენად ჭურჭელთა ეს ჯგუფიც, მისი მსგავსი ჭურჭლებივით, სამეურნეო დანიშნულებისაა, საოჯახოდ მოსახმარი[2].

ყელწიბოიანმა ორყურა ჭურჭლებმა საკმაო ხანია არქეოლოგთა ყურადღება მიიქცია. უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად ამ ჯგუფის კერამიკამ ადრეფეოდალური ხანით და ეჭვმიუტანლად დათარიღებულ ნამოსახლართა ფენებში იჩინა თავი. ზღუდრის მაგალითი ამ მხრივ გამონაკლისად არ გვეჩვენა და, ბუნებრივია, ადრეფეოდალური ხანის ლოჭინისა და ურბნისის ნამოსახლარი ფენების არქეოლოგიურ მონაცემებს დავუკავშირეთ. ზღუდრის I964-I966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილ მოკლე ანგარიშში, ჩვენთვის საინტერესო ჭურჭლების დათარიღება ძირითადად ხსენებული ორი პუნქტის ნივთიერი მასალის გათვალისწინებით შევძელით, სადაც ამ საკითხთან დაკავშირებით ასე ვმსჯელობთ: ზღუდრის ყელწიბოიანი ჭურჭლები დიდ მსგავსებას იჩენს ლოჭინოს ნასოფლარის I ჯგუფის კერამიკასთან[3] და ურბნისის მთელ ჭურჭლებთან[4], რომლის მსგავსი მრა-

---

I მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. გვ. 58.

2 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ურბნისის ნაქალაქარი, I964, გვ. 92.

3 რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები, სს მმ, XIII-I3. გვ. I99, სურ. 3, თარიღის შესახებ, იქვე, გვ. 203.

4 მაგ. საქ. სახ. მუზეუმის ინვ. №I-57:I542; ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 93, ტაბ. XXX, I დათარიღების შესახებ, იქვე, გვ. 97.

ვაღრიცხოვანი კერამიკული ფრაგმენტი დადასტურებულია ადრეფეოდალური ხანის ურბნისის, უჯარმის, მცხეთის, ლოჭინის და სხვა პუნქტების ფენებში[5].

ლოჭინის ნამოსახლარი დათარიღებულია IV-VI სს. ურბნისის „დამუშავებულებიანი" ფენა, რომელიც მსგავსად ზღუდრისა და ლოჭინის ნასოფლარისა შეიცავს ყელწიბოიანი თიხის მასალას, ღ.ჭილაშვილმა დაათარიღა V ს. მიწურულითა და VI ს. დასაწყისით. კერამიკის აღნიშნული ჯგუფის თარიღად მ.სინაურიძე IV-VI სს. მიიჩნევს. ამდენად, ზღუდრის ყელწიბოიანი და ორყურა ჭურჭლების თარიღიც IV-VI სს. ექცევა და ადრეფეოდალური ხანის საინტერესო მასალას წარმოადგენს. თვით „გალავნის" ზოგად თარიღად გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანა უნდა მივიჩნიოთ[6].

ჭურჭლები, როგორც ზემოთ ვთქვით, მიჩნეულია სამეურნეო-საოჯახო სახმარ ჭურჭლებად. ამდენად, შეიძლება ეს იყოს იმის მიზეზი, რომ სამარხებში ასეთი ჭურჭელი, გარდა იშვიათი შემთხვევისა არ აღმოჩენილა და დადასტურებულია, როგორც წესი, ნამოსახლარ ფენებში.

აღნიშნულ ჭურჭელთა დათარიღების საკითხში გარკვეული სიახლის შემოტანის თვალსაზრისით, ახალი ჟინვალის არქეოლოგიური მასალა მეტად საყურადღებო და ანგარიშგასაწევი. ნამოსახლარსა და სამაროვანზე მრავლადაა დადასტურებული ყელწიბოიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ჩვენთვის, რასაკვირველია, უფრო საინტერესოა იქ ზღუდრის ჭურჭელთა მსგავსი ჩაფების ნაწილების პოვნა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ახალი ჟინვალის №5 სამარხი, რომელშიც მდიდრულ ინვენტარს შორის ორწიბოიანი ორყურა ჭურჭელიც აღმოჩნდა[7].

სხვათა შორის ზღუდრის სამაროვანზე კვ. CC 11NW ნაწილში, ადამიანის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა ამავე ტიპის ღია მოვარდისფრო ფერის ჭურჭლის ნატეხები (I90-65:2I7). მას მეორე ყური და ჭურჭლის უდიდესი ნაწილი აკლია. როგორც ჩანს, ეს ნატეხები განადგურებული სამარხის ნაშთს ეკუთვნის.

ახალი ჟინვალის №5 სამარხისა და ნამოსახლარის ორწიბოიანი და ორყურა თიხის ჭურჭლებსა და ზღუდრის ანალოგიურ კერამიკას შორის საგრძნობი მსგავსებაა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ არაგვის ხეობის ჭურჭლებს ყურზე სვასტიკა[8] არ გააჩნიათ.

ახალი ჟინვალის №5 სამარხის კომპლექსი, სადაც ზღუდრის ორყურა ჭურჭლების ესოდენ მსგავსი თიხის ჭურჭელიც აღმოჩნდა, მიეკუთვნება ერისთავთა რანგის იმ სამარხთა კატეგორიას, რომელსაც ეკუთვნიან ძამის ხეობის ხის სარკოფაგებიც.

ახალი ჟინვალის ხსენებული სამარხი ყველა ძირითადი ნიშნით III ს. მეორე ნახევრით და IV ს. დამდეგით თარიღდება[9], ნამოსახლარის პირველი დონე კი სამაროვნის სინქრონულია და მასზე ხნიერიც. საორიენტაციოდ იგი III ს. არის განსაზღვრული[10]. ამიტომ, რ.რამიშვილს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული თიხის ჭურჭლები გაცილებით ადრეა შემოსული ხმარებაში, ვიდრე ეს აქამდე იყო ცნობილი. ამდენად, ამ ჭურჭლების გავრცელების თარიღად მას სამართლიანად მიაჩნია ახ.წ. III ს. მეორე ნახევარი და მომდევნო პერიოდი.

---

5 მ.სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

6 გ.ნემსაძე, ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (1965-1967 წწ. ანგარიშები). თბ., 1969, გვ. 45-56.

7 რ.რამიშვილი, ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. გათხრების მიხედვით; ჟინვალი I, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, თბ., 1983, გვ. 86-87, სურ. I, ტაბ. XXXV, I გვ. II4-II5.

8 სვასტიკა შეიძლება იმ ხელოსნის ნიშანი იყოს, ვინც დაამზადა ჭურჭელი. იხ. Джапаридзе В.М., Джгамаиа Д.К. Об археологических исследованиях в зоне строительства Варцихе ГЭС, Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, с. 93, таб. x LIV.

9 რ.რამიშვილი, ჟინვალი I, დასახ. ნაშრ. გვ. II4, I2I.

I0 რ.რამიშვილი, იქვე, გვ. I30.

I6. მოამბე, LXI - B

ნასტაკისში, გორის თხემის IV-V სს. დათარიღებულ ფენაში, სხვათა შორის, ორყურა ჩაფის ნატეხებიც აღმოჩნდა, რომელსაც ყელი გოფრირებული აქვს[11].

ერწოს ველზე, ქუშანაანთ გორის ნამოსახლარზე №I სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი ყელწიბოიანი ორყურა ჩაფის ნატეხებს გამთხრელი გვიანარმაზული ხანის გასულს და ადრეშუასაკუნეთა დამდეგს აკუთვნებს, ხოლო ამ ტიპის ჭურჭელთა გავრცელების ხანად კი, ახალი ჟინვალის არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, გვიანარმაზულ ხანას მიიჩნევს[12].

ერთი სიტყვით, ზღუდრის სვასტიკიანი ჭურჭლების თარიღის ქვედა ზღვარი დაზუსტდა ახალი ჟინვალის კერამიკული მასალის გათვალისწინებით და ემთხვევა IIIს. მეორე ნახევარს. ეს კორექტივი დათარიღების საკითხში კიდევ უფრო ამაგრებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზღუდრის შენობის ზოგად თარიღად რჩება გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანა. აქედან გამოდის ისიც, რომ ზღუდრის სამაროვანი ნამოსახლარის სინქრონულია, როგორც მოსალოდნელი იყო და ვვარაუდობდით კიდეც.

ზღუდრის სამაროვანზე, როგორც ცნობილია, ექსპედიციამ ორი ორმოსამარხი გათხრა.

ორმოსამარხი I. გათხრების ძირითადად S უბანზე კვ. DC 11-ში მიწის ზედაპირიდან 0,95 მ სიღრმეზე თიხნარ ნიადაგში იყო ჩაჭრილი. სამარხი ორმო, რომელიც არც თუ კარგად გამოიკვეთა, სიგრძით I,2 მ. ხოლო სიგანეში 0,75 მ უდრიდა. მასში ადამიანის ცუდად დაცული ჩონჩხი პირქვე და ზურგამობრუნებული იყო თავით დასავლეთით ჩამხობილი. როგორც ჩანს, მიცვალებული მარჯვენა გვერდზე კიდურებმოხრილი დაუკრძალავთ. მას ვერცხლის ბეჭედი ეკეთა თითზე, ყელის არეში ოთხიოდე მძივი აღმოჩნდა, კეფასთან, ალბათ პირში ჩადებული არტაბან II-ის ვერცხლის მონეტა, ხოლო სამარხის S ნაწილში, იდაყვებთან წყვილად იდო თიხის ორი ხელადა.

ორმოსამარხი 2. ჩაშვებული იყო გვიანბრინჯაოს ხანის ქვაწრიული და მიწაყრილიან №3 ყორღანის აღმოსავლეთის კედელთან, ამიტომ, ყორღანის შემკვრელი წრის რამდენიმე ფლეთილი ქვა ჯერ ამოღებული, ხოლო ორმოს უკეთ გამოყოფის მიზნით მეჩხერად იყო მის გარშემო შემოწყობილი. ამდენად, სამარხს ჩრდილოეთიდან სამი, სამხრეთიდან ორი და დასავლეთიდან ერთი ქვა საზღვრავდა.

სამარხის ორმოს სიგრძე 0,98, ხოლო სიგანე 0,6 მ უდრიდა, მასში დაკრძალული იყო მოზარდი. იგი მარჯვენა გვერდზე იწვა OW ხაზზე ხელ-ფეხ მოკეცილი, თავით დასავლეთისაკენ. ხელის მტევნები პირ-სახის წინ ეღაგა. ჩონჩხის ძვლები საკმაოდ დაზიანებული იყო, ამიტომ მიწას წვივისა და ტერფის ძვლების მხოლოდ ანაბეჭდები ეტყობოდა. მას კისრის არეში ოქროს წყვილი საყურე და არტბან II-ის მონეტა (ალბათ, კბილებში გაჩრილი) აღმოაჩნდა. მარცხენა ხელის თითზე ვერცხლის ბეჭედი ეკეთა, სარდიონის სამი მძივი, წინამხრის ძვლებთან იყო ხელადა და ტოლჩა სახის წინ, ხოლო უყურო ჭინჭილა ბარძაყის უკან იდო.

სამარხეულ ნივთებს ერთად განვიხილავთ.

მონეტები ვერცხლისა, შუბლზე გამოსახულია არტბან II ფიგურა მკერდამდე, პროფილში, გრძელი სწორი წვერითა და გრძელი თმებით, თავზე დიადემითა და კეფასთან გამოსკვნილი ლენტებით, აცვია სამეფო კაბა, უკეთია ყელსაბამი.

---

11 ალ.ბოხოჩაძე, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს, თბ., 1974, გვ. 54.

12 რ.რამიშვილი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1979, გვ. 17-18, ტბ. 6. სურ.I, გვ.21-22, ავტორს შემოაქვს სახელწოდება „არმაზული ხანა" გვიანანტიკურის ნაცვლად. არმაზული ხანას ყოფს ორ ქვეპერიოდად: არმაზული (ძვ.წ.I - ახ.წ.II სს.) და გვიანარმაზული (ახ.წ.III-IV სს.). იხ. რ.რამიშვილი, ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხრის მიხედვით, ჟინვალი I, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, გვ. 112.

ზურგზე დამახინჯებული წარწერაა: ΒΑΣΙΛΕΩΣ ΒΑΣΙΛΕΩΝ (ზემოთ), ΑΡΣΑΚΟΥ (მარჯვნივ), ΕΥΕΡΓΕΤΟΥ ΔΙΚΑΙΟΥ (ქვემოთ), ΕΠΙΦΑΝΟΥΣ ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ (მარჯვნივ), წარწერის შიგნით – არშაკი დიადემა შემოკრული ტყავის მუზარადით, ჯავშნოსანი და წამოსასხმელიანი, ზის სამეფო ტახტზე (რომლის წინაფეხი წერტილოვანი რიგითაა გადმოცემული), მარჯვნივ, გაწვდილ მარჯვენა ხელში უპყრია ისარი, ისრის ქვეშ [13].

№1 ორმოსამარხის მონეტა იწონის 2,97 გ, №2 ორმოსამარხისა კი – 2,08 გ.

ბეჭედი (190-65:83) ვერცხლისა, რომლის თვალბუდე დარჩილული ყოფილა რკალის დაბრტყელებულ ბოლოებზე. ამ ნაწილში ბეჭედს მცირე ჰორიზონტალური მხრები გააჩნია, რკალის ამობურცული გარეთა მხარეს წიბო დაუყვება; შიგნიდან რკალი ამოღარულია, თვალი ღვინისფერი მინისაა, სეგმენტურად ამოზურგულია, წრიული ძირი კი – ბრტყელი, თვალი ჩასმული ყოფილა დაბალ ბუდეში. ამჟამად თვალბუდე მომძვრალია, დაშლილი, ამასთანავე ნაკლულიც. ამდენად, თვალი ამოვარდნილია, რკალის დმ – 1,9X2,1 სმ-ია, თვალის დმ – 1,2 სმ.

აღწერილობიდან აშკარაა, რომ ბეჭედი ჰორიზონტალურმხრებიანი, მირჩილულთვალბუდიანი ტიპის ერთ-ერთი ვარიანტია. აღნიშნული ტიპის ბეჭდები ფართოდ გავრცელებული იყო მთელ რომაულ სამყაროში და სანდოდ თარიღდება ახ. წ. III საუკუნით [14].

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთვის საინტერესო ტიპის მეტ-ნაკლებად მსგავსი ბეჭდები საკმაოდ მრავლადაა არქეოლოგიურ კომპლექსებში დადასტურებული. აქ შეიძლება ისევ ზღუდრის №1ხის სარკოფაგის წყვიპორტრეტიანი ბეჭედი [15] დავასახელოთ. სხვა ადგილებიდან მსგავსი ბეჭედი ცნობილია არმაზისხევიდან [16], ქუშანაანთ-გორის სამაროვნიდან [17], არაგვისპირში [18], ურბნისში [19], ნავთსადენში (მცხეთა) [20], სამთავროს სამაროვანზე [21],

---

13 Голенко К.В., Капанадзе Д.Г. Монеты найденные в селении Згудери (Грузинская ССР) в 1964-1965 гг. ВДИ, 1,1968, с. 166.

14 F.Marschall, Catalogue of the Finger Rings, Greek, Etruscan and Roman, London, 1907, N 266, ნახ. 53, N 526, ნახ. 86; F.Henkel, Römischen Fingerringe der Reinlande, Berlin, 1913, NN 219,220,432,433,1257,1258,1260 და სხვა.

15 ქ.ჯავახიშვილი, გ.ნემსაძე, ზღუდრის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები, სს მმ XXXVI-B, თბ., 1982, გვ. 139-144; ტაბ. 1,2.

16 ა.აფაქიძე, გ.გობეჯიშვილი, ა.კალანდაძე, გ.ლომთათიძე, მცხეთა 1, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 48, ტაბ. II, LII10 ; LII3.

17 რ.რამიშვილი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1979, გვ. 40, ფერადი ტაბულა IV, სურ. 1.

18 Р. Рамишвили, Б.Джорбенадзе, З.Каландадзе, В.Николаишвили, М.Маргвелашвили, Г.Рчеулишвили, В.Чихладзе, И.Циклаури, В.Асланишвили, М.Глонти, К.Церетели, И.Бакрадзе. Археологические изыскания в Арагвском ущелье, ПАИ в 1974 году, Тб., 1976, Таб. III, с.73. რ.რამიშვილი, ახალი აღმოჩენები არაგვის ხეობაში, ძეგლის მეგობარი, 39, თბ., 1975, გვ. 12, სურ. 1.

19 ქ.ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972, გვ. 71, №126.

20 მ.ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბ., 1961, №30, სურ. 17.

21 М.И.Максимова, Гемы из некрополя Мцхеты, Самтавро, сс мм, XVI-XVI-B, თბ., 1950, გვ. 253, №36, ნახ. 6, გვ. 255. №№40,44, გვ. 256, №№43,44; მ.ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბ., 1954, №№18,19, მცხეთა არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. II, თბ., 1978 №551-554.

ჭერემში (კახეთი)[22], ბათუმში[23] და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი ბეჭდებიდან ზღუდრის №I ხის სარკოფაგის ბეჭედი დათარიღებულია III ს. 50-60-იანი წლებით. არმაზისხევის №2 სარკოფაგის ბეჭედი III ს. მეორე ნახევრით, ქუშანაანთ-გორის სამაროვნისა - III ს. მეორე ნახევრით, [illegible] - III ს. ჭერემის ბეჭდები III ს. თარიღდებიან, თუმცა კი სამარხები, რომლებშიც ზოგი მათგანია აღმოჩენილი, IV ს. გადადის; არაგვისპირის ბეჭედი აღმოჩენილია კომპლექსში, რომელიც დათარიღებულია III ს. ბოლოს და IV ს. დასაწყისში. ასე, რომ, ჰორიზონტალურმხრეებიანი, დარჩილულთვალბუდიანი ბეჭდები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ III საუკუნისათვის ზოგ შემთხვევაში თავს იჩენს ხოლმე მომდევნო საუკუნეშიც, რაც აღბათ კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ბეჭედი (I90-65:86) ვერცხლისა, რკალი მრგვალგანივკვეთიანი და თანაბარი სისქისაა, გახსნილი, ბოლოები დაბრტყელებული, მხრებთან ოდნავ გაფართოებული, განზიდული, პირი - პირთან ახლოს მიტანილი; რკალის ბოლოებზე დარჩილული ყოფილა წაგრძელებული, ორად მოკეცილი ფირფიტა, რომელიც ერთ მხარეს ბურთულით მთავრდება. რკალის დმ-I,3XI,8 სმ; ფირფიტის სიგრძე - I,8 სმ. ბეჭედი ეკუთვნის №2 სამარხს.

ვერცხლის ამ ბეჭდის ზუსტი ანალოგი უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ჭერემის (კახეთი) გვიანრომაული ხანის სამაროვანზე (№4, №6 და №I3 ქვის სამარხებში) რამდენიმე ცალადაა წარმოდგენილი. გამომქვეყნებლები შენიშნავენ, რომ მსგავსი ფორმის ბეჭდები სპეციალურ ლიტერატურაში უცნობია. ამიტომ უახლოეს პარალელად ზღუდრის ამ ვერცხლის ბეჭედს ასახელებენ. სამარხეული კომპლექსები ავტორებს შესაბამისად ა.წ. III-IV სს., III ს. ბოლო - IV ს. დასაწყისი; უფრო III ს. მეორე ნახევრით აქვთ განსაზღვრული[24]. ჭერემის სამაროვნის აღნიშნული სამკაულები მხოლოდ რკალებითაა წარმოდგენილი. ზღუდრის ვერცხლის ბეჭედს კი ზემოდან დასარჩილავი ბურთულიანი ფირფიტაც ახლავს. თუ ეს ფირფიტა განზრახ მოჭყლეტილი თვალბუდეა, მაშინ შეიძლება მას მეორე ბურთულაც გააჩნდა? ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ თანაბარი სისქის მრგვალგანივკვეთიანი რკალი ახასიათებთ იმ ბეჭდებსაც, რომელთაც დარჩილული თვალბუდის ორივე მხარეს თითო ბურთულა უზის. ამდაგვარი ბეჭედი, ოღონდ წრიული რკალით, ზღუდრის № 2 სარგოფაგში აღმოჩნდა. იგივე სამარხში კვლავ ორი ბეჭდია დაბალციილინდრული თვალბუდით[25].

მათი რკალებიც ანალოგიურია ბურთულიანი ბეჭდისა, ოღონდ თვალბუდის დარჩილვის ადგილას ოდნავ შესამჩნევი მხრები გააჩნიათ, სამარხი, რომელშიაც ეს ბეჭდებია დადასტურებული, ყველა მონაცემით III ს. მეორე ნახევრის ან უფრო კი მის ბოლო პერიოდს განეკუთვნება. არ იქნებოდა ზედმეტი აქვე აღგვნიშნა ისიც, რომ საზოგადოდ, თანაბარი სისქის მრგვალგანივკვეთიანი რკალიანი ბეჭდები ზედდარჩილული სხვადასხვაგვარი თვალბუდეებით III-IV სს. გვხვდება[26].

საყურეები (I90-65:85) ოქროს მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა. იგი გახსნილ რგოლს წარმოადგენს, რომელზედაც ყუნწით წამოცმულია პატარა ღერძაკი, სიგრძე - I,4 სმ და I,3 სმ, დმ - 0,8I სმ.

საყურეები ეკუთვნის იმ ტიპს, „არმაზისხევურსაც" რომ უწოდებენ. იგი გავრცელებულია მრავალი ვარიანტის სახით არმაზისხევის მეორე ჯგუფის სამარხებში. მიუხედა-

---

22 ნ.მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, ქ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ჭერემის გვიანრომაული ხანის სამაროვანი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VI, თბ., I984, იხ. №№I6, I7, 36, 74, II4, II5, II7, I56.

23 ნ.ხ ო შ ტ ა რ ი ა, ციხისძირი, თბ., I962, გვ. I2, აღწ. №5 ტაბ., VI, I2; მ.ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლები, კორპუსი. თბ., I969, № I27, სურ. 60.

24 ნ.მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, ქ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრომი, გვ. 87-89 ს. №7I-72, ტაბ. XXXVI; გვ.93-94, ს. №I08-I09, ტაბ.XXXVIII; გვ. I0I-I02; ს. №I7I-I74, ტაბ. XII.

25 გ.ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ.ნაშრ., გვ. 46-49, ტაბ. IV, სურ. 4 და 7.

26 F. Henkel, დასახ.ნაშრ., №№I308, I3I0, I3II (III ს.), I35I-I353 (IV ს.).

ვად იმისა, რომ რგოლოვან-ღეროვანი საყურეების ადრინდელი ნიმუში ერისთავთა VI ს. მეორე ნახევრითაა დათარიღებული, №2 სამარხშია დადასტურებული[27], მაინც მისი გავრცელების ხანად III ს. ბოლოს ვარაუდობენ; განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება და დამახასიათებელ სამკაულად გვევლინება IV საუკუნეში და შემდგომ ხანაში[28]. № I ორმოსამარხის თიხის ჭურჭელი:

ხელადა (I90-65:8I) ღია მოყვითალო-მოვარდისფრო ფერის, ყურიანი, აქვს გადაშლილი პირი, წიბოიანი ყელი, მომაღლო ტანი, სწორი ძირი, ყური ებმის პირს და ებჯინება მხარს, პირთან შეერთებისას იგი სცილდება პირის ხაზს. ყურის ძირთან ხშირი ტალღური ორნამენტი შემოსდევს. ყური სამ ადგილას გატეხილია და მიწებებული. პირი ერთ ადგილას ჩამოტეხილია. ხელადის სიმაღლე I9,8 სმ-ია, პირის დმ - 6,7 სმ, ძირის დმ - 8 სმ, მუცლის დმ - II,2 სმ.

ხელადა (I90-65:82) თიხისა, ღია მოყვითალო-მოვარდისფრო ფერის, ყურიანი, გადაშლილი პირით, უფრო მეტად გამობერილი მუცლით. ბრტყელ ძირთან წვრილ ზოლად რელიეფურად ქუსლი შემოუყვება. ყელზე მკრთალი, ძლივს შესამჩნევი წიბო შემოუყვება. ყელთან წვრილი ღარები შემოსდევს. ყური მოტეხილია, აკლია პირ-ყელის და ყურის ნაწილი. ხელადის სიმაღლე - I8,6 სმ, პირის დმ - 6,5 სმ, ძირის დმ - 77 სმ, მუცლის დმ - II,2 სმ. №2 ორმოსამარხის თიხის ჭურჭელი:

ჭინჭილა (I90-65:88) თიხისა, ღია მოყვითალო ფერის, მაღალი ყელი პირისკენ ოდნავ იშლება, ყელზე ოდნავ შესამჩნევი რელიეფური ზოლი შემოუყვება. აქვს გამობერილი მუცელი, დამრეცი გრძელი მხრები. ბრტყელი ძირი. ჭურჭლის სიმაღლე II,7 სმ, პირის დმ - 4 სმ, მუცლის დმ - 8 სმ, ძირის დმ - 4,5X4,7 სმ.

ხელადა (I90-65:89) თიხისა, მოყვითალო ფერის, ყური ებმის პირს და ებჯინება მხარზე. ყური ზედა ნაწილში პირის ხაზს ცილდება. ზემოდან მას შვერილი აქვს. ყელზე დაბალი რელიეფური ზოლი შემოუყვება. მუცელი გამობერილი და წაგრძელებული აქვს, ძირი კი ბრტყელი. პირი და ყელი ნაკლულია. ხელადის სიმაღლე I5 სმ-ია, პირის დმ - 5,5 სმ, ძირის დმ - 7,I სმ, მუცლის დმ - I0,2 მს.

სასმისი (I90-65:90) თიხისა, ღია ყავისფერი, ცალყურა, ყური მუცლის შუა ნაწილზეა დაძერწილი. პირი ფართო და ოდნავ გადაშლილი აქვს, მუცელი დაბალი და გამობერილი, ძირი - ბრტყელი. აღდგენილია, პირის ორიოდე ადგილი აკლია. ჭურჭლის სიმაღლე - 9,I სმ-ია, პირის დმ - 8,8 სმ, მუცლის დმ - II,5 სმ, ძირის დმ - 7 სმ.

ზღუდრის №I და №2 ორმოსამარხში დადასტურებული თიხის ხელადების აბსოლუტურად მსგავსი ფორმების ჭურჭლები სამეცნიერო ლიტერატურაში არც თუ ბევრია ცნობილი. უპირველეს საპარალელო მასალად ჩვენთვის თავიდან იყო და რჩება ნაქალაქარ ურბნისის IV ს. დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში[29] აღმოჩენილი ზღუდრის ყელწიბოიანი ხელადების მონათესავე კერამიკული ნაწარმი.

არაგვისპირის მდიდრულ №9 სამარხში წყვილად აღმოჩნდა მოჩალისფრო იერის ხელადები[30], რომლებიც ფორმით და თიხის ფაქტურით ზღუდრის ამ ხელადების მსგავსია. საინტერესოა, ალბათ, ისიც, რომ №I ორმოსამარხში ხელადები წყვილად დადასტურდა. არაგვისპირის №9 სამარხი III ს. ბოლოთი და IV ს. დასაწყისითაა დათარიღებული. იგივე დროითაა არაგვისპირის №20 და №44 სამარხი[31] განსაზღვრული, რომელშიც აღმოჩენილია ჩვენთვის საინტერესო ჯგუფის ხელადები; მრავლადაა ისინი ძველი ჟინვალის სამარ-

---

27 მცხეთა I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 43,46.

28 იქვე გვ. 20I. საყურეების შესახებ იხ. ნ.ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., I979, გვ. 70-75.

29 ღ.ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 60-83, სურ. 30, ტაბ. XXII-XXIII.

30 ПАИ, I974, დასახ. ავტორთა ჯგუფი, გვ. 72-73, ტაბ. LI, სურ. I.

3I ც.რ ო ბ ა ქ ი ძ ე, არაგვისპირის სამაროვანის თიხის ჭურჭელი, არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა II და III სამეცნიერო სესიების მასალები), თბ., I982, ტაბ. XXIII. ამავე კრებულში იხ. ვ.ჩ ი ხ ლ ა ძ ე, ჟინვალის სამაროვანი (I976 წლის მასალების მიხედვით), გვ. 95, ტაბ. XXVIII, სურ. №3. აღნიშნული ჭურჭელი საინტერესოა იმითაც, რომ მას ზღუდრის ჭინჭილისავით ტანზე სათითე ღრმულები გააჩნია.

ვანზეც[31]. ასეთი ერთი ჭურჭელი ჭერემის №5 ქვის სამარხშია (III ს. ბოლო და IV ს. დასაწყისი)[32] აღმოჩენილი; არის იგი ახალი ჟინვალის №25 სამარხში, რომელიც ასევე III ს. მეორე ნახევრის და IV ს. დამდეგისაა[33].

ზღუდრის ერთ-ერთ ხელადას ყურზე შვერილი აქვს, ასეთი წამონაზარდი ანტიკური სახის ჭურჭელზე ხშირად გვხვდება, ხოლო ორნამენტული არშია, რომელიც ერთმანეთთან მიჯრილი წვრილი ამოკაწრული ტაღღური ზოლებითაა შექმნილი, დამახასიათებელია ადრეფეოდალური ხანის თიხის ჭურჭლებისათვის ურბნისის, რუსთავის, ლოჭინის ნასახლარი ფენებიდან[34].

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ზემოთ განხილული ხელადები ჩვენში ვრცელდება III საუკუნის მეორე ნახევრიდან. რაც შეეხება ზღუდრის №1 და №2 ორმოსამარხის ხელადებს, ისინი, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, უნდა დათარიღდნენ III ს. ბოლოთი და IV ს. დასაწყისით.

ხელადებთან ერთადაა, ცხადია, განსახილველი №2 ორმოსამარხის ე.წ. ჭინჭილა თუსურა, რომელიც მათგან განსხვავდება იმით, რომ არ გააჩნია ყური, თორემ სხვა მხრივ, ყელწიბოიანობით, თიხის ფაქტურით, ფერით მათთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. ამ ჭურჭლის უახლოესი პარალელი გარდა ზემოხსენებული ჭურჭლისა სხვა არ გვეგულება.

№2 ორმოსამარხში იყო ყურიანი ტოლჩისებური სასმისი, რომლის მსგავსი ჭურჭელი ამავე სამაროვანის №2 ხის სარკოფაგშიც აღმოჩნდა[35]. ამ ჭურჭლებს გარეგნულად გავს აგრეთვე ზღუდრის ერთი დარღვეული სამარხის მოვარდისფრო ფერის სასმისი[36], შემკული წვრილი კოპებით.

საზოგადოდ, ტოლჩისებური სასმისები ან ფორმით მათთან მიახლოებული ცალყურა ქოთნები ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა სამაროვნების კერამიკულ ნაწარმში, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ ჭერემის III-IV სს. დათარიღებულ სამაროვნის ქვის სამარხებში საკმაო რაოდენობითაა აღნიშნული სახის თიხის ჭურჭლები[37], რომლებიც მოგვაგონებენ ზღუდრის ტოლჩისებრ სასმისებს.

№2 ხის სარკოფაგი, რომელშიც აღმოჩნდა თიხის სასმისი, თარიღდება III ს. მიწურულით - IV ს. დასაწყისით, დარღვეული სამარხის ჭურჭელი თანმხლები ბრინჯაოს ნივთებთან ერთად შეიძლება იყოს III ს. მეორე ნახევრის, ხოლო №2 ორმოსამარხის ტოლჩისებრი სასმისი მთელი კომპლექსთან ერთად უნდა დათარიღდეს III ს. ბოლოთი და IV ს. დასაწყისით.

ზღუდრის სამაროვანზე, ექსპედიციამდე, შემთხვევით მიკვლეულ და დარღვეულ სამარხში, რომელშიც ადამიანის ძვლებთან ერთად ბრინჯაოს მთლიანად სხმული გრიფონი მიმოქცევნებული ფრთებით და ბრინჯაოს ხარისთავის სკულპტურული გამოსახულება აღმოჩნდა, იყო აგრეთვე თიხის ჭინჭილა და ტოლჩა. განვიხილოთ ჯერ ბრინჯაოს ნივთები, შემდეგ თიხისა.

ბრინჯაოს ხარისთავის უახლოეს პარალელად ამავე სამაროვნის №2 ხის სარკოფაგში აღმოჩენილი ბრინჯაოს გირჩიან-გუმბათიანი ტაძარი მიგვაჩნია. ეს უკანასკნელი კი

---

32 ნ.მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, ქ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.91, ტაბ.XXXVII.

33 რ.რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჟინვალი I, დასახ.ნაშრ., გვ. 104,114, ტაბ.XLV,I.

34 ლ.ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.,გვ.99, სურ.44; მ.ს ი ნ ა ა ურ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ.60.

35 №190-65:37 ცალყურა; მონაცრისფრო, შავი ლაქებით, პირი ოდნავ გადაშლილი, ძირი ბრტყელი აქვს, მუცელი გამობერილი, ყური ბრტყელია განივკვეთში, ყელი დაბალი აქვს, ყელთან და მხარზე ნაკაწრი ზოლები შეიმჩნევა. საერთოდ უხეში ჭურჭელია, სიმაღლე 10,8 სმ, პირის დმ 9,7 სმ, ძირის დმ -8 სმ, მუცლის დმ - 11,2 სმ. პირი ორ ადგილას ჩამოტეხილი და ნაკლული აქვს.

36 საინვენტარო №190-65:266. ამ ჭურჭლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

37 ნ.მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, ქ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., ტაბ. XXXIII-XXXV, ტაბ.XXXVII, XXXIX, XLI, XLII.

თავის პირდაპირ ანალოგიას ვერცხლის პინაკებზე გამოსახული ცხენების წინ მდგარ ბომონებთან პოულობს. ბრინჯაოს ორივე ნივთი შემკულია ერთი და იგივე ორნამენტალური ორდერით და წარმოადგენს საკულტო-სარიტუალო დანიშნულების სასაკრავლო-ლურს.

ბრინჯაოს ქანდაკოვანი გრიფონი იკონოგრაფიულად (პოზით, კისრის შემკულობით) საქართველოში აღმოჩენილი ვერცხლის პინაკებზე გამოსახული ცხენებს მოგვაგონებს. ავჭალის თასზეც იგივე პოზაშია ერთად მოცემული ორი ცხენი და ამდენივე გრიფონი.

ამდენად, ბრინჯაოს ორივე საცეცხლური და მათთან ერთად გრიფონიც, აშკარად საწმუნოებრივი წარმოდგენების იმ წრეს უკავშირდება, რომელიც ასახულია ზემოხსენებულ პინაკებზე[38].

გირჩიანი საცეცხლური და პინაკი, რომელზეც ცხენია გამოსახული, ერთ სამარხშია აღმოჩენილი. სამარხი კი თარიღდება III-IV სს. მიჯნით. ამიტომ, როგორც ჩანს, გრიფონი და ხარისთავიც უნდა თარიღდებოდეს იგივე დროით. ახლა განვიხილოთ თიხის ჭურჭელი.

ჭინჭილა (190-65:265) თიხისა, მოყვითალო ფერის, მისი გამოყვანილი ვიწრო და დაბალი ყელი პირისაკენ ოდნავ ფართოვდება; მუცელი მსხვილი და მსხლისებურად გამობერილია, ძირი ბრტყელი და ფართოა, მუცელზე სიმეტრიულად განლაგებული სამი წრიული ღრმული გააჩნია. თიხა წმინდაა, რბილი, კარგად განლექილი. ძირთან გადაჭრავს აგურისფერი. სიმაღლე - 13,1 სმ, პირის დმ - 3,2 სმ, მუცლის დმ - 8,8 სმ, ძირის დმ - 5,5 სმ.

ტოლჩა (190-65:266) თიხისა; მოყვითალო-მოვარდისფრო ფერის, ყურიანი; პირფართო, დაბალყელიანი- ოდნავ გამობერილი მუცლით, ბრტყელი და ფართო პირით. მუცლის შუა ნაწილს ოთხწყება წვრილი და ხშირი ბურცობებისაგან შედგენილი სარტყელი შემოუყვება. ბურცობები შიდაპირიდანაა დაჩხვლეტით მიღებული. თიხა წმინდაა, კარგად განლექილი, პირის დმ - 8,7 სმ, ძირის დმ - 8 სმ, სიმაღლე - 9,5 სმ, მუცლის დმ - 10,8 სმ.

ჭინჭილას ანალოგი არქეოლოგიურ ლიტერატურაში ჩვენ არ გვეგულება. მისი, ასე ვთქვათ, უნიკალურობა, სამარხეული ნივთების დათარიღებას ვერ შეუშლის ხელს, პირიქით, ზოგი ნიშნით იგი თავის გვიანანტიკურობას ხაზს უსვამს კიდეც. მაგ., ამ ჭურჭლის ფერი, გამოწვისა და დამზადების ტექნოლოგია, კეცი იგივე ჩანს, რაც დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანის ჭურჭლების უმრავლესობისათვის და, უპირველეს ყოვლისა, ზღუდრის თიხის ხელადებისათვის ოღონდ ჭინჭილის ზედაპირი უფრო გაპრიალებული, ვიდრე ამ უკანასკნელი ხელადებისა.

რადგან ჭინჭილა უყურაა და მსხვილმუცლიანი, აღბათ, ამიტომ ხელისმოსაკიდებლად, სათითე ღრმულები გაუკეთეს. მსგავსი ჩაზნექილობებითაა შემკული ზემოთ ნახსენები ყელწიბოიანი ხელადა ძვ. ჟინვალიდან[39] და უფრო მოგვიანო ჭურჭელთაგან კი ურბნისის ნაქალაქარის უყურო დოქი[40].

ჭინჭილასთან ერთად ნაპოვნი ხელადის ფორმის მეტ-ნაკლებად მიმსგავსებული ჭურჭლები მრავლადაა აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის სხვადასხვა სამაროვნებზე. ორი ასეთი ჭურჭელი, ზღუდრეშიცაა აღმოჩენილი, რომელთაც იგი მოგვაგონებს და ზოგი ნიშნით მათგან განსხვავდება კიდეც; უპირველესად ეს ითქმის ჭურჭლის ფერზე და მის შემკულობაზე. ჩვენთვის საინტერესო სასმისის ფერი და კეცი, აგრეთვე შიდაპირიდან დაწნევის გზით მიღებული კოპებიანი სარტყლებით შემკობის წესი, გვიანანტიკურ ქართლში გავრცელებულ მრავალ თიხის ჭურჭელს ახასიათებს. კოპების რამდენიმე რიგითაა შემო-

---

38 ბრინჯაოს საცეცხლურებისა და გრიფონის შესახებ, იხ. გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ.50, ტაბ.III; Н е м с а д з е Г.М., Погребения иберийской знати из Згудери., КСИА 151, № 1977, с. 122-114, рис. 6-9.

39 ვ. ჩ ი ხ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., იქვე.

40 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ.114 ტაბ. X, სურ. 1.

საღტული მრგვალპირიანი და სამტუჩა დოქების ერთი ჯგუფის, მრგვალპირიანი ორყურა დოქების და ამ უკანასკნელთა უაღრესად მსგავსი ცალყურა სასმისების კორპუსები. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ თუნდაც სამთავროს სამაროვანი, სადაც ჩამოთვლილი თიხის ჭურჭელთა სახეობები საკმაო რაოდენობითაა I-IV სს. დათარიღებულ კრამიტსამარხებსა თუ აგურსამარხებში[41].

ზღუდრის ტოლჩის უაღრესად მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია I-III სს. დათარიღებულ მცხეთის სამაროვანზე[42].

ამდენად, ყოველივე ზემოთქმული მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენთვის საინტერესო ჭურჭელი გვიანანტიკური წარმოშობისაა.

ზღუდრის სამაროვანზე შემთხვევითაა ნაპოვნი კოპებიანი თიხის ჭურჭელი ხელადისებრი სასმისი (I90-65:267). იგი მოჩალისფრო, დაჭკრავს მოვარდისფრო ფერი. აქვს დაბალი ყელი, გადაშლილი პირი, მსხვილი მუცელი და ფართო ძირი. ყურის ღერო დაბრტყელებულია. მის გასწვრივ მუცელზე, სამ რიგად კოპების სარტყელი შემოუყვება. თიხა წმინდაა, კარგად განლექილი. პირის ორი მესამედი აკლია. სიმაღლე - II,3, პირის დმ - 5, ძირის დმ - 9, მუცლის დმ - I2,8 სმ.

ამდაგვარი ჭურჭლები ცნობილია კარსნისხევის I-II სს[43]. დათარიღებული სამაროვნიდან, სამთავროს I-III სს[44]. და თრელის[45] იგივე ხანის სამაროვნიდან და სხვა. საკმაოდ ბევრია ნაპოვნი ქუშანაანთ-გორის ნასახლარზე მომცრო ხელადების ფრაგმენტები, რომელთაც აგრეთვე კოპებიანი სარტყლები შემოუყვება. ეს ჯგუფი ჭურჭლებისა ძირითადად II-III სს. თარიღდება[46].

ხელადები ყელის წიბოზე მობმული ყურით სხვაგანაც ბევრია. მაგ., თბილისში[47], თრელის სამაროვანზე[48] და მრავალ სხვა ადგილას.

ურბნისში ჩვენს მიერ I972 წ. გათხრილ №I (273) სამარხში ყელწიბოიან თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ორი წყვილი ოქროს საყურე. ყურძნის მტევნიანი და პირამიდული ფორმის, ავგუსტეს 4 დენარი, ვერცხლის 5 ბეჭედი და სხვა.

ბეჭდებიდან 2 ცალი ჰორიზონტალურმხრებიანი და დარჩილულთვალბუდიანია. ორი ბეჭედიც დარჩილულთვალბუდიანია, რომელთაგან ერთს თანაბარი სისქის მრავალგანივკვეთიანი რკალი აქვს დანაჭდევებით შემკული, მეორეს კი რკალზე დაუყვება წახნაგი. ასევე წახნაგითაა შემკული მეხუთე ბეჭდის რკალიც. ჩამოთვლილი ბეჭდები კარგად თარიღდება III საუკუნით, რაც შეეხება პირამიდულ საყურეებს მისი გავრცელების დიაპაზონი II-IV საუკუნეებია. ამდენად სამარხის III ს. დათარიღებისათვის მყარი საფუძველი არსებობს.

ყელის წიბოზე მიძერწილი ყურიანი ჭურჭლები დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანისათვის. III ს. მეორე ნახევრიდან ვრცელდება დიდი ზომის ყელწიბოიანი ჭურჭლები, მათ შორის ორყურა და ორწიბოიანი, რომლებიც უმეტესად ნასახლარ ფენებში ჩნდება. ასეთებია ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სვასტიკიანი ორყურა ჭურჭლები, რომლე-

---

41 Мцхета, Результаты археологических иследований, том.III, М.М.Иващенко, Самтаврские погребения первых трех веков н.э.Тб.,I980,рис.63-I00.

42 ალ.კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, ეიმომხილველი, I, თბ., I949, გვ. 284 სურ. II, №28.

43 მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ.II გვ. 32,53 სურ.84, I7I-I72, 322.

44 მ.მ.ივაშჩენკო, დასახ. ნაშრომი, სურ. 67-82, 87-95.

45 ვ.ნიკოლაიშვილი, ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I თბ., I978, გვ. I00-I0I, ტაბ. 55/6I-62/

46 რ.რამიშვილი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., I979, გვ. I7, ტაბ. 34.

47 დ.ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწილი მეორე, თბ., I958, გვ. 82-83, ტაბ. XXII.

48 ვ.ნიკოლაიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. I0I, ტაბ.57, სურ. 69-70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც დასაბამს იღებენ გვიანანტიკური ჭურჭლებიდან და ფართოდაა წარმოდგენილი III-IV სს. მიჯნიდან მაინც ვიდრე VI საუკუნემდე. ზღუდრის №I და №2 ორმოსამარხის კომპლექსების განხილვისას შევნიშნავდით, რომ დარჩილულთაგან ... ჰორიზონტალურმხრებიანი ბეჭდები კარგად თარიღდება III საუკუნით. მეორეა მრგვალგანიკვეთიანი თანაბარი სისქის რკალიანი ბეჭედი, რომელზეც დარჩილული ყოფილა ბურთულიანი ფირფიტა თუ თვალბუდე. ეკუთვნის იმ ბეჭედთა ჯგუფს, რომელიც, აგრეთვე, კარგად თარიღდება III-IV სს., საყურეები კი III ს. ბოლოს და IV საუკუნეს განეკუთვნება.

თიხის ჭურჭლები, რომელნიც III ს. ბოლოდან ჩანან გავრცელებული, მოიცავენ IV საუკუნეს. ასე რომ, ზღუდრის ეს ორი სამარხეული კომპლექსი უნდა დათარიღდეს III ს. ბოლოთი და IV საუკუნის დასაწყისით, ხოლო შემთხვევით აღმოჩენილ თიხის ორ ჭურჭელს, ყელწიბოიანსა 190-65:220 და მეორეს - კოპებიანს 190-65: 267, ვათარიღებთ ზოგადად გვიანანტიკური ხანით.

Немсадзе Г.М.

КЕРАМИЧЕСКИЕ СОСУДЫ ИЗ ДЗАМСКОГО УЩЕЛЬЯ

(Р е з ю м е)

В статье публикуются керамические сосуды позднеантичной эпохи, добытые в 1964-1966 годах в могильнике и культурном слое около с.Згудери, Карельского района.

Крупные, светлоглиняные лощеные двуручные, плоскодонные сосуды с двойным ребристым ободком на горлышке найдены в горелом слое при раскопках капитального здания на вершине холма у могильника. На основании многочисленных аналогий удается установить, что подобные сосуды появляются в Грузии во второй половине III в. и получило здесь широкое распространение в IУ-УI вв.

Светлоглиняные кувшинчики с ребристым ободком на горлышке и высокой ручкой, головка которой крепиться к краю венчика, обнаружены в ямных погребениях №I и №2, которые датируются концом III - началом IУ вв. Судя по аналогиям, такие кувшинчики впервые появляются в конце III в., - бытуют в Грузии до конца IУ в.

Таков же, по-видимому, и хронологический диапазон бытования сосудика с ребристым горлом из ямного погребения №2, который отличается от вышерассмотренных кувшинчиков только отсутствием ручки. Прямых аналогий данного сосудика найти не удалось.

Плоскодонные кружки (ямное погребение №2, деревянный саркофаг №2 и разрушенное погребение с грифоном), одна из которых украшена четырьмя поясками выпуклыи, по комплексам датируются концом III в - началом IУ в.

Прямых аналогий светлоглиняному безручному узкогорлому сосудику с тремя углублениями на тулове, нам не удалось найти. По комплексу (сосудик найден с грифоном и курильницей) он датируется концом III в. - началом IУ в.

Миниатюрный светлоглиняный кувшинчик с ребристым горлом, также как и плоскодонный кувшинчик с тремя рядами выпуклых шишек на тулове из разрушенных погребений Згудери, следует датировать сумарно позднеантичным периодом, скорее всего II-III вв.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. წოწელია

წითელი წყაროს განძის ერთი სასანური მონეტის გამო

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცული ჰორმიზდ IV-ის ვერცხლის მონეტა წითელ წყაროში ნაპოვნი დიდი განძიდან არის (გ.ფ. №22390). თვით განძი შერეულია, მასში სასანურ მონეტებთან ერთად ბიზანტიური მონეტებიც არის. სასანური მონეტები განძის უდიდესი ნაწილია (99,9%) და შედგება ჰორმიზდ IV-ის, ხოსრო I-ის, ვარაჰრან VI-ის და ხოსრო II-ის მონეტებისაგან.

განსახილველი მონეტის მეტროლოგიური მონაცემებია: AR, წონა- 4,93 გრ, ზომა- 29/31 მმ, დაცულობა - კარგი.

შუბლი. ჰორმიზდ IV-ის ბიუსტი მარჯვნივ. თავსამკაული შედგება ორკბილა გვირგვინისა, მაღალი ქუდისა და ორმაგად განლაგებული წყვეტილწერტილოვანი დიადემისაგან. ვერტიკალურ ღეროზე - ნახევარმთვარე შიგ მოთავსებული სფეროთი. ღეროზე ორი მოკლე ბაფთაა. გვირგვინის პირდაპირ ხუთქიმიანი ვარსკვლავია. მეფის თმის ვარცხნილობა წარმოადგენს ბურთად შეკრულ თმებს. ყურში საყურეა. ბიუსტის მხრებთან სიმეტრიულად განლაგებული „სამეფო ბაფთებია". მარცხენა მხრის ზემოთ - ნახევარმთვარეა ზემოთ მიმართული ქიმით. მხრებზე გამოსახულია ასტრალური სიმბოლოები - ვარსკვლავები ნახევარმთვარეებით. გამოსახულების გარშემო ერთმაგი შეერთებული წერტილებისაგან შემდგარი მსხვილი რკალია. რკალს გარეთ სიმეტრიულად მარცხნივ, მარჯვნივ და ქვეშ ნახევარმთვარეებია ვარსკვლავებით. ფალაური ზედწერილი განლაგებულია გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ - 'fzwn hrmzd

„(დე გაიზარდოს) ჰორმიზდის დიდება"!

ზურგი. ატაშდანის მარცხნივ და მარჯვნივ ცეცხლის მსახურთა ფიგურებია. ატაშდანის მცველები პირისახით პირდაპირ დგანან და კვერთხებს ეყრდნობიან. ცეცხლის საკურთხეველი შედგება სამ-სამი საფეხურისაგან, შუა ადგილას შევიწროებულია, ზევით და ქვევით განიერი. საკურთხეველის შევიწროებულ ადგილზე ბაფთაა შებმული, ზევით აწეული ბოლოებით. კვარცხლბეკზე მოგიზგიზე ცეცხლია. ცეცხლის მარცხნივ ექვსქიმიანი ვარსკვლავია, მარჯვნივ - ნახევარმთვარე. მცველების მხრებიდან თითო-თითო ბაფთაა. მათი ტანსაცმელი შედგება ზედა სამოსისა და შარვლისაგან. მონეტის არე გარშემოვლებულია ერთმაგი შერწყმულწერტილოვანი რკალით. ზედწერილი მოთავსებულია მონეტის მარცხნივ - hptys - 37 წელი და მარჯვნივ - MR ქ. მერვი.

ჰორმიზდ IV იყო ხოსრო ანუშრევანის (531-579 წწ.) ვაჟი. ხოსრო I სამეფო ტახტს 48 წელი მართავდა. მისი მეფობის ბოლო წლებში სამეფო ტახტის დასაკავებლად დიდი ბრძოლა და შეთქმულებები წარმოებდა. ამ შეთქმულებებს მეთაურობდნენ შაჰინშაჰის ძმები. სამეფო კარის წარჩინებულების უმრავლესობა წინააღმდეგი იყო იმისა, რომ სამეფო ტახტის პრეტენდენტის არჩევანი ჰორმიზდზე შეჩერებულიყო. ამის ერთ-ერთი მიზეზთაგანი ჰორმიზდის დედის წარმოშობა იყო (იგი იყო თურქი ხაკანის - ფაკიმის ქალიშვილი). ამას ემატებოდა სამეფო არისტოკრატიის უკმაყოფილება გამოწვეული ჰორმიზდ IV-ის სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით.

ფალაური ლიტერატურული ძეგლის „დენკარტის" მიხედვით (რომელიც სასანიანთა ეპოქაში ზოროასტრიზმის კანონიზირებულ ენციკლოპედიას წარმოადგენდა), „საუკეთესო მეფეები ისინი არიან, ვინც ხალხში რელიგიას ნერგავენ". სასანიანთა იმპერიაში შე-

მავალი უცხო სარწმუნოების მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობდა ამიერკავკასიის და მესოპოტამიის რაიონებში. ცნობილია ჰორმიზდ IV-ის გამოთქმა, „როგორც სამეფო ტახტი ვერ იდგება მხოლოდ წინა ფეხებზე, ისე სახელმწიფო შეუძლებელია, იყრდნობოდეს მხოლოდ ზოროასტრიზმს“. ჰორმიზდ IV-ის დიდ რჯულშემწყნარებლობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სასანელი მობედების (სამღვდელო პირების) სურვილზე გაეძევებინათ ქვეყნიდან იუდეველები და ქრისტიანები, თვითმპყრობელმა უპასუხა: „დიდი სახელმწიფო ვერსად გაექცევა მოწინააღმდეგეებს და დიდ სახელმწიფოში უნდა იყოს ყოველნაირი რჯულის ხალხი“.

არაბი ისტორიკოსის დინავრის ცნობით, „ჰორმიზდი იყო შაჰანშაჰი, რომელიც იჩენდა გამტანიანობას ქვეშევრდომების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ის იყო მოწყალე სუსტებისა და მკაცრი ძლიერების მიმართ“[1].



1

2 3

4

დაჯდა თუ არა ირანის სამეფო ტახტზე, ჰორმიზდ IV-მ შეამცირა მობედების უფლებები. ის მკაცრად ექცეოდა თავის მოწინააღმდეგეებს. წყაროთა ცნობით, გაშეფებისთანავე მან სიკვდილით დასაჯა თავისი ძმა ანუშზადი, რომელიც მისი მოქიშპე და სამეფო ტახტის პრეტენდენტი იყო. შაჰანშაჰის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს ირანის მობედან მობედი ზარდუშტი, ხოსრო I-ის კარის მოხელეები და თანამოსაგრეები ბუზრმიჰრი, იზიდა გუშნასპი, აზარმაჰანი და სხვები[2].

---

1 К о л е с н и к о в А.И. Иран в начале VI веке, ПС, вып.22(85), Л., 1976, с. 116.

2 J. M o h l, Le Livre des Rois, JA, ser.III, t.VI, p. 442-452.

ბრძოლა შაჰანშაჰსა და დიდებულებს შორის წარმოებდა რამდენიმე წელს, ეს გრძელდებოდა და შეეხო სამ პრივილეგირებულ ფენას: ქურუმებს, მეომრებს და მეფეებს. ირანული წყაროების მიხედვით, ჰორმიზდ IV თითქმის არ ცხოვრობდა [illegible]ში. ის ბევრს მოგზაურობდა ქვეყნის შიგნით, ჩახედული იყო სახელმწიფოს ყველა საქმეში. ზაფხულს ატარებდა ერაყში, ზამთარს კი ეარსში.

ჰორმიზდ IV-ის ზეობის დროს ირანსა და ბიზანტიას შორის საომარი ბრძოლები გრძელდებოდა, თუმცა ისინი ლოკალურ ხასიათს ატარებდნენ. მისი მეფობის მეშვიდე და მერვე წელს ირანი უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ირანის საზღვრებს ყველა მხრიდან მტრები შემოესივნენ: ჩრდილოეთიდან - ხაზარები, სამხრეთიდან - არაბული ტომებისაგან შემდგარი რაზმები, აღმოსავლეთიდან - თურქები და ეფტალიტები. ჰორმიზდ IV სამეფო არისტოკრატიამ დააბრმავა და ჩამოაგდო ტახდიდან.

თავისი მეფობის მანძილზე ჰორმიზდ IV ჭრიდა მხოლოდ ერთი ტიპის მონეტებს. მისი დრაქმები იჭრებოდნენ აბარშაჰრის, ქტესიფონის, მერვის, რეის, ჰამადანის, ბიშაპურის, ნეჰავენდის, იეზდის, ისფაჰანის, რამ-ჰორმიზდის, არტაშირ-ხვარეს, სტაჰრის, არმენიის ზარაფხანებში.

აღწერილი ჰორმიზდ IV-ის მონეტის შუბლი წარმოადგენს ამ შაჰანშაჰის მიერ მოჭრილი დრაქმების საყოველთაოდ ცნობილ ერთადერთ ტიპს. ზურგზე აღნიშნულია მოჭრის წელი - 37 და ზარაფხანა - ქ. მერვი, რომელიც სასანიანთა ბატონობის საყრდენს წარმოადგენდა ხორასანის ჩრდილო-აღმოსავლეთში. არაბი ისტორიკოსების იაკუბისა და თაბარის მიხედვით, ჰორმიზდ IV სასანიანთა სამეფო ტახტზე 12 წელი დაჰყო, საალიბის გადმოცემით კი - 11 წელი და ცხრა თვე.

მონეტის ზურგის მოჭრის თაობაზე უნდა დავუშვათ ორი შესაძლებლობა:

1. ან 37 წელი წარმოადგენს გრაფიკულ შეცდომას (მონეტის მომჭრელის შეცდომა),
2. ან გამოყენებულია ხოსრო I-ის მონეტების ზურგის ძველი სიქა (შტემპელი)[3].

საყურადღებოა ხოსრო I-ის მეორე ტიპის და ჰორმიზდ IV-ის მონეტების რევერსებს შორის არსებული სტილისტური მსგავსება. ტიპოლოგიურად მსგავსი, მაგრამ ამავე დროს განსხვავებული სიქების არსებობა ოქროს და ვერცხლის მონეტებზე არც თუ ისე იშვიათია სასანური ნუმიზმატიკისათვის.

---

3 ი. ჯალაღანიას შემდეგნაირად აქვს განსაზღვრული ეს მონეტა: „ჰორმიზდ IV-ის მონეტის ტიპი მოჭრილი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ხოსრო II-ის მეფობის 627/28 წწ-ში“. Джалаганиа И.Д. Монетные клады Грузии, Клад сасанидских и византийских монет из Цители Цкаро, Тб., 1980, ч.II, №709[a].

ხოსრო II თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე ჭრიდა ორი ტიპის რეგულარულ მონეტებს. მონეტების პირველი ტიპი იჭრებოდა მისი მეფობის I/2 წლებში. ამ ტიპის მონეტებზე გამოსახულება შუბლზე მოთავსებულია ორმაგ, ხოლო ზურგი- სამმაგ რკალში. რკალს გარეთ ყოველთვის ასტრალური სიმბოლოებია გამოსახული მხოლოდ ნახევარმთვარისა ან ნახევარმთვარისა და ვარსკლავების სახით. ხოსრო I-ის და ჰორმიზდ IV-ის დრაქმების რევერსები ყოველთვის ერთმაგ რკალში არიან ჩასმული, როგორც ეს აღწერილ მონეტაზეა წარმოდგენილი. განსახვავებულია მონეტის ზურგზე ცეცხლის მცველების თავსაბურავები ხოსრო II-ის მონეტებზე არსებული თავსაბურავებისაგან. ამ მონეტის ემისია არ შეიძლება მომხდარიყო 627/28 წწ-ში (ე.ი. ხოსრო II-ის მეფობის დროს), როგორც ამას ი. ჯალაღანია მიიჩნევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Цоцелия М.В.

Об одной монете Цителцкаройского клада

Р е з ю м е

Монета входит в состав большого клада найденного в с.Цителицкаро. Лицевая сторона монеты представляет собой общеизвестный тип драхм сасанидского шаханшаха Хормизда IУ. Интерес представляет оборотная сторона монеты с указанием года (37) и места (МЕРВ) ее чеканки.

Судя по сведениям арабских историков, Хормизд IУ правил иранским престолом в течение I2 лет. Поэтому относительно чекана реверса монеты можно допустить две вероятности: или 37-й год является графической ошибкой резчика монеты, или был использован старый штемпель оборотной стороны монеты Хосрова I-го.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. აბრამიშვილი

ნოჯიხევის ვერცხლის მონეტების შერეული განძი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ[1] 1978 წლის ზაფხულში დაზვერვითი სამუშაოების დროს, ნოქალაქევის აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე, მარტვილის რაიონის სოფ. ნოჯიხევში, მდინარე აბაშის მარცხენა ნაპირზე გამოავლინა „რომელიდაც დიდებულის რეზიდენცია, რომელსაც სასახლესთან ერთად საკუთარი ეკლესია და აბანო ჰქონია"[2]. არქეოლოგიურმა თხრამ ისიც გამოარკვია, რომ „IX საუკუნეში მტერს ეს ნაგებობები გადაუბუგავს, X საუკუნის ბოლოს კი აქ ცხოვრება ისევ განახლებულა"[3].

არქეოლოგებმა გორაკის მიწისაგან გასუფთავების დროს გუმბათიანი ტაძრის ნანგრევებში არქეოლოგიურ მასალასთან ერთად ტრაპიზონის და რუმის სელჩუკების ვერცხლის მონეტები აღმოაჩინეს.

მომდევნო 1979 წელს ექსპედიციამ ნოჯიხევის მიდამოებში კიდევ 5 მონეტა მოიპოვა: სამი ტრაპიზონული ასპრი (მანუელ I-ის 2 ცალი, და იოანე II-ისა, I ასპრი), ერთი არაბული და ერთიც თურქული. მონეტები სხვადასხვა ადგილას იყო დადასტურებული.

ჩამოთვლილ მონეტებს 1978 წელს აღმოჩენილ მონეტებთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტრაპიზონულ მონეტებს.

1979 წელს აღმოჩენილი სამი მონეტა ტრაპიზონის საკეისროდან მომდინარეობდა, არაბული მონეტა მურვან ყრუს შემოსევის „ნაშთი" შეიძლება იყოს. თურქული ყურუმიკი ამ ტერიტორიაზე თურქთა ესპანსიის მაჩვენებელია. ამ დროს დასავლეთ საქართველოში დადასტურებულია, როგორც თურქული და ირანული, ისე ევროპული მონეტები.

ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ 1978 წელს მოპოვებულ მონეტებს, რომელიც ქილაში ყოფილა მოთავსებული. მათ პირობითად განძი ვუწოდეთ და თანაც შერეული[4].

საქართველოში დღემდე მსგავსი ნარევი განძები ნაპოვნია ვანის რაიონის სოფ. ტობანიერში[5], თერჯოლის რაიონის სოფ. ზედა საზანოში[6], თბილისში, ქარელის რაიონის სოფ. ხეობაში[7].

საკვლევი განძი ქრონოლოგიურად XIII საუკუნით თარიღდება, მისი ანალიზიდან ირკვევა, რომ ეს 13 მონეტა ორად ჯგუფდება: I ჯგუფის 8 მონეტა ტრაპიზონის კეის-

---

1 ნოქალაქევი არქეოლოგიურად პირველად 1930 წელს იქნა მოსინჯული, მოგვიანებით, 1973 წელს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით წამოიწყო დიდი მასშტაბის საველე სამუშაოები ნოქალაქევის ტერიტორიაზე და მიმდებარე რაიონში. გათხრებმა დაადასტურა ქართული და უცხოური წყაროების ცნობების სისწორე, ციხე-გოჯის არქეოპოლისის და დღევანდელი ნოქალაქევის იდენტურობა.

2 „სწავლობენ ეგრისის ისტორიას", გაზეთი „კომუნისტი", 1979. 4/I, №3.

3 იქვე.

4 ასეთი შერეული განძი კახეთშიც აღმოჩენილა, სამწუხაროდ, განძი უგზოუკლოდ გაქრა.

5 Голенко К.В. Клад монет из села Тобаниери, ВВ том. XVI, 1962, л. 127-172.

6 Джалаганиа И.Л. Два клада сельджукских монет, Советская Археология, №2, 1958, л.207-217.

7 თ. ლომური, ხეობის განძი, ხელნაწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მანუელ I-ის (1238-1263) სახელიანია; II ჯგუფის 5 მონეტა რუმის სელჩუკებსა და ამ დინასტიის ოთხ სულტანს ეკუთვნის. ესენია:

ქაიხოსრო II - ჰიჯრის 638 წ. (1240-1241 წწ.). მოჭრის ადგილი [illegible]

ქეიქაუს II, თარიღი და მოჭრის ადგილი არა ჩანს.

ყილიჯ-არსლან IV, თარიღი და მოჭრის ადგილი არა ჩანს.

სამი ძმის ქეიქაუს II, ყილიჯ-არსლან IV და ქეიკუბად II-ის ერთობლივად მოჭრილი, მონეტაზე თარიღი არ ჩანს.

ქეიქაუს II ჰიჯრის 640 წ. (1242-1243 წწ.) კონიაშია მოჭრილი.

მონეტები განსაზღვრულია - ისმაილ ჰაღიბის („სელჩუკური მონეტები", კონსტანტინოპოლი, 1891-1892) კატალოგის მიხედვით.

სიაში, რომელიც თან ერთვის ნაშრომს, აღნიშნულია ზეობის წლები და მეტრული მონაცემები.

მეორე ჯგუფი ქრონოლოგიურად 1236-1257 წლებზე მოდის. ორივე ჯგუფი თარიღების თვალსაზრისით მჭიდრო კავშირში არიან.

ნოჯიხევის განძი ქრონოლოგიურად 1236-1263 წწ. შორის თავსდება, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ განძმა ჩვენამდე, ნაკლული სახით მოაღწია (სულ 13 მონეტა).

ნოჯიხევის განძი, მიუხედავად თავისი სიმცირისა, რამდენადმე ასახავს დასავლეთ საქართველოში მოქმედი ფულის მიმოქცევას და მნიშვნელოვანი ძეგლია დასავლეთ საქართველოს ტრაპიზონისა და რუმის სელჩუკების ურთიერთობის გასარკვევად.

საგარაუდოა, რომ დასახელებული მონეტები, აღბათ, რომელიმე დიდი განძის მცირე ნაწილია და ამიტომაც ძნელია მასზე გაბედული საუბარი. მაგრამ ერთი რამ კი უნდა ითქვას, რომ შერეული განძის დამახასიათებელი ნიშნები მაინც შეიმჩნევა- სახელდობრ, ყოველთვის ჭარბობს აღმოსავლური მონეტები (ხეობის განძი, ზედა საზანო, თბილისი, კახეთი), თითო-ოროლა ტრაპიზონული ასპრის ნარევით. ამ მხრივ გამონაკლისია და მეტობს ტრაპიზონული მონეტები (ტობანიერის და საკვლევი განძის შემადგენლობა), რაც იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებით უნდა აიხსნას; ყოველ შემთხვევაში ასეა დღემდე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს გრანდიოზული არქეოლოგიური სამუშაოები ნოქალაქევში დროისა და პირობების შესაფერისსა და მოსალოდნელ ნუმიზმატიკურ მასალას ვერ იძლევა, თუმცა საგაზეთო წერილი „...მდიდარ ნუმიზმატიკურ მასალაზე"[8] მიგვითითებს. ნოქალაქევი და მისი შემოგარენი ნუმიზმატიკური ძეგლების სიუხვით ჯერჯერობით არ არის გამორჩეული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში VI საუკუნის 23 ცალ ბიზანტიურ ოქროს მონეტას, რომელიც 1930 წლის ოთხთვიანმა არქეოლოგიურმა კომპანიამ მოგვცა[9]. ნოქალაქევისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლა გრძელდება, უფრო და უფრო ფართოვდება და, შესაძლოა, რომ ქალაქმა არქეოპოლისმა- ციხე-გოჯმა და მისმა შემოგარენმა ნუმიზმატიკაშიც თავისი სიტყვა თქვას.

აქვე ორიოდე სიტყვა იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე, რამაც ხელი შეუწყო ამ მონეტების ჩვენში შემოსვლას.

ცნობილია, რომ ტრაპიზონის სამეფო თამარ მეფის ხელშეწყობითა და უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა, მეფედაც თამარმა თავისი ნათესავი, საქართველოში, სამეფო კარზე გაზრდილი, აღექსი I კომნენი დასვა. ტრაპიზონის საკეისროს მართვა-გამგეობაში და სამხედრო ორგანიზაციაში ქართველების გავლენა საგრძნობი და წამყვანი იყო.

XIII საუკუნის ოციანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლები დამკვიდრდნენ. მათ საქართველოს მეურნეობასა და ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენეს. ცხადი გახდა, რომ ამჯერად შემოსული მტრის უკუგდება დაუძლურებულ საქართველოს არ შეეძლო და მათ წინააღმდეგ ბრძოლაც უშედეგო იქნებოდა. შექმნილი ვითარების გამო დასავლეთ საქართველოში გახიზნული რუსუდან დედოფალი თავისი მცირეწლოვანი შვილით უკან აღმო-

---

8 გ. ჭ ე ლ ი ძ ე, ნოქალაქევი საიდუმლოებას ამჟღავნებს, გაზეთი „თბილისი", №177, 3 აგვისტო, 1979.

9 თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ნოქალაქევის გ.ნძი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XX-8, თბ., 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავლეთ საქართველოში „გადმოვიდა... ლიხით და მოვიდა ტფილისა“[10]. დაუზავდა მონღოლებს და მათი უზენაესობა სცნო. ისიც ცნობილია, რომ მონღოლებმა დასავლეთ საქართველოში გადასვლა ვერ გაბედეს[11]. სამაგიეროდ, მათი ძლიერების ტალღა საქართველოს მეზობლად მდებარე და მის მიერ დაარსებულ ტრაპიზონის საკეისროს მოუვდა. საქართველო კი შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო მის მფარველობაში მყოფ ტრაპიზონის სამეფოს სამხედრო დახმარებას ვედარ უწევდა. სელჩუკიანთა სულთანმა ღიასედინმა (ქაიხოსრო II) ყველა თავისი მოკავშირით (1243 წელს მონღოლთა ლაშქრისაგან დამარცხებულმა) ხარკის ძლევა იკისრა. მონღოლთა მეხარკეობა ტრაპიზონის კეისარმა მანუელ I-მაც ვერ აიცდინა. მიუხედავად ამისა, უმეფოდ მიტოვებულ დასავლეთ საქართველოსთან კომნენებისა და სელჩუკების ეკონომიკური ურთიერთობა მაინც გრძელდება. ამის საუკეთესო ნიმუშია ნოჯიხევის განძი, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ საქართველოს გარეშე სამყაროსთან ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

ნოჯიხევში აღმოჩენილი მონეტების ქრონოლოგიური მონაცემებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი დასავლეთ საქართველოში შემოსულია აღბათ იმ დროს, როდესაც ნარინ დავითი ყარაყურუმიდან დაბრუნებული არ არის ან შეიძლება ჩამოსულია აღმოსავლეთ საქართველოში და დავით ულუსთან ერთად მართავს ქვეყანას.

მართალია, ამ რიცხვმცირე მონეტების განძით ძნელია საბოლოო დასკვნების გამოტანა, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას, რომ ნოჯიხევის განძის შემადგენლობა მეტად დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების თვალთახედვით და ამდენად მისი მეცნიერული ღირებულებაცა და მნიშვნელობაც ფასდაუდებელია.

აქ გვინდა განძის მეორე ჯგუფის ერთ მონეტაზე შევჩერდეთ. იგი ქაიხოსროუ II-ის სახელით არის მოჭრილი ლომისა და მზის (ადამიანის სახის მსგავსი) გამოსახულებებით. გადმოცემით, ეს მონეტა ქაიხსრო II-ეს თავისი მეუღლის პატივსაცემად მოუჭრია.

არაბულ ქრონიკებში დაცული ცნობების თანახმად, „თამარის (რუსუდან დედოფლის ასულია თ.ა.) ქმარს ღიასედინ სულთანს (ქაიხოსრო II, თ.ა.) ისე გაგიუებით ჰყვარებია თავისი ცოლი, რომ მისი სახის ფულებზე გამოსახვას აპირებდა. მაგრამ მას, ამის მაგიერ მისი თანამეცხედრის დასაკმაყოფილებლად და ბედნიერების ნიშნად ლომს ზევით მოთავსებული მზის გამოსახვა ურჩიეს[12] (ტაბ.I, 9).

ქრონიკებში არსებულ ცნობას ქაიხოსრო II-ის ამ ტიპის მონეტის მოჭრასთან თითქოს პირდაპირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ასე თუ ისე ჩვენ გვაქვს ქაიხოსროუ II-ის მონეტა, რომელზედაც გამოსახულია ლომს ზევით მზე.

განძში თავმოყრილი მონეტების მსგავსი ფულები კარგად არის ცნობილი და ბევრჯერ გამოქვეყნებულიც, ამდენად მათ აღწერილობას არ ვიძლევით და ვკმაყოფილდებით მონეტების სიის და ფოტორეპროდუქციის დართვით (ტაბ.I).

---

10 ქ ც-ბა, II, გვ. 198, 1959, გვ.198, 15-16.

11 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, გვ. 110.

12 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 104 და იქ დასახელებული ლიტერატურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Абрамишвили Т.

Смешанный клад серебрянных монет из с.Ноджихеви

Р е з ю м е

Во время проводимых Нокалакевской археологической экспедицией работ в 1978 году в с.Ноджихеви Гегечкорского р-на был найден клад, состоящий из 13 монет. Монеты были найдены в руинах купольной церкви.

Клад делится на две группы: 1-8 аспров трапезундского цезаря Мануила I (1238-1263) - 5 монет, относящихся к румийским правителям: Каихосро II-(1236-1245) - I экз.; Каикасу II (1245-1257) - 2 экз.; Килидж-Арслану IУ (1248-1257) - I экз.; Трем братьям: Кеикаусу II, Килидж-Арслану IУ и Кеикубаду II-(1249-1257) - I.

Эти 13 монет хронологически относятся ко второй четверти XIII века.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოჯიხევის მონეტების განძის სია

№№	მონეტის კუთვნილება	თარიღი	წონა გრ.	ზომა მმ.	შენიშვნა
I.	მანუელ I	I238-I263 წწ.	2,83	23/24	
2.	მანუელ I	I238-I263 წწ.	2,83	20/2I	
3.	მანუელ I	I238-I263 წწ.	2,92	20/2I	
4.	მანუელ I	I238-I263 წწ.	2,84	22/23	
5.	მანუელ I	I238-I263 წწ.	2,96	I9/2I	
6.	დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული)	XIII-XV სს.	2,87	2I/22	
7.	დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული)	XIII-XV სს.	2,73	2I/22	
8.	დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული)	XIII-XV სს.	2,42	20/2I	
9.	ქაიხოსრო II	I236-I245 წწ.	2,82	2I	
I0.	ქეიქაუს II	I245-I257 წწ.	2,55	2I	
II.	ყილიჯ-არსლან IV	I248-I249 წწ.	2,34	20	
I2.	ქეიქიუს II, ყილიჯ-არსლან და ქეიკუბად II	I249-I257 წწ.	2,26	20	
I3.	ქეიქაუს II	I245-I257 წწ.	2,90	22	


1

2


3

4


5


6


7

8

9


10

11


12


13

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. კვირკველია

XVI-XVIII სს. ჩინური ფაიფური

(საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების
კერამიკის ფონდის მიხედვით)

ფაიფური მსოფლიო კერამიკული წარმოების ისტორიაში უთვალსაჩინოესი მოვლენაა. როგორც ცნობილია, მისი სამშობლოა ჩინეთი. სადღეისოდ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები და ჩინური წერილობითი წყაროები არ იძლევა მისი წარმოების დასაწყისის ზუსტად განსაზღვრის საშუალებას. ამიტომ მკვლევარები ფაიფურის გაჩენის თარიღად სხვადასხვა დროს ასახელებენ - ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან მოკიდებული XI საუკუნემდე. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ IX-X სს. ჩინეთში გავრცელებული იყო თეთრი ფაიფურისაგან დამზადებული ნაწარმი. სუნის პერიოდის (960-1279) ჩინური წერილობითი წყაროები უმდერიან ფაიფურს „ცისფერს, როგორც ზეცა კრიალას, როგორც სარკეს, თხელს, როგორც ქაღალდი, წკრიალას, როგორც ცინი (მუსიკალური საკრავი)[1].

აღსანიშნავია, რომ ფაიფურის არსებობის შესახებ პირველად კაცობრიობას ამცნეს არა თვით ჩინელებმა, არამედ არაბებმა. მსოფლიოს მრავალი მეცნიერის აზრით, IX ს. მაჰმადიანურ მესოპოტამიაში (ხალიფათის ცენტრში) ფაიანსის ნაწარმის აღორძინებას ბიძგი მისცა ჩინურმა ფაიფურმა. ჩინური ფაიფური სწრაფად გავრცელდა ირანშიც IX ს. და აქედან მოკიდებული XIX ს. ჩათვლით იგი დიდ გავლენას ახდენდა ირანულ მხატვრულ ფაიანსზე.

კიდევ მეტიც, ირანი ჩინეთისაგან იძენდა ფაიფურის საუკეთესო ნიმუშებს, თვითონ ამზადებდებდა ფაიანსის მინაბაძებს, ნაწარმზე აღბეჭდავდა იეროგლიფებს და დასავლეთ ევროპაში თავისად ასაღებდა. ერთი სიტყვით, ირანი გადაულახავ ზღუდედ აღმართა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ჩინური ფაიფურით ვაჭრობის საქმეში. ამაზე თავისი გამოხატულება ფაიფურის ზოგად სახელწოდებაში პოვა. ქართული ფაიფური, რუსული фарфор სპარსული „ფეყფურიდან“ მომდინარეობს.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით მოწმდება, რომ კავკასიის ქვეყნებისათვის (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) ფაიფურის ძირითადი მიმწოდებელი იყო არა თვით ჩინეთი, არამედ ირანი. ამას მოწმობს ამ ქვეყნების ენაში გავრცელებული ფაიფურის აღმნიშვნელი ძველი სახელწოდებანი „ეყფურ“ და „ჩინი“, რომლებიც სპარსული წარმოშობისაა, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ფაიფური მოხსენიებულია „ფარფურის“, შემდეგ „ფაიფურის“ ჩინურისა და ჩინის სახელწოდებით[2]. ავტორის თქმით ფარფური ყველაზე ადრე XV ს. გვხვდება, ჩინური და „ჩინი“ კი ცოტა მოგვიანებით. 1523 წლის ბარათაშვილების გაყრილობის წიგნში ჩამოთვლილია: „თასები, ჭიქები, ჩინურები, ქუაბები, თეფშები, ბარქაშები“[3]. ანუკა ბატონიშვილის 1712 წ. მზითვის წიგნში მოხსენიებულია „ჩინისა და ვენეტიკის თეფში,

---

1 Стужина Э.П. Китайское ремесло в XVI-XVIII вв. Каталог. М.,1970,с.61.

2 ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 51, 63, 65.

3 ქრონიკები, II. 350.

ასევე ჩინისა კულა"[4]. ხსენებულ ტერმინებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს „ფარფური" და „ჩინი", რომლებიც, ჩვენი აზრით, ფაიფურის აღმნიშვნელი სპარსული სიტყვებით წარმოსდგებიან. „ჩინი" სპარსულად ნიშნავს ჩინურს. იგი ფაიფურის აღმნიშვნელი ცნებაა. ამრიგად, ზემოხსენებული სპარსული ტერმინების ქართულ ენაში დამკვიდრება ირანიდან საქართველოში ჩინური ფაიფურის შემოტანას უნდა გამოეწვია.

სხვათა შორის, იაპონიაში ფაიფური გაჩნდა XVI საუკუნეში. შემოქონდათ იგი ჩინეთიდან და კორეიიდან. იაპონელებმა ჩინეთიდან და კორეიიდან შემოიყვანეს ფაიფურის დამამზადებელი ოსტატები, რომელთაც კუნძულ კიუსიუზე აღმოაჩინეს ფაიფურისათვის საჭირო თეთრი თიხა „კაოლინი" და დაიწყეს იქ, ადგილზე მაღალი ხარისხის ჭურჭლის დამზადება. აღსანიშნავია, რომ დღეს იაპონიაში უფრო თიხის ჭურჭელია გავრცელებული, ვიდრე ფაიფურისა.

ს.ჯანაშიას სახ.საქართველოს სახ.მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დიდი ხანია ინახება გვიანფეოდალური ხანის ჩინური ფაიფურის საყურადღებო ნიმუშები. აქ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი XVI-XIX სს. ფაიფურის ფიალები, ჯამები, ბადიები, თეფშები, ლანგრები, სანელსაცხებლები, დოქები, დეკორატიული ვაზები და სხვა. საინვენტარო დავთრებში დაცული ცნობების მიხედვით ჩანს, რომ ისინი შეძენილია ცალ-ცალკე 1902 წლიდან მოკიდებული 1942 წლის ჩათვლით. ამ ხნის განმავლობაში კერამიკის ფონდში თავი მოიყარა მდიდარმა კოლექციებმა. დიდია ამ კოლექციების მნიშვნელობა, რადგან მათი შესწავლა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ფეოდალური ხანის ჩინური ფაიფურის წარმოება-განვითარების შესახებ.

წინამდებარე ნაშრომი ზემოხსენებული კოლექციების მეცნიერულ შესწავლას ემყარება. მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ამ საკითხის შესწავლას შეუდგებოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია იმ საბჭოთა და უცხოელი მეცნიერების ნაშრომების მიმოხილვა, რომლებიც დიდ დახმარებას გვიწევენ ჩვენი საკვლევი კოლექციების შესწავლაში.

ჩვენ ხელთ არსებული სპეციალური თუ ზოგადი სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლიდან ჩანს, რომ XVI-XVII სს. ჩინური ფაიფური სათანადოდ შესწავლილი არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენ მოგვეპოვება ზოგი ნაშრომები, სადაც მეტ-ნაკლებად არის განხილული საკვლევ თემასთან დაკავშირებით აღძრული საკითხები . ამ მხრივ ყურადღების ღირსია ტ.არაპოვას მიერ შედგენილი სახ.ერმიტაჟში დაცული XIV-XVIII სს. ჩინური ფაიფურის ჭურჭლის კატალოგი[5]. იგი საინტერესოა, როგორც ნივთიერი, შესაჯერებელი მასალების შემცველი ნაშრომი.

ჩინური ფაიფურის საყურადღებო ნიმუშები შესწავლილია და გამოქვეყნებულია მ.კრეჩეტოვასა და ე.ვესტფალენის ერთობლივ ნაშრომში[6]. ჩინური ფაიფურის ჭურჭლის დამზადების ხალხური ხერხების შესახებ საინტერესო მასალებია დაცული ე.სტუჟინასა[7] და ე.კვერფელდტის[8] მონოგრაფიებში. საკვლევი პერიოდის ჩინური ფაიფურის ნაწარმის დამზადების ხალხური ხერხების წარმოჩენისას უცხოელ მეცნიერებთან ერთად ჩვენ ძირითადად დასახელებულ ნაშრომებს ვეყრდნობით. ჩინური ფაიფურის შესწავლაში დიდი დამსახურება მიუძღვის უცხოელ მეცნიერებსაც, რომელთა შორის ცალკე უნდა გამოიყოს რ.ჰობსონი[9] და ე.ციმერმანი[10]. რ.ჰობსონს სხვა ნაშრომებთან ერთად გამოქვეყნებული აქვს

---

4 საქართველოს სიძველენი III, 490.

5 Арапова Т.Б. Китайский фарфор в собрании Эрмитажа, конец XIУ-первая треть ХУШ века, Каталог. 1977.

6 Креечатова,М., Вестфален Э.Китайский фарфор,М-Л.1947.

7 Стужина Э. Китайское ремесло в ХУI-XIШ вв.Москва, 1970.

8 Кверфельдт Э. Фарфоф Л., 1940.

9 R.Hobson. The Later Ceramic wares of China, London, 1925;

მისივე: Chinese pottery and Porcelain, vol. I-II, London, 1915.

10 E.Zimmerman. Chinesisches Porzellan, BDE, I-II, Leipzig, 1913.

ჯორჯ ეუმორფოპოლუსის, ლეონარდო გაუს. სერ პერსივალ დევიდის კოლექციათა კატალოგები[11].

მეტ-ნაკლები ფუნდამენტური შრომები გამოაქვეყნა ჯ.ფოუპმა, რომელმაც შეისწავლა და გამოიკვლია ტოპკაპუს სასახლის მუზეუმსა (თურქეთი) და არდებილის შეჩეთში (ირანი) დაცული ჩინური ფაიფურის საყურადღებო ნიმუშები[12]. გვიანდელი ხანის ჩინური ფაიფურის შესწავლისადმია მიძღვნილი ს.ჯენინხას მონოგრაფია[13]. ჩვენს მიერ საკვლევი ჭურჭლის ზოგიერთი ნიმუშის დათარიღებაში დიდ დახმარებას გვიწევს ჰ.გერნერის ნაშრომი[14].

როგორც ზემოთ ითქვა, ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცულია გვიანფეოდალური ხანის ჩინური ფაიფურის საყურადღებო კოლექციები. ვიდრე მათ უშუალოდ შესწავლას შევუდგებოდეთ, აუცილებელ გარემოებად მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევეხოთ ფაიფურის დამზადების ხალხურ ხერხებს XVI-XVIII სს. ჩინეთში. საამისოდ ჩვენ გამოვიყენებთ ამ საკითხებზე სამეცნიერო ლიტერატურაში გაფანტულ ცნობებს.

როგორც ცნობილია, ფაიფურის წარმოებაში ძირითადი კომპონენტია კაოლინი, ანუ თეთრი საგანგებო ჯიშის თიხა. იგი ჩინეთში ბევრგან გვხვდება. თავდაპირველად მას მიაკვლიეს ჩინეთში „კა-ო-ლინის" მთაზე. აქედან იგი იქცა ასეთი სახის თეთრი თიხის ზოგად სახელწოდებად და მსოფლიოს მრავალ ენაში დამკვიდრდა.

ფაიფურის შედგენილობაში მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია მინდვრის შპატი ანუ კვარცი. კაოლინისა და მინდვრის შპატის შენაერთი იძლევა ფაიფურის მასას. კაოლინი გამოირჩევა თეთრი ფერით, რომელიც თითქმის თავისუფალია მინარევებისაგან. მაგრამ იგი გამოწვისას ცუდად დნება, რისთვისაც მასაში გარკვეული პროპორციით ურევენ შპატსა და კვარცს, რომლებიც დნებიან და ქმნიან მინისებრ გამჭვირვალე მასას. კაოლინი კი მას ანიჭებს ნაზ სითეთრეს. იმისათვის, რომ მიიღონ უფრო რბილი ფაიფური, ნაზავში ურევენ კირს, რაც ასე დამახასიათებელია ჩინელებისათვის[15]. ჩინეთში ფაიფურის მასას სარდაფებში ჯერ დაასველებდნენ, დააღპობდნენ, ხოლო შემდეგ კი გაყინავდნენ. წყალში დასველებული მასა მიედინებოდა მრავალ აუზში, სადაც თანდათან იღექებოდა წვრილი მარცვლები - სანამ ბოლო აუზში არ დარჩება უწვრილესი ნალექი. ეს ბოლო ნალექი იწმინდება რკინისაგან მაგნიტის საშუალებით. ამის შემდეგ ფაიფურის მასას ამოიღებენ, დასრესენ და დაწნეხავენ, რათა ზედმეტი წყალი გამოაცალონ. მასის დალპობა ხელს უწყობს ნაზავის გაზებისაგან განთავისუფლებას. ფაიფურის ნაზავში გაზების არსებობა მავნებელია: იგი იწვევს ნაწარმის გამოწვისას დაბზარვას და ზრდის წუნს.

ჩინეთში XVI-XVIII სს. ფაიფურის მასის მომზადება ხელით ხდებოდა: დაფქვა, გაცრა და გარეცხვა[16]. მხოლოდ XVIII ს. ამ ოპერაციებში მოხდა ზოგიერთი ცვლილება. მასის ხელით დანაყვას არ შეეძლო წარმოების დაკმაყოფილება, რის გამოც როდინი წყლის წისქვილმა შეცვალა[17].

ჩინელები სათანადოდ მომზადებულ ფაიფურის მასისაგან მიმართავდნენ ნაირი სახის ნაწარმის დამზადებას. არსებობდა ჭურჭლის დამზადების ორი ხერხი - ყალიბებში არასწორი ფორმის ჭურჭლების მოთელვა და სათუნე ჩარხზე ფორმირება[18]. XVIII ს. წყაროებ-

---

11 R.Hobson. Catalogue of the Georg Eumorfopoulus Collection, London, 1925-28; Catalogue of the Leonard Gaw Collection of Chines Porcelain, London, 1931.

12 J.A.Pope. Chinese Porcelains from the Ardebil Shrine, Washington, 1956.

13 S.Jenyns, Later Chines Porcelain, The Ching gynasty, 3-rd ed., London, 1965.

14 Harry Gerner. Oriental blue and white, p. 97.

15 С т у ж и н а Э., Китайское ремесло, с. 66.

16 С т у ж и н а Э., Китайское ремесло, с. 66 . Там же.

17 Там же.

18 Там же.

ში მას დაემატა ნაწარმის დაწნეხის, ჩამოსხმისა და გამოჭყლეტის წესით დამზადება. ჩინელები პატარა, სათუთ ნივთებს ხელით ძერწავდნენ. აღსანიშნავია, რომ საჩარხო მეთოდში (სათუნე ჩარხზე) XVIII ს. მოხდა ცვლილებები. თუ სუნ ინ-სინი აღწერს სათუნე ჩარხს მკაცრ ზომებში, „ცზინდეჩუენ ტალოუ-ში" კი ჰოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ჩარხები ნაირი დიამეტრისაა, რაც ნაწარმის სხვადასხვა ფორმითაა გაპირობებული[19]. ჩინელები ჭურჭელს დამზადების შემდეგ გაასწორებდნენ და გაჩარხავდნენ. ფაიფურის ნაწარმი პირდაპირ ჰაერზე შრებოდა, რის შემდეგ მას გამშრალ კეცზე საღებავით მოხატავდნენ, ანდა თეთრად ჭიქავდნენ შემდეგი ჭიქურსზედა მხატვრობისათვის. ძირითადი მასალის მაღალი ხარისხი, დაფქვის ოსტატობა, ფაიფურის მასის სიმტკიცე ჩინელ ხელოსნებს საშუალებას აძლევდა გამოწვის გარეშე მოეხატათ ნაწარმი, რაც გამორიცხული იყო დასავლეთ ევროპის ფაიფურის წარმოებაში[20].

ნაირი ორნამენტით მოხატულ ნაწარმს ჩინელები სხვადასხვა ფერის ჭიქურს გადაავლებდნენ, ანდა საღებავით მოხატავდნენ. ჩინელმა მეთუნეებმა ჭიქურის ხელოვნებაში დიდ ოსტატობას მიაღწიეს. XVI-XVIII სს. მოგვცა დეკორის არაჩვეულებრივი სიმდიდრე მონოქრომიულ მოჭიქულ ნაწარმიდან მოკიდებული „სელადონის", „ხარის სისხლის", „ნადვენთი ჭიქურის" ტიპისა, ვიდრე მრავალფეროვან პოლიქრომიულ მოხატულ ჭურჭლამდე „ფენცაის", „გუცაისა" და ა.შ. ტიპისა. XVI ს. მეორე ნახევარსა და XVIII ს. პირველ ნახევარში ჩინეთში შეიქმნა ჭიქურის ახალი სახეობანი: წითელი - „შესაწირი წითელი" (იგი ქათმის სისხლის ფერისაა, ქათმის - წითელი), ღია-წითელი, იაგუნდისებრ წითელი; „ირმის ღვიძლი", „ცხენის ფილტვები", „მარჯნისფერი" და ა.შ.[21] მწვანე ფერის ჭიქური ლაქებით - „ვაშლის ფერი მწვანე", „მთვრალი მზეთუნახავი" და ა.შ. ყვითელი - „ჩაის ფოთლის ფხვნილისებრი", ყვითელი, როგორც „გველთევზა", „ყვითელი, როგორც იკრა", „ქათმის ქონი", „მოხუცი მღვდლის სამოსი"[22]. XVII ს. შეიქმნა ადვილად დნობადი ჭიქურები: წითელი, იასამნისფერი, თეთრი („წმინდა თეთრი", „ძალზე თეთრი", „თეთრი, როგორც კბილები", „თეთრი როგორც თევზის ბუშტი")[23]. XVI ს. დასასრულამდე ნადვენთი ჭიქურით შემკული ფაიფურის ნაწარმი, განსაკუთრებით „იაობიანხუა", მიჩნეული იყო, როგორც შემთხვევითი მოვლენა. ასეთ ნაწრმს ჩინელი ხელოსნები ანადგურებდნენ. და მხოლოდ XVII ს. მეორე ნახევრიდან დაეუფლნენ ამ ტექნიკას - დაიწყეს ჭურჭლის კეცზე ნაირი ლითონების ჟანგების დამაგრება, რომლებიც ძლიერი გამოწვის დროს იღვენთებოდნენ ნაწარმზე და ქმნიდნენ დეკორატიულ „აბლებად ჭიქურებს" იასამან-წითელი, ლურჯი-იისფერი ტიპისა[24].

ჩინელები მოხატულ ან ჭიქურგადავლებულ ჭურჭლებს გამოსაწვავად ღუმელში შედგამდნენ. ჩინური წერილობითი წყაროები გამოწვას დიდ ყურადღებას უთმობდნენ, რომელიც ფაიფურის წარმოებაში ძნელ საქმედ ითვლება. იგი მოითხოვს დიდ ცოდნასა და გამოცდილებას. გამოსაწვავ ჭურჭელს თიხის ყუთებში ათავსებდნენ. ყუთში დიდი ჭურჭელი ერთი ცალი ეტეოდა, წვრილი კი ათზე მეტი. აღსანიშნავია, რომ მაჰმადიანურ აღმოსავლეთში ლუსტროვანი ფაიანსის გამოწვისას ნაწარმს თიხის ყუთებში ათავსებდნენ. ამ მხრივ მაჰმადიანური და ჩინური მეთოდები თითქმის იდენტურია.

ჩინელები ჭურჭლის საწვავ ღუმლებს ცეცხლგამძლე აგურით ან ქვისაგან აშენებდნენ. ამ საქმეში ფართოდ იყენებდნენ ცეცხლგამძლე თიხასაც. ღუმელს წინ აქვს კარი, საიდანაც მასში შექონდათ გამოსაწვავი ნაწარმი და შეშა. ღუმელს ირგვლივ დატანებული აქვს 12 ნაჩვრეტი, რომელსაც „ცის სარკმელს" უწოდებენ. ამ ნაჩვრეტებიდან საჭიროებისამებრ შეშას უმატებენ. ღუმელს აქვს მაღალი საკვამლე მილი, რომლის ახლოს მოთავსებულია სათვალთვალო სარკმელი[25]. ღუმელს გამოწვისას ამო-

---

19 Стужина, Китайское ремесло, с. 66.

20 Там же, с. 72

21 С т у ж и н а Э. Китайское ремесло. Там же, с. 72.

22 Там же.

23 Там же.

24 С т у ж и н а Э. Китайское ремесло. Там же, с.68.

25 Там же, с. 72.

ქოლაედნენ ხოლმე. გამოწვის პროცესს გვერდით, სათვალთვალო სარკმლიდან აკვანებდნენ თვალყურს. გამოწვას 12 საათი სჭირდებოდა. პირველად ლუმელში ცეცხლი ქვემოდან ზემოთ ამოდის, შემდეგ კი ქვემოთ ჩამოდის. ჩინელ ოსტატებს ნაწარმის გამოწვის შესამოწმებლად არავითარი ხელსაწყო-იარაღები არ გააჩნდათ. ყველაფერი გამოცდილებასა და თვალზომას ემყარებოდა.

როგორც კი ლუმელში ცეცხლი ჩაქრებოდა, ერთ დღეს აცლიდნენ ჭურჭელს გაცივებას. შემდეგ ამისა კარებს გამოანგრევდნენ და ჭურჭელს გარეთ გამოიტანდნენ, ჩვრით გაწმენდნენ და გვერდზე მიდგამდნენ, ანდა თაროებზე დააწყობდნენ. ამით მთავრდებოდა ფაიფურის ნაწარმის დამზადების ხანგრძლივი პროცესი ჩინეთში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში ჩინეთში გამოწვის ტექნიკაში მოხდა ცვლილებები. შეიქმნა ახალი ტიპის ლუმლები. XVIII ს. ჩინური წყაროები ასახელებენ ორი სახის ლუმელს „იპო" ფაიფურის გამოსაწვავი მაღალტემპერატურიანი ლუმელი და „ლუ" ადვილად დნობადი ემალებისა და ჭიქურების გამოსაწვავი, რომელიც მხოლოდ XVIII ს. გაჩნდა ჭიქურსზედა მხატვრობის წარმოშობასთან ერთად[26].

როგორც თავის ადგილას ითქვა, ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცული XVI-XVIII სს. ჩინური ფაიფურის ნიმუშები გარეგანი ფორმით, შემკობის სტილით და მანერით ნაირფეროვნებით ხასიათდება. ისინი ასაკითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ ყოველმხრივ შესწავლის მიზნით შემკობის ტექნიკისა და სტილის საფუძველზე შემდეგ ჯგუფებად დავყავით: მონოქრომიული, პოლიქრომიული, კობალტით მოხატული, წითელი საღებავით შემკული, ნაზი წითელი ფერის ემალით შემკული, „bleu poudre -ს ტექნიკით მოხატული ფაიფური, ე.წ. „მწვანე ოჯახში" (famille verte) შემავალი და „ლურჯი, თეთრად მოხატული" კერამიკა. თითეულ მათგანს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

მონოქრომიული ფაიფური

ამ სახის კერამიკისათვის დამახასიათებელია ერთფეროვანი ჭიქური, ერთფეროვანი საღებავებით. კანსი-იუნჩენის (1662-1735) პერიოდის მეთუნეთა დიდ მონაპოვრად ითვლება ახალი, მოდიდან გასული სხვადასხვა ფერისა და ელფერის ჭიქურების გამოყენება. მათი წარმოშობა უკავშირდება ნეფრიტისა და სხვა ნახევრად ძვირფასი ქვების იმიტირებას. ჭიქურებს შორის XVII-XVIII სს. გამოიყოფა მწვანე - „ვაშლის ფერი" (პინცინ), წითელი, როგორც „შესაწირი სისხლი", ყვითელი - „ყვითელი თევზის ტყავის ფერი", ფირუზის ფერი, მოყვითალო - „მთვარის ფერი" და ა.შ.[27].

აღსანიშნავია, რომ XIV-XVIII სს. ჩინურმა მონოქრომიულმა ფაიფურმა დიდი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების კერამიკის განვითარებაზე.

საყურადღებოა, რომ ჩვენ მიერ საკვლევ ჭურჭლებს შორის ასაკით ყველაზე ადრეულია სწორედ მონოქრომიული ფაიფურის ნიმუშები, რომელთა რიცხვს განეკუთვნება კოლ. №40-02 ყალიანის ჭურჭელი; კოლ. № 17-42/32 ლანგარი და კოლ. №18-42/32 ჯამი ხსენებულ ჭურჭლებს გადაფარული აქვთ თეთრი ჭიქური და ორნამენტი მოხატულია კობალტით. საკვლევი ყალიანის ჭურჭელი გარეგანი ფორმით ემიჯნება ჩვენ მიერ განსახილველ ჭურჭლებს. ამასთანავე მის ძირზე მოცემულია ოთკუთხა ჩარჩოში ჩასმული იეროგლიფები, რომელიც დამახასიათებელია XVI ს. ფაიფურის ჩინური ნაწარმისათვის. ეს კი ქმნის საფუძველს ჭურჭლის XVI ს. საუკუნით დათარიღებისათვის. მონოქრომიული კერამიკის საყურადღებო ნიმუშია კოლ. №17-42/32 ლანგარი. იგი მოჭიქულია თეთრად და ზემოდან გულზე კობალტით მოხატულია ურჩხულების გამოსახულებით, ე.წ. „ჩინური ლრუბლებით და მარგალიტებით", გულზე ცენტრში გამოსახული ურჩხული მოქცეულია ლრუბლებში გახვეულ ოთხ მცენარიულ medaliონში. გარედან ძირზე მოცემულია სამმაგ ოთკუთხა ჩარჩოში ჩას-

---

26 Стужина Э. Китайское ремесло, с.74.

27 Арапова Т. Китайский фарфор, с. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული ნიშნები, რომელიც დიდი ორმაგი წრითაა შემოფარგლული. ლანგარი ორნამენტული მოტივებით ანალოგიას იჩენს ტ. არაპოვას მიერ შედგენილ კატალოგში მოცემულ №126 ჩინურ ლანგართან[28]. ორთავე ლანგრის ძირზე აღბეჭდილი იეროგლიფები ორმაგ წრეებ-შია მოქცეული. მიუხედავად ამისა, ტ. არაპოვასაგან აღწერილი ლანგარი ასაკით ადრეული ჩანს (1465-1487). ჩვენ მიერ საკვლევი ლანგარი უფრო XVI-XVII სს. თარიღდება, რასაც მისი დამზადების სტილი და მანერა მოწმობს. ხსენებული საუკუნეებს მის მიკუთვნებას ხელს უწყობს ძირზე აღბეჭდილი ნიშანი, რომელიც გვიანფეოდალური ხანის დასასრულის ჩინური ფაიფურის ნიმუშებისათვისაა ნიშანდობლივი.

კერამიკის ფონდში დაცული გვიანფეოდალური ხანის ჩინური მონოქრომიული ფაიფურის ნაწარმის რიცხვს მიეკუთვნება კოლ.№33-26/41 ფიალა, კოლ. №17-42/23 თეფში და კოლ. №17-42-10 მომცრო ლანგარი. ფიალას გადაფენილი აქვს მონოქრომიული კერამიკის ნიმუშებისათვის დამახასიათებელი ღია მწვანე ფერის ჭიქური. ძირზე გარედან მოცემულია ოთკუთხა ნიშანი, რომელიც ჰ. გერნერის[29] მონაცემების მიხედვით ფიალას XVIII ს. ათარიღებს.

ზემოხსენებული თეფში და ლანგარი მოჭიქულია ასევე ღია მომწვანო ფერით. შემკულია ისინი განსხვავებული ორნამენტებით. თეფშს მცენარეული მოტივების ფონზე ამშვენებს ბარტყების გამოსახულება, ლანგარს კი - ურჩხულები. ორთავე ჭურჭლის ორნამენტები მოხატულია კობალტით მუქ ლურჯად, რაც მათ ჭიქურის ფერთან ერთად ერთმანეთთან აახლოებს. არაა გამორიცხული, რომ ისინი ერთი და იგივე სახელოსნოს პროდუქტებია. შესაძლოა ერთი და იგივე მეთუნის ნახელავიცაა. რაკი ხსენებული თეფში და ლანგარი ჭიქურის ფერით იდენტურია ჩვენ მიერ XVIII ს. დათარიღებულ ფიალისა, ეს გარემოება ქმნის ხელშემწყობ პირობას ხსენებული ჭურჭლების ასაკის იმავე საუკუნით განსაზღვრისათვის.

„მწვანე ოჯახში" შემავალი ფაიფურის ნიმუშები (famille verte)

„მწვანე ოჯახში" შემავალი ნიმუშები პოლიქრომიულ კერამიკას განეკუთვნება, რომელმაც განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია კანსის (1662-1735) დინასტიის დროს. „მწვანე ოჯახისათვის" დამახასიათებელი გამით მოხატულმა ფაიფურის ნიმუშებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ XVIII ს. ჩინელი ავტორები მათ „უ ცაის" (ხუთფეროვანი) უწოდებდნენ, რითაც ხაზს უსვამდნენ მინის (1368-1644) დროინდელი ხუთფეროვანი ფაიფურის მემკვიდრეობას[30]. სახელწოდება ერთიც და მეორეც პირობითია. უფრო სწორია ევროპული - „მწვანე ოჯახი", რადგან ამ ჯგუფის ჩინური ფაიფურის ნიმუშებისათვის დამახასიათებელი ფერია, უფრო სწორად ჭარბობს მწვანე ფერი. ტექნიკური თვალსაზრისით მხატვრობა ჭიქურს ზევით ხდება (ზოგჯერ იგი ერწყმოდა ჭიქურქვეშა ლურჯ საღებავს). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ახალმა პრინციპებმა ფაიფურის მხატვრობაში თავი იჩინა გვიანფეოდალური ხანის ლანგართა დეკორში, რომელთა ზედაპირიც შემკულია პეპლების გამოსახულებით. სხვათა შორის, ასეთი ლანგრები კერამიკის ფონდში რამდენიმე ცალითაა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. „მწვანე ოჯახში" შემავალი კერამიკა შედარებით ქვეითდება და პირველობას მოიპოვებს ე.წ. „ვარდისფერი ოჯახი".

„მწვანე ოჯახში" შემავალი ჩინური ფაიფურის ნიმუშები ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი. ერთი ნაწილი XVIII ს. განეკუთვნება, დანარჩენი კი XIX ს-ით თარიღდება.

„მწვანე ოჯახში" შემავალი ფაიფურის ჭურჭლის ტიპიური წარმოდგენილია კოლ. №17-42/12 თეფში. იგი მოხატულია სტილიზებული მცენარეული მოტივებით და ფრინველის გამოსახულებით. თეფშის ბორტს ამშვენებს პეპლების გამოსახულებანი, რაც ასე დამახასია-

---

28 А р а п о в а Т. Китайский фарфор, с.130.

29 Harry Gerner. Oriental blue and white, p. 97.

30 А р а п о в а Т. Китайский фарфор, с, 74.

თებელია გვიანფეოდალური ხანის დასასრულის „მწვანე ოჯახის“ ფაიფურის ჩინური ღანგრებისა და თეფშებისათვის. საკვლევი თეფში დეკორის თემით განსხვავდება სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულ, მაგალითად ტ. არაპოვას მიერ აღწერილ ანალოგიური ჭურჭლისაგან[31], რაც მისი XVIII ს. დასასრულით დათარიღების საშუალებას ქმნის.

„მწვანე ოჯახში“ შემავალ პოლიქრომიული ჭურჭლების რიცხვს განეკუთვნება, აგრეთვე, კერამიკის ფონდში დაცული ერთი რიგი თეფშებისა, რომლებიც ერთმანეთისაგან დეკორის თემით განსხვავდებიან. მათ შორის ცალკე უნდა გამოიყოს კოლ. №I7-42/I5 თეფში, რომლის დეკორში სტილიზებული მცენარული მოტივების, ფრინველთა გამოსახულების გვერდით მოცემულია ადამიანთა ფიგურები. სწორედ ამ მოტივის გამო იგი ემიჯნება გვიანფეოდალური ხანის დასასრულის „მწვანე ოჯახის“ ნაწარმთა რიცხვს და ანალოგს XVIII ს. პირველი ნახევრის პოლიქრომიულ ჭურჭელთა შორის პოვებს.

კობალტით მოხატული

ჩინური ფაიფურის მხატვრობაში ძნელია მოიძებნოს მეორე ისეთი საღებავი, რომელსაც ისეთივე როლი შეესრულებინა როგორიც კობალტს. თუ „მწვანე ოჯახის“ ნაწარმის მხატვრობაში უპირატესობა ენიჭებოდა ღანგრებს, კობალტით, უპირველეს ყოვლისა, იმკობოდა ყოველგვარი სახის ნაწარმი – ფიალები, ჯამები, ბადიები, თეფშები, სანელსაცხებლები, დოქები და ა. შ.

ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში კობალტით მოხატული ფაიფურის ნიმუშები ყველაზე დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი. ამასთანავე ისინი დიაქრონიზმით ხასიათდებიან. მათი უკეთ შესწავლის მიზნით ისინი ორ დიდ ჯგუფებად გავყავით:

I. კობალტით შემკული და 2. „თეთრი, ლურჯად“ მოხატული. კობალტით მოხატულ ჭურჭლებს შორის ცალკე უნდა გამოიყოს ჯამ – ბადებისა და თეფშების ერთი ჯგუფი (I5 ერთეული), რომლებიც გარეგანი ფორმითა და დეკორის თემით იდენტურნი არიან. ამასთანავე ისინი ერთ საამქროში დამზადებული ნაწარმის შთაბეჭდილებას ტოვებენ. არაა გამორიცხული, რომ ერთი და იგივე მეთუნის ნახელავიც იყო. რამდენადმე ჭირს მათი დათარიღების საკითხი. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მათ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ცოტა რამ არის ნათქვამი. მიუხედავად ამისა, რამდენადმე ხერხდება მათი ასაკის განსაზღვრა. საქმე იმაშია, რომ XIX ს. ირანში თავი იჩინა საკვლევი ჭურჭლებისადმი მიბაძვით დამზადებულმა ფაიანის ჯამ-ბადეებმა და თეფშებმა. რამდენიმე ასეთი ჭურჭელი ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდშიც ინახება. ყოველივე ეს კი ქმნის რეალურ საფუძველს კობალტით მოხატული საკვლევი ჩინური ფაიფურის ჭურჭლების XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დასაწყისით დათარიღებისათვის.

თეთრი, ლურჯად მოხატული ფაიფური

ამ სახის კერამიკისათვის დამახასიათებელია თეთრ ფონზე კობალტის საღებავით ორნამენტული მოტივების ლურჯად მოხატვა. იგი ჩინეთში ცნობილი იყო ჯერ კიდევ XIV საუკუნეში, რომელმაც XIX ს. მოატანა. აღსანიშნავია, რომ თეთრი, ლურჯად მოხატული ფაიფური დიდ გავლენას ახდენდა ირანულ მხატვრულ ფაიანსზე. XIV ს. დამლევიდან ირანში ჩინური ფაიფურის გავლენითვე ჩნდება ახალი მოთხოვნილება თეთრ, ლურჯად მოხატულ ნაწარმზე[32].

ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში თეთრი, ლურჯად მოხატული კერამიკა საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი (I8 ერთეული). იგი არასინქრონიულობით ხასიათდება. მათ შორის ყველაზე ადრეული ადამიანის გამოსახულებით შემკული ჯამ-ბადეებია (6 ერთეული). გარეგანი ფორმით, რაც მთავარია ორნამენტული მოტივებით, ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილ XVI ს. ჩინური ფაიფურის ნიმუშებს უახლოვდება.

---

31 Т.А р а п о в а, Китайский фарфор, с.74.

32 Там же, стр. 25.

ამ ჭურჭლების დეკორში მოცემული მცენარეული მოტივები, ადამიანების გამოსახულება, მათი ჩაცმულობა და თმის ვარცხნილობა გამოყოფს მათ საკვლევ ჭურჭლებისაგან, რის გამოც ისინი ანალოგს მხოლოდ გვიანფეოდალური ხანის (XVI ს.) ფაიფურის ჭურჭლებს შორის პოულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეგანი ფორმით და ორნამენტული მოტივებით ისინი იდენტურნი არიან, რის გამოც ერთი და იგივე ოსტატის ნახელავი უნდა იყოს.

თეთრი, ლურჯად მოხატული ფაიფურის ნაწარმის რიცხვს განეკუთვნება კოლ. №16-14/1 დოქი. იგი მოხატულია ღია ლურჯი ფერის კობალტის საღებავით და შემკულია სტილიზებული მცენარული სახეებით. დოქი დეკორატიული დანიშნულების ჭურჭელია. ასეთი სახის ჭურჭელი ჩინეთისათვის დამახასიათებელი იყო XVIII ს. ხსენებული დროით მის დათარიღებას ხელს უწყობს XVIII ს. ჩინური ფაიფურის ჭურჭლებთან მისი შედარება, რომელთა შორის იგი ანალოგს პოვებს ორნამენტული მოტივებით, ამასთანავე მცენარული მოტივებით შემკობის სტილით და მანერით. XVIII ს. თარიღდება, აგრეთვე, კოლ. №33-26/133 ფაიფურის წურწუმაც. ამას პირველ რიგში მოწმობს მასზე მოცემული მცენარული მოტივები და ათკუთხა ჩარჩოში მოქცეული მცენარული მედალიონები, რაც ასე დამახასიათებელია XVIII ს. ჩინური ფაიფურის ნიმუშებისათვის.

თეთრი, ლურჯად მოხატული ჩინური ფაიფურის ნაწარმთა შორის თავსდება გვიანფეოდალური ხანის დასასრულის დროინდელი კოლ. №45-02; კოლ. №33-26/42 ფიალები. შემკულია ისინი ერთი და იგივე სახის მცენარეული მოტივებით და გარედან ძირზე ორთავეზე აღბეჭდილია მსგავსი ოთკუთხა ნიშანი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, მაგალითად, ჰ. გერნერის მონაცემების მიხედვით ოთხკუთხა ნიშანი ჩინური ფაიფურის ნიმუშებზე გვხვდება როგორც ჩენტეს ხანაში, ისე XVIII საუკუნეში. ორნამენტული მოტივებით შემკობის სტილით და მანერით საკვლევი ფიალები მხოლოდ XVIII ს. ჩინური ფაიფურის ნიმუშებში პოვებს ანალოგს.

თეთრი, ლურჯად მოხატული კერამიკის ყველა ნიშანი ახასიათებს კიდევ ხუთ დეკორატიულ ვაზას. გარეგანი ფორმითა და დეკორის თემით ისინი იდენტური არიან, რის გამოც ერთი და იგივე ხელოსნის მიერ დამზადებულნი უნდა იყოს. შემკულია ისინი წყლის ფონზე მცენარული ორნამენტითა და სახეების გამოსახულებით. ასეთი ორნამენტი ჩინურ ჭურჭლებს თითქმის ყველა საუკუნეში ახასიათებს. მიუხედავად ამისა, არ უნდა გაჭირდეს საკვლევი ვაზების გვიანფეოდალური ხანის დასასრულით, კერძოდ XVIII-XIX სს-ით დათარიღება, რადგან მათი დამზადების ხარისხი და ორნამენტაცია ძალზე დაბალი ხარისხისაა, რასაც ვერ ვიტყვით წინარე საუკუნეების ანალოგიურ ნიმუშებზე.

წითელი საღებავით შემკული კერამიკა

ამ სახის კერამიკისათვის დამახასიათებელია ჭიქურქვეშა ან ჭიქურზედა მოხატულობა წითელი საღებავით შესრულებული. პირველ შემთხვევაში წითელი ფერი უფრო დახშულია, მეორე შემთხვევაში კი ნათელია, ღია წითელია. აღსანიშნავია, რომ გვიანფეოდალური ხანის დასასრულის წითელი საღებავით შემკული კერამიკის დეკორში ვხედავთ დამატებით ლურჯ, მწვანე და სხვა ფერებს.

ხსენებული სახის ჩინური ფაიფურის ნიმუშები ეთნოგრაფიული განყოფილების კერამიკის ფონდში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დეკორის თემით, სამაგიეროდ ასაკით თანადროულნი არიან. მათი ტიპიური წარმომადგენელია კოლ. №33-26/99 თეფში. შემკულია იგი სტილიზებული მცენარული მოტივებით გეომეტრიული ფიგურებით. გულზე მოცემულია ადამიანების გამოსახულებანი. მთელი ორნამენტი მოხატულია წითელი, ლურჯი და მწვანე საღებავით.

ფერებიდან ჭარბობს წითელი, მაგრამ მას ზოგჯერ ემატება სხვა ფერებიც, რის გამოც ნაწარმი პოლიქრომიულ სახეს იღებს. ეს კი ძალზე დამახასიათებელია წითელი საღებავით მოხატულ XVIII-XIX სს. ფაიფურის ნიმუშებისათვის. ეს ქმნის რეალურ საფუძველს საკვლევი თეფშის XVIII ს. დათარიღებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კერამიკის ფონდში ზემოთ ნახსენები თეფშის ხუთი ანალოგიური თეფში ინახება. მათი მხატვრობაც ჭიქურის ზემოდან არის შესრულებული, მოჭიქულია თეთრად და ფორმითაც ერთნაირია. ყოველივე ეს გვაძლევს იმის უფლებას, რომ ხუთივე მათგანი XVII ს-ით დავათარიღოთ. რაკი საკვლევი ჭურჭლები გარეგანი ფორმით, ორნამენტული მოტივებით, შემკობის სტილით და მანერით ერთნაირია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ერთი და იგივე ხელოსნის მიერ არის დამზადებული. წითელი საღებავით არის მოხატული, აგრეთვე, კერამიკის ფონდში დაცული კოლ. №33-26/32; №33-26/74 ჯამები და კოლ. №26-№№24/20 ბადია.

ხსენებული ჯამ-ბადიები ჩვენ მიერ ზემოთ შესწავლილი თეფშების მსგავსი ორნამენტებით არის მოხატული და იმგვარადვეა შეღებილი წითლად. ეს კი ქმნის რეალურ საფუძველს მათი XVIII ს. დასასრულით დათარიღებისათვის.

"Bleu poudre" -ს ტექნიკით მოხატული ფაიფური

"Bleu poudre"-ს ტექნიკა გულისხმობს ფაიფურის ნაწარმის კობალტით შეფრქვევას. იგი წარმოიშვა კანსის მმართველობის ხანაში (1662-1735). ასეთი ტექნიკით მოხატული ნაწარმისათვის კობალტი წარმოადგენს ფონს ოქროთი ან თეთრი კარტუშით მოვარაყებისას, რომელიც შემდეგ შეივსებოდა ე.წ. „მწვანე ოჯახის" გამისათვის დამახასიათებელი ფერებით. ორნამენტულ მოტივებს შორის ჭარბობს მცენარული. ზოგჯერ ნაწარმი იმკობა პეიზაჟის ხასიათის კომპოზიციებით.

კობალტით შეფრქვეული ფაიფურის ჩინური ნაწარმი ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დიდი ჯამების (ბადია) სახით არის წარმოდგენილი. ოთხ მათგანზე ფონად გამოყენებულია ლურჯი ფერი, რომელიც ზემოდან ყვითლად მოხატულია სტილიზებული მცენარული მოტივებით. ჭიქურზედა მხატვრობა შესრულებულია არა ოქროთი, არამედ ბრონზით, რაც ასე დამახასიათებელი ჩანს XVIII ს. დასასრულით დათარიღებული „ -ის ტექნიკით შემკული ჩინური ნაწარმისათვის.

ჩვენ მიერ საკვლევი ოთხივე ჯამი გარეგანი ფორმით, ორნამენტული მოტივებით, შემკობის სტილით და მანერით მსგავსნი არიან, რის გამოც ისინი ერთ სახელოსნოში დამზადებული ნაწარმის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

რაკი საკვლევი ჯამები საგრძნობლად განსხვავდებიან ტ. არაპოვას[33] მიერ აღწერილ მსგავსი ტექნიკით შემკულ კანსის პერიოდის (1662-1735 წწ.) ჩინური ფაიფურის ნიმუშებისაგან, ეს გვაიძულებს ისინი XVIII ს. დასასრულით დავათარიღოთ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XVIII-XIX სს. ჩინეთში „ "-ს ტექნიკით მოხატულ ნაწარმს ამკობდნენ არა მთლიანად, არამედ ფრაგმენტულად. ზოგჯერ კობალტს კი არ შეაფრქვევდნენ, რაც ასე ნიშანდობლივია ხსენებული ტექნიკისათვის, არამედ ფუნჯით მოუსვამდნენ და შემდეგ ზემოდან ორნამენტულ მოტივებს ოქროთი ან ბრონზით მოხატავდნენ. ხსენებული ტექნიკით შემკული სამი ბადია ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდშიც ინახება (კოლ. №10-16/9; №33-26/37; №22-26-84).

საყურადღებოა, რომ სამივე ბადია ფორმით, ორნამენტული მოტივებით, შემკობის სტილით და მანერით მსგავსია, რის გამოც ისინი ერთი წარმოების ცენტრიდან უნდა იყვნენ.

„ვარდისფერი ემალით" მოხატული ფაიფური

როგორც ცნობილია, XVIII ს. დასაწყისში ჩინეთში თავი იჩინა ფაიფურის ნაწარმის გბუმჭირვალე ნაზი ვარდისფერი ემალით მოხატვამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ოქრო. მან დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთ ევროპაში. ასე შეიქმნა და წარმოიშვა ჩინეთში ე.წ. „ვარდისფერ ოჯახში" შემავალი ფაიფურის ნაწარმი.

---

33 А р а п о в а Т. Китайское ремесло, с. 118.

ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში ვარდისფერი ემალით მოხატული ფაიფურის ნაწარმი წარმოდგენილია ექვსი ლანგრისა და ერთი ჯამის სახით.

„ვარდისფერი ოჯახის“ ტიპიური წარმომადგენელია კოლ. №33-26/25 ლანგარი. მოჭიქულია იგი ორმხრივ თეთრად. ზემოდან მოხატულია ადამიანების გამოსახულებით, სტილიზებული მცენარული მოტივებით და გეომეტრიული ფიგურებით. ადამიანთა გამოსახულებანი მოჩარჩოებულია ე. წ. კლასიკური მეანდრით. მთელი ეს გამოსახულებანი მოხატულია წითელი, ყვითელი, მწვანე და ცისფერი საღებავებით. ფერებს შორის ჭარბობს ვარდისფერი ემალი.

ზემოხსენებული ლანგრის იდენტურია კერამიკის ფონდში დაცული კოლ. №33-26/60; კოლ. №33-26/54 ლანგრები. სამთავე საკვლევი ჭურჭელი სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი XVIII ს. პირველი ნახევრით დათარიღებული, „ვარდისფერ ოჯახში“ შემავალი ჩინური ფაიფურისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით არის აღჭურვილი. ეს კი ქმნის საფუძველს მათის ასაკის XVIII ს. პირველი ნახევრით განსაზღვრისათვის.

ჩვენ მიერ შესწავლილ, ზემოთ ნახსენებ ლანგრებთან ბევრი რამ აქვთ საერთო კერამიკის ფონდში დაცულ სამ ლანგარს. პირველი სამის მსგავსად მათ დეკორში ჭარბობს, უფრო სწორედ დომინირებს ადამიანთა გამოსახულებანი. ფერებს შორის აქაც ჭარბობს ვარდისფერი, რაც ხაზს უსვამს მათ ვარდისფერ ოჯახში შემავლობას. ყველაზე მეტად ისინი იმით არის საინტერესო, რომ ზემოდან პირზე მოხატულნი არიან „მწვანე ოჯახში“ შემავალი ფაიფურის ნიმუშებისათვის დამახასიათებელი ორნამენტული სახეებით (ფრინველები, პეპლები და ვარდები) და ფერებით. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მათ დეკორში აისახა „მწვანე ოჯახიდან“ ე. წ. „ვარდისფერ ოჯახისაკენ“ გარდამავალი საფეხური. რაკი ჩვენ მიერ საკვლევი ლანგრები ორნამენტული მოტივებით, დეკორით, რაც მთავარია შემკობის სტილით და მანერით მსგავსია ჩვენ მიერ XVIII ს. დათარიღებული წინა სამი ლანგრისა, ეს ქმნის რეალურ საფუძველს მათი ასაკის იმავე საუკუნით განსაზღვრისათვის.

ე. წ. „ვარდისფერი ოჯახის“ წარმოდგენილია კერამიკის ფონდში დაცული კოლ. №33-26/69 ჯამი. შემკულია იგი სტილიზებული მცენარული მოტივებით და გეომეტრიული ორნამენტით, რომელიც მოხატულია მწვანედ და ვარდისფრად, ფერებს შორის ჭარბობს ვარდისფერი, რაც ხაზს უსვამს „ვარდისფერი ოჯახისათვის“ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას. ჯამი დეკორის თემით, რაც მთავარია, შემკობის სტილით და მანერით ენათესავება XVIII ს. დასასრულის „ვარდისფერი ოჯახის“ ჩინური ფაიფურის ნიმუშებს. ეს კი გვაძლევს იმის უფლებას, რომ საკვლევი ჯამი იმავე საუკუნით დავათარიღოთ.

ამრიგად, ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცული ჩინური ფაიფურის ნიმუშების შესწავლით ირკვევა, რომ XVI-XVIII სს. ჩინეთში გავრცელებული იყო მონოქრომიული, პოლიქრომიული, „მწვანე ოჯახში“ შემავალი, კობალტით მოხატული, „თეთრი, ლურჯად შემკული“, წითლად მოხატული, „ -ის ტექნიკით მოხატული და „ვარდისფერ ოჯახში“ შემავალი კერამიკა. საკვლევი კოლექციების შესწავლამ საშუალება მოგვცა თვალი გავადევნოთ ჩინური ფაიფურის წარმოება-განვითარებას გვიანფეოდალური ხანის ჩინეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Квирквелия Г.

Китайский фарфор ХУI-ХУIII вв.
(По материалам фонда керамики Отдела этнографии Государственного музея Грузии)

Фарфор - значительное явление в мировой истории керамического производства. Как известно, его родиной является Китай. Найденные в настоящее время археологические материалы и китайские письменные источники указывают на возникновение фарфора в IX в.

Имеющиеся у нас под рукой материалы свидетельствуют о том, что в стороны Кавказа - Грузию, Армению и Азербайджан, - фарфор поставлял не Китай, а Иран. НА это указывают установившиеся издавна в языках этих стран названия, персидского происхождения.

Представленный труд является научным изучением, хранящегося в фонде керамики отдела этнографии Гос. музея Грузии образцов китайского фарфора позднефеодальной эпохи. В результате исследования установлено, что в Китае был распространен фарфор монохромный, полихромный, расписанный кобальтом и окрашенный в красный цвет, а также украшенный эмалью нежнокрасного цвета, расписанный техникой т.н. входящий в "зеленое семейство" (и синяя, набело расписанная керамика. Каждую из них мы рассмотрим по отдельности.

Для монохромной керамики характерна одноцветная глазурь, с одноцветной окраской. Среди глазури ХУI-ХУIII вв. выделяются зеленый "яблочный цвет" (пинцин), красный как кровь цвет,кожи желтой рыбы, бирюзовый цвет, желтоватый цвет - "цвет луны" и т.д. К образцам, входящим в "зеленое семейство" относится полихромная керамика. Для нее характерна орнаментальная роспись преимущественно зеленого цвета. Она достигла высокого уровня развития в эпоху династии Канси (1662-1725 гг.). Образцы фарфора, входящие в "зеленое семейство", были известны в ХУIII в.

Для образцов китайского фарфора, расписанных кобальтом, характерна роспись декора в синий цвет. Трудно найти краску, которая сыграла бы такую же роль, как кобальт. Если в росписи изделий, входящих в "зеленое семейство", преимущество имеют блюда, кобальтом в первую очередь украшали всех видов чаши, миски, тарелки, кувшины и т.д. В фонде керамики Отдела этнографии Гос. музея Грузии они представлены в наибольшем количестве.

Для образцов фарфора, расписанных в белый и синий цвета, характерна роспись орнаментальных мотивов кобальтовыми красками синего цвета на белом фоне. Эта роспись была известна в Китае еще в ХУ в. и дошла до XIX в. Следует отметить, что белый и окрашенный в синий цвет фарфор оказывал большое влияние на иранский художественный фаянс. С начала XIУ в. под влиянием китайского фарфора в Иране возникает новая потребность на белые и окрашенные в синеватый цвет изделия.

Для образцов фаянса, окрашенного в красный цвет, харектерны подглазурная и надглазурная роспись красной краской. В первом случае красный цвет более

темный, во втором случае - более ясный, открытый, светлокрасный. Следует отметить, что к концу позднефеодального периода в декоре образцов керамики, расписанной красной краской, встречаются дополнительно синий, зеленый и другие цвета. Роспись образцов китайского фарфора техникой "
подразумевает осыпание изделий кобальтом. Она возникла в период правления Канси (1662-1725 гг.). Для изделий, расписанных такой техникой, кобальт является фоном для отделки золотыми украшениями или белой картушью, которая в дальнейшем заполнялась цветами, характерными для гаммы "зеленого семейства". Среди орнаментальных мотивов преобладают растительные, иногда изделия украшаются композициями пейзажного характера.

Для росписи образцов китайского фарфора расписной розовой эмалью, характерна роспись нежнорозовой эмалью, в состав которого входит золото. Она возникла в начале XVIII в. и завоевала большую популярность как на Востоке, так и на Западе.

Таким образом, изучение образцов фарфора, хранящегося в фонде керамики Отдела этнографии Гос.музея Грузии, позволило проследить возникновение и развитие китайского фарфора в XIV-XVIII вв.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ჭილაშვილი

შაჰ-აბასის სახელიანი აღებარდები

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების იარაღების ფონდში დაცულია აღმოსავლური ტიპის ორი აღებარდი (35-35:I69 და 53-4I)[I]. ორივე ნივთი აბსოლუტურად ერთნაირია როგორც ფორმით და ზედ გამოსახული ორნამენტებით, ისე წარწერებითაც (სურ. I,2). მესამე იდენტური აღებარდი დაცულია მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების მიმდინარე ფონდში (69-973/I სურ.3,4)[2]. ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცულ აღებარდებს თითქმის ერთი და იგივე სიგრძის ხის ტარი აქვს დაგებული (სიგრძე 5I და 53 სმ.) განსხვავებულია მხოლოდ ტარზე მოთავსებული განივი რელიეფური რგოლი და წვრილი ზოლები, რომელიც ერთ ტარზეა შემორჩენილი. აღებარდები საერთოდ ცნობილია როგორც ცალპირა ისე ორპირიანი (ზერგშექცევით მოთავსებული პირებით). განსახილველი აღებარდები ცალპირიანია (ზომები: პირსა და ყუას შორის - I8 სმ; პირის წვერებს შორის - I8,7 სმ). ხის ტარის მოპირდაპირე მხარეს, ყუაში ჩამაგრებულია დაფანჯრული, ისრის ფორმის ბრტყელი ნაწილი, რომელიც ევროპულ აღებარდებზე მოთავსებული მოწინააღმდეგის მოსაქაჩი კაუჭის იმიტაციას უნდა წარმოადგენდეს, რაც ერთგვარად ამაგრებს აზრს აღნიშნული აღებარდების საზეიმო და საპარადო დანიშნულების შესახებ. ჩვენი აღებარდების მიხედვით, აღნიშნული დაფანჯრული დეტალი იარაღის მთლიანობაში წარმოსადგენად აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს და მას კონკრეტულად საძგერებელი ნაწილის ფუნქციის იერი ეძლევა, თუმცა როგორც ზევით აღვნიშნეთ, არა უტილიტარული, არამედ საპარადო მნიშვნელობით.

ერთ აღებარდზე (35-35:I69) ეს დეტალი სრულად არის წარმოდგენილი, ხოლო მეორეზე ისარს თავი აქვს მოტეხილი. შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულ აღებარდს ეს დეტალი არა აქვს.

სამივე აღებარდი თითბრისაა და დამზადებულია ჩამოსხმის წესით. ამაში ადვილად ვრწმუნდებით ნივთების იდენტურობით და ზოგი ნაწილის აჟურული ფორმით. „საძგერებელი" ნაწილი ცალკეა დამზადებული. სამივე ნივთი ერთი სახელოსნოს ნაწარმია, დამზადებულია ერთი ყალიბით.

რაც შეეხება აღებარდებზე შესრულებულ ორნამენტებსა და წარწერებს, აქაც სამივე შემთხვევაში იდენტური სურათი გვაქვს. პირველივე თვალშისაცემი გარემოებაა, რომ ნივთების მთლიანი ზედაპირი, ყველა მათი დეტალი, გულმოდგინე მხატვრული შემკობის ობიექტად ქცეულა. საერთო შთაბეჭდილებაა: ბუნების წიაღში ცხოველთა და ფრინველთა რომელიღაც სიუჟეტის გადმოცემა, პირობითად მას შეიძლება კურდღელზე ნადირობა ვუწოდოთ. ყველა გამოსახულება, მათ შორის წარწერებიც მოცემულია გლუვ ზედაპირზე ანდა დაწერტილ არეში.

აღებარდის ყუის თავში ორსავე გვერდზე გამოსახულია ფრინველის (შეიძლება თუთიყუშის) ფიგურა, რომელიც საერთო სიუჟეტის ყველაზე მაღალ ადგილზეა მოთავსებული. მის გარშემო გამოსახული არაბული ასოების მსგავსი ნიშნებით, რომლებიც მცენარეული ორნამენტები გვგონია, ფრინველი მოცემულია ბუნებრივ გარემოში. ასეთი მეთოდი ცარიელი სივრცის შევსების მიზნით არ უნდა იყოს გამოყენებული; აქ აშკარად ჩანს მხატვრის სურვილი ფრინველის უშუალოდ ბუნებაში „ჩასმისა". ასეთი მხატვრული მიდგომა ფართოდ იყო ცნობილი აღმოსავლურ ხელოვნებაში. შეიძლება ანალოგიები გავიხსენოთ არა მხოლოდ

I ნივთები გადმოცემულია მეტეხის მუზეუმიდან, სხვა ინფორმაცია არ არსებობს.

2 ნივთი შეძენილია I974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. I.

ლითონის გრავირებული ნიმუშების მიხედვით, არამედ მინიატურული ხელოვნებიდან და კერამიკულ ნაწარმზე მოთავსებული სიუჟეტებიდანაც.



სურ. 2.

20. მოამგე, LXI - B

სატარე ხვრელის ორივე მხარეზე ამოტვიფრულია კურდღლის ფიგურა, რომელიც გაურბის თავდასხმას. საშიშროების მოლოდინში დამფრთხალი ცხოველის პოზა ადვილი გამოსაცნობია – სხეული დინამიურ პოზაშია, თავი უკან აქვს მობრუნებული და შიშით უყურებს მოახლოებულ საფრთხეს. აქაც იგივე მეთოდით მცენარეული მოტივებია მოცემული.

ბუნებრივია, რომ ხელოვანს მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ჩანაფიქრი სიუჟეტი გადმოეცა ნივთის ბრტყელ პირზე, რომელიც ორივე მხარეს ოთხ-ოთხ არედ არის დაყოფილი. ძირითადია ცენტრალური ნაწილი, რომელიც იწყება ყუის ქვევით და მახვილი კუთხით, აქეთ-იქიდან შემოვლებული რკალებით, ეშვება ცენტრში, ცულის პირისაკენ. ბოლოვდება კუთხოვანი მედალიონით. ეს არე, ასევე აღებარდის თავსა და ბოლოში ჩასმული კუთხოვანი ნაწილები წერტილოვანი ორნამენტით არის დაფარული. ცენტრალური ნაწილის რკალებით შემოფარგლულ ორ მოპირდაპირე მხარეს კურდღლების გამოსახულებებია უკან მობრუნებული სახეებით. კურდღლების პოზა აქაც ისეთივეა, როგორც ზევით ითქვა -ისინი გამოსახულია მცენარეულ ორნამენტებთან ერთად, რაც უკვე აღწერილის მსგავს გარემოს ჰქმნის.

დაწინწკლული ჩარჩოს გარეთ, გლუვ ზედაპირზე ზერგშექცევით გამოსახულია ორი ცხოველი (ძაღლი თუ ჯიქი), რომლებიც მისდევენ კურდღლებს. მთლიანობაში ეს არის კურდღლებზე ნადირობის სცენა-მოტივი ძლიერ გავრცელებულია აღმოსავლურ ხელოვნებაში.

აღებარდის პირის კუთხეებში, როგორც ითქვა, ჩასმულია დაწინწკლული სამკუთხოვანი არე დაკბილული ფუძეებით. შიგ კუთხოვანი ორნამენტია ჩახატული.

სურ. 3

ყოველივე ეს, კურდღლები, ძაღლები თუ ჯიქები, ფრინველი და მცენარეული მოტივები ცალკე თემაა, რომელიც არ არის აზრობრივად კავშირში კურდღლებს შორის მოთავსებულ სპარსულ წარწერასთან. წარწერები ორივე გვერდზე სხვადასხვაა, თუმცა კი მიძღვნილია ერთი პიროვნებისადმი – შაჰ-აბასისადმი. ერთი წარწერა ასეთნაირად იკითხება:

دارد شاه عباس („დარდე შაჰ აბბას“)

ქართულად თარგმანი თითქმის არც სჭირდება, ნიშნავს: დარდს (მწუხარებას) შაჰ-აბასისადმი, შაჰ-აბასის მიმართ გამოთქმული დარდი და მწუხარებაა.

მეორე გვერდზე შესრულებული წარწერა არაბიზებულია და განლაგებულია ხუთ სტრიქონში:

წარწერა უნდა წავიკითხოთ ქვევიდან: شاه (შაჰ) عباس (აბბას) السلطان (ას-სულტან). არც ამის თარგმანია რთული: „შაჰ-აბას სულტანი“. პირველ სტრიქონში „ნუნ“-თან ერთად არის „მიმ“-ის მსგავსი გამოსახულება, მაგრამ ის წარწერის ნიშნად ვერ ჩაითვლება და ჩახატულია ორნამენტის დანიშნულებით თავისუფალი ადგილის შევსების მიზნით.

სურ. 4.

ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ წარწერებში მოხსენიებული შაჰ-აბასი, შაჰ-აბას I-ია (1587-1629), რომელსაც პოპულარობაში შაჰ-აბას II ვერ შეედრებოდა. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ირანის ისტორიაში და გამორჩეული მოკრძალებითაც სარგებლობს დღემდე. მაშასადამე, ხელოსანს წარწერა ამოუკვეთია სეფიანთა დინასტიის ყველაზე სახელოვანი მმართველის განსადიდებლად. ასეთივე მიზანს ემსახურება პირველი წარწერის მოკვეთაც, რომელიც მის მიმართ დარდსა და წუხილს გადმოსცემს. ეს ასევე მიუთითებს, რომ წარწერა გაკეთებულია აბასის სიკვდილის შემდეგ და დიდი ხნის შემდეგაც; აღებარდის ფორმა, ორნამენტები, სცენები და წარწერები XIX ს. შემოქმედებით წრეს უნდა განეკუთვნოს. თუ რატომ ასახა ავტორმა აბასის შესახებ მწუხარება წარწერაში მისი მეფობიდან ხანგრძლივი დროის შემდეგ, ვარაუდით შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება: ავტორი აღნიშნავს ირანის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდესი მეფის სახელს იმიტომ, რომ მისი თაყვანისმცემელია და მისტირის მის დროს, როცა ქვეყნის ძლიერებამ ამ შაჰის დესპოტური მმართველობით ზენიტს მიაღწია, მწუხარებას, დარდს გამოთქვამს მის შესახებ და ოცნებობს აბასისნაირ ძლიერ მეფეზე.

ორიოდე სიტყვა საერთოდ აღებარდების შესახებ: აღებარდი (გერმ. Hallebarde Helm -ტარი, Barde -ცული) ნიშნავს ხელცულს. ის ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ჩანს უკვე XIII ს-დან. თავიდან აღებარდები წარმოადგენდნენ დიდ, ხისტარიან მძიმე საბრძოლო იარაღებს. ხის ტარზე დამაგრებული იყო ერთი ან ორპირა ბასრი პირი ბოლოში კბუჭით მხედრის ცხენიდან ჩამოსაგდებად. XV ს-დან ის იხმარებოდა გერმანელების, ასევე შვეიცარიის ჯარში. XVI ს-დან აღებარდები ნელ-ნელა კარგავენ თავიანთ საბრძოლო დანიშნულებას და თანდათანობით იქცნენ ქაღაქის გარნიზონების და დიდგვაროვანთა პირადი მცველების იარაღად. XVII საუკუნიდან აღებარდებმა მთლიანად დაკარგეს თავიანთი პირვანდელ საბრძოლოდ დანიშნულება[3], რამაც მნიშვნელოვანი დაღი დააჩნია მის

---

3 Л е н ц Э. Указатель Отделения средних веков и эпохи возрождения, ч.I.Собрание оружия 1908- С.П., с. 46.

ფორმას და შინაარსს. მისი ტარი დავიწროვდა და დაგრძელდა, პირი კი მომრგვალდა და რამდენადმე თავისებური ფორმა მიიღო, ამასთანავე ის დაბლაგვდა; შეიცვალა მასალაც (ფოლადის ნაცვლად გვხვდება სპილენძი, თითბერი)[4]. ის ნელ-ნელა გადაქცეულა საპარადო, სადესპანო დანიშნულების იარაღად. აღებარდებზე გამოხატული გრავიურები და ჩუქურთმები მას სადესპანო მორთულობის ხასიათს აძლევდნენ. აღმოსავლური ტიპის აღებარდები განსხვავდებიან ევროპულებისაგან ვიწრო ტარით, პირის ოვალით და რა თქმა უნდა აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ტიპიური სასცენო გრავიურებითა და წარწერებით. აღმოსავლეთში, კერძოდ, სპარსეთში ეს იარაღი წარმოადგენდა დერვიშთა ორდენის სამკაულს.

XIX საუკუნისათვის აღებარდები ხმარებიდან საერთოდ ამოვარდა.

ჩვენს მიერ აღწერილი აღებარდების სახით შესაძლოა ამგვარი საპარადო იარაღის ბოლო ტაღღასთან გვქონდეს საქმე.

Чилашвили Д.Л.

Алебарды с именем Шаха-Аббаса

Р е з ю м е

Статья посвящена публикации трёх латунных алебард Государственного музея Грузии им. С.Н.Джанашиа АН ГССР. Двое из них (рис.I.2) хранятся в фонде оружия Отдела этнографии (инв.№35-35:I69; 53-4I переданы из музея "Метехи". Других сведений нет) и одна (рис.3) в "текущем фонде" отдела средневековой археологии (инв. №69-973:I; приобретена в I974 г.). Все три алебарды одинаковы по форме, изготовлению и художественному оформлению. Различаются тем, что у двух имеются деревянные короткие черенки (длина 5I и 53 см) и ажурные вставки.

Поверхность алебард целиком покрыты точечным, растительным и геометрическим орнаментами. Завершением орнаментального оформления являются изображения птиц, зайцев и барсов (?), чем по мнению автора изображена сцена охоты - излюбленный мотив в восточном искусстве. По середине даются персидские надписи: на одной стороне: - "дарде Шах-Аббас" (печаль по Шаху Аббасу) и на другой: "Шах Аббас ас-султан" (шах Аббас-султан). По всей вероятности здесь имеется в виду Шах-Аббас I (I587-I629) один из популярнейших правителей Ирана, по которому высказана печаль в одной из надписей и возвелечение в другой. Алебарды такого типа использовались на церемониях и при аудиенциях, в парадном назначении. Чаще всего им пользовались представители дервишского ордена. Алебарды эти можно отнести к типу художественного ремесла XIX века.

---

4 Ф о н В и н к л е р П. Оружие, с.Петербург, I894, с. 348.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

რ.დ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ე, ძვ.წ. II-I სს. სალოცავი ნიშტაყოს ბორცვზე ს.შენაქოში 5
ც.ღ ვ ა ბ ე რ ი ძ ე, საქართველოს მეფის გიორგი VII-ისა და აჰმად ჯელაირის სახელით მოჭრილი მონეტების დათარიღებისათვის. 22
Ц.М.Г в а б е р и д з е. К датировке монет выпущенных от имени грузинского царя Георгия УII и Ахмеда Джелаира (резюме). 27
გ.კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა, XVIII ს. ირანული კერამიკა (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მასალების მიხედვით) 28
Г.Г.Квирквелия, Иранская Керамика ХУIII века (по материалам Гос. музея Грузии) (резюме). 36
ნ.ჯ ი ქ ი ა, ველურ მცენარეთა და ბოსტნეულის გამოყენება ხალხურ კვებაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში 38
Н.Д ж и к и я, Употребление диких растений и овощей в пище горцев Грузии (резюме). 51
თ.გ ე ლ ა ძ ე, შრომითი ურთიერთდახმარების ერთი ფორმა მესხეთში. 52
Т.Ш.Г е л а д з е, Одна из форм трудовой взаимопомощи (резюме). . . . 57
მ.ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, კერამიკული წარმოება გორში. 58
М.З а н д у к е л и, Керамическое производство в г.Гори (резюме). . . . 63
ნ.ჯ ი ქ ი ა, პურსაცხობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. 64
Н.П.Д ж и к и я, Приспособление для выпечки хлеба горной Восточной Грузии (резюме) 69
ვ.მ ო დ ე ბ ა ძ ე, ნართის დამუშავების ხალხური წესები სამცხე-ჯავახეთში 70
მ.ბ ო კ უ ჩ ა ვ ა, მორწყვის ტრადიციები საინგილოში. 91
М.Т.Б о к у ч а в а, Традиция орошения земель в Саингило (резюме). 95
ვ.ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, სოილ კოპასძის წარწერა 96
В.Г.Ц и с к а р и ш в и л и, Надпись Соила Копасдзе (резюме). 97
ნ.ჩ ი კ ვ ი ლ ა ძ ე-ა ბ ა შ ი ძ ე, დაღესტნელი ოქრომჭედლები თბილისში (ოქრომჭედელი ხიზრი კაჟლაევი). 100
Н.Н.Ч и к в и л а д з е-А б а ш и д з е, Дагестанские золотых дел мастера в г.Тбилиси (золотых дел мастер Хизри Кажлаев (резюме) 116
გ.ნ ე მ ს ა ძ ე, თიხის ჭურჭელი ძამის ხეობიდან 117
Г.М.Н е м с а д з е, Керамические сосуды из дзамского ущелья(резюме)..129
მ.წ ო წ ე ლ ი ა, წითელი წყაროს განძის ერთი სასანური მონეტის გამო. . . 130
М.В.Ц о ц е л и я, Об одной монете Цителцкаройского клада (резюме) 133
თ.ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ნოჯიხევის ვერცხლის მონეტების შერეული განძი 134
Т.А б р а м и ш в и л и, Смешанный клад серебрянных монет из с.Ноджихеви (резюме). 139

Т.А б р а м и ш в и л и, Смешанный клад серебрянных монет из с. Ноджихеви (резюме). 139

გ.კ ვ ირ კ ვ ე ლ ი ა, XVI-XVIII სს. ჩინური ფაიფური (საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდის მიხედვით) 140

Г.К в и р к в е л и я. Китайский фарфор ХУI-ХУIII вв.(по материалам с фонда керамики Отдела этнографии Государственного музея Грузии (резюме). 150

დ.ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, შაჰ-აბასის სახელიანი აღებარდები. 152

Д.Л.Ч и л а ш в и л и, Алебарды с именем Шаха-Абаса (резюме). . . . 156

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სგ 3973

გამომცემლობის რედაქტორი ლ.კ ო ტ რ ი კ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი გ.ლ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი ც.ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ლ.ჯ ი ქ ი ა

გადაეცა წარმოებას 24.12.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.6.1990;
ქაღალდის ზომა 7X108 1/16; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური;
პირობითი საბეჭდი თაბახი 14,0; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 11.16.

ტირაჟი 500 შეკვეთა №3174

ფასი 2 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство "Мецниереба", Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ.აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

В Е С Т Н И К

Государственного музея Грузии им.акад.
С.Н.Джанашия
XLI
(на грузинском языке)
"Мецниереба"
Тбилиси
1991

5 7-55/5

ეროვნული
ბიბლიოთეკა